114
1951/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

114
1951/6

5

15

ფასი 6 ა

1951

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაისი

53072

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამერვე

საქართველოს სსრ სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
Инв. №

5

★

მ ა ი ს ი

19 სახელგამი 51
თბილისი

საქართველოს სსრ სახ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

ახალი ფუძე

★

შორიდანვე შენიშნავთ ცივგომბორის კალთაზე ''ძეფენილ სოფელს. აი, ამ სოფელში არის კოლმეურნეობა „ახალი ფუძე".

ომის დაწყებამდე და ომის წლებშიც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ჭალარა ტიმოთე მუშაობდა, ხალხი ძას პატივს ცემდა და ყველა „ბიძია ტიმოთეს" ეძახდა.

კარგა ხანია ტიმოთე ავადმყოფობდა. ზოგი ამბობდა: კოლმეურნეობამ მოღალაო, სხვები უმატებდნენ: წვიმის დროს მინდორში მოჰყვა და გაცივდაო.

ტიმოთე დროგამოშვებით ავადმყოფობდა, მაგრამ თავს მაინც იმაგრებდა, თუმცა შორს მანძილზე ვერ მიდიოდა, ვერც ცხენზე ჯდებოდა.

და, აი, იმ დღეს, როცა დავით ცეროძე ომიდან დაბრუნდა, ახალგაზრდა ტანკისტს ხალხმა დიდი ლხინი გადაუხადა.

ტიმოთე დავითს ბავშვობიდან იცნობდა. დავითი ომში წასვლამდე კოლმეურნეობაში ერთი პირველთაგანი იყო. როგორც წარჩინებული კოლმეურნე კოლმეურნეობამ იგი სასწავლებლად გაგზავნა.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ დავითი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და ომის დამთავრებამდე სოფელს აღარ დაბრუნებია.

დავითი ყველას სჯობიაო, — ფიქრობდა ტიმოთე.

და ერთ დღეს, როდესაც გამგეობის კრებაზე თესვის გეგმას იხილავდნენ, ტიმოთემ უბიდან განცხადება ამოიღო და წევრებს წინ დაუდო.

— ავადმყოფობის გამო თავმჯდომარეობიდან უნდა გამათავისუფლოთ, — მიმართა მან გამგეობის წევრებს. — ვიცი, თხოვნაზე უარს არ მეტყვით, რადგან ჩემი ჯანმრთელობის ამბავი კარგად მოგეხსენებათ. იმასაც ხედავთ, რომ ძველებურად ველარ ვუძღვები საქმეს. ჰო, და, მე ვგონებ, ჩემს ადგილზე დავითი რომ ავირჩიოთ, კარგი იქნება.

შაბათ საღამოს კოლმეურნეობის წევრთა და რაიკომის მდივნის თანდასწრებით დავით ცეროძე ერთხმად იქნა არჩეული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ხოლო, მეორე კვირას, პარტორგანიზაციის მდივნად ახლადკურსადმთავრებული აგრონომი ქალი, თებრონე ფარეიშვილი აირჩიეს.

თებრონეს კანდიდატურა ბევრისთვის მოულოდნელი იყო და ზოგმა ეჭვიც გამოსთქვა, ქალმა როგორ უნდა შესძლოს ამოდენა საქმის გაძღოლაო.

იქნებ ამ აზრის თვით დავით ცეროძეც იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს. შუბლი მაშინ გაიხსნა და სახეც იმედით გაუბრწყინდა, როცა რაიკომის მდივანმა თებრონე კარგად დაახასიათა.

ტიმოთე თუმცა თვითონ თხოულობდა: აღარ შეძიძლია, გამათავისუფლეთო და ხალხმა თხოვნა შეუსროლა, მაგრამ, როდესაც მის მაგიერ დავითი აირჩიეს, გულმა რაღაცნაირად შემოჰკვნესა: ერთი წავა და სხვა მოვაო. სახლისაკენ დაღონებული მიდიოდა. შემდეგ ერთ ადგილს შეჩერდა და თავის თავს უთხრა: „სანამ შეგეძლო, გული არ დაგიკლია ხალხის საქმისათვის, ტიმოთე! ხალხთან არ შერცხვენილხარ! აყვავდნენ, გაიხარონ! და თუ კიდევ შევიძელი რამე, ძალღონეს არ დავზოგავ". თქვა და გზას გაუდგა.

2.

დავითი ტანადი ვაჟკაცი იყო. მსხვილი, ჭრელი თვალები და ქერა ულვა-

შები ჰქონდა. ლაპარაკობდა მკაფიოდ და მკვეთრად. უცხოს ისე მოეჩვენებოდა, თითქოს ნაწყენიაო და ჯავრობსო. უბრალოდ, მაგრამ სუფთად იცვამდა. ჩექმები მუდამ უკრიალებდა.

სამხედრო სკოლასა და ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი, იგი სხვების მიმართაც მომთხოვნი იყო. თავმჯდომარედ რომ ირჩევდნენ, ხალხს პირობა ჩამოართვა: თანახმა ვარ ვიყო თავმჯდომარედ, უკეთუ რასაც დავადგენთ, ზუსტად შეასრულებთ. გამგეობის დადგენილება ყველასათვის კანონი უნდა იყოს. გასაგებია, ხალხო?

მთელმა კოლმეურნეობამ არა თუ პირობა მისცა დავითს, პირიქით მოუწოდა, მტკიცედ დაეცვა საკოლმეურნეო წესდება და თუ ვისმე დაარღვევდა, მკაცრი პასუხი მოეთხოვა.

3.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად კოლექტივის საქმე წინ მიდიოდა. გეგმების დაზუსტებამ და დისციპლინის განმტკიცებამ კოლმეურნეობაში მეტი სიხალისე შეიტანა.

მეორე წელიწადს კოლმეურნეობას უკვე სამი შრომის გმირი ჰყავდა: ერთი მათგანი გოგია ბრიგადირი, რომელიც სული და გული იყო მთელი კოლმეურნეობისა, დავითს თავის ღვიძლ ძმაზე მეტად შეუყვარდა. მისით ამაყობდა და ყველას მოუწოდებდა—გოგიასათვის მიებაძათ.

ზაფხულის ერთ დღეს დავით ცეროძე ძლიერ ნაწყენი დაბრუნდა მინდვრიდან. ცხენიდან არც კი ჩამომხტარიყო, გამგეობის შენობის წინ შიკრიკს შეუძახა:

— საღამოზე ყველა ბრიგადირი დაიბარე, ნიკო!

შიკრიკმა ხმაზე შეატყო, დავითი ნაწყენი რომ იყო. ნიკო შიკრიკი, იმავე დროს გამგეობის შენობის დარაჯი, მაშინვე გაეშურა თავმჯდომარის განკარგულების შესასრულებლად.

არც ერთი ბრიგადირი სახლში არ დახვდა ნიკოს, ყველანი სამუშაოზე იყვნენ გასულნი. ბინაზე ყველას ცალ-ცალკე ერთსა და იმავე ამბავს უტოვებდა:

— უთხარი, გოგიას... უთხარი, ზაქარიას... უთხარი, მოსეს... უთხარი, თალიკოს, უთხარი, სიმონს: თავმჯდომარე იბარებს, ძალიან ნაწყენია, ძალიან ჯავრიანია...

— რაზეა ნაწყენი?

— აბა, მე რა ვიცი. მოელენ და გაიგებენ.

დანიშნულ ვადაზე გამოცხადდა ცხრა ბრიგადირი. ზოგი ხანში შესული, ზოგი ახალგაზრდა, მოვიდა თებრონე, დავითს თავაზიანად მიესალმა და მაგიდას მიუჯდა, ბრიგადირებს გადახედა.

აგერ ზაქარია ჯმუხი და მხარბეჭიანი, ცალი თვალი დამრეტილი ჰქონდა. ახალგაზრდობაში ხარმა რქა ამოჰკრა. გარდა ამისა, რომ ზაქარია კარგი მევენახე იყო, დურგლობაც იცოდა.

აგერ, მის გვერდით, იასე, ყველაზე ახალგაზრდა და მუდამ გამკილავი. ზაქარიას გვერდით მისჯდომოდა და რაღაც ამბავს უყვებოდა. თვითონაც იცინოდა და ზაქარიაც გულიანად ხარხარებდა.

აქვე იდგა გოგია ბრიგადირი, მოხდენილი ვაჟკაცი, შრომის გმირი. იგი ხან თებროს უცქეროდა, ხან თავმჯდომარეს.

თალიკო, ბრიგადირი ქალი, ლამაზი სახისა და ხილაბანდაკეცილი ეს ის თალიკო გახლდათ, რომელიც მეაბრეშუმეთა ბრიგადასაც ხელმძღვანელობდა და მინდვრის სამუშაოებშიაც ერთ-ერთი მოწინავე ქალი იყო.

— ამხანაგებო, — მიმართა თავმჯდომარემ ბრიგადირებს და მაგიდას მიუჯდა, — ყველას არ ესიამოვნება თამბაქოს ბოლი, მოდი ნუ მოვწევთ.

ვინც პაპიროსს ეწეოდა, ცივად ჩააქრო და ნამწვავი საფერფლეში ჩააგდო.

— მოიწით ახლოს, მაგიდასთან.

ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ.

— დღეს მთელი ჩვენი მინდვრები შემოვიარე, ყველა კარგად ვერ ვმუშაობთ. — თავმჯდომარემ მოსეს შეხედა. — ბერიძის ყბადასაღებად მიხდი, მოსე, საქმეს.

გოჩა ბერიძე მეზობელ კოლმეურნეობის „პირველი ნაბიჯის“ თავმჯდომარე იყო. მისი კოლმეურნეობა ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ითვლებოდა რაიონში, მაგრამ ბერიძე ყოველნაირად ცდილობდა თავისი კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგში ჩაეყენებია და თავის მეზობლისათვის გაესწრო.

— შენ თუ დღეს პირველი ხარ, დავით, ხვალ და ზეგ მეც დაგეწევი! — უთხრა ერთხელ რაიკომის ბიუროს სხდომის შემდეგ ცეროძეს გოჩამ.

დავითს არ ეამა, არ უყვარდა, თუ ვინმე გაუსწრებდა, აჯობებდა. ამაყი და პატივმოყვარე იყო. მხოლოდ თავისი კოლმეურნეობის წარმატება ახარებდა.

„თუ ვარგიხარ შენით გაუძეხი შენ საქმეს. შენი კოლმეურნეობის დაწინაურება შენზე და შენ ხალხზეა დამოკიდებული. სხვისი დახმარება არ უნდა დაგჭირდეს.“ ასე ფიქრობდა დავითი.

— შენ ისე მიხდი, მოსე, საქმეს შენი მუშაობით, რომ მართლაც გაგვისწრებს ჩამორჩენილი. დაე, ბერიძე დაწინაურდეს, მაგრამ ჩვენს წინ მაინც არ უნდა გავუშვათ. უნდა ეცადო, პირველი, შენ იყო, ხოლო სხვებისათვის სამაგალითო! ამას გვასწავლის პარტია. რასაც პარტია გვასწავლის, საითკენაც იგი მიგვითითებს, ეს ჩვენთვის კანონი უნდა იყოს. აი, შენ, მოსე! რატომ მოერია შენს ვენახს ბალახი? ვისი სირცხვილია ეს?

— მოიცა, დავით, მომისმინე, — შეაწყვეტია თავმჯდომარეს მოსემ.

— რა მოგისმინო?

— კაცო, ორი დღე წვიმდა.

— ორი დღე წვიმდა. შვიდი გავიდა მას აქეთ. გუშინაც წვიმდა? გუშინწინაც? სადა ხარ, ორი დღეა დაგეძებთ და ვერსად გიპოვეთ.

— ფერმაში ვიყავ!

— ვიცი! ფერმაში იყავი. იქ შენმა საკუთარმა ნეზვებმა გოჭები დაყარეს. შენც გამიხდი ზალიკო ჩალიშვილი, რომ შენს კერძო საკუთრებას თავს დასტრიალებ, ხოლო კოლექტივის საქმეს გულცივად ეპყრობი, ვერ უძღვები ბრიგადას, მოსე! ცუდად მუშაობ.

აქამდე მხიარული მოსე უცბად მოიღრუბლა. თავმჯდომარემ ზალიკო ჩალიშვილს შეადარა... ეს ხომ ვერ არის კარგი საქმე... რატომ, ან რისთვის? ვინ არის ზალიკო ჩალიშვილი, რომ მასთან შედარებამ მოსეს უცებ ხმა ჩაუწყვიტა?

დავითმა ახლა უკვე დამშვიდებით განაგრძო:

— წვიმამ შეგიშალა ხელი, თუ შენმა დაუდევრობამ, ეგ სულ ერთია. შენ ჩამორჩი. წამხდარი საქმე დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორო. ხვალვე დარაზმე ქალი და კაცი! გასაგებია? — უთხრა მოსეს და ზაქარიას მიუბრუნდა: — ზალიკო ჩალიშვილი რას შვრება?

— კვლავ აცდენს შრომადღეებს.

დავითი ჩაფიქრდა, მერე გოგიას შეხედა.

— გოგი, რატომ უყურებ ამ კაცს ასე გულგრილად? ის ხომ შენი სიძეა, შენი დის ქმარი. გამიგია, ომამდე ურიგო კოლმეურნე არ იყოო. ახლა, რა ღმერთი უწყრება?

— ომამდე ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნე იყო, ზალიკო.

— ახლა რა დაემართა? რატომ არ დაინტერესდი, რატომ არ კითხე რა ხდება მის თავზე?

— დავინტერესდი. მეც ბევრი ველაპარაკე და თებროც!

— ვერ გილაპარაკიათ კარგად. ცუდად დაინტერესებულხართ, — ცივად შეაწყვეტინა თავმჯდომარემ. — ჩვენ მეტს ვერ მოვითმენთ. თუ წევრია, უნდა გაამართლოს წევრობის სახელი. სხვას რად უნდა ჩამორჩეს? თუ ჩამორჩა, რა მიზეზით? იქნებ ავად არის? მე თვითონ ვნახავ. ჩამორჩენილი არც ერთი, გასაგებია? ამის გარდა ზოგიერთი წევრი ნაკლებ დატვირთულია. აი, მაგალითად: დარაჯი, დალაქი, დალაქის შეგირდი. ამათ, რაკი გადაწყვეტით აქვთ შრომადღეები თვიურად, თავს აღარ იწუხებენ. თავისუფალ დროს უქმად ატარებენ. უნდა ჩავაბათ ისინიც მინდვრის სამუშაოებში. ერთი საათი არ უნდა გაცდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვერ ვიმუშავებთ, ისე, როგორც შარშან, შარშანწინ ვმუშაობდით. ყოველდღეს ახლა ჩვენთვის ახალი წარმატება უნდა მოქონდეს. შეადარეთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა წინანდელ წლებს. წასულ წელს მე კოლმეურნეებს შრომადღეზე ოთხი კილოგრამი მარცვალი მივეცი. წელს ორჯერ მეტს მივცემ. მერმის სამჯერ მეტს. აგაყვავებთ, აგაშენებთ. ოღონდ მომყევით ისე, როგორც მე მინდა. ჩემსავით გამოიღეთ თქვენც ხელი.

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა დავითს, რომ მისი თვალები თებრონეს თვალებს შეხვდნენ.

თებრონეს არ მოსწონდა დავითის ასეთი ლაპარაკი და ერთხელ გადაკვრითაც აგრძნობინა, რომ მან კი არ მისცა კოლმეურნეებს ოთხი კილოგრამი, არამედ კოლმეურნეობამ მისცა. რომ „მე მივეცი, მე აგაშენებთ, მე აგაყვავებთ“, ეს არ არის კოლექტივისტური გრძნობის გამომხატველი სიტყვა, მაგრამ დავითმა ყურადღება არ მიაქცია თებრონეს.

და ახლა, როდესაც დავითმა კვლავ გაიმეორე ეს სიტყვები, გაახსენდა თებრონეს ლაპარაკი და იმის დასამტკიცებლად, რომ დავითმა კოლექტივი წინა წლებთან შედარებით უფრო აამაღლა, ლაპარაკს უფრო აღრმავებდა და მიხვეული გზით თებრონეს გასაგონად ლაპარაკობდა. ამ დროს ვიღაცამ კარები ნახევრად შემოაღო, კარებშივე შეჩერდა და იქიდან დაიძახა:

— შეიძლება?

მოსული კარს იყო მოფარებული, მაგრამ იგი ხმაზე იცნო ყველამ.

— ამირინდო!—თქვა მკაცრად თავმჯდომარემ და თავი ასწია.

ვინ იყო ეს ამირინდო? ეს იყო ხალისიანი და მხიარული ადამიანი, რომელმაც ცხრაას ხუთ წელს ძლივს მიაღწია მეექვსე კლასამდე და რაკი მეექვსე კლასში სამჯერ დარჩა, სთხოვეს სკოლიდან მიბრძანებულიყო. ამის შემდეგ ხან ვითომ ბუღალტერიის კურსებზე შევიდა, ხან თეატრალურ სტუდიაში. ერთხანად მსახიობად მოეწყო, მაგრამ იქაც სთხოვეს — მიბრძანებულიყო. ისევ თავის სოფელს დაუბრუნდა და კოლმეურნეობის კლუბს ხელმძღვანელობდა. ხან მინდორშიაც გავიდოდა სამუშაოდ. ახლა კოლმეურნეობის სავაჭრო წერტის გამგედ ყოფნა მოისურვა.

მას ერთი ის მოსაწონი თვისება გააჩნდა, რომ მუდამ უდარდელი, ხალისიანი და მოსწრებული სიტყვის პატრონი იყო.

თვითონ იტყოდა ხოლმე: სადარდებელი რა მაქვს? შიშველი დავიბადე, ახლა ერთი პერანგი მაინც მაცვია, მაშასადამე, მოგებაში ვარო!

სადაც კი ამირინდო გაჩნდებოდა, უთუოდ ხალისს და მხიარულებას შეიტანდა. ახლაც, გამოჩნდა თუ არა კარებში, ყველას გაეღიმა.

— რატომ გაშეძდი მაგ კარებში, შემოდი, — უთხრა დავითმა.

— თუ არ მეტყვით — შემოდიო, აბა მაშ რა ვქნა?

— და თუ არ გითხარი?

— ვიდგები ასე!

— როდემდის?

— ვიდრე არ მეტყვით შემოდიო. — ამირინდომ ქუდი მოიხადა და სკამთან შეჩერდა:

— დაჯდე?

— დაბრძანდი!

— მითხარი დაეგდე-თქო, ოღონდ ერთი თხოვნა შემისრულე, — დაჯდა და ყველას გადახედა-გადმოხედა.

— შენ თითქოს ავად იყავი? — შეეკითხა დავითი.

ამირინდომ კიდევ გადახედა ბრიგადირებს.

— დავით ჩემო, ხომ იცი, პირდაპირმთქმელი ვარ, არც ჩემს ნაკლს ვფარავ და არც სხვისას... შენ რომ მითხარი წისქვილში წადი ამწონავადო, წისქვილში ბრახა-ბრუხი, ფქვილის მტვერი, უძილო ღამეები, ტომრები ასწიე-დასწიე, აბა, შენ იფიქრე, მაგას მე შეეძლებდი? დიახ, რომ ვერ შევძლებდი! მაშასადამე, შენთან შერცხვენას ვამჯობინე მეთქვა: ავად ვარ მეთქი, გასაგებია!

— ახლა რა გსურს, გადმოალაგე.

— გენაცვალე სულში!.. გადმოვალაგებ. — ამირინდო შეჩერდა, ყველას დააცქერდა და შემდეგ, თითქოს ვიღაცას შეუტიაო: — ბეზარაანთ იაკო ხომ მოკვდა!

— მერე, შენც გინდა იაკოს გაჰყვე?

— იაკოს მისი ცოლი მაგდანა გაჰყვეს.

— იმ ქვრივს, შენს „მზეთუნახავს“, ასე იმეტებ? — გაეცინა ზაქარიას.

ამირინდომ ვითომ ვერ გაიგო ზაქარიას ნათქვამი! არ უნდოდა „მზეთუნახავის“ ამბავი გაეღრმავებინა და უცბად დაიწყო:

— იაკო რომ მოკვდა, ჯანდაბამდის გზა ჰქონია, მხოლოდ ის სავაჭრო წერტი თითქოს გაუქმდა, თითქოს ჩანელდა.

— მაშ შენ გინდა იმ წერტის გამგედ დაგნიშნო?!

— ჩემთვის ზედგამოჭრილი ადგილია.

— მხოლოდ ერთს ვშიშობ: ვაი თუ ღვინო სულ შენ დალიო!

— მე დაგიმტკიცებ, თუ კაცი ვარ...

— კარგი! კარგი! მხოლოდ.

ამირინდო გახარებული უსმენდა, მაგრამ მხოლოდო, რომ თქვა დავითმა, შეფიქრიანდა.

— რა „მხოლოდ"? სთქვი, დავით, დაათავე! მე ყველაფერზე თანახმა ვარ. ნუ გგონია, ყველა ბეზარაანთ იაკო იყოს, ის საძაგელი, ის გაიძვერა.

— ბარი გაქვს? — ჰკითხა დავითმა მოულოდნელად.

— ბარი? მაქვს, მაქვს, — სიხარულით უპასუხა ამირინდომ და თან შიშით გაიფიქრა — რა შუაშია აქ ბარი? ან რატომ მეკითხება ბარს, როცა მე წერტზე ველაპარაკებიო.

— მაშ წერაქვიც გექნება!

— წერაქვი? ორი!

— ორივე წაიღე. ნიჩაბიც გექნება.

— აუცილებლად, უსიკვდილოდ.

— ჰოდა, შენ, ჩემო ამირინდო, მაგ იარაღით ხვალ წადი არხზე ანდრიასთან და, რასაც გეტყვის, ის გააკეთე! გასაგებია?

— ააა... არხზე? მაშ ის წერტი?

— ჯერ დამიმტკიცე ვაჟკაცობა, ის გამიკეთე, რაც მე მინდა, და შემდეგ — მე ვიცი, წერტი არსად გაიქცევა. გასაგებია?

— გასაგებია, გასაგები. — ლუღლუღებდა ამირინდო.

4.

უკვე შუალამეა, ყველანი წავიდწამოვიდნენ. ამირინდო კი ისევ კოლმეურნეობის კანტორის ეზოში დაბორიალობს. ხან გაივლის, ხან გამოივლის. თან თავის თავს ელაპარაკება.

— რას ველოდებოდი და რა მივიღე! ერთი ბარი — ეს მე! ერთი ნიჩაბიც — ესეც მე, მაგრამ ორი წერაქვი რომ მითხრა, წაიღეო, — რატომ ორი? — თქვა და გადასწყვიტა: ისევ დავითს შეჰკითხებოდა. კიბეზე ავიდა. თავმჯდომარის კაბინეტს მიუახლოვდა, ყური დაუგდო. დავითი თებრონეს ეუბნებოდა:

— მე შენ ყოველთვის გულდასმით გისმენ, შენ პარტორგანიზაციის მდივანი ხარ. ჩვენი თვალი, გული, ჩვენი სინდისი ხარ... მაგრამ, თებრონ, ვიდრე შენ მეტყოდე რამეს, ერთი ეს გამაგებინე, შენ აყოვნებ თუ გოგია, რომ დღემდე მაყრული ვერ შემოვძახეთ?

— როგორ, მაყრული?

— ქალო, როდის იქნება თქვენი დალოცვის დღე, შენი და გოგიას ქორწილი? გოგია ჯერ კიდევ მაშინ ჩქარობდა, სანამ პარტორგანიზაციის მდივნად აგირჩევდით. ახლა რაღას აგვიანებ?

— ჩვენ უკვე მოვაწერეთ ხელი, დავით, მოწმეებად ზაქარია და მოსე გვყავდა.

— უჩემოდ, უჩემოდ მოაწერეთ ხელი? უჩემოდ მრავალჟამიერიც შემოსძახეთ?

— არა, დავით! გოგია ამბობს: სუფრა არაჩვეულებრივი უნდა გავმართოო...

— როდის, როდის?

— გაზაფხულის გეგმებს დავასრულებთ და მაისის ერთ მშვენიერ დღეს.

— მაისი ჩვენი გამარჯვების თვეა, მომწონს გოგიას აზრი! იცი, მე რა საჩუქარს ვამზადებ?

— გმადლობთ, დავით!

— არა, ჯერ სუფრა, ჯერ სუფრა!

— იქნება, დავით, სუფრა, იქნება.

— მთელმა კოლმეურნეობამ უნდა იდღესასწაულოს თქვენი ქორწილი. გოგია ჩემთვის ძმაზე მეტად საყვარელია! ახლა მითხარი, წეღან რა გინდოდა გეთქვა?

— მერიდება, ვაი თუ ისეთი სიტყვებით ვერ გამოვსთქვა, რომ ჩემი გულის ნადები შენთვის ნათელი იყოს.

— ძალიან დამაინტერესე.

— შენ მტკიცე ხარ, დავით, და ყველასთვის საყვარელი, მიუდგომელი ამხანაგი და ადამიანის შემცნობი, მაგრამ...

— მერე, მერე?

— ჩვენი საყვარელი ბელადი გვასწავლის, ნაკლი დროზე უნდა იქნესო მხილებული...

— ჩემი ნაკლი?

— ერთი რამ არ არის შენში მოსაწონი.

— მხოლოდ ერთი რამ? მითხარი, მითხარი!

— კომუნისტები პიროვნების როლს არ ჩქმალავენ, კეთილი საქმის ინიციატორს ვაშასაც ვეტყვით! ვაჟკაცობა

შენც დაგიფასეს, ათი ორდენი და მედალი ამშვენებს შენს მკერდს, მაგრამ შენ ისევ არ იშლი შენსას: „მოგეცით ოთხი კილო, მე აგიშენებთ, მე მყავს გმირები.“ სულ მე და მე! აქ შემცდარი ხარ.

— ახალგაზრდა ხარ, ჩემო თებრო, სულ ახალგაზრდა! — უთხრა დავითმა სიცილით, ისე როგორც უფროსი ეტყვის ბავშვს. — აბა დაფიქრდი! შენ, გუშინდელი ქალიშვილი ჭკუას მასწავლი! ლაპარაკს რა ყურადღებას აქცევ, შენ ის მისაყვედურე, თუ მე გეგმებს არ ვასრულებ, დისციპლინა არა მაქვს, ხალხი ვერ დავრაზმე. აი, ეს მისაყვედურე, მაგრამ აქ შენ ვერაფერს მეტყვი და შენ მხოლოდ ჩემს გამოთქმას აქცევ ყურადღებას, ჩემს ლაპარაკს. რა ვქნა, ასეთი ბუნება მაქვს.

— არა, ეგ მარტო ლაპარაკი არ გახლავს. აი, შენ თითქოს გიხარია, რომ ბერიძე ჩამორჩენილია. ჩვენ მას უნდა დავეხმაროთ.

— როგორ თუ დავეხმაროთ?

— ჩვენი გამოცდილებით! ჩვენი მოწინავეები გავგზავნოთ მის კოლმეურნეობაში, ისინი მოვიწვიოთ ჩვენთან.

— არა, აკვანი, გაუგზავნე და ძიძაც თან გააყოლე! მათი ძიძა თვითონ ბერიძეა. ეცადოს, როგორც მე ვცდილობ. მე ხანდახან არც დღე მძინავს და არც ღამე, რომ საქმე დავაწინაურო, გეგმა ადრე შევასრულო. შენ კი წვრილმანს ჩასჭიდებიხარ, რომ მე გამოთქმა არ მივარგა და თავაზიანად არ ვლაპარაკობ. სიტყვა უნდა სჭრიდეს, როგორც მეომრის მახვილი.

— შორეულსაც უნდა ჰხედავდე. შორეულს. მარტო შენ ვერ ააშენებ კომუნიზმს. შენ არც ხალხთან ხარ თავაზიანი...

— იცი, რა გითხრა, ჩემო თებრონე, — თქვა დავითმა და თებრონე მაგიდის ახლოს დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა, — იცი, რა გითხრა? დარიგებისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ თვითოეულ წევრთან თავაზიანად მოქცევა, წევრთან, რომელიც ორჯერ და სამჯერ მყავს გაფრთხილებული, უკვე აღარ შემიძლია. ეს შეიძლება ჩემი ნაკლოვანება იყოს. ამის გარდა შენ კარგად იცი, გარდა სახელმწიფო გეგმისა, კიდევ სხვა გეგმებიც გვაქვს. სინათლე გვაქვს, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენი სკოლის შენობა მოწაფეებს ვეღარ იტევს, მაშასადამე, ახალი შენობა უნდა აშენდეს, ეს ერთი! ჩვენი სასმელი წყალი ორი კილომეტრით დაშორებულია ჩვენი სოფლიდან. ეს წყალი მილებით სოფელში უნდა შემოვიყვანოთ და თითოეულ ოჯახს ეზოში დავუყენოთ,—ეს მეორე. როცა ჩვენი კოლექტივი სამუშაოდ არის მიხდვრად, ან ზვარში გასული, მზად უნდა მისდიოდეს საუზმე, სადილი და სამხარი! აი, ისე, როგორც ჩვენ ჯარში გვქონდა მოწყობილი. — ეს მესამე! ამბულატორიას მეორე სართული უნდა დაედგას, — ეს მეოთხე! უნდა გამწვანდეს მთელი სოფელი და გზები, უნდა დაირგოს არა უბრალო ხეხილი, არამედ 10000 ძირი კაკლის და წაბლის ნერგი. ამისთვის საჭიროა მეტი გარჯა, რომ სიმდიდრე დავაგროვოთ. ამიტომ არის, რომ ჩვენს წევრებს თავზე ვადგევარ, ჩემო თებრონე, ჩვენ უნდა მილიონერი გავხდეთ. „ახალი ფუძე“ სხვებისთვის უნდა გახდეს სანიმუშო, სამაგალითო, წასაბაძი! ხომ გასაგებია? აბა, მაშ რაში ჰხედავ უხეშ ქცევას, ან ცუდს მოპყრობას? მე ყოველდღიურს ზრუნვაში ვარ, ხალხი მჭირდება! თუ მეც ძომისმენ, პირიქით, მე გემდურები შენ! გამგეობა ამიჯანყე და შენ საჩივრის ნება არ მომეცი, რომ ბერიძეს ჩვენგან წაღებული სესხი გაენაღდებინა. რად უნდა იყოს მასთან ჩემი მონაგრებული? ჩემის მარჯვენით, ჩემის შრომით, ჩემის ოფლით მოპოებული.

თებრონე გულდასმით უსმენდა, ხოლო ბოლო სიტყვებზე აღელდა.

— აი, ეგ არის, რომ ერთმანეთის ვერ გაგვიგია! ჩვენ იმ ვალის აღება არ გვჭირდებოდა და რომ აგეღო, ბერიძეს გაჭირვებაში ჩააგდებდი. ჩვენ არა მარტო ერთის მიღწევა უნდა გვახარებდეს. არამედ ყველას ამაღლება. შენ კი საკუთარ ქოხის იქით არ იხედები. შენ ისე მოქმედებ, როგორც კერძო მესაკუთრე მოქმედებდა.

— რას ლაპარაკობ, თებრო? — ეწყინა დავითს.

— სიმართლეს — უპასუხა თებრონემ.

ამირინდო შესვლას აპირებდა, მაგრამ ვეღარ გაბედა. ხოლო როცა მათი ლაპარაკი გამწვავდა, იფიქრა, თუ არ შევედი, წაიჩხუბებენო და კარი შეაღო.

— დავით, ბოდიშს ვიხდი! შემოსვლა მინდოდა... ჩემთვის ორივენი საყვა-

რელი ადამიანები ხართ და არ მინდა, რომ თქვენში ლაპაკი გამწვავდეს.

— შენ ყურს გვიგდებდი? — ჰკითხა დავითმა.

— შემთხვევით!

— რისთვის მოხველ?

— მე წეღან გითხარი, წერაქვი ორი მაქვს მეთქი... ორივ წავიღო?

— ერთი წერაქვი ვინმეს გადაეცი, დაგვტოვე ახლა!

ამირინდო ჩუმად გამოიზუზა.

დავით თებრონეს მოუბრუნდა.

— ხელს ნუ მიშლი მუშაობაში, თებრო. კოლმეურნეობა მე მაბარია, მე ვარ თავმჯდომარე, მაშასადამე, მე ვაგებ პასუხს. — თქვა და სასწრაფოდ გავიდა.

5.

გარეთ ბნელოდა, დარაჯმა თებრონეს შესთავაზა, გარეუბანში ცხოვრობ გაგაცილებო, მაგრამ თებრონემ უარი უთხრა.

მიდიოდა თებრონე და გულში რაღაც სიმძიმეს გრძნობდა.

„დავით, სცდები შენ! კოლმეურნეთა მიღწევები კოლექტივის მიღწევაა და არა მარტო შენი. შენ სხვას ვერ ჰხედავ და როგორც კერძო-მესაკუთრე ისე მსჯელობ“. ჰფიქრობდა თებრონე, რომ უცებ გოგიას ხმა შემოესმა.

— თებრონე, რად დაიგვიანე?

— გოგი! რატომ არ წასულხარ?

— როგორ წავიდოდი, ვიდრე სახლამდე არ მიგაცილებ! ჰხედავ, როგორ ბნელა.

უსიტყვოდ ორღობეში შეუხვიეს. სიწყნარე იდგა სოფელში. მხოლოდ შორიდან ძაღლების ყეფა ისმოდა.

6.

გზის პირას კაკლის ხე იდგა. ძისი უზარმაზარი ტოტები ფართოდ გადაშლილიყვნენ. თვალისათვის საამო სანახავი იყო! კაკლის ხის ახლოს კრამიტით დახურული, შუშაბანდიანი, ქვიტკირის სახლი იდგა. ეზოს მაღალი ღობე ჰქონდა შემოვლებული.

ორ ალაგას, შესავალ კართან, სახლის პატრონს ზალიკო ჩალიშვილს, ღობის წვეტიან მარგილებზე, ჭიშკრის აქეთ-იქით, ცხენის კენჩხა ჩამოეცვა. კოლმეურნეობაში ზალიკოს ყველა იცნობდა. ვისაც „ჩალიაანთ ზალიკოს“ შეარქმევდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ის კაცი კოლმეურნეობაში მუშაობას გაურბოდა, ან სამუშაოზე გასვლის პირობას მისცემდა და არ შეასრულებდა, მოატყუებდა. ასეთს წევრს ცულლუტის დამღა ერტყმებოდა.

ერთხელ გზად მიშავალ ზალიკოს ჭაღარა შერეული კაცი წამოეწია. ჩვეულებრისამებრ ერთმანეთს გამარჯვება უთხრეს და კარგა მანძილი ერთად იარეს. ჭაღარა კაცი ემდურებოდა თავიანთ სოფლის კოლმეურნეობის ერთს წევრს, ახლო მეზობელს. თურმე ხორბალი ასესხა და აღარ დაუბრუნა. ზედგამოჭრილი ჩალიაანთ ზალიკოაო! — თქვა ჭაღარამ. ზალიკომ ჭაღარას ალმაცერად შეხედა:

— შენ რომელ ზალიკოზე ლაპარაკობ?

— აი, იმ ჩალიაანთ ზალიკოზე, რომელიც ცრუობს ხოლმე.

— მერე, შენ იცნობ იმ ზალიკოს? ვინ გითხრა, რომ ის ცრუობს?

— მე არ ვიცნობ, მაგრამ ასე ამბობენ. ვიღაც ზალიკო ყოფილა დაპირდება და პირობას არ შეასრულებს, ისესხებს და ვალს არ გადაიხდის.

ზალიკო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ბრაზი ძოსდიოდა, რომ ასე გაუტეხეს სახელი. დააპირა შეეტევნა ჭაღარასათვის, მაგრამ გადაიფიქრა. ამით ხომ თავის თავს გაამხელდა. ისევ სიჩუმე არჩია, შეურაცხყოფა გულში ჩაიკლა და იქვე ორღობეში შეუხვია, რომ გზაზე სხვა ნაცნობი არ შეხვედროდა და არ დაეძახნა: „ჩალიაანთ ზალიკოს გაუმარჯოს!“.

ჭაღარასთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი ზალიკო მეტის სამდურავით აღივსო იმ ძველი თავმჯდომარის მიმართ, რომელმაც პირველად მას ცულლუტი უწოდა. ახლა კოლმეურნეობას უკვე ახალი, ომგადახდილი თავმჯდომარე ჰყავდა, მაგრამ ზალიკოს სახელი არ შესცვლია.

კოლექტივის დაარსების პირველ წლებში, როდესაც წევრებს დიდი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდათ, ზალიკო ჩალიშვილი მოწინავედ და აქტიურ წევრად ითვლებოდა. ერთხელ, როდესაც ზალიკოს მესამე შვილი შეეძინა, შვილის ძეობაში სტუმრად, ბეზარაანთ იაკო მოიპატიჟა, თავის ლამაზი ცოლით, მაგდანათი. ამ იაკომ ზალი-

კო შემდეგ უფრო დაიახლოვა. ბევრ რამეში ზალიკოს გული აუცრუა. შეაცდინა თორემ, ზალიკო ურიგო ადამიანი არ იყო.

ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო.

ბეზარაანთ იაკო ადგილობრივი გლეხი იყო და ზალიკოზე ათი წლით უფროსი. იგი ქალაქში გასული კაცი იყო. ვაჭრობდა, მაგრამ შემდეგ ვაჭრობას თავი მიანება, რადგან შეატყო, რომ ცხოვრება სხვა გზით მიიმართებოდა, რომ ვაჭრის სახელი მას ხეირს არ დააყრიდა და საერთო კოლექტივიზაციის დროს პირველმა განაცხადა კოლექტივში შესვლის სურვილი.

არავინ იცოდა, რამდენად გულწრფელი იყო ეს განცხადება! იტრიალა, გაძვრა-გამოძვრა და კოლექტივის წერტი ჩაიბარა. აქ კარგა ხანი იმუშავა. ერთხელ ქეიფის შემდეგ გაცივდა და ანთებით გარდაიცვალა. მისმა ცოლმა, მაგდანამ, თალხებში გამოწყობილმა და უფრო დამშვენებულმა, იაკო დიდის პატივით სამუდამო ბინას მიაბარა. მაგდანას ქმარი მაინცდამაინც გულზე არ ეხატა. ეს მთელმა სოფელმა იცოდა, მაგრამ ხალხისათვის ქმრისადმი ერთგულება და სიყვარული რომ დაემტკიცებია, ოსტატს მარმარილოზე ამოჭრილი იაკოს სურათი დაუკვეთა.

ეს მარმარილო წლისთავზე სასაფლაოს ძეგლზე უნდა გაეკეთებინათ და დიდი აღაპი გადაეხადათ.

სანამ იაკო ცოცხალი იყო, ხშირად ჩვენი ზალიკო ხან მასთან იყო სტუმრად, ხან იაკოს თვითონ ზალიკო ჰპატიჟებდა. ქეიფში ატარებდნენ დროს და როცა მარტო ორნი დარჩებოდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ.

— სულელი ხარ, — უთხრა ერთხელ იაკომ ზალიკოს, — კოლექტივი სხვისია, კარმიდამო შენი! მე რატომ ვიმუშავებ სხვისთვის?!.. წერტში მეც ვმუშაობ, მაგრამ ჩემი თავი არ მავიწყდება — და შემოსძახებდა.

„სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ,
ვახარებ ჩემსა იასა!“

ხალხში ამბობდნენ, იაკო რომ არ მომკვდარიყო, ბრალდებულის სკამზე წამოსკუპდებოდაო. ზოგიერთები მას ძირფესვიანად სთხრიდნენ, აძაგებდნენ და, ამბობდნენ: იაკო მიწაზე კი არ დადიოდა, მიწის ქვეშ დაძვრებოდაო. და, აბა რა სიკეთეს ნახავდა ასეთ კაცთან ჩვენი ზალიკო?

ერთ დღეს ზალიკო თავის სახლისკენ მიეშურებოდა, ჭიშკარს, რომ მიუახლოვდა, წინ მაგდანა დახვდა,

— ზალიკო, ზალიკო! მოიცა! საქმე მაქვს! — უთხრა ქალმა.

ზალიკოს არ ესიამოვნა იაკოს ქვრივის დანახვა. ბოლო დროს იაკოს სახელის გაგონებაც კი ბრაზს ჰგვრიდა, არათუ მისი ქვრივის დანახვა.

მაგდანა კეკლუცი ქალი იყო, ტანადი, შავგვრემანი. თალხები მართლაც უხდებოდა, ამას მაგდანა კარგად გრძნობდა.

— ძველი მეგობარი ხარ, ზალიკო... ჩემი ქმრისა.

— შენი ქმრის მეგობრობა მე მახრჩობს, მახრჩობს. — უკმეხად უთხრა ზალიკომ.

— ახა, ვაგლახმე, ზალიკო. რა დაგემართა? გამეხარდა გზაზე რომ შემხვდი, ჩემს დარდს შევჩივლებ-მეთქი!

— ან ავად და, ან კარგად ჩამომეხსენ!

უფრო მწყრალად უთხრა ზალიკომ, მაგრამ მაგდანა არ ეშვებოდა:

— იაკო დაგავიწყდა?

— დამავიწყდა კი არა, ძალიან კარგად მახსოვს. ვაჭარი, კოლექტივის ვითომ ერთგული, — ნამდვილად მტერი და ძირის გამომთხრელი. ნაცარს აყრიდა ყველას თვალებში.

— უი, ჩემს თვალებს, იაკოზე ამბობ მაგას?

— ვამბობ, დიახ? შენს იაკოზე. ბეზარაანთ იმ აბეზარზე!. რომელიც შენც გამწარებდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდი. ხომ შემოგიჩივლია ჩემთვის, რომ გამწარებდა, სთქვი ხომ გამწარებდა? მაშასადამე, შენი ქმარი შენთვისაც ცუდი იყო.

მაგდანამ ცალი ხელი ტუჩებზე მიიდო. ზალიკოს სიტყვები გულში ხვდებოდა. მაგდანა არ იყო უენო დედაკაცი, მართალია, იაკო ამწარებდა, მაგრამ მაინც მისი ქმარი იყო და ბევრს უთმენდა.

ზალიკო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ სახლში მისმა ცოლმა მარგალიტამ გაიგო, ბავშვებს თავი მიანება და ჭიშკრისკენ გამოეშურა.

— ზალიკო, მაგდან, რა ყვირილი გაქვთ, ამ შარაგზაზე?!. — უთხრა გაოცებულმა ქმარს!

ზალიკომ ყურადღება არ მიაქცია ცოლს. ზედაც არ შეხედა.

— გამშორდეს, გამეცალოს!

— აი, უცქირე, — ძიმართა მაგდანამ მარგალიტას, — აი, უცქირე... ვინ გადარია შენი ქმარი?

მაგდანას უნდოდა ეთქვა, რომ წლისთავზე იაკოს აღაპს უხდიდა და ფული სჭირდებოდა, როგორც კი სთქვა აღაპიო, ზალიკო ყველაფერს მიხვდა. გაახსენდა, რომ მარმარილოზე ამოჭრილი იაკოს სურათი ზალიკოსთან ინახებოდა.

— გამშორდი, ის დაფაც მომაშორე, თორემ... თორემ. — უნდოდა ეთქვა, სანაგვეზე გადავაგდებო, მაგრამ მაგდანამ გააწყვეტინა, მოუალერსა, მარგალიტასაც მოეფერა.

— შენი ცოლი, მოწამეა, ჩემო ზალიკო, ის მარმარილო აქ იმიტომ გადმოიღეს, რომ ტალახი იყო იმ ალმართზე, ვერ ავიტანეთ. დღეის სწორამდე შეინახე, რას გიშლის?

— მომაშორე, მომაშორე, მეთქი, — არ ისვენებდა ზალიკო. შემდეგ მარგალიტას ხელი ჩასჭიდა და მაგდანას ჭიმკარი მიუჯახუნა.

მაგდანამ ვერ მოითმინა და ქოქოლა მიაყარა:

— შენ კი მომიკვდი, რა ნაცილი გცემია!

— წამოდექი, ქალო!—უთხრა ზალიკომ ცოლს და სახლისაკენ გასწია.

ამ დროს მოირბინა ნენემ, კოლმეურნე ქალმა, მაგდანას მეზობელმა, ხელში კვერცხით სავსე კალათი ეჭირა და არ იცოდა, სად დაემალა.

— მაგდან, მაგდან! — იძახდა ნენე და თან ძლივს სუნთქავდა. — ჩქარა, ჩქარა, არ გნახოს. არ შეგხვდეს.

— რა დაგემართა, ნენე, ვინ მოგდევს?..

— ჩვენი თავმჯდომარე, დავით ცეროძე, ცერიმც მოსტეხია, კარდაკარ დადის შენისთანას და ჩემისთანას, ისე ხდის რომ მიწასთან ასწორებს.

მაგდანა შეფიქრიანდა.

— უი, ჩემს მტერს, მასთან შეხვედრა! შენ რომ იძახდი, შე თვალდავსილო, ტიმოთე არ გვინდა, დაბერდა, გამოყრუვდაო, ახლა იხტუნე!

— წამო, ადამიანო... იმისი ხმა ისმის. მანდეთ არა, აქეთ!

— არა, აქეთ წავიდეთ.

ხან მარცხნით გატრიალდნენ, ხან მარჯვნით.

გამოჩნდა დავითი.

— პატიოსანი მანდილოსნებო, ასეთს დღეს აცდენთ, როცა ჩვენს ბანას სარეველა, ნარი და ეკალი ზედ შესდგომია? თქვენი მეზობლები, თქვენი ნათესავები, მთელი სოფელი დღეს სამუშაოდ არის გასული. ორნი ღალატობთ მთელს სოფელს?

ნენეს ხელში კალათი შენიშნა.

— ნენე! აბა, მომიახლოვდი! სად მიგაქვს კალათი კვერცხებით სავსე? ბაზარზე მიგაქვს? ოჯახის ქალი, ბაზარ-ბაზარ დაიარები? რამდენჯერ გაგაფრთხილე? ეს უკანასკნელი იყოს!.. დაბრუნდი უკან და შენი ბრიგადა ნახე. გასაგებია?

ნენეს ეგონა, დავითი თავზე კაკალს დაამტვრევდა; რადგან დავითმა ნენე რამდენჯერმე გააფრთხილა, და ის ასე ოლად რომ გადარჩა, დარცხვენილი უსიტყვოდ წავიდა.

შემდეგ დავითი მაგდანას მიუბრუნდა. მაგდანა პირშებრუნებული იდგა.

— შენ, ქალბატონო?

— რა გინდა ჩემგან?

— წევრი ხარ ჩვენი, თუ არა ხარ, გამაგებინე?

— ხომ ჰხედავ; თალხი არ გამიხდია!

დავითს არ ესიამოვნა, რომ მაგდანამ, ბოდიშის მოხდის ნაცვლად უკმეხად უპასუხა. ასევე უკმეხად მიახალა თვითონაც.

— მაშ, დაიკრიფე გულხელი და შენს ქმარს მიუწექი: როდემდის უნდა ატარო თალხი?

„ქმარს მიუწექიო“. ეს მაგდანას ძალიან ეწყინა.

— შენ ვინ რას გკითხავს?

— როგორ, ვინ მკითხავს? ჩვენი წევრი ხარ, თუ არა ხარ წევრი? და თუ ხარ, რად ღალატობ შენს მეზობლებს, შენს ამხანაგებს?

მაგდანამ კარგად იცოდა, თუ დავითს კიდევ სიტყვას შეუბრუნებდა, მაგარ-მაგარს აკადრებდა. შეარცხვენდა, დატუქსავდა. ამიტომ ბოდიშის მოხდა არჩია, და ღიმილით უთხრა:

— დავით! ნუ გამიწყრები, ზალიკოსთან ცოტა საქმე მქონდა. შენმა სიცოცხლემ, მე თვითონ ვაპირებდი ბრიგადაში წასვლას.

ის იყო მაგდანა წავიდა, რომ დავითს წინ ორი ახალგაზრდა შეხვდა. ამ ახალგაზრდებზე ამბობდა დავითი, რომ ნაკლებ დატვირთულები არიანო.

ერთი დალაქი სარიდანი იყო, მეორე დალაქის შეგირდი. განგებ ორივეს ისე მდაბლად მოუხადა ქუდი, რომ იგრძნეს, რაღაცა დავაშავეთ და მასხარად გვიგდებსო.

— შენ, სარიდან, არ გათავისუფლებს ის გარემოება, რომ როგორც დალაქს, გადაჭრით გაქვს შრომადღეები! შენ კი, — მიუბრუნდა შეგირდს: — შენ-მკვდრებსაც აკლიხარ, არც ცოცხლებს არგიხარ!

— მთხოვ, თუ მიბრძანებ, ამხანაგო დავით? — ჰკითხა დალაქმა.

დავითი არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. დარწმუნებული იყო, რომ თუ დალაქი, ან სხვა ვინმე ზედმეტს გამოიმუშავებდა, დავითს მადლობას ეტყოდა. ასე იყვნენ სხვა ბეჯითი კოლმეურნეები. დავითმა აჰხედ-დახედა დალაქს.

— „მთხოვ“... არზას მოგართმევ და შეგეხვეწები! ახლავე მიდით საწყობში, გამოართვით ნამგლები და ზაქარია ბრიგადირთან გამოცხადდით! გასაგებია? აბა, მარშ უკან არ მოიხედოთ!

ორივენი უსიტყვოდ გაეშურნენ ზემოუბნისაკენ.

დავითი ზალიკოს სახლისაკენ გაემართა.

7.

ზალიკოს საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა. ჯერ ბელელი გაყიდა, შემდეგ ცხენი თავის უნაგირით, შემდეგ მარნის შენობა თავის კავებით, დირეებით, კოჭებით, კრამიტით და ბოლოს ქვევრებიც მიაყოლა.

ყველაფერ ამით ხელს ინაცვლებდა, იოლად მიდიოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში აღარაფერი ჰქონდა ხელის მოსანაცვლებელი.

ბოლოს იმას-ღა ახერხებდა, რომ ბაზარზე გაჰქონდა ჭერამი, შემდეგ ატამი და ბოლოს ყურძენი.

ოჯახში ოთხი სული ჰყავდა შესანახი. ცოლი, ორი ბიჭი და ერთი გოგო.

ცოლი მუდამ ეჩხუბებოდა ზალიკოს:

— როგორ ვერ ჰხედავ, მარტო ჩემი შრომადღეები არ გვყოფნის, ოჯახი გვეძცევა. ყველაფერს მოკლებულნი ვართ, მარტო მშრალ პურზე გადავდივართ. ბავშვებს კვება უნდათ, ჩაცმა, დახურვა! ფეხშიშველები დადიან სკოლაში.

— ადამიანო, — ანუგეშებდა ზალიკო, — გული არ გაიტეხო! წელს კარმიდამო ისე დავხელე, რომ ზღვად გასქდება! ჰხედავ, როგორ ასხია ჭერამს, ატამს, ვენახს... ყელამდე ავივსებთ ჭენახში მარტო ყურძენი ოცი გოდორი დაიკრიფება, მაშასადამე ორასი ფუთი ყურძენი გვერდზე გდია. ახლა იანგარიშე ფუთი, სულ ცოტა, თექვსმეტ თუმნად! ეგ შენი ორჯერ თექვსმეტი თუმანი. ეგ შენი ოცდათორმეტი ათასი. ახლა ჭერამი, ახლა ატამი?

ამით ცოლს გულს უკეთებდა, თორემ თითონაც დარწმუნებული იყო, რომ ამდენ მოსავალს ვერ მიიღებდა.

შარშან მის ვენახს კარგად ესხა, მაგრამ ოთხ გოდორზე მეტი ვერ მოკრიფა. წელს, მართალია, შარშანდელზე უკეთესი პირი უჩანდა, ორჯერ მეტი მოსავალი რომ მიეღო, ეს ხომ რვა გოდორი იქნებოდა. სად რვა და სად ოცი?

— ეგ არის ვითომ სკივრშიაც გიწყვია! შენ ამ ბოლო დროს. თვალს იბრმავებ. აბა, შენ თვითონ რომ არ გჯერა! ეს ვერ გვაცხოვრებს, ვერა! ეს კარმიდამო არ არის ჩვენი ცხოვრების წყარო. მოკლე მიწა თვალს ახარებს, გრძელი მიწა ბელელსო. გრძელი მიწა კი კოლექტივშია.—ეტყოდა ხოლმე მარგალიტა.

8.

ზალიკო თავის კარმიდამოზე სამუშაოდ გასვლისას მზეს უსწრებდა. უმალ პირს დაიბანდა. ჩუმად რაღაცას თავისთვის ჩაილაპარაკებდა და ვენახში გავიდოდა. ყველა სამუშაო მოთავებული ჰქონდა და მაინც რაღაცას გამონახავდა. ვაზს ქირქას შეაცლიდა, ღობეს შეათვალიერებდა: ყველაფერი რიგზე იყო, თუთუნს გაახვევდა, ფიქრს მიეცემოდა, გამტერდებოდა, თავს გაიქნევდა, ცოლს ამართლებდა, სახე ეცვლებოდა, უფიქრდებოდა, ხან თითქოს მოლბებოდა, ქეჩოს მოიფხანდა და თავის თავს ელაპარაკებოდა:

— განა მე ჯაბანი ვარ? განა მე მუშაობა მეზარება? ხუთს ერთად შევკრავ. მე ერთი, სხვა ხუთი. გინდ თოხში, გინდ ბარში, გინდა, მკაში, გინდ თამბაქოს რგვაში, მაგრამ შევტოპე და უკან ვეღარ დამიხევია.

ერთხელ ზალიკოს და მარგალიტას დიდი ჩხუბი მოუვიდათ.

ეს მაშინ, როცა ზალიკომ ცხენიც გაყიდა.

— შენ ლუკმა პური გენატრება, ჰყიდი ყველაფერს, სხვა მოხრაკულებს შეექცევა და იმოსება! თანდილა შენზე საწყალი იყო, აბა დღეს ნახე! ქვიტკირის სახლი წამოიშიმა! დღეს იმის სახლში დღეობა არის, შენში—ტირილი. რატომ? იმას სამასი შრომადღე ჰქონდა, შენ რა გაგაჩნია? იმან ოთხჯერ სამასი კილო ხორბალი მიიღო, შენ კი შენი ოჯახის დამღუპველი ხარ!

— როცა მე საქმეს თავს ვაკლავდი, მაშინ ცოტა ხაწილდებოდა!

— მაშინ ტიმოთე ხელმძღვანელობდა!

— როცა იაკო შემოჩნდა ჭირად და როცა გული ავიცრუე, მაშინ აივსნენ... ამიტომ მძულს ის იაკო.

— შენ იმ იაკოს რა ყურს უგდებდი? შენ ამ ერთს მტკაველ მიწას შეჰყურებ, მათი ზვარი, მათი სახნავი მიწა თვალუწვდენია, შე თვალდამდგარო!

ზალიკო გაჩუმდა. მწარე ფიქრებს მიეცა. ამ დროს ძახილი შემოესმა. ხმაზე იცნო, ცოლისძმა გოგია.

— რა შორიდან იძახი? მობრძანდით! — მიაძახა ჭიშკართან მდგარ გოგიას და დავითს და მათკენ გასწია.

შეიძლება დავითი დღეს არც მოსულიყო ზალიკოსთან, მაგრამ მოწოლილ საქმეს მუშა ხელი არ ჰყოფნიდა, ამინდსაც ეშურებოდნენ, ასობით ჰექტარზე ვენახის შეწამვლა, თვალუწვდენელ მინდვრებზე ყანების გამარგვლა, თამბაქოს, გათოხნა, აბრეშუმის ჭია. ყველა სამუშაო ერთბაშად მოაწყდა. არხზედაც მრავალი მუშახელი იყო საჭირო.

— მობრძანდით სახლში! — გაუღო ჭიშკარი ზალიკომ დავითს და გოგიას,— თქვენზე ძვირფასი სხვა ვინ მეწვევა!

— სახლში, მე ვიცი, სუფრას გაგვიშლი! — გაკილვით ჩაუკრა გოგიამ.

— იქნება შევიძლო, ბიჭო, რად მარცხვენ?

— ვიცი და იმიტომ! — უპასუხა გოგიამ.

ზალიკო სახლისაკენ გაუძღვა სტუმრებს.

— მარგალიტას ჩემი სალამი! — მიესალმა დავითი.

მარგალიტა დაფაცურდა, სკამი გამოიტანა აივანზე.

— გახსოვს, ზალიკო, ჩვენი ბავშვობა? — უთხრა დავითმა ზალიკოს.—შენ რომ კაჭკაჭის ბარტყები გყავდა, ნისკარტში სცემდი და აჩხავლებდი, თან პირში კალიებს სჩრიდი. — დავითი იცინოდა,—ჩვენ ერთად ვიზრდებოდით. მერე ძროხაშიც ერთად ვიყავით, [illegible] ერედ! ცაცია კიკო, მე [illegible] დამეხმარე, თორემ მცემდა! შენ ყველას გვჯობდი, ძველი მეგობრები ვართ, ზალიკო, ამიტომ უნდა პირდაპირ მითხრა: რა დაგემართა ამ ბოლო დროს, იქნებ ავად ხარ?

ზალიკო გაჩუმებული იდგა.

— რატომ ჩაგივარდა ენა, ხმა ამოიღე! — უთხრა გოგიამ ზალიკოს.

— მოიცა, გოგი! ჩვენ აქ საჩხუბრად კი არ მოვსულვართ! — შეაჩერა გოგია დავითმა.

— ავად რომ იყოს, — თქვა გოგიამ, — ამ კარმიდამოს პატარძალივით ასე მორთავდა? თავის კარმიდამოს გადაჰყვა ეს უბედური! დას მშიერს მიკლავს. ბავშვები მაინც არ გენანება?

დამწუხრებული მარგალიტა და ბავშვები სტუმრებს შეჰყურებდნენ.

— ეს კარმიდამო, — ჩამოართვა გოგიას სიტყვა დავითმა. — მცირე ნაკვეთი, აბა რას მოგცემს? ეს დამხმარეა შენი ოჯახის, სხვა არაფერი. აქ რასაც მოიყვან, სულ ოჯახის სახელდახელო დასახმარებლად! მთავარი საერთო მიწა, საერთო ზვრებია.

— განა არ იცის?! — ვერ მოითმინა გოგიამ. — თივთიკში აწვენენ, ის კი ეკლებში ვარდება!

დავითმა შუბლი შეიკრა და ამით გრძნობინა გოგიას გაჩუმებულიყო.

— იქნებ არ გინდა, მეტს ესწრაფოდე, ზალიკო,—კეთილ ცხოვრებას? სახლი მოირთო რბილი ტახტებით, კარგი სკამებით, სარკით, ავეჯით! მერე ცხენის მაგიერ ერთი პატარა ავტომანქანა იყიდო; ჩაისვა ცოლშვილი და გლეხმა კაცმა გაისეირნო ნათესავებში... დასვენების დღეს!

— ჰო! ჩალიშვილებს ეგ-ღა აკლიათ! — ჩაიცინა გოგიამ.

— თუ გული გულობს, მიაღწევს, რატომაც არა! ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას ვაშენებთ, ამისთვის ზრუნავს ჩვენი პარტია, ჩვენი ბელადი. ჰო, იმას ვამბობ: იცი, თუ არა, რა სთქვა სტალინმა, კოლმეურნეთა ყრილობაზე 1933 წელს? მან ყრილობას ლენინის სიტყვა გაახსენა: ვინც არ შრომობს, იგი არც სჭამსო! ვის წინააღმდეგ არის ეს აზრი მიმართული?

— შენისთანების ბატონო ზალიკო ჩალიშვილო, — ჩაურთო გოგიამ. — შენ

გასასყიდად კიტრი დაგაქვს ბაზარზე, შენ წილს საქმეს კი სხვა აკეთებს. სხვა ვერ ერევა და, რომ ვერ ერევა, ამით საქმე ფუჭდება, შენიც, იმისიც, და რომ ფუჭდება, შენი წყალობით ყველა ვზარალობთ.

— რას ჩამაცივდი, გოგი? — ძლივს წაილუღლუღა გაფითრებულმა ზალიკომ.

დავითმა ალერსით განაგრძო:

— შენ რომ გხედავენ, ჩემო ზალიკო, სხვა უკმაყოფილებას აცხადებს! საერთო საქმის ძალა ირღვევა! და იცი რა სთქვა ამაზედაც დიდძა ბელადმა? თუ ყველა კოლმეურნე, — ყველა და არა მხოლოდ უმრავლესობა, პატიოსნად იმუშავებს, კოლმეურნეობები აივსებიან პროდუქტებით, აივსებიან ყოველგვარი დოვლათით და ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა იქნებაო!

— გესმის, გაიგე? — არ ისვენებდა გოგია.

— ის არა კმარა,—სთქვა დავითმა.— რომ გოგია, ეს შენი ცოლისძმა, შრომის გმირია! თუნდ ასი გვყავდეს ამისთანა, არც ესა კმარა! ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს პირველობას. ყველამ ისე უნდა იმუშაოს, როგორც გოგია მუშაობს. ჩვენ მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ სრულ გამარჯვებას. მაშასადამე, ყველას თუნდაც ერთი რომ ჰღალატობდეს, მარტო ერთი, ირღვევა საქმე, იფუშება!

— როგორც შენ არღვევ, როგორც შენ ჰფუშავ! — ნიშნის მოგებით წამოიძახა გოგიამ. — ურიგ-მარიგობამ ზღვა დააშრო, არ გაგიგია?

— კმარა, მეყოფა! — ვეღარ მოითმინა ზალიკომ.

— არ გეყოფა, შეუშვი თავში! — არ ეშვებოდა გოგია.

— მე ეგ ვიცი, ვიცი — ამოიკვნესა ზალიკომ. — ვიცი, რომ ვერ ვიქცევი კარგად. ავცდი გზას, დავბრმავდი, ეშმაკმა წამიღო!

— ვინ შეგიჩნდა, რომელმა ეშმაკმა წაგიღო? — ჰკითხა დავითმა.

— ადრე და მალე ბოლო მოელო და რომ გაცოცხლდეს, მე წავათრევდი უკან, საფლავში.

დავითი ოდნავ შეფიქრიანდა.

— ჰო, ვიცი, ვიცი! ახლა რას ფიქრობ?

— ჩემმა საქმემ გამომაჩინოს, დავით! დავითი თვალებში ჩააცქერდა ზალიკოს.

— გატყობ, რაც ხდება ახლა შენს გულში! ძმეცი ხელი! — ხელი გაუწოდა, — შენი იმედი ბუდამ მექნება! აბა, შენ იცი?

როდესაც დავითი და გოგია წავიდნენ, ზალიკო დიდხანს იდგა გარინდებული. რა ხდებოდა ამჟამად მის გულში? მნახველი ადვილად მიხვდებოდა, რადგან ზალიკო იდგა, როგორც დამნაშავე, ფრთებჩამოყრილი და განიარაღებული.

ამ დროს მარგალიტას სიტყვები მოესმა:

— შე უბედურო, სტუმრად გეწვია პატიოსანი ადამიანი, და ღირსეულად ვერ დაუხვდი.

ზალიკო ჩაკვდა:

— შენ მაიხც ცეცხლზე ნავთს ნულარ ასხავ, დედაკაცო. მე თვითონ ვიცი, დამნაშავე ვარ. — წარმოუდგა თვალწინ იაკო, მემდეგ მაგდანა და შეჰყვირა.

— აღარ მეჩვენოს მისი ცოლი, არ დამენახვოს! ჩქარა წაიღოს ქმრის მარმარილო, თორემ დავამსხვრევ...

9.

კოლმეურნეობის გამგეობის კანტორის წინ ქალი და კაცი თავიანთ ბრიგადირებით უკვე შეკრებილიყვნენ სამუშაოზე წასასვლელად. ზოგს თოხი ეჭირა, ზოგს ნამგალი, ზოგს შეკრული ბარგი და სანოვაგე. ზოგს წერაქვი და ბარი. ქალიშვილებს ჭრელჭრელი ტანსაცმელი ეცვათ, თავზე ჭრელი მოსახვევი ეხურათ, ზოგი თავშიშველი იყო. დედაკაცებს თავზე ეხვიათ შავი, ან თეთრი მანდილი და ჯავრობდნენ: რაღას აგვიანებთ, ჩამოცხებაო.

მზად იყო ოთხი მანქანა და ორმოცამდე ურემი. ბრიგადირები თავმჯდომარეს შემოხვეოდნენ. ვინ თამბაქოში უნდა წასულიყო, ვინ ზვარში ვინ ყანის სამარგლავად და ვინ კიდევ არხზე.

ბარით და წერაქვით დიდი კაკლის ქვეშ, კანტორის მოშორებით, სადაც ბრიგადის მანქანა იდგა, ამირინდოც გამოჩნდა და ხალხის შორი-ახლო გაჩერდა. რაღაც ფიქრში იყო გართული. ამ დროს სამუშაოდ გამოსული მაგდანა მიუახლოვდა.

ამირინდოს გაუკვირდა.

— მაგდან, ჩხირი კედელს, შენც სამუშაოდ?

— რატომ ჩხირი კედელს, ამირინდო? რაც ქვეყანას — ის — მე!

— ძველად, შენი ქმრის დროს სხვას ჭიკჭიკებდი! ექვსი თვე არის, — უნდა ეთქვა ჩაძაღლდაო შენი ქმარი, მაგრამ ენაზე კბილი დაიდგა და კილო შეიცვალა: — ჰო, საწყალი, გარდაიცვალა! და მე, მას აქეთ არ მინახვიხარ ეგრე ნათელი და გაბადრული! ჯერ ხომ არ ფიქრობ, ვინმე მაჭანკალს სიტყვა გაუკრა? ექვსი თვე არის, არ ღირს ამდენი გლოვა !მკვდარი ვის გასცოცხლებია ტირილითა და ვიშითა? გათხოვდი, მაგდან!

მაგდანამ უცქირა, უცქირა და ბოლოს უთხრა:

— მასხარა იყავი, მასხარად დარჩი და ამიტომაც დაგიწუნე, როცა ხელს მთხოვდი.

— მე ხელს გთხოვდი? ცოლის შერთვა არც მიფიქრია.

— შენმა მზემ, მაშ შუა კაცებს არ მიგზავნიდი?

მაგდანამ სიმართლე წამოაყვედრა, მაგრამ ამირინდომ საყვედური აიცილა:

— მე, შუაკაცებს? ალბათ სხვა ვინმე ზრუნავდა ჩემს მაგიერ ჩემთვის, თორემ მე არასოდეს.

— შენ კი მომიკვდი, დამეკარგე, შე საძაგელო. — ისეთი კილოთი და ისეთი ღიმილით უთხრა. მაგდანამ, რომ ნათქვამს ალერსის შინაარსი ეძლეოდა. ამირინდო გონს მაშინ მოვიდა, როცა მაგდანა უკვე თავის ბრიგადის წევრებს მიახლოვებოდა.

— ნუთუ დამცინა?.. — თქვა ამირინდომ და მხარზე გადებული წერაქვით ცალ ფეხზე შემოტრიალდა: ჰაიტ! უთუოდ არის სამაყრიონო! — ფიქრებში გართულმა ამირინდომ შეამჩნია, რომ თებრო მოახლოვებოდა და ამირინდოს განცვიფრებული უცქეროდა.

— ამირინდო,—მიმართა თებრონემ— რამ აგიტაცა, რა გიხარია?

— ჰო, თებრონე, ამიტაცა. ამირინდოს ლაპარაკში შესაფერი ლექსის ჩართვა უყვარდა, ახლაც ლექსით მოახსენა: — მოხველი, მოსვლა მიამა, დანახვა შენი პირისა!

— მაინც რა გიხარია?

— რაღა რა მიხარია. ძე შავბნელ დროშიაც სულ მხიარული ვიყავი. ახლა რა მომაწყენს, მით უმეტეს, ახლახან სიხარულის ელდა დამატყდა.—ამირინდოს პირში არაფერი დაუდგებოდა. თავის გულის პასუხს, თუ სხვის სიდუმლოს უძალ წამოროშავდა. — იცი, თებრონე! ხუ კი გამიწყრები, ნურც ბტრობაში ჩამომართმევ. შენ უნდა იცოდე, რადგან ეს ჩვენ ზნეობას, ჩვენს ბორალს, ჩვენს აღზრდას შეეხება, როგორც შენ არა ერთხელ გითქვამს კრებაზე. იცი? — შეჩერდა, თან გულში ფიქრობდა: ვაი თუ მოჭორილი ამბავია და ბაშინ? მაინც გაგრძო: — ჩვენი დავითი, თუ შენ... თუ შენ კიდევ გეჩხუბა, აი, როგორც იმ დღეს, მე რომ შემთხვევით... თუ კიდევ გეჩხუბა, მოწმე ხუცაა და ჩვენი თალიკო. მე იმათ მითხრეს. ვიცი ბენ სასტიკი ხარ, ნებას არ მისცემ. უნდა დავიცვათ ჩვენი ზნეობა. წარძატებისაგან თავბრუ დაესხა და ნენეს... ნენეს... არა, ვერ გეტყვი.

— შენ რაღაც იცი, სთქვი ამირინდო.

— ვიტყვი... მაგრამ როგორა ვთქვა, ჩემთვის ორივენი ძვირფასი ადამიანები ხართ, მაგრამ ზნეობა? და თუ მე რამე ვიცი, უბედური ხასიათი მაქვს, პირდაპირ ყელში მებჯინება, ლამის დამახრჩოს. ჰოდა. არ შეიძლება ეს ჩვენში მოხდეს, შენ ამას არ მოუწონებ. ერთხელ შეიძლება შეცდეს კაცი... მეორედ?

— ბოლოს და ბოლოს რისთვის მაჩერებ? — ჰკითხა მოთმინებადაკარგულმა თებრონემ.

— ჩვენმა ცეროძემ იმ ლამაზ, ნენეს, იმ, ნენეს თურმე... ზედ შუა გზაზე მოუალერსა. — თქვა ამირინდომ და ამოისუნთქა, თითქოს ტვირთიდან განთავისუფლდა.

თებრონემ უცქირა, უცქირა, უნდოდა მაგრად შეეჩვენებინა, მაგრამ რაკი ამირინდო შეცდომაში იყო შეყვანილი, ოდნავ გაკიცხა:

— იცი რას გეტყვი? შენ მაგდანას ნო აჰყოლიხარ! გირჩევ თავი ანებო მაგნაირ ამბებს. მე კარგად ვიცი, ნენეს ამბავი, — უთხრა და უცბად განშორდა.

ამირინდო თვალებდაჭყეტილი დარჩა. ცივი წყალი გადაესხა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მაგდანამ იგი შეცდომაში შეიყვანა. ხოლო თებრონემ მაგდანა უხსენა! რა შუაში იყო მაგდანა?

— ერიჰა! უთუოდ არ მოსწონს, რომ მე იმ ქვრივს... ვეარშიყები! შევრცხვი. შევრცხვი. — შუბლში იტკიცა ხელი.

ამირინდოს სარიდან დალაქი მიუახლოვდა, ამირინდო ისევ გაბრუებული იდგა.

— ჰეი! რა ინდაურივით გაბერილხარ? — შესძახა დალაქმა.

დალაქი და ამირინდო შელაზღანდარებული იყვნენ, ერთმანეთს კარგად უმასპინძლდებოდნენ, განაკუთრებით თუ მოინდომებდნენ, რომ ხალხში თავი გამოეჩინათ.

— ო, სარიდან. საიდან ამოძვერი ასე უცბად? — ხელში ნამგალი რომ დაუნახა გაჰკვირდა: — მაშ შენ, დალაქიც, სამუშაოზე? უთუოდ ცეროძემ შეგარცხვინა. პირს ახლა ნამგლით ჰპარსავ?

— შენ მაგ წერაქვით ტიკებს პირს უხსნი?

— მე ამ წერაქვით, — უთხრა ამირინდომ, — მეტიჩარას, როგორიც შენა ხარ, თავში ვუკაკუნებ და ვაღვიძებ.

— მე კი ამ ნამგლით ენას ვაჭრი ენატარტალას!

— ქანქი-ქუნქი ქანქარაო, — უთხრა საპასუხოდ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა.—გინდ ჰყოფილხარ, გინდ არაო!

დალაქმა წამსვე მიუგო:

— ქვიშით საბელი ვერ დაიგრიხა
როგორც ვერ ჰგრეხავ სიცილს
ნაკვესით
რადგან, ძმობილო, ენით.ბლაგვი
ხარ,
ხიბრალულს იწვევ ამონაკვნესით!

— ბიჭო, — თქვა ამირინდომ, — შენ არა თუ ნამგლით, ენითაც ჰპარსავ?! თვის ვარდი მესროლე, თვის ვარდი.

სამუშაოდ გასასვლელი ხალხი თანდათან იკრიბებოდა. ის იყო, ამირინდო და დალაქი თავთავიანთ ბრიგადებისკენ უნდა წასულიყვნენ, რომ ზალიკო დაინახეს და ორივეს სიცილი აუტყდა.

— სჩანს, შეუხურებია ჩვენს დავით ცეროძეს. ზალიკო, წუხელ დავით ცეროძე ხომ არ დაგესიზმრა? — შეეკითხნენ ერთად.

— შენ თავში ამირინდო, ქარი ჰქრის ჭკუა თან მიაქვს. — შეუტია ზალიკომ.

დალაქმა ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ ამირინდოს მართლა ეწყინა ზალიკოს ნათქვამი, ზალიკოს ვერაფერი გაუბედა, დალაქს მივარდა:

— მაშ მე ქარი მიქრის? ქარი მიქრის?

— მე რას მერჩი, ზალიკომ გითხრა!

— მე გითხარი, დიახ! — უთხრა ზალიკომ.—ცუღლუტო, მუდამ იოლი საქმის მძებნელო, შენი დასაცინიც გავხდი?

— არა, ჩემმა მზემ, — წახდა ამირინდო, — როგორ თუ დაგცინი, გენაცვალე სულში. დაცინვას როგორ გაკადრებ, მაშინ თავი მოუკვდეს, შენს ამირინდოს — უთხრა და ლოყა [illegible] ეი, გამარტყი, თუ კი გეწყინა.

— დასცხე მაგ ენაჭარტალას, ზალიკო, — აქეზებდა დალაქი და თან გულიანად ხარხარებდა. — დასცხე, ნუ გეშინია, მე აქა ვარ.

ამ დროს ბრიგადირები უკვე თავიანთ ბრიგადის წევრებს მანქანებსა და ურმებზე აბინავებდნენ. დასძახეს მგზავრული, დასძახეს ახალი სიმღერა: „აგვაშენა, ჩვენ ლავრენტი ბერიამ“. დაიძრა ერთი მანქანა, მიჰყვა მეორე, მესამე. ურმებზე შეხუნძლული ქალიშვილები მეორე ურემზე დობილებს უძახოდნენ: გაქრი, გოგო შავთვალაო! დაიძრნენ ჟივილ-ხივილით, გადაძახილ-გადმოძახილით. ხალხს სამუშაოზე წასვლა ისე მიუხაროდა, როგორც ქორწილში წასვლა.

მანქანები და ურმები მიეფარნენ სოფლის შენობებს და მაღალ კაკლის ხეებს. დაცარიელდა ფართო მოედანი.

10.

გლეხს უთქვამს: ჩემს კერას მაშინ უხარია, როცა მოსავალს კარგი პირი უჩანსო. მაშინ გლეხი ხალისიანდება. მკლავს ძალა ემატება და დაღლას არ გრძნობს. ამ ზაფხულს დაისრიმებული მტევნები უკვე ამძიმებდნენ ვაზებს. ყლორტი თამამი, სამამულე ცერის სიმსხო. შაბიამანით შეწამლული ფოთოლი მწვანე და ხასხასა — ჩანს, ვაზი ჯანსაღია. გამარგლილ ბოც-ბოცა ყანას, ხშირსა და მოუმცდარს, მუხლი გაუმაგრებია და დაპურებას აპირებს: მინდორს თვალს ვერ გადააწვდენ, საითაც ნიავი დაუბერავს, გეგონება, ზღვაზე მწვანე ტალღა მოგორავსო. თამამი თამბაქო ლარზე დამწკრივებულა და ბრტყელი ფოთლები ცისკენ აუცქვეტია. ჯერ შუა ზაფხულია და კაცს წელამდე სწვდება, არც კუნწუულა თავი ამოუტანია, სჩანს, შემოდგომამდე იმ სიმაღლე გაიზრდება, რომ კაცი დაიმალება.

სიმინდის ღერო მაჯის სიმსხო გამხდარა. ალაგ-ალაგ ფოთლის ძირში გამობერილია, ჩანს, თითო ძირი სამ ტაროს გაიკეთებს. სიმინდის მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს.

სოფლის მუშაკს, მუდამ ბუნებასთან მებრძოლს და ბუნების შვილს, ალბათ ბევრი ამისთანა მოსავლის პირი უნა-

ხავს, დიდი იმედიც ჰქონია: ბელლებს ავავსებ და სარჩო წლითიწლობამდე გამყვებაო, მაგრამ ეს იმედი გასცრუებია და გამწარებულს უთქვამს: წიწილებს შემოდგომით მიითვლიდეო.

11.

ერთ დღეს ქედს გადაღმიდან მზე სისხლისფერი ამოგორდა. გარშემო თითქოს ბუღი ერტყა. ერთმა ჭაღარა გლეხმა შეჰხედა მზეს და თქვა: ასეთი მზე უბედურების მომასწავებელიაო.

ჩვეულებრივ, დილით გრილა და ჰაერს სიამოვნებით სუნთქავ, მაგრამ იმ დღეს მზის სხივები ძაღლივით იკბინებოდნენ. საქონელი გალენჩებული და ენაწამოგდებული ქაქანებდა. ხეებზე ჭრიჭინები სმენას აყრუებდნენ. ყოველი სულდგმული გარინდულიყო. უეცრად, ჩრდილოეთის მხრიდან, თელავის გადასწვრივ, შავად მოიღრუბლა. ცხვირწაგძელებული შავი ღრუბელი, თეთრ ღრუბელთან არეული, ვეშაპივით მოიზლაზნებოდა. მხოლოდ შორს გაჰკრავდა ელვა და ყრუდ, მაგრამ შემზარავად დაიქუხებდა. შემდეგ მოულოდნელად ქარი ამოვარდა, ქარი კი არა, ქარიშხალზე უარესი. ხეებს ჰგლეჯდა, აყირავებდა. რამდენი ჩალით დახურული სახლი გაპენტა. ღობეები აგლიჯა და შარა გზებზე, თუ მთის სერებზე, გროვით გაიტაცა.

5411

სოფელში სხვადასხვა ადგილას მოისმა ჩახჩახი.

რამდენიმე ძველი სახლის ჭერი ჩამოწვა, ხოლო თუნუქის სახურავები სოფელზე გადააფრინა. ქარმა მეტად იმძლავრა. შლეგიანივით ხან ალმა, ხან დალმა დაღმუოდა. ასტყდა განუწყვეტელი ქუხილი. რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც.

აქა-იქ დაეცა სეტყვა, ჯერ თითო-თითოდ. მიწას რომ ხვდებოდა, მაღლა ხტებოდა. კაკლის სიმსხო იყო, ხორკლიანი, თითქოს განგებ იმიტომ, რომ მეტი ზარალი მოეყენებინა. მერე იმატა, დაეშვა საშინელი ხრიალით, ამტვრევდა ტოტებს. მცირე ხანს გაგრძელდა ასეთი სეტყვა, მაგრამ ორისამი წუთიც საკმარისი იყო, რომ ყველაფერი მირეგვილიყო. ყანები ნაპეტებად იყო ქცეული. გაწყდა საქონელი, რომლებმაც დროზე სადგომი ვერ ნახეს.

ხალხი გამოვიდა სახლებიდან, ზარალი ნახა და მოისმა უბნებიდან დედაკაცების გაბმული ტირილი. მოსთქვამდნენ საცოდავად, სტიროდნენ თავიანთ უბედურებას.

12.

იმავე საღამოს, კრება არავის მოუწვევია, მაგრამ კოლმეურნეობის კანტორის ფართო დარბაზი ხალხით გაიჭედა. აქ იყო თავმჯდომარე დავით ცეროძე, სახე გაფითრებოდა, შუბლი შეეკრა.

აქ იყო თებრონე და პარტიული ორგანიზაციის სხვა წევრები და ბრიგადირები. სხვა დროს თუ თავმჯდომარე ძლივს აჩუმებდა ცალკე მოლაპარაკე წევრებს და ხან ზარსაც კი დაჰკრავდა მაგიდაზე, დღეს სამგლოვიარო სიჩუმე იდგა.

ცეროძე გუშინ მხიარულ გუნებაზე იყო და კოლმეურნეებს ეუბნებოდა:

— შრომადღეზე თერთმეტ კილო ხორბალს გავანაწილებთ, წელს აივსება თვითეული წევრი. — გაახსენდა ეს ლაპარაკი და გულდაწყვეტილმა თებრონეს შეხედა.

თებრონემ იგრძნო ცეროძის გულისტკივილი, წამოდგა და ხალხს თვალი გადაავლო.

— ჩვენ დავძლევთ სტიქიურ უბედურებას, — თქვა თებრონემ, — ასეთი უბედურება იქ არის საშიში, სადაც თვითეული კერძო მესაკუთრეა და რომ ერთი კუთხე სეტყვით ჩაირეგვოს, მეორეს უხარია, რათა გაჭირვებულს უფრო მაგრა ჩასჭიდოს კლანჭები და მუდმივ ვალის გადამხდელად ამყოფოს. ჩვენი ქვეყანა სტალინის ეპოქის სოციალისტური ქვეყანაა, აქ ერთი ყველასათვის არის და ყველა ერთისთვის. აქ თუ ერთი სოფელი დაისეტყვა ჩვენს უსაზღვრო სამშობლოში მილიონი სოფლები და კოლმეურნეები დოვლათით სავსე არიან. გულს ნუ გაიტეხთ იმედი გქონდეთ, რომ საბჭოთა მთავრობა დაგვეხმარება... აი, მე, ხვალ დილით რაიკომში მივდივარ.

თებრონეს არ აცალეს ლაპარაკი. სიხარულს ურიამული დატრიალდა.

13.

კოლმეურნეობამ: ხელახლა გადახნა მიწები და ადრეულა სიმინდი დათესეს, რომელსაც ხალხი „შვიდკვირეულს“ ეძახის, დათესეს აგრეთვე ქერი, ფეტვი და ლობიო. შემოდგომის აცივებამდე კიდევ სამი თვე იყო დარჩენილი, ხოლო ამ ნათესების შემოსვლას კი ორი თვე სჭირდებოდა. ვენახებიც ხელახლა გადასხლეს, ასე სჯობდა.

სეტყვისაგან ძველი რქა სულ დამტვრეული იყო, — ახალ რქას ამოიტანდა და შეიძლება, მომავალ წლისთვის ბევრი არა, მაგრამ ცოტაოდენი ნაყოფი მოეცა.

მაინც კოლმეურნეობაში უკვე ნაკლები სამუშაო იყო. დავითმა ხალხს ისეთი სამუშაო აღმოუჩინა, რომელიც წელს გამოადგებოდათ. ზოგნი ტყეში დაგზავნა ხეტყის მასალის დასამზადებლად, ზოგნიც გზის შესაკეთებლად. ზოგს ნება მისცა წასულიყო სხვა კოლმეურნეობაში სამუშაოდ და დასახმარებლად.

მარგალიტა გულჩამკვდარი იყო. ზალიკო სახლში არ სჩანდა. ბავშვებს მარგალიტა ალერსით ეუბნებოდა:

— ცოტაც მოიცათ, საცაა მამა მოვა, გამომცხვარს პურს მოიტანს, ძია გოგია ფქვილსაც გამოატანს, ხვალ ადრე თონეს გავახურებ და ლავაშებს დაგიკრავთ, კვერებსაც დაგიკრავთ... — ლაპარაკით ართობდა თავის ბავშვებს, მაგრამ სულ პატარა ჭირვეულობდა.

— მომაქვს, მომაქვს! — შორიდან დაიძახა ზალიკომ.

ბავშვები ჭიშკარს ეცნენ.

შემოვიდა ზალიკო. ზურგზე მოზრდილი ტომარა ეკიდა.

ტომარაში ქვეშ ფქვილი იყო, ზემოდან ექვსიოდე გამომცხვარი შოთი პური. ბავშვები დააცხრნენ გაფქვილულ პურს და ისეთ ლუკმას იდებდნენ, რომ ზედ ყვავი შემოჯდებოდა.

— თონე გაახურე, დააკარ, ადამიანო! — თქვა ზალიკომ.

— აგრიოს ჩემმა გამჩენმა. — უთხრა მარგალიტამ,—ფქვილს ხომ არ დავაკრავ, არ უნდა მოიხილოს?!

ზალიკოს ბევრი რამ აწუხებდა. სად იშოვოს წლის სარჩო? გასაყიდი აღარაფერი აქვს. გოგიას რაც მოემხრობოდა, მისცა. მისცა ერთი თვის საგზალი. შემდეგ? სხვა რომელ მეზობელ ძიადგეს სასესხებლად? ან ვინ ასესხებს? დასეტყვის გაძო ყველა ხელს უპერდა. სეტყვის შემდეგ უფრო ნათლად მიხვდა ზალიკო და ანგარიშიც უკეთესად ისწავლა. შარშან კოლმეურნეობაში სამასი დღე რომ გამოემუშავებინა, სულ ცოტა, ტონა-ნახევარი ხორბალი ერგებოდა. დღეს კიდევ ექნებოდა ოციოდე ფუთი და ეს ახალ მოსავლამდე მართალია, არ ეყოფოდა, მაგრამ სხვა რამე გზას გამოხახავდა. ახლა რა ქნას? ერთი კვირის სარჩოც არ მოეპოვება. საკარმიდამო ნაკვეთის იმედი ჰქონდა. იმედი? და აგერ, ეს იმედი დაესეტყვა.

განა ეს პირველი წელიწადია, რომ ვერ დარწმუნდა, თუ რას აძლევდა საკარმიდამო ნაკვეთი? როდის იყო, რომ საკარმიდამო აცხოვრებდა? ჰყიდდა მამაპაპეულ მარანს, ბეღელს, შემდეგ მონაგრებულიც ზედ მიაყოლა. ბორგავდა ზალიკო, არ ეძინებოდა. ადგა, თუთუნი გაახვია. ეზოში გაიარა. მთვარე ანათებდა. თუთასთან კუნძზე ჩამოჯდა. მაშინაც ამ კუნძზე იჯდა, როცა მას ბეზარაანთ იაკო შემპარავად ელაპარაკებოდა.

— ბეზარაანთ იაკო. სულძაღლი! — წამოხტა ზალიკო. ასეთი ზიზღით ჯერ არ უხსენებია ბეზარაანთ იაკო, თავისი ნათლიმამა და მისთვის საპატიო ადამიანი. სახლში შევიდა, სკამს დაეჯახა და გადააბრუნა.

— ადამიანო, ჭოტად გარდაიქეცი, რა დაგემართა?

— არაფერი, არაფერი, ეს ისე, სკამი წაიქცა... — თქვა და ტახტზე მიწვა.

მამლები ყიოდნენ. ზალიკოს არ ეძინებოდა. დილით მარგალიტა ადრე ადგა. ქმარი ოთახში არ იყო. გაიხედა ფანჯრიდან ვენახში. ისევ თუთის ქვეშ იჯდა ზალიკო. გაშტერებული მიწას ჩასცქეროდა.

— ფიჩხი დამიმზადე თონის გასახურებლად, — დაუძახა მარგალიტამ.

ზალიკომ მძიმედ აიხედა და წამოდგა. ფიჩხს კი დაგიმზადებ, მაგრამ, ეგ ერთი და ორი გამოცხობაა... შემდეგ რაღა ვქნათო. ფიქრობდა ჯავრისაგან შეშმული. საღამოს თავმჯდომარესთან მივიდა. სთხოვა, გამიშვი, სეზონურად სხვაგან ვიმუშავებო. დავითმა ნება

მისცა. მეორე დღეს ზალიკო ადრე ადგა. პირი დაიბანა და ცოლს უთხრა:

— შირაქში მივდივარ, იქ თურმე ხლვა მოსავალია. ვიძუშავებ ორიოდე კვირა და ხორბალს გაძოვართმევ. შენ კი, ადამიანო, კოლმეურნეობაში არც ერთი დღე არ გააცდინო. მე შირაქში იმიტომ მივდივარ, რომ ხორბალს ადრე მივიღებ და მოგაწოდებ. შენ მაინც არ შეირცხვინო აქ თავი. ხორბალს ვიძოვი და მეც ჩამოვალ. ჩემს სირცხვილს ჩემი მუშაობით მოვიბან.

უკანასკნელმა სიტყვებმა მარგალიტა გააოცა. ქმარი ეხვეწებოდა: კოლმეურნეობაში დღე არ გაგიცდესო.

წითელ ხელსახოცში ორი პური გამოუკრა და გზა დაულოცა.

ზალიკო ფხორის სადგურისკენ დაეშვა. იქიდან ფეხით გაემართა შირაქისაკენ.

კარგა შებინდებული იყო, არხილოს კალოს რომ მიადგა.

ზალიკო აქ ნაბყოფი გახლდათ, ერთხელ არაყი წაიღო პურზე გადასაცვლელად. არხილოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პირადად არ იცნობდა, მაგრამ იცოდა, ვინც იყო. კოლმეურნეობის შენობასთან დარაჯმა შეაჩერა.

— შენ, ჰეი, ვინა ხარ?

— მგზავრი ვარ. თქვენი თავმჯდომარე მინდა.

— თავმჯდომარეს თათბირი აქვს ბრიგადირებთან. მოიცადე.. — დარაჯმა შეატყო შორიდან იყო მოსული, — მაინც არ მეტყვი, ვინ ხარ?

— ზალიკო ვარ, ჩალიშვილი!

— რას ბავშვობ, მე კაცურად გეკითხები. — დარაჯმა ისეთი კილოთი ჰკითხა, რომ ზალიკომ გაკვირვებით შეხედა.

— ჰო, ზალიკო ჩალიშვილი ვარ, რა ყოფ?

— ის ცუღლუტი და მატყუარა ჩალიშვილი? — გაეცინა დარაჯს.

ზალიკო ჩაკვდა. თითქოს თავში დაჰკრეს. აქაც, დარაჯსაც გაუგია ძველი თავმჯდომარისაგან შერქმეული სახელი?

ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე აივანზე გამოსულიყო და მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— თანდილ? ვინ არის ეგ კაცი. გამოუშვი. მოვიდეს. რა უნდა? შენ კი შოფერი გააფრთხილე, მოემზადოს.

თავმჯდომარე ისევ ოთახში შევიდა და ბრიგადირებს უთხრა:

— მაშ ასე! ის ექვსი ბრიგადა სიმინდის სათოხნად, ხოლო ქვემოური ექვსი-მზესუმზირისთვის. ამ ორ-დღეში უგ უნდა მოვრჩეთ. მალე ქერის მკასაც შეუდგებით.

შეძოვიდა ზალიკო ჩალიშვილი და კართან გაჩერდა. თავმჯდომარემ ზალიკო თვალით აწონ-დაწონა.

— რას გაურჯიხარ? — ჰკითხა თავაზიანად და სკამზე მიუთითა. — დაჯექი.

ზალიკო სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ აქაც სიცილს დამაყრიანო, მაგრამ არა.

— დაბრძანდი, დაბრძანდი, დაღლილი სჩანხარ...

ზალიკო დაჯდომას არ აპირებდა, მაგრამ დაღლილობამ დასძლია.

თავმჯდომარემ დაწვრილებით გამოჰკითხა, ვინ იყო, ან რისთვის გარჯილიყო.

ზალიკომ თავისი გაჭირვება აუწერა და სამუშაო სთხოვა.

თავმჯდომარე ერთში დაეჭვდა:

— მართალია წელს დაისეტყვეთ, მაგრამ შარშან? ხომ უნდა ჰქონდეს მარაგი? — რა უყავი შენი შარშანდელი მარაგი?

ზალიკო, დაიბნა, ვერაფერი უპასუხა.

— თქვენ კოლმეურნეობაში, მე ვიცი, ასი წევრია, — სხვა რომ არაფერი ჩავთვალოთ, სამასი ჰექტარი პურის ნახნავი გქონდათ. ასე რომ შენ წილად სამი ჰექტარი იხვნებოდა და თუ შენ სხვებთან თანაბრად მუშაობდი, მაშინ შენ ორი ტონა მაინც უნდა შეგხვედროდა. რა უყავი ამდენი პური? ახლა ამას დაუმატე ქერის, სიმინდის, კარტოფილის, ვენახის, თამბაქოს და ცხვრის შემოსავალი. მაგრამ თუ შენ სამუშაოთ არ გადიოდი და შენთან ერთად სხვებიც აცდენდნენ, იცი, რა დაემართებოდა თქვენს კოლექტივს? აბა, მე შენ გეკითხები, რა დაემართება იმ ურემს, რომელსაც დიდი ტვირთი უდევს, შიგ ხუთი უღელი ხარი აბია და თანაბრად არ ეწევიან? ურემი ერთ ადგილას დგას გაჩერებული. ასეა კოლექტივშიც. დატვირთული ურემი ჩვენი გეგმაა! თუ ერთად არ გავწიეთ, ცალ-ცალკე როგორ დავძრავთ? თუ ამ გეგმას ღალატობ, შენი მეოხებით ყანას დროზე ვერ გამარგლიან. სარეველა შესჭამს, დროზე ვენახს ვერ შესწამლავენ, ვაზს ყურძენი გასცვივა. წევრებს რაღა დაგრჩებათ? ვინც ცუღლუტობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ამხანაგს მხარში არ უდგას, მისი შეოხებით გამრჯელი მშიერი რჩება და ეს როგორ გგონია შენ? ამხანაგს რომ მშიერს სტოვებ და სახელმწიფოსაც აზარალებ, დანაშაულია, თუ არა?

ასეთი მსჯელობა და ლაპარაკი თებრონესაგანაც მოუსმენია ზალიკოს, თავჩაღუნული ოფლში იწურებოდა.

— შენ რად უნდა იყო გაჭირვებული? გამაგებინე, გააგებინე ამ ბრიგადირებს და, თუ საპატიო რამე მიზეზი გაქვს, ჩვენ სამუშაოს მოგცემთ და წინასწარ დაგეხმარებით კიდეც.

ზალიკოს თითქოს თვალებში სინათლე ჩაუქრა. ვეღარავის ხედავდა ირგვლივ, მაგრამ ბეზარაანთ იაკო ედგა თვალწინ, „სულძაღლო იაკო“.

ყველანი აიშალნენ და წავიდნენ.

ზალიკო იდგა გაყუჩებული, დარცხვენილი, გაშტერებული. გონს მაშინ მოვიდა, როცა დარაჯმა შეუძახა:

— წადი, საიდანაც მოსულხარ. შენ რომ შრომისმოყვარე კაცი იყო, მათხოვრად არ ირბენდი.

ზალიკო პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

— ივაჭრე არყით, ეგებ ფონს გახვიდე. — მიაძახა დარაჯმა ეზოდან, რომ გავიდა ზალიკო.

ზალიკო ცივს ოფლს იწმენდდა და ბნელ ღამეში გზას ძლივს იკვლევდა. კარგა ხანს იარა, ველზე გავიდა. შორს ცეცხლი ბეუტავდა. დაღლილმა იქით გასწია.

როცა ახლოს მივიდა, კარვები დაინახა. კარვების ახლო-მახლო ცის ქვეშ ხალხს ეძინა. ესენი კოლმეურნეები იყვნენ. ვიღაც წამოჯდა.

— ეი, ვინ ხარ, რას დაეხეტები? — დაუძახა ზალიკოს.

— მგზავრი ვარ, ნურაფერი გეფიქრება პაპიროსს მოვუკიდებ. — ზალიკო ცეცხლს მიუახლოვდა პირზე ხელს იფარებდა, არ მიცნონო. შემდეგ შებრუნებით დაჯდა ცეცხლის პირას. წელზე შემოკრულ წითელ ხელსახოცში კიდევ ჰქონდა ერთი ნატეხი პური. სჭამდა პურს. ფიქრობდა და ამ ფიქრით ბეზარაანთ იაკოს გადასწვდებოდა: — „სულძაღლო იაკო. — წაიბუტბუტებდა ხანდახან გამწარებული.

14.

მიდიოდა ბრაზმორეული ზალიკო და გულში ამბობდა:

— ახია ჩემზე. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. უთუოდ ახია ჩემზე, მაგრამ, ეს ოხერი და ტიალი კაცი სიკვდილამდე ჭკუას ვერ ისწავლის. რა მრჯიდა, საკარმიდამოც მქონდა და კოლექტივშიც მემუშავნა? განა მარგალიტა ამას არ მირჩევდა? მე ჩემს კოლექტივში მეხვეწებოდნენ და არ გავდიოდი, აქ მე შევეხვეწე და სამუშაო არ მომცეს. რატომ ძველი მარაგი არა გაქვსო. საიდან მექნება, როცა მე უგუნური გამოვდექი.

ამ ფიქრებში გართული ერთ ბუჩქს მიუახლოვდა.

ჩრდილს შეეფარა. დაღლილი მიწვა მწვანეზე და უმალ ჩაეძინა. სიზმარში თითქოს ვიღაცას ებრძოდა, გმინავდა. დიდხანს იბორგა, ხელი გაიქნია და ეკლიან ბუჩქს მოარტყა. გამოეღვიძა და წამოიძახა:

— შემეძლო ხუთასი შრომადღეც, სულძაღლო, იაკო!

თურმე სიზმარში ბეზარაანთ იაკოს ებრძოდა.

რამდენადაც გაჭირვება ზალიკოს ბრჭყალებს უჭერდა, იმდენად ბეზარაანთ იაკო ზიზღს ჰგვრიდა და აშფოთებდა.

ერთი კვირის შემდეგ სოფელში ხმა გავარდა.

თებრონეს შუამდგომლობა მთავრობას შეუწყნარებია და განკარგულება გაუცია, სეტყვით, დაზარალებულ კოლმეურნეობას ხორბლეული მისცემოდა გრძელ ვადიან სესხად.

ეს ხმა გამართლდა. თებრონეს ხელმძღვანელობით ხორბლეულს მანქანებით ეზიდებოდნენ და კოლმეურნეობის საწყობში აბინავებდნენ.

სოფელში ზეიმი იყო.

ყველაზე უფრო გახარებული ზალიკო ჩალიშვილი ჩანდა, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაჰყოლია. მალე გაიგო, რომ ხარბალს შრომადღეებზე გაახაწილებენ და ყოველ წევრს თითო შრომადღეზე თითო კილოს მისცემენო.

ბუღალტერმა ყველა წევრის შრომადღე დააზუსტა. ზოგს სამასი დღე ჰქონდა გამომუშავებული, ზოგს ოთხასი და უფრო მეტიც. ხოლო ზალიკოს — 25, მის ცოლს კი 53 შრომადღე.

ხორბლის მისაღებად კვირა დღე იყო დანიშნული.

დილიდანვე საწყობთან აუარებელი ხალხი მოგროვილიყო.

ზალიკოს ერთი ტომარა ამოეჩარა იღლიაში და დალოხებული სასწორის ახლო გაჩერებულიყო.

— რა პირველი წამოჭიმულხარ, ზალიკო. მიღებაზე პირველი ხარ, მუშაობაში უკანასკნელი. — დაცინვით უთხრა ერთმა ბრგეტანის ახალგაზრდამ ზალიკოს.

ზალიკო თავჩაღუნული იდგა, ხმა არ გაუცია ჭაბუკისათვის. აბა, რა ეთქმოდა. უკან დაიწია.

საწყობის გამგე ხორბალს წონიდა. ზალიკოს თვალები ებრიცებოდა, ზოგს ურიკებით მიჰქონდა ხორბალი, ზოგს ურმებით.

თეთრმა ზამთარმა შავად გაიარა ზალიკოს ოჯახისათვის, რამდენჯერმე კიდევ დაეხმარა გოგია და ამ დახმარებით სული მოითქვეს, მაგრამ გოგია ყოველთვის ხომ ვერ დაეხმარებოდა?

დადგა გაზაფხული, მარგალიტამ თებრონეს შესჩივლა. რომ ზალიკო ცხოვრებას კვალდაკვალ არ მიჰყვა, რომ სიფხიზლე არ გამოიჩინა. რომ იაკოს რჩევას დაუჯერა და მტკაველ ნაკვეთებზე დამყარა თავისი იმედი. მაგრამ გულში ფიქრობდა: იაკოს ვაბრალებ ყველაფერს, მე ვარ თვითონ დამნაშავეო. მე ჩემი თავი და ჩემი ჭკუა უნდა მქონოდაო და ზალიკო თავის ჭკუაზე არ გამეშვაო.

ზალიკომ ახლა იაკოსთან ერთად, თავისი საკარმიდამო ფართობიც შეიძულა. ბევრი იფიქრა, ბევრი იყოყმანა, მერმე დაჯდა და განცხადება დაწერა:

„მე ბევრში დამნაშავე ვარ, მაგრამ კაცნი ვართ. მეც ქუდი მხურავს. რაც იყოს, ის აღარ განმეორდება და სხვამაც, ჩემმა მნახველმა ჭკუა ისწავლოს, რომ საკარმიდამო ფართობი არაფერია. გთხოვთ, ახალ მოსავლამდე ხელი გამიმართოთ“.

მარგალიტას არც კი აჩვენა განცხადება. დაკეცა, უბეში ჩაიდო და გარეთ გამოვიდა. მიდიოდა და თან ფიქრობდა: როდის გადასცეს ეს განცხადება დავით ცეროძეს? მარტო მივიდეს თუ გოგიაც მიიყოლოს. შენობის კიბეს რომ მიუახლოვდა, დაინახა, რომ დავით ცეროძე მანქანაში ჯდებოდა.

— მე სასწრაფოდ დამიბარეს, — ეუბნებოდა თავმჯდომარე ზაქარიას, — არ ვიცი რამდენ დღეს დავრჩები. ჩემს მაგიერ, აგერ თებრონეა... მხოლოდ ზაქარია, ჩემი თხოვნაა, მე ეს თებრონესაც ვუთხარი, შენც გავალებ: ჭაობზე ის ბოგირი მკვიდრი უხდა გაკეთდეს. უნდა გაკეთდეს დღეისწორამდე, რადგან შემდეგ, ჩვენ სხვა საქმე გვაქვს. ურმები იფლობა, მანქანა იფლობა. მინდვრისკენ გზა შეკრული გვაქვს.

ჩაჯდა მანქანაში და თვალს მიეფარა.

— სად წავიდა? — იკითხა დალონებულმა ზალიკომ.

— ქალაქში.

ზაქარიას ჭალარაშერეული ბრგე ტანის მამაკაცი მოუახლოვდა.

— ეი, ვაუკაცებო, გამარჯობათ თქვენი!

იგი ბერიძის კოლმეურნეობის ბრიგადირი იყო.

— თედიკო, საით?

— თქვენი თავმჯდომარე მინდა, ჩემო ზაქარია.

— თავმჯდომარე? ვერა ნახე, რომ წავიდა?

— როგორ თუ წავიდა? — მოიღრუბლა თედიკო.

— რას ამოიოხრე, რა გასაჭირი გაქვს?

— საჩქარო საქმე მაქვს, დავითთან, ძალიან სასწრაფოდ გვჭირდება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, თებრონე კიბიდან ჩამოდიოდა და თედიკოს შორიდანვე სალამი მისცა. თედიკო ზაქარიას შეეკითხა:

— ეგ შოლტივით გოგო ვინ არის? მე საიდან მიცნობს?

— გიცნობ, თედიკო, გიცნობ. „პირველ ნაბიჯში“ მოწინავე ხარ. — გამოელაპარაკა თებრონე.

— რაკი გცოდნია ჩემი სახელი, მაშ შენიც მითხარი.

— თებრონე მქვიან.

თედიკოს სიხარულისაგან სახე გაუნათლდა.

— თებრონე? ამათი თებრონე? შენ გაიხარე. — ლაპარაკობდა თედიკო, მაგრამ ფიქრი სხვაზე მიჰქონდა: „რომ წასულა, ახლა რა მეშველება? ხელცარიელი უნდა დავბრუნდე?“ და უცბად ხმას აუწია, თითქოს ვიღაცას ეჩხუბებოდა:— ვეუბნებოდი, წავალ, ავჩქარდეთ-მეთქი.

არაო. ბუღალტერი წერილს დაგიწერსო. რათ მინდოდა წერილი? ამ წერილის გამო დამაგვიანეს.

— მომეცი წერილი, ვნახო რას გვწერს. — უთხრა თებრონემ.

თედიკომ წერილი გადასცა და თვითონ ზაქარიასთან განაგრძობდა ლაპარაკს.

— მავთულიც მზად გვაქვს, ორმოებიც. მხოლოდ ბოძები ტყეში ყრია, ჩემი დათლილი, ტრანსპორტი არა გვყავს. ვერ გამოგვიტანია. ოცი ჰექტარი ვაზი მიწაზე ყრია. თუ ერთ კვირაში ვერ მოვასწარით, კვირტს გამოიტანს, წავა ხელიდან, დავიღუპებით. თქვენი მანქანები დაგვახმარეთ, ორს სხვა დაგვახმარს, მაშინ მოვასწრებთ, თორემ დავიღუპებით.

— თედიკო, ვნახოთ. — უთხრა თებრონემ.

— მპირდები?

— გამგეობას შევეკითხები. მე იმედი მაქვს, დაგახმაროთ მანქანები.

— შენ გაიხარე. შენ ქალი კი არა, ცისარტყელა ხარ. კარგი ამინდის მახარობელი. შუბლში გაკოცებ, შვილო.

თებრონემ იმ ღამესვე გამგეობის კრება მოიწვია. თავმჯდომარის ადგილი დაიკავა და გოჩა ბერიძის თხოვნა წაიკითხა.:

— თუ ჩვენ მანქანებით დავეხმარებით, ეს ძალიან ეწყინება დავით ცეროძეს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ-ჩვენ თავს მივხედოთო — ასე ამბობს ხოლმე დავითი. — განაცხადა მოსემ.

ბრიგადირები და გამგეობის წევრები შეფიქრიანდნენ. მაგრამ თებრონემ კატეგორიულად მოითხოვა მანქანების მიცემა.

— მოსეს მარტო ერთი მოსაზრება შეიძლება მივიღოთ მხედველობაში, — დაიწყო პარტორგანიზაციის მდივანმა,— სახელდობრ ის, რომ მანქანები ბოგირის ასაშენებლად გვჭირდება. მაგრამ ბოგირი, დაიცდის. ვაზი კი, თუ დროზე არ გაიბა მავთულზე, ოცი ჰექტარი ვენახი დაიღუპება. ეს არა მარტო კოლმეურნეობისათვის იქნება ზარალი, არამედ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსათვის. და თქვენ როგორ ფიქრობთ, ბოგირი თუ ოცი ჰექტარი ვენახი?

მოსე მაინც გაიძახოდა:

— დროზე ეფიქრათ, ვენახს თავისი პატრონი ყავს. სად იყვნენ აქამდე? ჩვენ ჩვენი გვიჭირს.

არ დაუჯერეს მოსეს. გამგეობამ ერთხმად გადასწყვიტა სამი მანქანა ათხოვონ „პირველი ნაბიჯის“ კოლმეურნეობას. ის იყო დაშლას აპირებდნენ, წამოდგა ზალიკო, ბოდიში მოიხადა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და თებრონეს გადასცა.

ყველანი დაინტერესდნენ.

ვიდრე თებრონე განცხადებას კითხულობდა, ზალიკო ლაპარაკობდა:

— რაც მოხდა ჩემს თავს, შეგნებული მაქვს. და რამდენადაც უკვირდები ჩემს მოქმედებას, იმდენად უფრო ბოლმა მახრჩობს, ბოლმა კი არა, ბრაზი. ბრაზი, ეს რატომ დამემართა?

ბრიგადირები და გამგეობის წევრები აქეთ იქიდან შემოეხვივნენ:

— დახმარებას თხოულობს. — გასცა გამგეობის წევრებს პასუხი თებრონემ.

— რა დახმარებას?

— ესეც ბერიძე გაგვიხდა? — თქვა მოსემ.

— კაცი მშიერია.

— მშიერია და თავის კარმიდამოს, თავის ნაკვეთს დააბრალოს.

— კარმიდამოს მოტრფიალე ჩამორჩება ცხოვრებას, გალატაკდება, როგორ ვერ შეიგნო?

— შენ დახმარებას თხოულობ. — შეუტია მოსემ ზალიკოს, — შენ რომელი დავრდომილი და სხეული მყევხარ? გელაპარაკებოდნენ: ზალიკო გონს მოდიო. სანამ სეტყვა არ მოგხვდა მაგ მაგარ შუბლში, მანამდე ვერაფერს მიხვდი? ახლა ჩვენ რა გიშველოთ? ვის მოვაკლოთ, რომ შენ მოგცეთ?.

მოსე კვლავ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ზაქარია ბრიგადირმა არ აცალა:

— ზალიკო ჩემ ბრიგადაშია და მას დღეს ცალი არ ჰყავს აბა შენ რად არცხვენ კაცს, როცა არ იცი და ჩემს მაგივრად ლაპარაკობ? ჩვენ ასე მსჯელობა არ გვეკადრება. იმისი გრცხვენოდეთ. ჩვენ კომუნისტები, დაცემულს ფეხზე წამოვაყენებთ ხოლმე. მეგობარს მეგობრულს ხელს გავუწოდებთ. ჩვენს გულში არ სწერია, ერთხელ შემცდარს და მერე გამოსწორებულს, ხელი ვკრათ. ჩვენ რატომ გვინდა ბერიძეს დავეხმაროთ? იმიტომ, რომ მისი ზარალი ჩვენი ზარალია. მისი ტკივილი ჩვენი ტკივილია. განა თვითეულ ჩვენთაგანს არ შეუძლიან თი-

თო ფუთი ხორბალი მოიმხოს და მისცეს, ზალიკოს?

ზალიკოს ყველა წევრმა აღუთქვა დახმარება.

15.

ამირინდო და მაგდანა ერთმანეთს ზალიკოს ჭიშკართან შეხვდნენ.

ამირინდომ იცოდა, რომ მაგდანა ზალიკოსთან უნდა მისულიყო მარმარილოს დაფის წასაღებად. როდესაც მაგდანა დაინახა, ვითომ გაუკვირდა:

— ამას ვის ვხედავ? მაგდან, ძვირფასო! — თითქოს გაიკვირვა ამირინდომ. გაუღიმა, მოულაქუცა. — მაგდან, დღითი დღე მშვენიერდები. მზის უწინარეს დასანახი ხარ. ბოლო დროს თითქოს თავისთავად ვხვდებით ერთმანეთს.

— შენმა სიცოცხლემ მართალს ამბობდე! რის თავისთავად? განა არ მითხრეს, მორბიხარ ადრე სამუშაოდან და მისაფრდები.

— მე გისაფრდები? მე რომ არა ვარ მონადირე, არც შენ ხოხობი?

— დღეს აქ რა გინდა? რად მოცუნცულდი?

— თვალი რომ თვალს მოშორდება გული გადასხვაფერდება. არ გაგიგია?

— ისევე რა გითხრა!

— შენი სიტყვა ხან ვერცხლია, წკრიალებს, ხან ცეცხლია პრიალებს, ორივეჯერ გულს ლახვარად მესობა.

— ეგ შენი გამოთქმული შაირია? — ჰკითხა მაგდანამ. — მაინც სასაცილო ხარ. შენ ეს იცოდი, რომ ქმრის სურათი უნდა წამეღო... და იმიტომ მოხვედი, — თქვა მაგდანამ და მარგალიტას დაუძახა.

მარგალიტამ ჭიშკარი გაუღო და შეიპატიჟა.

მაგდანა მხიარულ გუნებაზე იყო. უნდოდა ამირინდოსათვის ესიამოვნებინა.

— მარგალიტა, ეს ამირინდო თავაზიანი ვინმე ყოფილა! კეთილი, ზრდილი, გულით ნათელი, მოსიყვარულე, ჭკვიანი, ბრძენი, თან ხათრიანი.

„უთუოდ ახლა აღარ დაჰფარავს და გაუმჟღავნებს, რომ ქმრად ვუნდივარ“, გაიფიქრა ამირინდომ, მაგრამ მაგდანამ არაფერი არ განაცხადა. მხოლოდ ამირინდოს გასაგონათ, თითქოს სხვათაშორის უთხრა მარგალიტას:

— ახლა ჩემი ნათესავების დავალებას ვასრულებ, თორემ მესგან მეც სიცოცხლე გამწარებული ვმჭოდა.

— მაშ აჰა, ჩემი ხელი. იყოს მარგალიტა მოწმედ! — უთხრა მაგდანას ამირინდომ.

— დამეკარგე, შე საძაგელო. — გაეცინა მაგდანა ამირინდოს, თითქოს უარს ეუბნებოდა, მაგრამ ხელი ხელზე დაუკრა და მერე მარგალიტას მიუბრუნდა:

— მარგალიტა, სად არის ქალო, ის მარმარილო?

— იმ ბეღელის უკან! ვფრთხილობდი, ფეხი არ მოხვედროდა.

მაგდანამ თვალი ჩაუკრა ამირინდოს, გამომყეო, და ამირინდოც უსიტყვოდ გაჰყვა.

— მოდი და ნუ დაემორჩილები ამისათან ქვრივს, — ამბობდა გულში ამირინდო.

მარგალიტამ ის მარმარილო ბეღელს უკან მოაფარა, რომ ზალიკოს აღარ ენახა და ბოლმა არ ამლოდა. ხოლო ზალიკოს კი უთხრა: პატრონმა წაიღოო.

ამ დროს ზალიკო შემოვიდა ეზოში. სახე გაფითრებული ჰქონდა, მარგალიტა მიხვდა, რომ ქმარი გუნებაზე არ იყო.

— ადამიანო. რად ამრეზილხარ? შეგემთხვა რამე?

— ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს. ვინ მიმიყვანა ამ დღემდე?

— გულს ნუ გაიტეხ, ზალიკო, ჩვენი მომავალი წინ არის.

ზალიკო ბორგავდა, ვერ ისვენებდა:

— ჩვენი მომავალი იმ სულწაწყმედილმა არია. გახსოვს, სუფრასთან რომ მომიჯდებოდა და ჩამძახოდა: კოლექტივი სხვისია, შენი კი მხოლოდ კარმიდამოო! სულძაღლი, იაკო, ის მაქეზებდა, იმან ამაცდინა გზას. ცოცხალი იყოს, მივაძალებდი უკბილო ქოფაკს. ტვინს ჩავუნგრევდი.

— ადამიანო, რა დაგემართა? სხვა მითხარი კარგი... ცუდი რა სახსენებელია.

— მაშინ მეგონა, რომ ის იყო მართალი. მაშინ ქვეყანას მეც იაკოს თვალით ვხედავდი. ჩემისთანა მუშაკაცი მეორე არ იყო სოფელში, რას დავემსგავსე, ვის ავყევი? იმან დამღუპა... იმან... იმან. თუმცა მეც დამნაშავე ვარ.

ამ დროს ამირინდო გამოჩნდა. მარმარილოზე ამოჭრილი იაკოს მიცრეცილი სურათი მოქონდა თან.

— ამას რას ვხედავ? — შეჰყვირა ზალიკომ. — იაკოს ქვრივი და ამირინდო? მარგალიტა, შეხ კი მითხარი, წაიღესო... ეს ისევ ჩემს სახლშია? ეს, ეს სურათიც, იმის სახე — სიტყვებს ვერ პოულობდა. უცებ ცულს ‘ძემოავლო ხელი — დააგდე, ამირინდო! — შესძახა ამირინდოს და როცა შეშინებულმა ამირინდომ სურათი ‘ძიწაზე დააგდო, ცული ისე მაგრა დაჰკრა იაკოს სურათს, რომ ნამსხვრევებად აქცია.

გაოცებისაგან ხმა არავის ამოუღია. ყველა გაფითრებული იდგა და ზალიკოს ‘შეჰყურებდნენ.

— სიძულვილმა მაიძულა. ახლა გავთავისუფლდი. — თქვა ზალიკომ ყრუდ და თავი ასწია. — თითქოს მომეშვა... ლოდივით მაწვებოდა. ამოვისუნთქე თავისუფლად.

ამის ‘შემდეგ ზალიკო გამოიცვალა, გარდაიქმნა. ორი კაცის საქმეს აკეთებდა. რომ იტყვიან ჯარასავით ტრიალებდაო, სწორედ ზალიკოზე ითქმოდა ეგ. არც თვითონ ისვენებდა და არც ცოლს ასვენებდა.

თებრონე წრეს ამეცადინებდა, პარტიის ისტორიას სწავლობდნენ. ზალიკომ სთხოვა, მეც მოვალ, მეც მამაცადინეო.

იტყოდნენ ხოლმე: ზალიკომ გაიწია და თან გაიყოლია მთელი უბანიო.

ეს გარემოება ძალიან ახარებდა როგორც თებრონეს, ისე სხვა ბრიგადირებსაც, განსაკუთრებით ზაქარიას, რადგან ზალიკო ზაქარიას ბრიგადაში მუშაობდა.

— . —

გოგია ბრიგადირის ბინაზე საზეიმო მზადება იყო. გოგიას მოხუცი დედა სტუმრებს უხვდებოდა — ულოცავდნენ შვილის ბედნიერებას.

— გიცოცხლოს! ბედნიერი დედა ხარ, შენი რძალი ჭკვიანი და ნასწავლი ქალია, შენი ვაჟი სახელოვანი ვაჟკაცია, სიბერის დროს ნათელი დაგადგა.

სამზადის წინ ზედადგარზე ქვაბები შემოედგათ, იხარშებოდა დეკეულის ხაშლამა, იხრაკებოდა ქათმები და ინდაურები. მზადდებოდა ალუბლის მურაბით ფლავი.

ზალიკო ჩალიშვილი თადარიგს ეწეოდა, ზოგს შეშის დაჭრას ავალებდა, ზოგს წყლის მოტანას. თვითონ თეთრი საფარი აეკრა და მოზრდილი ‘ქაფქირით ვებერთელა ქვაბს ‘ქაფს ‘ხდიდა.

მოსე ბრიგადირმა ეზოში ურემი შემოაგორა. ზედ ორი დიდი ტიკი ედო.

— რა არის, ეგ მოსე? — ჰკითხა ზალიკომ.

— რა არის და თივა. ვერ ‘ხედავ, რაც არის? თებრო და გოგია ჩემი ღვინით უნდა დავლოცოთ. აბა, მომეცი ხელადა, ‘ჭაშნიკი ვნახოთ.

‘ჭაშნიკს სინჯავდა ზალიკო და ტუჩებს აცმაცუნებდა.

— შენ მართლაც კარგი ღვინის დაყენება იცი, ჩემო მოსე.

— მაშ არა და შენსავით იოლად დავაყენებ ღვინოს. ქვევრი ისე უნდა გამორეცხო, რომ ბოლოს ნარეცხი წყალი ანკარა იყოს. ამის გარდა, ტკბილს ცოტა დედას ვაძლევ, არც ერთ კლერტს არ ვაყოლებ ქვევრში. დუღილის დროს გადავიღებ, ‘შემდეგ როცა დაღვინდება, კიდევ სამჯერ მაინც გადავიღებ. ასე უნდა ჩემის დაკვირვებით. ახლა ნახე რა სურნელება აქვს, რა გემო. პირს როგორ შუშხავს.

ამ დროს ეზოში თებრონე შემოვიდა. წინ მარგალიტა დახვდა.:

— ქალო, შენ ისევ სამუშაო კაბაში ხარ? წამოდი, პატარძალი ხარ, უნდა მოირთო, როგორც წესი და რიგია.

თებრომ ყურადღება არ მიაქცია და გოგიასაკენ გაეშურა.

— გოგი, მაშ ინახულე დავით ცეროძე?

— ვინახულე კიდეც და დამპირდა კიდეც. შენთვის რაღაც საჩუქარი მოუტანია.

— მაშ მოვა?

— აუცილებლად.

მარგალიტა თებრონეს ეჩურჩულებოდა და თან სახლისკენ ეწეოდა: — წამოდი, ჩაიცვი როგორც წესი და რიგია.

ახალგაზრდები კაკლის ქვეშ შემოკრებილიყვნენ. შუა წრეში თალიკოს ბიჭი ჩონგურს უკრავდა და ზედ გოგიას გამოთქმულ შაირს დამღეროდა. სიმღერა არ დაათავებინეს, უცებ ახალგაზრდები წამოიშალნენ.

— მოდიან, მოდიან. — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

ეზოში დავით ცეროძე, ზაქარია, ფერმის გამგე, გიორგი და ათი-თორმეტი ნაცნობი შემოდიოდა.

ყველა ამათ გოგია მიეგება წინ. იგი ღიმილის მეტს ვერაფერს ახერხებდა.

— უჩემოდ გინდოდათ სუფრა ჩაგეტარებინათ?—უთხრა ღიმილით დავითმა.

გოგიამ სახლში შეიპატიჟა სტუმრები. მისალმებისა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ზაქარია მაგიდასთან ხალხის დაჯდომის თადარიგს შეუდგა.

— ამ ოჯახში მე მამად ვეკუთვნი ნეფესაც და პატარძალსაც. აბა, დაბრძანდით. — ეუბნებოდა იგი სტუმრებს.

შეიქმნა უკან დახევა, პატიჟი, თუ ვინ სად დამჯდარიყო. ბოლოს ზაქარიამ ყველა დაამშვიდა:

— ჩემთან გოგია და თებრონე მობრძანდეს, მათ გვერდით დავითი დაჯდეს, დანარჩენები, ვინც სადა ხართ, იქ დასხედით.

როცა ყველანი დალაგდნენ, ზაქარიამ სასმისი აიღო, ნეფე-პატარძალი დალოცა. გამოცალა ვერცხლის ფიალა და დავითს გადასცა.

დავითმა ფიალა ჩამოართვა:

— ჩემო თებრონე, ჩემო გოგი! დღეს თქვენი ბედნიერების დღეა. მე თქვენი ძმა და მეგობარი ვარ. მიხარია თქვენი ბედნიერება. ამაში თქვენ დარწმუნებული ხართ. დღევანდელი დღის ნიშნად, ჩემო თებრონე, როგორც დაპირებული ვიყავ, შენთვის მომიძღვნია ეს მცირე საჩუქარი. — დავითმა ჯიბიდან ღილისტოლა ოქროს საათი ამოიღო. — როდესაც დაჰხედო, მუდამ განიშნოს, რომ ამ ცხოვრებაში არც დაგვიანება ვარგა და არც აჩქარება. იბედნიერეთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო. — თქვა და ჯერ გოგიას აკოცა და მერე თებრონეს.

ამის შემდეგ გაჩაღდა ზეიმი და სიმხიარულე, მაგრამ იყო ერთი წუთი სიჩუმისა, როდესაც ზაქარია წამოდგა და ყველა მას მიაჩერდა. ამ დროს ახლადდაბადებულის ბავშვის ჭყიპინი და „აღუ-აღუს“ ძახილი მოესმათ. ყველას გაუკვირდა, რომ კარის უკან ასეთი ხმა მოისმოდა. მცირე ხანიც და დარბაზში აკვნით ხელში ამირინდო შემოვიდა. მას სარიდან დალაქი მოსდევდა, ხელში უშველებელი წიგნი ეჭირა.

— აკვანი მოგართვი, თებრონე, — მიმართა ამირინდომ დედოფალს, — ამაზე უკეთესს სხვა რა საჩუქარს მოგიძღვნი? ეს არის ჩვენი სიცოცხლის გაგრძელება. ამ აკვანში ექვსი ბიჭუნა გაგეზარდოს, სულ გოგიას მსგავსები და ექვსი შენსავით ლამაზი გოგონა. მრავალშვილიანობისა ღირსეული ჯილდო მიგეღოს და ყველასათვის ჩემის თანადობით ქორწილი გადაგეხადოს. ამის გარდა, აი ეს წიგნი, — „ვეფხის ტყაოსანი“ — მზითვად მოურთმევია ჩვენს დალაქს სარიდანს. გაუგია ძველად მზითვად ატანდნენო. სიხარულისაგან მას ენა პირში ჩაუვარდა და მე დამავალა.

— არაფერიც არ დამივალებია, — შეუძახა დალაქმა.

— მერე რა, მე ხომ უკეთესად ვიტყვი, — მოუჭრა ამირინდომ დალაქს.

— არა, შენი უკეთესი ჩემს უხეიროს მაინც ვერ აჯობებს, — შესძახა დალაქმა და წიგნი თებრონეს წინ დაუდო, — მიიღე თებრონე. სულით და გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების.

ამ დროს ჩვენი ნაცნობი ჭაღარა თედიკო შემოვიდა დარბაზში. იგი ნამგზავრი იყო. გამტვერილი, ხელში მათრახი ეჭირა.

დავითს ეუცნაურა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— აქა მშვიდობა და გამარჯობა! — დაიძახა სტუმარმა და ქუდი მოიხადა.— გამარჯობა დავით, გამარჯობა თებრო და გოგი. თქვენც გამარჯობა, ბიჭებო და ვაჟკაცებო, ქალებო და ქალიშვილებო. როგორც ვხედავ, კარგ დროს მოვსულვარ. მადლობის მოსახსენებლად მოვედი. მადლობა უნდა უთხრა კოლექტივს. გამგეობას, თებრონეს, მაგრამ ცარიელი მადლობა ვერაფერი ვაჟკაცობაა. თქვენ ჩვენს კოლექტივს დიდი დახმარება გაუწიეთ, დაღუპვას გადაგვირჩინეთ ვენახი. ამის საპასუხოდ ჩვენმა კოლექტივმა ახალი ჯიშის სამი მეწველი ძროხა მოგართვათ. ჩვენ მესაქონლეობაში თქვენზე ძლიერები ვართ.

ჭაღარა თედიკოს სიხარულით მიეგებნენ, მაგრამ დავითმა შუბლი შეიკრა, რაღაცას მიხვდა, სუფრიდან წამოდგა და გარეთ გამოვიდა. მას მოსე გამოჰყვა:

— მოიცა, დავით. სად მიხვალ? — უთხრა აივანზე რომ გამოვიდნენ.

— რაღაც ამბავი მომხდარა ჩემი არყოფნის დროს.

— არაფერი ისეთი.

— რატომ გვიგზავნის ბერიძე მეწველ ძროხებს?

— გიგზავნის, ხომ არ მიჰყავს.

— რაში მჭირდება მე ძისი გამოგზავნილი? თქვენ იმხიარულეთ. მე არ შემიძლია.

— გეწყინა რამე?

— არა, მე არაფერი არ მწყენია.

— აბა, მაშ მოიცა, დავით. ჩემ ცეკვას მაინც უყურე. ცეკვა მსურს. ცეკვა პატარძალთან, — დაიძახა მოსემ და დარბაზში შებრუნდა. თებროსთან მივიდა. თებრონემ დაირცხვინა. მაგრამ სტუმრები აქეთ-იქიდან მიეხვევნენ:

— აბა, თებრო, შენებურად!

— სირცხვილი არ გვაჭამო, თებრო!

თებრო გაჰყვა მოსეს, გაფრინდა წრეში, გასდია და გამოსდია მოსემ. ცეკვავდნენ სწრაფად, მოხდენით, მაგრამ მოსემ მხარი უქცია, და თებრონეს წინ გაჩნდა გოგია.

დავით ცეროძე კარებში იდგა და სხვებთან ერთად ტაშს უკრავდა.

——:——

მეორე დღეს, თუმცა კვირა იყო, მაგრამ ცეროძემ ვერ მოისვენა და ბრიგადირები დაიბარა, მოვიდა თებრონეც.

მოიკითხა ბოგირი. მოიკითხა მანქანები და რომ გაიგო ბერიძეს ვათხოვეთო, ისე რიგად ეწყინა, რომ ფერი წაუვიდა.

— როგორ? ის ხომ მე... მას ჰსურს გამისწროს და თქვენ ხელს უწყობთ? ეს ვინ გაბედა?

— რას ჰქვია ვინ გაბედა, დავით. გამგეობამ დაადგინა. ჩემი წინადადება იყო. მათ უჭირდათ. ჩვენ შეგვეძლო დავხმარებოდით და დავეხმარეთ. შენ ეს უნდა გახარებდეს.

— მახარებდეს? — ოფლი მოიწმინდა დავითმა, თებრონეს შეხედა,—დამცინი კიდეც? რა უნდა მახარებდეს, ის, რომ ჩემს მანქანებს სხვას ამტვრევინებ? ის, რომ სხვას ხელს უწყობ, რათა გვაჯობოს, გაგვისწროს, პირველი იყოს რაიონში?

— დაწყნარდი, დავით და მოგვისმინე. შენ ხომ არ იცი, რაშია საქმე. ხალხს ვენახი ეღუპებოდა. — დაიწყო გოგიამ, მაგრამ დავითმა არ აცალა.

— როგორ დავწყნარდე, რა დამაწყნარებს? ჩემი მე მინდა, გესმით, ჩემი, ჩემი მანქანა, ჩემი გეგმა, ჩემი ხუთწლედი. როგორ? ჩემს ხარჯზე სხვამ გაიხაროს? სხვა იყოს პირველი?

— ზალიკოს მაგონებ შენის ლაპარაკით, დავით, — უთხრა თებრონემ. — მაგრამ ზალიკო გამოსწორდა, შენ კი... აბა, რასა ჰგავს შენი ლაპარაკი.

დავითს თითქოს თავში დაჰკრესო. როგორ? თებრონემ დავითი ზალიკოს შეადარა? იმ ზალიკოს, ვისი სახელიც ერთ დროს დასაცინი იყო?

— რას მეუბნება? მართლა მითხრა, თუ მომესმა? მე ზალიკოს შემადარა? — შესძახა დავითმა გამგეობის წევრებს.

— დიახ, შეგადარე! — თქვა თებრონემ. — იმ მხრივ შეგადარე, რომ მის ოჯახში ხუთი სულია, შენში ათასი! ის მხოლოდ თავის საკარმიდამოს დასტრიალებდა, დიდს ვერ ჰხედავდა, თავის მეზობელს ნამგალს ან თოხს არ ათხოვებდა. შენ ერთს კოლექტივს დასტრიალებ და სხვას ვერ ჰხედავ, არ გინდა სხვას დახმარება გაუწიო, სხვა წინ წავიდეს.

— გამაგიჟებს ეს ქალი, გამაგიჟებს! — იძახდა დავითი.

— ჩვენ მეზობელი წამოვაყენეთ! — იმეორებდა თებრონე.

— ბერიძე წამოაყენეთ და მე დამმარხეთ!

— არხზე ბოგირის გაკეთებას ხვალაც შეეიძლებთ!

— ხვალ სხვა გეგმაა.

— მაგრამ, თუ დროზე ჩვენს მეზობელს არ ვუშველიდით, იღუპებოდა.

— ჩვენი გეგმა არ დაიღუპა?

— ჩვენ გადავწყვიტეთ: ოცი ჰექტარი გადაგვერჩინა.

— გადაწყვეტილი ბოგირი იყო.

— ჩვენ ბოგირი, თუ ოცი ჰექტარი ვაზი? და რომ შენ აქ ჰყოფილიყავი, გიმეორებ, შენც ასე უნდა მოქცეულიყავი.

— არასოდეს. როგორ? ჩემი მანქანებით სხვამ გაიმარჯვოს? არა, ეგ მარტო გიჟს მოესურვება, ორივე თვალით ბრმას. მე არა, არა.

ზაქარია ცდილობდა დაემშვიდებინა დავითი. ბოლოს იმასაც დაეკარგა მოთმინება.

— დავით, მართლა მაგონებს შენი ლაპარაკი ზალიკოს. შენ, როგორც კერძო მესაკუთრე, ისე მსჯელობ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ შენს აზრს.

— ზალიკო მე ვარ, თუ თქვენ? მე ვინ მირღვევდა გეგმას? ზალიკო. ახლა ვინ მირღვევს? თქვენ და ეს ქალი. თქვენ ამ ქალმა აგიყოლიათ, თქვენ ცხვრის თავებო. — ჰყვიროდა დავითი, მერე თებრონეს შეხედა. — ვინ არის თავმჯდო-

მარე, მე თუ შენ? თუ შენა ხარ, დაბრძანდი ჩემს ადგილზე და გაუძეხი კოლმეურნეობას. — წამოდგა, ეუდი აიღო.

— მოიცა, დავით. დამშვიდდი. — უთხრა გოგიამ ცივად.

— თავმჯდომარე შენი მეუღლე თებრონე ყოფილა და მე აქ რა საქმე მაქვს. იჯდეს და მართოს თავის ნებაზე. — თქვა და გავიდა.

დავითს გოგია თავის გულითად მეგობრად სთვლიდა, თავის მარჯვენად და, ახლა გოგია რომ თებრონეს მიემხრო, ამას იმით კი არ ხსნიდა, რომ თებრონე მართალი იყო, არამედ იმით, რომ თებრონე მისი ცოლი იყო.

— მე ხომ გაფრთხილებდით, რომ დავითი არ მოგვიწონებდა, — ნიშნისმოგებით ამბობდა მოსე.

— დავითიც ჭკუით შენი დონისა ყოფილა, — უთხრა ზაქარიამ. — ახლა ჩვენ რა ვქნათ, თებრონე?

— არაფერია, დავითი მალე შეიგნებს თავის შეცდომას, — თქვა მშვიდად თებრონემ.

—— : ——

დავითის ცოლშვილს მეორე ოთახში ტკბილად ეძინა, ხოლო თვით დავითს ძილი არ ეკარებოდა. ადგებოდა, გაივლიდა, გამოივლიდა. ვერ ისვენებდა. ბოლმა ახრჩობდა.

— როგორ, უჩემოდ, მაშ მე არაფერი ვარ? მე ხომ ნება არ მიმიცია? მათ ხომ ბოგირი უნდა გაეკეთებინათ? ჩემი უკან დასტოვა, სხვისი დააწინაურა. პირი შეუკრავთ ჩემს წინააღმდეგ. ეს ხომ პირველი არ არის. ახლა ზალიკოსაც შემადარა! ამის შემდეგ მე რაღა ავტორიტეტი უნდა მქონდეს. ან მე თავმჯდომარედ, ან ეგ ქალი. — მიუჯდა მაგიდას და რაიკომის მდივნის სახელზე ვრცელი განცხადება დაწერა.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა, რომ დავითს და თებრონეს უსიამოვნება მოუვიდათ. ხალხი ჯერ ვერ გარკვეულიყო, რაში მდგომარეობდა მათი უთანხმოება. ყველაზე მეტად მათი ამბავის გაგება ამირინდოს უნდოდა.

როდესაც საჩივარი რაიკომში მივიდა, პირველმა მდივანმა თქვა: — ჩვენ შეგვიძლია ერთიც და მეორეც ჩვენთან დავიბაროთ და აქ, კაბინეტში ვუთხრათ: ვინ ცდება და ვინ მართალია, მაგრამ უმჯობესია, და, მიზანშეწონილიც არის, ასეთი კონფლიქტი თავმჯდომარესა და პარტორგანიზაციის მდივნის შორის, ხალხში რეზონანსი. ხალხი როგორ მსჯავრს დასდებს, ან ერთს, ან მეორეს, ეს არის საინტერესო თვით ჩვენთვის.

— რაიკომის მდივნის აზრი მოწონებული იქნა და გადაწყდა ცეროძის განცხადება კოლმეურნეთა აქტივის კრებაზე განეხილათ.

16.

მთებიდან მზემ გადმოიხედა, წინადღით ნაწვიმარ მინდვრებს სხივი დააფრქვია და ალაგ-ალაგ მიხვეულ-მოხვეული ალაზანი აალაპლაპა.

ხალხი სამუშაოდ გასულიყო.

ორღობეში მიმავალ დავითს თებრონე წამოეწია.

— მოიცა, დავით, შენთან საქმე მაქვს.

დავითმა შეხედა, შუბლი შეიკრა.

— ჩემთან რა საქმე გაქვს? საქმეს რაიკომი გადასწყვეტს,—უთხრა ცივად.

— სწორედ ეგ უნდა მეთქვა, რომ საქმეს რაიკომი არ გადასწყვეტს.

დავითი სახტად დარჩა.

— შენი განცხადება უკან დააბრუნეს. ჩვენ საქმეს ხალხი გაარჩევს. მაგრამ რატომ დაგჭირდა საჩივრის გაგზავნა? — ღიმილით უთხრა თებრონემ.

— თუ მე ვარ თავმჯდომარე, მე ვიყო. და თუ შენ ხარ, შენ იყავი. არ გიშლი. მე მოვალეობას ვიხსნი თავიდან, დაე, გადამირჩიონ.

— აი, დღესაც შენს ლაპარაკს არ უფიქრდები! საჩივრის ნაცვლად შენ შეგეძლო სულ სხვა გზა გამოგენახა, დაგემტკიცებინა აქტივის კრებაზე, რომ მე შეცდომა დავუშვი.

— დავამტკიცებ კიდეც, — მოუჭრა დავითმა. — გიმეორებ, მე ჩემი კოლმეურნეობა მინდა წინ იყოს. შენ კი ბერიძეს უწყობ ხელს. იმ კაცს, რომელიც დამემუქრა: „დღეს შენა ხარ წინ, ხვალ მე ვიქნებიო.“ რასაკვირველია, წინ იქნება ჩემი მანქანებით.—მწარედ ჩაიცინა დავითმა. — მაშ აქტივზე ვნახოთ ვინც ცდება ჩვენ ორში.

საჯარო კრება კვირა-დღეს იყო დანიშნული.

ხალხმა გაიგო, დავითს და თებრონეს უთანხმოება საჯაროდ გაირჩეოდა და რაიონიდან წარმომადგენელი და-

ესწრებოდა. კოლმეურნეები ახლო-მახლო სოფლებიდანაც კი მოვიდნენ.

რაკი შენობაში ხალხი ვერ დაეტეოდა, დიდი კაკლის ქვეშ დადგეს მაგიდა. სკამები, რომ არ ეყოთ, მორები მოაგორეს და მორებზე ფიცრები გადეს. მშვენიერი ამინდი იდგა. გრილოდა.

გამგეობის წევრები, მოსეს გამოკლებით, თებრონეს ამართლებდნენ, ხოლო ხალხის ნაწილი დავითს. ზოგმა არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება და მაინც დავითს ამართლებდა.

— ინტრიგას უწყობენ. კაცმა ფეხზე დაგვაყენა. შრომადღეზე ოთხი კილო ხორბალი მივიღეთ. ამდენი დიდი ხანია არ გაუნაწილებიათ ჩვენთან.

ამირინდო დარწმუნებული იყო, რომ დავითი გაიმარჯვებდა. მას მთელი ღამე არ ეძინა. სიტყვის სათქმელად ემზადებოდა. გაზეთები გადმოალაგა. შესაფერ წერილებს ეძებდა თავისი სიტყვის მოსამაგრებლად. ისეთი სიტყვა უნდა ეთქვა, რომ დავითი ცამდე აეყვანა. ამირინდოს თავისი ინტერესები ჰქონდა. უნდოდა დავითის გული მოეგო, რომ დავითსაც სამაგიერო გადაეხადა, დაპირება შეესრულებია, წერტის გამგედ დაენიშნა. ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალსაო. ასე იყო ამირინდოს საქმე. დაწერილ სიტყვას იზეპირებდა: დავითი ვეფხვია.. დავითი ლომიაო!

მაგრამ მისთვის მოულოდნელი ამბავი მოხდა.

შეხვდა მოსე ბრიგადირს. მოსემ ყველას ამბავი ზეპირად იცოდა. არც ამირინდოს ზრახვა გამოჰპარვია, იფიქრა, მოდი ერთი ამ ამირინდოს გავათამაშებ და გულიანად გავიცინებო.

— ამირინდო, ამირინდო. რა გიხარია, რას დაფაცურობ?

ამირინდომ ალმაცერად შეხედა.

— ჩემო მოსე! დღეს ღია პარტიული კრებაა. მე უპარტიოს ნება მეძლევა დავესწრო და აზრი გამოვთქვა... განა ეს დიდი პატივი არ არის ჩემთვის? გასაგებია?

ამირინდო ბოლო დროს დავითს ჰბაძავდა ლაპარაკში.

— ამ ბოლო დროს ძლიერ ჰბაძავ ჩვენს თავმჯდომარეს, ქცევაში, ლაპარაკში. დაგავიწყდა „გენაცვალე სულში“ და ხშირად იძახი „გასაგებია“? მაშ გაიგე, რომ დავითს დღეს უსათუოდ მოხსნიან.

ამირინდოს ფერი ეცვალა. გაშტერდა.

— როგორ თუ მოხსნიან? ომგადახდილია, დაჯილდოებულია. ოთხი კილო გაანაწილა.

— თებრო ვიღაა? — თქვა მოსემ ისეთი კილოთი, თითქოს ანიშნებდა: დავითს ხსნიან, თებროს აირჩევენო.

ამირინდო გაბრეუბული იდგა.

— თუ ხსნიან, მაშ ჩემი წერტი? ანასუნ ჩემს საქმეს! მშვიდობით... — ზურგი შეაქცია მოსეს. გუნება გაუფუჭდა. ახლა თავისი სიტყვა უნდა შეეცვალა. რის თქმასაც დავითის შესახებ აპირებდა, თებრონეზე უნდა ეთქვა. „ახლა აბრუნდი უნდა ვქნა და თებრონე შევაქო“. ფიქრობდა გამწარებული. კოლმეურნეობის კანტორის ეზოში შევიდა. დავითს შეეფეთა, მაგრამ თითქოს არ დაუნახავსო, თვალი აარიდა.

ეზოს ერთ კუთხეში თებრონე ბრიგადირებთან იდგა და რაღაცაზე ესაუბრებოდა.

ამირინდო ფიქრობდა:

თებრონე მიცქერის და მე რომ დავითს ალერსიანად შევხვდე, ეგონება, მე დავითს ვემხრობი, დავითს მოხსნიან და მერმე თებრონე ჩემზე ნაწყენი დარჩებაო.

— ამირინდო, რას გაშტერებულხარ? — ჰკითხა დავითმა.

ამირინდო ხმას არ სცემდა.

— ამირინდო, არ გესმის? — შეეკითხა განმეორებით დავითი.

— მესმის, მესმის! — უპასუხა ამირინდომ მკვახედ, — ეგ ჩემი საქმეა და ვფიქრობ, შენ არ გაქვს უფლება მისაყვედურო.

— რა გუნებაზე ხარ, ამირინდო?

— მე ძალიან კარგ გუნებაზე გახლავარ, შენი თავი იკითხე.

— ეგრე რად მებუზღუნები? ხომ არავინ გაწყენინა?

— შენ ვერ დამიცავ, თუნდაც მაწყენინონ.

— რატომ, ამირინდო?

— შენ თავს უპატრონე. — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. იმ მოსაზრებით, ვაი თუ არ მოხსნან და რატომ ვაწყენინოო.

— ვიცი, ჩემზე ხარ ნაწყენი, რომ თხოვნა დროზე ვერ შეგისრულე, — უთხრა დავითმა და გაეცალა.

ამირინდომ თვალით გააცილა, გულში იცინოდა:

— როგორ დაშაქრებულა!. უნდა გული მომიგოს. რაღა დროსია ახლა, ჩემო დავით. შენ არაფერს გკითხავენ. თებრო იქნება ჩვენი თავმჯდომარე, — თქვა და თებრონესკენ გასწია. ქუდი შორიდან მოუხადა. — შენ ცოცხალი სიბრძნე ხარ. ჩვენო თებრონე. ნუ გეშინია, შენს მტერს არ გავახარებთ.

— ვინ მტერს? — შუბლი შეიკრა თებრონემ.

— აგერ მას, — უთხრა და წარბები დავითისკენ გადახარა.

— ხომ არ გაგიჟდი, ამირინდო?! — შეუწყრა თებრონე. — ჩვენ თუ ზოგიერთ საკითხზე გვაქვს უთანხმოება, შენ ეს მტრობა გგონია? ეგ ერთხელ გითქვამს და აღარ გაბედო ენის ტარტარი. შენ გინდა მისი გაკიცხვით მე გული მომიგო, როცა არც გესმის, მას რისთვის ჰკიცხავ, — თებრონემ ზურგი შეაქცია, გაშორდა.

გაბრუებული ამირინდო გარინდული იდგა. არ იცოდა, რა ხდებოდა. ნუთუ მოტყუვდა ჭკუაში? აღარ გაბედო ენის ტარტარი. ასე უთხრა თებრონემ, მაგრამ ამირინდოს მაინც არ სჯეროდა.

— ასე იტყვის, მაშ ხომ არ იყვირებს? რა პოლიტიკის ქალი ყოფილა? ჰგონია, ვერ მივუხვდები.

კრების გახსნა ზაქარიას დაავალეს.

— ხალხო, გაჩუმდით. — თქვა ზაქარიამ და თან ზარი დააწკარუნა! — თუ ვინმეს ხელი შეუშლია, იცოდეთ არ გადამირჩება. კრებიდან დავითხოვ. დღევანდელი დღის წესრიგი ყველამ იცით. სიტყვას რაიკომის ინსტრუქტორს, ამხანაგ ბეროძეს ვაძლევ. გთხოვთ, ამხანაგო ალექსანდრე, — უთხრა ზაქარიამ მაგიდის თავში მჯდარ ჭაბუკს:

ალექსანდრემ მოკლედ გააცნო კრებას დავით ცეროძის განცხადების შინაარსი და შემდეგ დასძინა:

— ხელმძღვანელობაში უთანხმოება დაუშვებელია, ამხანაგებო. იგი დაუშვებელია ყველგან, სადაც კოლექტივი ერთ საერთო საზოგადოებრივ საქმეს აკეთებს. აქ უთანხმოება საქმეს აზიანებს. პარტია ამის ნებას არ მოგცემთ. მაგრამ სანამ რაიკომი თვითონ გამოიტანდეს რაიმე დასკვნას, საჭიროა აქ, თქვენს შორის გამოირკვეს, ვინ სტყუის ამ ორ ამხანაგს შორის. რა ხდება აქ, პრინციპული ხასიათის დავა, თუ კინკლაობა. დაე, ჯერ თვითონ ილაპარაკონ ამხანაგმა დავითმა და თებრომ.

დავითი წამოდგა. ხალხს გადახედა. სახე გაფითრებული ჰქონდა.

— ხალხმა დაწვრილებით უნდა იცოდეს რაშია ჩვენი უთანხმოება, — დაიწყო ყრუ ხმით, — რომ შემდეგ სამართლიანი მსჯავრი დაგვდოს. მე ბრალს ვდებ თებროს, რომ იგი ხელს მიშლის. მე ვცდილობ ჩემი კოლმეურნეობა ავამაღლო, რაიონში პირველი გავხადო. მე მინდა იგი სხვებზე წინ იყოს, მე ვუფრთხილდები კოლმეურნეობის ყოველ კაპიკს, ყოველ კილოგრამ ხორბალს, თუ სიმინდს. თებროს აზრით ეს კერძო მესაკუთრული საქციელია. მისი აზრით, თუ სხვა კოლმეურნეობას ფული ასესხე, ვალი არ უნდა გამოართვა. თუ შენ საქმე გაქვს. ის გადადე და ძეზობელს გაუმართე ხელი, ამ ბოლო დროს, როცა მე თბილისში ვიყავი, ჩვენ ხალხს ბოგირი უნდა გაეკეთებია, მაგას კი მანქანები ბერიძისათვის უთხოვებია. ჩვენ ჩამოვრჩით, ბერიძემ ზურგი მოიმაგრა და იქნებ ისე დაწინაურდეს, რომ უკან მოგვიტოვოს. ესე მე არ შემიძლია. ამის გარდა, თებროს ჩემი პატივისცემა სრულებით არა აქვს. ამიტომ თავმჯდომარედ ან მე ან თებრო. — დავითმა სიტყვა დაამთავრა და დაჯდა.

— შენ.

— შენ, დავით.

გაისმა შეძახილები.

ამირინდომ ხალხს გადაჰხედა. საქმე წამხდარად ეჩვენა. მოსეს მივარდა.

— შენ ამბობდი ხსნიანო, საიდან?

— დაჯექი, ნუ ცანცარებ, — უთხრა უკმეხად მოსემ.

წეღან დავითს რად ვაწყენინეო! ნანობდა ამირინდო.

წამოდგა ფერმის გამგე, მოიძრო ტყავის ქუდი და მიწაზე დაახეთქა.

— ვინ ჰბედავს დავითს ხელი შეუშალოს? დავითი მტკიცე კაცია. ზოგს ეს არ მოსწონს, მე კი, პირიქით. მაშ როგორ გინდათ? წეღან ერთმა თქვა: დავითი ეჩოაო, სულ თავისკენ ითლისო. რად არის ეჩო? თუ ეჩოა, ჩვენთვის ითლის, განა სხვისთვის.

— ვინ არის სხვა. ჩვენ ქვეყანაში ყველა ჩვენია. — დაიძახა ხალხიდან ვიღაცამ. — ჩვენ ყველანი ერთ საქვეყნო საქმეს ვაკეთებთ.

— მანდ ვინ ლაპარაკობს? — იკითხა ზაქარიამ. — წინ წამოდექი.

წამოდგა და მაგიდასთან მოვიდა ბრგე ტანის ჭაბუკი.

— სოციალიზმის პრინციპი ეჩო არ არის, — დაიწყო მან მტკიცე ხმით, — ეჩო — ეს კერძო მესაკუთრის პრინციპია, სულ რომ თავისკენ მიითლის და თავის თავს მიაწერს. ეს დავითის დიდი ნაკლია და მე სხვა ნაკლსაც მოგახსენებთ, რაც კი კოლმეურნეობაში კეთდება სულ იძახის: „მე ასე ვიზამ, მე ისე ვიზამ, მე გავაკეთე, მე მოვაგვარე". კოლექტივი ბურთი არ არის, გაჰკრა-გამოჰკრა. დავითს ჰგონია, ყველაფერი მარტო ეგ არის. მაშ ჩვენ ვიღა ვართ? განა მარტო მაგის შნო არის, რომ ასე მწყობრად დავირაზმენით? არა, ეს ჩვენ ვართ მაგასთან ერთად, თებროსთან ერთად, ტყუილია, ვითომ თებრო ხელს უშლიდეს. დავითმა ბრიგადირი მოხსნა და გამგეობას არ შეუთანხმა. განა ეს დასაშვებია? მოხსნილის ადგილზე სხვა დანიშნა და არც ის შეგვითანხმა. ვალი არ ვაჩივლებინეთ იმიტომ, რომ ბერიძე გვალვისაგან დაზარალებული იყო, ჩვენ კი არ გვიჭირდა.

— მართალია, მართალი. — იძახოდნენ აქეთ-იქიდან

დავითი ოფლში იწურებოდა.

ამირინდო გაბრუებული იჯდა, ჩაღრმავდა თავის ფიქრებში და რა ხდებოდა კრებაზე აღარ ესმოდა. თავის თავს ებრძოდა. ვინიცობაა სიტყვა მოვითხოვო და ლაპარაკის ნება მომცენ, რა უნდა ვთქვა? უნდა ვთქვა ყველაფერი გულწრფელად აქ არ შეიძლება იცრუო, ვინმეს პირფერობა გაუწიო. ან ერთი უნდა გაამტყუნო, ან მეორე. ან თებრო, ან დავითი. ორ სკამზე ჯდომა არ შეიძლება. მერე მე ამას შევძლებ? ვთქვათ გავამართლე თებრო და დავითი არ მოხსნეს-მერე? არ გინდა მიხვიდე დავითთან და წერტზე ჩამოუგდო ლაპარაკი? თებრო რას მიშველის? ვსთქვათ, დავითი გავამართლე, და თებრო აირჩიეს თავმჯდომარედ რას მეტყვის თებრო? შენ დავითს ემხრობოდიო. რომ გავჩუმდე, არც ის შეიძლება. რატომ არ შეიძლება? გავჩერდები, არაფერს ვიტყვი. ვინ რა იცის, მე გულში რა მაქვს, ვის ვამტყუნებ, ვის ვამართლებ. ვინც გაიმარჯვებს, ამას დავუჭერავ ტაშს.

ამირინდო გამოერკვა. გოგია ამბობდა სიტყვას.

— დავითი სცდება, ამხანაგებო.

არც ერთ მოლაპარაკეს ასე აშკარად არ უთქვამს: დავითი სცდებაო და იმის მაგიერ, რომ სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, ხალხი უფრო ახმაურდა.

— რას ლაპარაკობ?

— თავი მოაქვს შრომის გმირობით.

— როგორ აკადრებს?

— გოგია მართალია.

— რით არის მართალი?..

— გაჩუმდით, გაჩუმდით, — იძახოდა ზაქარია.

— დავითი სცდება და აი, რატომ, — გაიმეორა გოგიამ.

ფერმის გამგე გოგიას მიუხტა:

— შენ როგორ ჰბედავ, ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი დავითს აკადრებ?

— აცალეთ, აცალეთ.

ყვიროდნენ აქეთ-იქიდან.

გოგიამ განაგრძო, მძიმედ, აუღელვებლად:

— ვილაპარაკებ, რასაც ვგრძნობ და როგორც მესმის. მართალია, მე და თებრო მეუღლეები ვართ, მაგრამ სიმართლე ყველგან სიმართლე უნდა იყოს. დავითმა წესრიგში მოიყვანა ჩვენი არტელი, განამტკიცა დისციპლინა და ამის გამო ჩვენ წინ წავიდით. ჩვენ ამით არ დავკმაყოფილდით. მეტი გვინდა, მეტი, სულ მეტი. „ფუტკარს თავი თაფლში ედო და კიდევ თაფლს ეძებდაო", — შეისვენა, თმაზე ხელი გადაისვა და განაგრძო: — ჩვენმა მეზობლებმა მანქანები გვთხოვეს. არ უნდა მიგვეცა? ხალხს უჭირდა, ვენახი ეღუპებოდა და ზურგი შეგვექცია? არა, არ შეგვეძლო ეს, ამხანაგებო. გადავწყვიტეთ, ფეხით წავსულიყავით სამუშაოზე, ბოგირიც შემდეგ აგვეშენებინა, მანქანები კი გაჭირვებულ მეზობლისათვის დაგვეხმარებინა. დავეხმარეთ კიდეც. ჩვენი დახმარებით საქმე წინ წასწიეს. საქმე გაკეთდა, მეზობლის საქმე. არც ჩვენ მოგვსვლია ზიანი. ეს დანაშაულია, ამხანაგებო? შეიძლება ეს უსაყვედურო თებროს? შეიძლება ამაზე თქვა: მე ვარ, თუ შენ ხარ, როგორ გაბედე, მეზობელს ხელი გაუმართეო?

ხალხი გულისყურით უსმენდა. ის, ვინც დავითს ემხრობოდა, შეირყა მისი

შეხედულება. დალაქმა სარიდანმა წამოიძახა:

— მაგას შენ მართალს ამბობ, — და თან დავითს შეხედა, რადგან ადრე დავითს ამართლებდა.

გოგია განაგრძობდა:

— ერთი ძველი ამბავი გამახსენდა, გიამბობთ და თქვენ განსაჯეთ: ერთს სოფელში ერთი გლეხი ცხოვრობდა. სახელად თომას ეძახდნენ. ერთხელ ეს თომა თურმე ორმოს სთხრიდა და იქ ხაზინა იპოვნა: ერთი ქილა თვალმარგალიტი წაუღია და სკივრში ჩაუკეტია. ღარიბი თომა უცბად გამდიდრებულა: აღარც ხნავდა, აღარც თესავდა. ააშენა სასახლე და ისეთი გალავანი შემოაკლო, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. თომა გაამპარტავნდა. მეზობელს აღარ კადრულობდა. ყველას ჩამოშორდა. ვინც მასთან მივიდოდა, ყველას პანღურით და კინწისკვრით გამოაგდებდა. ერთ წელიწადს სეტყვა მოვიდა და ყველაფერი გაანადგურა. ჩამოვარდა შიმშილი. ვინც ხნავდა და სთესავდა, იმას მარაგი შემორჩა, მაგრამ თომას არაფერი, გარდა თვალმარგალიტებისა. ამ მარგალიტებით ერთი შოთი პური ძლივს იყიდა. ბოლოს შიმშილით მოკვდებოდა, მაგრამ ისევ მეზობლებმა შეიბრალეს და დაეხმარნენ. როდესაც თომას შუბლში სეტყვა მოჰხვდა, მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ მთავარი ყოფილა შრომა და მეზობლებთან კავშირი. ეს მოხდა ძველად, მაგრამ ახლა? განა შეიძლება ჩვენი კოლექტივი მეზობელ კოლექტივებს ჩამოვაშოროთ? ახლა არ მიიკარო? ძმაო და მეგობარო, დავით! შენ იცი, როგორც მიყვარხარ და პატივსაც ვცემ, მაგრამ შენ რომ ციხეგალავანი შემოგვავლო, მეზობლებს მოგვწყვიტო, ამას მე ვერ მოგიწონებ და არც ხალხი გამოგყვება.

ხალხი ახმაურდა უმრავლესობა გოგიას აზრზე იდგა.

სარდიონმა გაარღვია უკანა რიგები, წინ წამოდგა:

— მე აქამდე სულ სხვანაირად მეგონა, — მიმართა თავმჯდომარეს, — როგორ, დავით, თებრო მეზობელს დაეხმაროს და შენ ეს გეწყინოს? ჩემო ძმაო, მარტო მე და შენ რომ ვიმღეროთ მრავალჟამიერი და გაჭირვებულს ხელი არ გავუწოდოთ, ეს ხომ, ეს ხომ... რანაირი კოლმეურნეები ვიქნებით მაშინ. ასე გინდა კომუნიზმი ავაშენოთ?

— არა ხარ მართალი, ჩემმა მზემ, დავით. — ამოიღო ხმა მოსემაც, — თუნდ მომჭერ კისერი.

— თომასავით ციხე კოშკი შემოგვავლო? — ცხარობდა სარიდანი — ამაზე გაზეთში გაგვწერენ და შერცხვა ჩვენი „ახალი ფუძე“.

წამოდგა ეალარა ზაქარია, გაჩუმდა ხალხი. ყველა მას მიაჩერდა. მას შეჰყურებდა დავითი და თებრონეც. ზაქარიამ ჩაახველა, ულვაშებზე გადაისვა ხელი, და მძიმედ დაიწყო:

— მაშ მეც მომისმინეთ. — დავითს მიუბრუნდა.—შენ, ჩემო დავით, იქნებ გულში იმასაც ჰფიქრობ, რომ ქალი არის ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი, რომ შენ მეტი ხარ და ის ნაკლები, რომ ის ვერ შესძლებს ვაქკაცის საქმეს?! თუ ეს ასეა, ძალიან სცდები! — ხალხს დააცქერდა: — ხალხო, ან იქნებ, დავითს ჰგონია, თუ იზრუნა მხოლოდ თავის კოლექტივისათვის, თუ ის დოვლათით აავსო და შრომის გმირებიც ბევრი ეყოლა, ყველაფერი ამით თავდება. არა, მეგობრებო. დღეს შეიძლება გვქონდეს ასეთი სულისკვეთება?

— არ შეიძლება.

იძახდნენ ხალხში.

— რაში მჭირდება ჩემი სიმდიდრე, თუ ჩემს მეზობელს ხელს არ გავუწევდი დასახმარებლად? აი, დაუკვირდით. როგორც ზალიკო დარწმუნდა, რომ საკარმიდამო ნაკვეთს არ შეუძლია მოუტანოს ბედნიერება, ასე უნდა დარწმუნდნენ სხვებიც და პირადად დავით ცეროძე, რომ კოლექტივიც ეგრეევე მცირე ნაკვეთი არის იმ მშრომელთა სახელმწიფოსთან შედარებით, რომელსაც ეხლა კომუნიზმის ქვეყანა ჰქვია. ჩემთვის ეს ისე ნათელია, როგორც მზიანი დღე.

ხალხს მოეწონა ზაქარიას ლაპარაკი და ტაშმა იგრიალა. ზაქარიამ განაგრძო:

— ჩვენი კოლექტივი თუნდაც ყველამდე დოვლათით იყოს სავსე და შრომის გმირებიც ბევრი ჰყავდეს, თუ ის ჩაიკეტა, თუ მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის იზრუნა, არ გაუწოდა სხვასაც ხელი, არ გადაიზარდა სხვა კოლექტივთან, რაიონთან, ეს ივივე იქნება, რაც ერთ დროს ზალიკო და მისი ნაკვეთი იყო. აი, ზალიკოს მაგალითი ჩვენს

თვალწინ არის. არა მარტო ერთი პიროვნების, ან ერთი კოლმეურნეობის მიღწევები უნდა გვახარებდეს ჩვენ, არამედ მთლიანად, ყველას ამაღლება, ყველას წინსვლა კომუნიზმისაკენ. ესეც ჩემთვის ძალიან ნათელია და გასაგები. გვერდზე რომ ჩამორჩენილი მყავდეს, მე წინ გავრბოდე, ეს რანაირი კომუნიზმი იქნება? ჩვენ რომ მეზობელს დავეხმარენით, მოვალენი ვიყავით, რადგან შეგვეძლო. ამას გვასწავლის ლენინ-სტალინის პარტია.

ხალხში კვლავ ტაშმა იგრიალა. ზაქარიამ თებრონეს მიმართა: ეგებ რამე სათქმელი გაქვსო, მაგრამ თებრონემ უარი განაცხადა. შემდეგ დავითს მიჰმართა: — შენ დავით?

დავითი წამოდგა. მცირე ხანს სდუმდა. გულზე სიმძიმე აწვა, ოფლი მოიწმინდა.

— ცხადია, თებროს არაფერი აქვს სათქმელი. რადგან თებროს მაგიერ ხალხი ლაპარაკობს. მისგან დათესილს კეთილი ნაყოფი გამოუღია. ხოლო, რაც შემეხება მე, არავის ეგონოს, ნურც ვინ იფიქრებს, გული ჩემი დახშული იყოს და თუ მამხილეს შეცდომებში, ის არ შევიგნო. ეს ყველაფერი თითქოს ვიცოდი, მაგრამ ჩემს გულში იყო რაღაც, რაც ხელს მიშლიდა და ვერ დავძლიე, ვერ განვეკვრიტე. მოკლე ჭკუით მიმოქმედნია. — მაგიდიდან თავისი განცხადება აიტაცა და დახია.—ეს განცხადება წუთიერ ბრაზის, აჩქარების ნაყოფი არის... მე ბოდიშს ვიხდი. მხოლოდ თავმჯდომარედ ყოფნა მე ალარ შემიძლია. ძალა არ შემწევს, ასეთი დიდი საქმეს ვუხელმძღვანელო. — თქვა დავითმა და წასვლა დააპირა, მაგრამ წინ გოგია გადაეღობა.

— სად მიხვალ, დავით? — შეესძახა თებრონემ. მისი ხმა მკაცრი და პირდაპირი იყო. — შენ დაუშვი ერთი შეცდომა და ახლა მეორე შეცდომას ჩადიხარ?

დავითი დაიბნა დამნაშავესავით შეხედა თებრონეს.

— მართალია, თებრო, მაგრამ როდესაც უნდობლობას ვიმსახურებ, როდესაც საქმეს ვერ ვუძღვები...

— შენ ამ ხალხმა აგირჩია და ამ ხალხის უფლებაა დაგტოვოს, ან გადაგაყენოს. — შეაწყვეტინა თებრონემ. — შენი შეცდომა შეგნებული გაქვს. ამიტომ შენ უნდა განაგრძო მუშაობა. აი, ხალხს ვკითხოთ. ამხანაგებო, ვინ არის მომხრე, დავითი დარჩეს თავმჯდომარედ?

ყველამ ერთხმად დაუკრა კვერი თებრონეს.

— დავითი უნდა დარჩეს.

— ვინ უთხრა, დავითს უარი.

— გესმის, დავით, — მიმართა თებრონემ დავითს, — იარე შენი მტკიცე ნაბიჯით. დე ეს „ახალი ფუძე“ ჩვენი ახალი ოჯახი, მუდამ სანიმუშოდ საჩვენებელი იყოს სხვებისთვის. ძმებო, დავითი ისევ ჩვენი თავმჯდომარეა. ვიაროთ წინ, ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

მშვიდობისათვის

პოემიდან

★

გავკაფოთ
გზა მშვიდობისა,
გზაზე მშვიდობით
ვიაროთ,
მშვიდობისათვის
გულისთქმა
ერთმანეთს
გავუზიაროთ!
დიადი
მშვიდობისაკენ
შურება ჩვენი
დიდია,
მომავალ
კაცობრიობის
ის გამძლე
გზა და ხიდია.
ხმა აიმაღლე,
მსოფლიოვ,
მტრისთვის პასუხის
მგებელი,
ვაშა მშვიდობის
მძიებელს,
ძირს ომის
გამჩაღებელი!
მშვიდობა თქვენდა
ქვეყნებო,
მომავლით
უდასასრულო!
აქა მშვიდობა,
სამშობლოვ,
გზა მშვიდობისა,
წარსულო!
ძმავ, მშვიდობისთვის
იბრძოლე,
პირველად
ის აღიარე,
თუ ომი
გადაიხადე
აწ მშვიდობის გზით
იარე!
ხმა აიმაღლე,
სამყაროვ
მტრისთვის პასუხის
მგებელი!
ვაშა მშვიდობის
მძიებელს,
ძირს ომის
გამჩაღებელი!
რა კარგი რამ ხარ,
მშვიდობავ,
მოპოებულო
ბრძოლითა.
მშვიდობიანო
ზრომაო,
სავსეევ სინათლის
ქროლვითა!
იმა სინათლის
ალმურით
მთელმა მსოფლიომ
იალოს.
და დიდი
ბედნიერების
დროშები
ააფრიალოს!
ხმა აიმაღლე,
იბრძოლე,
იყავ პასუხის
მგებელი!
ვაშა მშვიდობის
მძიებელს!
ძირს ომის
გამჩაღებელი!
მალე ჩვენ ვიტყვით:
კარგ ბედით,
მიწის ხმით,
ცის ვარსკვლავედით,
გზაზე მშვიდობით
გავედით,
სამშვიდობოზე
გავედით!
გავკათოთ
გზა მშვიდობისა,
გზაზე მშვიდობით
ვიაროთ!
მშვიდობისათვის
გულისთქმა
ერთმანეთს
გავუზიაროთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

პირისპირ

რომანი

მეოთხე წიგნი *

დიდუბეში

„სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — ლადო კეცხოველი მასთან მუდამ დაკავშირებული, ბაქოში ჰქმნის ლენინურ-ისკრული მიმართულების კომიტეტს და აწყობს არალეგალურ სტამბას".

„სტალინი" — მოკლე ბიოგრაფია.

1.

ვანოს მამა — ასოთამწყობი ბათლომე მახათაძე ორმოცდახუთმეტი წლის კაცი იქნებოდა. იგი დიდუბის ტაძრის ახლოს, ვახტანგის ქუჩაზე ცხოვრობდა. თეთრად შელებილი და გაჯით შელესილი, უკრაინელთა „ხატას" მსგავსი სახლის ზედა სართულის ნახევარი ეჭირა, ხოლო მეორე ნახევარი ასოთამწყობ მაკარ მუხინს. სახლს შესავალი პატარა ეზოდან ჰქონდა. ეზოში მხოლოდ ორი ძირი ალუბალი და ერთი ვეება თუთის ხე იდგა, რომლის ტოტები აივანს წვდებოდნენ, ჩრდილავდნენ და შიგ შედიოდნენ. ეზოს კუთხეში საპირფარეშო და წყალსადენი მილი — ონკანი მოეწყოთ. სახლის პატრონი, მალაკანი ნეფურგონე ვასია ტამილინი ცოლშვილით სახლის ქვედა სართულში — სარდაფისმაგვარ ბინაში ცხოვრობდა. მახათაძის ბინის აივანზე ხის კიბით უნდა ასულიყავით. ბინა ორი ოთახისაგან შესდგებოდა. თხუთმეტმეტრიანი ერთი ოთახი სასტუმრო, სასადილო და საძინებელიც იყო, ხოლო აივანზე, კიბის თავში მიშენებული მეორე ოთახი კი ხუთი მეტრი თუ იქნებოდა და მერცხლის ბუდეს უფრო ჰგავდა, ვიდრე კაცის საცხოვრებელს. აქ დაიზარდნენ, მოჩიტდნენ და დაფრინდნენ მერმე ბათლომეს და მისი ცოლის — ერთი უწიგნო, ალალმართალი ქალის — სალომეს შვილები. რაღა დაფრინდნენ! სამი ქალი, გაჭირვებისა და ცუდი კვების გამო, ჭლექმა წაართვა ბათლომეს და სალომეს. ერთიც გაათხოვეს. ყველაზე უმცროსი — ქეთო უნივერსიტეტში სწავლობდა და ისღა დარჩათ შინ. ერთადერთი ვაჟი ვანო კი 1916 წელს ჯარში გაიწვიეს, ოფიცერი გახდა და ომში წავიდა, მერმე ფრონტიდან პეტროგრადში ჩავიდა და ოქტომბრის რევოლუციის დროს ზამთრის სასახლის აღებაში და დროებითი მთავრობის დაპატიმრებაში იღებდა მონაწილეობას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი ბაქოში და კავკავში ხან კიდევ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას. წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ თუ ინახულებდა მშობლებს. თბილისში ყოფნის დროსაც ისე იყო გართული არალეგალური მუშაობით, რომ იშვიათად თუ იპოვნიდა შინ მისვლისათვის დროს.

2.

საღამო იყო, როდესაც ვანომ დიდუბის ქუჩიდან გადაუხვია და ვახტანგის ქუჩას მტკვრისაკენ გაჰყვა. ალაყაფის კარები შეაღო, პატარა ეზო გაიარა და კიბით აივანზე ავიდა.

ვანოს მამა ბათლომე, დედა სალომე და დაი ქეთო ვახშმობდნენ. შავ პურს, კარტოფილს და უგრეხელსა სჭამდნენ.

— ვანო, — დაიძახა გამხდარმა და დალეულმა ქალმა სალომემ და ისა და ქეთო ვანოს მოეხვივნენ. ბათლომემ შვილს გაუღიმა და ხელი ჩამოართვა.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 4.

რადგან ვანო ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორჯერ იყო დაპატიმრებული და რუსეთში გადასახლებული, ამიტომ დედამისი სალომე და დაი ქეთო უფრო ხშირად მას მეტეხში ნახულობდნენ. ახლა ვანო თავისი სკოლის ამხანაგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის სურენ ბეჟანოვის კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობდა. ხანაც შამქორის ბრძოლაში მოკლული თავისი მეგობრის, პეტო ნატოშვილის დედის — მარინეს ბინაში ათევდა ღამეს. ამიტომ მშობლებისათვის, განსაკუთრებით კი დედისა და დისათვის ვანოს შინ მოსვლა, დიდი სიხარული იყო. მამა ქალაქში ხვდებოდა ხანდახან.

ოთახის შუა ადგილას, მაგიდაზე ნავთის ლამპა იდგა და ღარიბულად მორთულ პატარა ბინას ძლივს აშუქებდა. ოთახის მთელ მორთულობას სუფთად გაწყობილი ორი საწოლი და განჯინა შეადგენდა. ვანო მაგიდასთან დაჯდა. გამხდარი დედა თავზე დაადგა, ჩანჩხურა ხელი მხარზე დაადო, სახეში ჩაჰხედა, გაულიმა და უთხრა:

— რა არის, ბიჭო, ასე იშვიათად რომ მოდიხარ შინ? მეტეხში უფრო ხშირად გნახულობდი.

— მაშ, შენთვის ისა სჯობია, დედაჩემო, ისევ მეტეხში ვიჯდე, — გაეხუმრა ვანო.

— ღმერთმა დაგიფაროს, შვილო,— შეშინდა დედა.

— რაღა დამიფაროს! კედიას აგენტები მეძებარ ძაღლებივით დამდევენ და მზვერავენ. სამჯერ გამოვიცვალე საცხოვრებელი ბინა, — მიუგო ვანომ.

თუმცა სალომე ტანჯვანატარი და ხიფათს შეჩვეული ქალი იყო, — შვილის ნათქვამმა მაინც შეაშფოთა. მისი ქმარი ბათლომე 1905 წლიდან 1917 წლამდე ხუთჯერ იყო დაპატიმრებული და ერთხელ კიდევ ციმბირში გადასახლებული. მაინც ვაჟკაცურად იტანდა გაჭირვებას მარტოხელა ქალი და მრავალრიცხოვან ოჯახს უძღვებოდა, ბოლოს უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ვანოს დაპატიმრებისა და გადასახლების ჯავრსაც გაუძლო. მაგრამ შვილის ნათქვამმა მაინც შეაკრთო ახლა იგი. წინანდელი სიმხნევე, გამძლეობა და ძალა დაჰკარგოდა აწ დაუძლურებულს. შავი თავშალით მორთული, წელში მოხრილი დედა უღონოდ დაეშვა სკამზე. ვანომ შეხედა და შეეცოდა. გამხდარ და დალეულ ქალს შავი თავშალიდან გამოჩენილი თეთრი თმის ბღუჯა გადმოფენოდა დამჭკნარ ლოყაზე. სამი ქალის დაჭლექებას და სიკვდილს საბოლოოდ გაეტეხნა სალომე. მწუხარებას და ცრემლებს ამოეწვათ გაუთავებელი გლოვით გაშტერებული მისი წყლისფერი თვალები. უცნაურად გაშავებული და დამჭკნარი მისი სახე თითქო სიღატაკის, ტანჯვა-წამებისა, ჭირის და ზაფრის ცეცხლს გაუტრუსავსო.

ვანომ თავი ჩაჰკიდა. მას ჯავრი ღრღნიდა, ღარიბ და მშიერ მშობლებს რომ ვერ ეხმარებოდა. თუმცა ნასწავლი და განათლებული ქალი არ იყო სალომე, იგი მაინც გუმანით წვდებოდა, მისი ქმარი და შვილიც მართალ საქმეს რომ ემსახურებოდნენ და იმ საქმისათვის იბრძოდნენ. ამ მართალი საქმის გამარჯვებაში იგი თავისი ქმრისა, ქმრის მეგობრებისა და ამხანაგების ჩაგვრისა და გაჭირვების მოსპობას ხედავდა. მან კარგად იცოდა, მისი ქმარი და მისი შვილიც ღარიბი ხალხის ბედნიერებისათვის რომ იბრძოდნენ. ამიტომ ჭირში მყოფ დედას საყვედური მაინც არ უთქვამს არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ შვილისათვის, რომელიც თავს არ არიდებდა ხიფათს და საშიშროებას, თავს არ იზოგავდა და დედასაც არ იბრალებდა, თავისი ხიფათით და უბედურებით რომ არ დაეტანჯა იგი.

მამა დედაზე უფრო შენახული სჩანდა. იგი გამხდარი, მაღალი და ქერა კაცი იყო. მხოლოდ საფეთქლებთან და გრძელ ულვაშებში შეჰპარვოდა აქა-იქ თეთრი. ხშირი წარბები, მოცისფრო თვალები და გრძელი ხელები ჰქონდა. მარცხენაზე საჩვენებელი და შუათანა თითი მანქანას მოეგლიჯა. დინჯად იჯდა შვილის პირდაპირ შავ, მოძველებულ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი. მიუხედავად სამი შვილის სიკვდილისა, თავისი პატიმრობისა, ციმბირში გადასახლებისა, მანქანით ორი თითის მოწყვეტისა და, ამ სიბერის დროს, შიმშილისა და სიღატაკისა, — იგი მაინც მხნედ იყო, სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას არ იშლიდა. იგი იატაკქვეშ მომუშავე და ჭირში ნატარი, ძველი და გამოცდილი, შეგნებული და

მოწინავე მუშა იყო. თავი მოსწონდა ნასწავლი და მებრძოლი შვილით და მის შესახებ მეგობრებს ამაყად ეუბნებოდა: „პარტიის მოძღვრება მას ძვალსა და რბილში აქვს გაჟღდარი. სულსა და გულში უზის, იმით სუნთქავს და მისი განხორციელებისათვის მთელის ბოლშევიკური გააფთრებით იბრძვის“. იგი დიდი წარმოდგენის იყო ვანოზე და ამიტომ მამისათვის უჩვეულო მოკრძალებით ეპყრობოდა შვილს. ამ მოკრძალებას და წარმოდგენას კიდევ ის გარემოება აძლიერებდა, რომ ვანო ოქტომბრის რევოლუციის დროს პეტროგრადის მებრძოლთა რიგებში აღმოჩნდა, მსოფლიოში ყველაზე დიდი ადამიანები — ლენინი და სტალინი თავისი თვალით ენახა და მათი სიტყვები საკუთარი ყურით მოესმინა... ბათლომეს ძალიან უყვარდა პეტროგრადის ამბების შესახებ შვილის საუბრის მოსმენა. ისიც ახარებდა, სამხრეთ რუსეთსა და კავკავში სერგეი კიროვთან და სერგო ორჯონიკიძესთან რომ ემუშავნა მის შვილს.

კედიას საგანგებო რაზმის აგენტები მეძებარ ძაღლებივით მდევენ და მზვერავენო, შვილმა რომ განაცხადა, არც მამას ეშაშნიკა. ჩაფიქრდა. თეფშს დააცქერდა. ჩანგალი აიღო და უგრეხელის მარცვლებს ჩხრეკა დაუწყო, თითქოს ყუთში ჩაყრილ საჭირო ასოებს სადგისით ეძებსო. მერმე ერთბაშად ასწია თავი, შვილს შეხედა და ამაყად უთხრა:

— ისღა გვაკლია, კედიას ლეკვებმა დაგვაფრთხონ და ბრძოლაზე ხელი აგვაღებინონ!

ამასვე ფიქრობდა ძმაზე შეყვარებული და მისი პიროვნებით მოჯადოებული ქეთოც, რომელიც ანთებული თვალებით მიშტერებოდა ახლა ძმას. ბათლომეს შენიშვნის შემდეგ მამა-შვილს შორის საუბარი მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე ჩამოვარდა. საუბრის მთავარ საგანს მოსკოვზე დენიკინის გალაშქრება, მის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა წარმოადგენდა.

— ეხ, — ამოიოხრა ვანომ,—ლენინს და სტალინს ჩვენში ისეთი ჭკვიანი, მამაცი და ორგანიზატორი კაცი რომ ჰყავდეთ, როგორც კიროვი და ორჯონიკიძეა, საქართველოს მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლებას აქამდე დაამყარებდნენ.

ქეთო არ ემშვენოდა ბანს:

— შენ ხომ ჩრდილო კავკასიაში იყავი, გვიამბე იქ მიმდინარე სამოქალაქო ომის შესახებ. იქ ხომ კიროვი და ორჯონიკიძე მოღვაწეობდნენ? გინახავს ისინი? იცნობ მათ?

ვანომ დის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. მოკლედ და ძუნწად უამბო დას ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე სამოქალაქო ომისა, კიროვის და ორჯონიკიძის შესახებ, ისე რომ თვითონ იგი და მისი როლი მის ნაამბობში თითქმის არა სჩანდა.

3.

— ორჯერ მოვახერხე რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ მენშევიკების საგანგებო რაზმის აგენტებმა ორჯერვე დამაპატიმრეს და, სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად, ისევ რუსეთში გადამასახლეს.—ასე დაიწყო ვანომ თავისი თხრობა,—დარიალში, მესაზღვრე რაზმის უფროსმა, მეფის რუსეთის იმ ყოფილმა ქოფაკმა პოლკოვნიკმა წერეთელმა გამაფრთხილა: „მესამეჯერ დარიალში თუ გნახე და ხელში ჩამივარდი, უთუოდ დაგხვრეტო“. კიროვს და ორჯონიკიძეს თუ იცნობო, მეკითხები? მე და სხვა ქართველი ამხანაგები მათთან ერთად ვმუშაობდით. მათი ხელმძღვანელობითი ვებრძოდით თერგის ოლქში მძვინვარე კონტრრევოლუციას. ჩემ თვალწინ იქნა მოკლული თერგის ოლქის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ნოე ბუაჩიძე... მამაცი ჭაბუკი კოწია ჭავჭანიძე... ეხ,—ამოიოხრა ვანომ და თითქოს ამ წუთას რაც მოაგონდა, იმ პატარა ოთახში ვერ დაეტეოდა, იმ ოთახის იქით უნდა გასულიყო და მთელ ქვეყანას მოსდებოდა. მისი სახე თითქო ორად გაიყო. ცალ მხარეს ბაგე და თვალი ღიმილს გამოხატავდა, მეორე მხარეს კი, მოკუმული ბაგის ნახევარი, აზიდული წარბი და ანთებული თვალი, — მრისხანებას.

— სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე ნაზი, გულისხმიერი და გულკეთილი ადამიანები არიან. მოყვასისადმი ულაზღვროდ გულთბილნი, ხოლო მუშათა კლასისა და რევოლუციის მტრისადმი მკაცრი და დაუზოგველნი. არის რაღაც რომანტიკული სერგეი კიროვისა და სერგო ორჯონიკიძის ბრძოლაში

და მეგობრობაში... ახალგაზრდობიდანვე ძათ თვითმპყრობელობასთან და სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლის ისეთი მკაცრი სკოლა გაიარეს, მეფის საპატიმროების და კატორღის ისეთი სუსხი იგემეს, რომ თავისი გამოცდილებით, გონებით და ნებისყოფით, მაღალი რწმენით და მისწრაფებით, პოლიტიკური მსოფლმხედველობით და პირადი თავისი ყოფა-ცხოვრებითაც, ისინი ჩვენთვის მაგალითს წარმოადგენენ. ვისაც კი მათთან საქმე ჰქონია და უმუშავნია, — მათი პიროვნებით იხიბლებოდა, მათი სჯეროდა, მათი გავლენის ქვეშ ექცეოდა და მათი სურვილისამებრ მოქმედებდა. კიროვი პირველად მოზდოკში გავიცანი, თერგის ოლქის ხალხთა დელეგატების ყრილობაზე. კიროვი მაშინ პიატიგორსკის ბოლშევიკების ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ვლადიკავკავისას კი ნოე ბუაჩიძე. მოზდოკის ყრილობაზე კაზაკების დელეგატებმა, უმთავრესად ოფიცრებმა, ხრიკს მიჰმართეს: მათ საბჭოთა ხელისუფლების ცნობა და ამავე დროს მთიელებისათვის ომის გამოცხადება მოითხოვეს. ამ დროს კაზაკებსა და ჩეჩნებ-ინგუშებს შორის შეიარაღებული შეტაკება უკვე მიმდინარეობდა. ბოლშევიკებისათვის მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა. კაზაკი და მთიელი გლეხობა იმისათვის რომ ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად და კაზაკების ოფიცრების და მთიელთა ფეოდალებისა და ბურჟუაზიის მიერ შეკრებილ კონტრრევოლუციურ ძალებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. კიროვმა ალლო აუღო რთულ პოლიტიკურ ატმოსფეროს, სწორად განსჭვრიტა შექმნილი მდგომარეობა და, თავისი სწორი ტაქტიკის გამო, შესძლო მთიელების წინააღმდეგ კაზაკების ლაშქრობის ჩაშლა. კონტრრევოლუციას მან მთიელების გაერთიანებული ფრონტი დაუპირისპირა. მისმა სიტყვამ ყველა მოაჯადოვა. კიროვის წინადადებით, თერგის ოლქის ყველა ეროვნების და პოლიტიკური პარტიის დელეგატებისაგან არჩეულ იქნა ეროვნებითი სახალხო საბჭო. როგორც საბჭოს, აგრეთვე ჯარის ნაწილებს მაშინ უმთავრესად ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ბოლოს საბჭომ იცნო სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება და იგი თერგის ოლქის ცენტრში — ვლადიკავკავში გადავიდა. საბჭო ვლადიკავკავში ტაბარეულით ჩავიდა. ქალაქის მცხოვრები მოსახლეობა დეპუტატებს სადგურზე დროშებით და ორკესტრით მიეგება. კონტრრევოლუციონერმა ოფიცრებმა ქუჩებში სროლა ასტეხეს, მაგრამ რეალური წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს. სხვათა შორის, იმ ღამით მეფის რუსეთის რვა გენერალი დავაპატიმრეთ. ერთი ჩვენი ამხანაგის ციბაძის წყალობით, სამი მათგანი განთავისუფლებულ იქნა. ციბაძემ დაუჯერა გენერლების „პატიოსან სიტყვას“, რომ ისინი არ იბრძოლებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მერმე თერგის საბჭოთა რესპუბლიკას ძვირად დაუჯდა იმ უხერხემლო ბოლშევიკის მიერ სამი გენერალის განთავისუფლება. მას შემდეგ, რაც მოზდოკიდან ვლადიკავკავში საბჭო ჩამოვიდა, მალე საოლქო სახალხო ყრილობის მიერ არჩეულ იქნა თერგის სახკომსაბჭო ნოე ბუაჩიძის მეთაურობით. კონტრრევოლუციონერები არც ახლა იშლიდნენ თავის პროვოკაციულ გამოსვლებს. კაზაკთა ოფიცრობა, მთიელთა ფეოდალები და ბურჟუაზია, გროზნოს ნავთის მრეწველნი — ჩერმოევები, თავადი ყაფლანოვები და ძმანი მათნი აქეზებდნენ კონტრრევოლუციონურ ბნელ ძალებს, რათა კაზაკებსა და მთიელთა შორის ომი გამოეწვიათ და ამ ხერხით ბოლშევიკების განადგურება გაეადვილებინათ. არ შემიძლია არ გიამბოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც ღრმად შეიჭრა ჩემს მეხსიერებაში და კიროვის სიმამაცეს და რევოლუციონერ მებრძოლის სახეს გვიხატავს.

ქეთო, სალომე და ბათლომე სულგანაბული უსმენდნენ ვანოს. ვანო კი განაგრძობდა:

— იმ სახლთან, რომელშიაც საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა, კონტრრევოლუციონერებს, თითქოს ინგუშების მიერ მოკლული და დამახინჯებული ოსების გვამები მოჰქონდათ. ოსებმა სისხლის აღება გადასწყვიტეს. მათსა და ინგუშებს შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა, სოფლების ირგვლივ ხალხმა სანგრების გათხრა დაიწყო. განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობა შეიქნა ინგუშების სოფელ ბაზორკინოსა და ოსების სოფელ ოლგინსკოეს შორის, რომლებიც ერთი კილომეტრითაც კი

არ იქნებოდნენ ერთმანეთისაგან დაშორებული. სახალხო საოლქო საბჭოს მიერ გაგზავნილი დელეგაცია შეტაკების ადგილას მივიდა. დელეგაციის წინ კიროვი მიდიოდა. იგი სანგრებს შორის, ტყვიების ზუზუნში მოუწოდებდა მოწინააღმდეგეებს შეეწყვიტათ ძმათა სისხლისმღვრელი ომი, რომლის წყალობით მხოლოდ მშრომელთა მტრები მოითბობდნენ ხელს. ერთი ჩვენი ამხანაგი, დელეგაციის წევრი—ყალაბეგოვი იქვე სასიკვდილოდ დაჭრილი დაეცა, მაგრამ კიროვი მაინც წინ მიდიოდა და თავისი მამაცობით და უშიშროებით მთიელებზე და ჩვენზეც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ბოლოს მან შესძლო ამ ორი მოქიშპე და მეომარი ბანაკის შერიგება. სანამ ცოცხალი ვიქნები, ის ძამაცი და უშიშარი მებრძოლი, სამაგალითო ბოლშევიკი და რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი მუდამ მემახსოვრება. ოდესმე უფრო ვრცლად გიამბობთ მისი მოღვაწეობისა და მასთან შეხვედრების შესახებ, — თქვა ვანომ და განაგრძო:—როდესაც კიროვისა და ბუაჩიძის ხელმძღვანელობით თერგის ოლქის საბჭოთა რესპუბლიკა შეიქნა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის სამხრეთ რუსეთში, კონტრრევოლუციამ ისევ წამოჰყო თავი. მაშინ მე თერგის ოლქის სამხედრო რევოლუციური შტაბის წევრი ვიყავი. თერგის საბჭოთა რესპუბლიკა იმ ჟამად არ იყო იმდენად ძლიერი, რომ მარტოკა თავისი ძალებით შებრძოლებოდა სამხრეთ რუსეთში მომქმედ კონტრრევოლუციურ ბანდებს. მაშინ სამხრეთიდან კავკასიისაკენ გერმანელებისა და თურქების ჯარები მოდიოდნენ, ჩრდილოეთიდან კი დენიკინისა და კრასნოვის თეთრი არმიები. ამიტომ ჩრდილო კავკასიისათვის ჯარით, იარაღით და სხვა საშუალებებით დახმარების ორგანიზაციის მოსაწყობად, თერგის ოლქის ბოლშევიკების მიერ 1918 წლის აპრილის ბოლოს, კიროვი მოსკოვში გაიგზავნა. თერგის ოლქის ხელმძღვანელობა ნოე ბუაჩიძეს დაეკისრა. 1918 წლის 20 ივნისს ნოე ბუაჩიძე კონტრრევოლუციონერებმა ვერაგულად მოჰკლეს. ბუაჩიძის მოკვლას ბიჩერახოვის აჯანყება მოჰყვა. საჭირო გახდა თერგის ოლქის მშრომელი მასების დარაზმვა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად მათი წაყვანა. ასეთი ამოცანის ასრულება ადვილი საქმე როდი იყო. მაშინ კონტრრევოლუციონური ბანდებით სავსე თერგის ოლქში. საჭირო იყო მაგარი და გამოცდილი ხელმძღვანელი. ასეთ ხელმძღვანელად მოვიდა სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი სერგო ორჯონიკიძე. 1918 წლის 10 ივლისს მან ჯავშნიანი მატარებლით გასჭრა და გადალახა ბიჩერახოვის ფრონტი და კავკავში ჩავიდა. ჩრდილო კავკასიისათვის იმ მძიმე და დაძაბულ დღეებში იგი თერგის ოლქის ხელმძღვანელი გახდა. სერგო ორჯონიკიძის ვაგონი თერგის ოლქის მართლაც მებრძოლ შტაბად გადაიქცა, რომლის გარშემო დაირაზმა საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მთელი მოსახლეობა, რათა თერგის სახალხო საბჭოთა ნორჩი რესპუბლიკა დაეცვა. აი, სწორედ იმ დროს ორჯონიკიძესთან ვმუშაობდი მეც. კიროვმა ორჯონიკიძეს დახმარება აღუთქვა. თერგის ოლქის დასახმარებლად მან ასტრახანში ფულით, იარაღით და საომარი მასალით აღჭურვილი დიდი ექსპედიცია შეადგინა და სამხრეთ რუსეთისაკენ გაეშურა. მაგრამ ვერ შესძლო მიეღწია ჩრდილო კავკასიამდე, რადგან იქ უკვე დენიკინის ბანდები ბატონობდნენ. ჩრდილო კავკასია დენიკინის ლაშქარმა დაიკავა. უდაბნო და უწყლო ტრამალებით მეთერთმეტე არმია ასტრახანისაკენ გაეშურა. აქ ასტრახანში ლენინთან და სტალინთან სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის საქმეებზე მოსალაპარაკებლად მოსკოვს მიმავალი ორჯონიკიძე პირველად შეხვდა კიროვს. ამ შეხვედრის შემდეგ მათი სამუდამო მეგობრობა და ერთმანეთისადმი სიყვარული გაინასკვა.

კიდევ ბევრი ილაპარაკა ვანომ სამხრეთ რუსეთში კიროვისა და ორჯონიკიძის რევოლუციური მოღვაწეობისა და ბრძოლის შესახებ. მერმე საათს დახედა და თხრობა შესწყვიტა. აღელვება დაეტყო.

— რად იგვიანებენ ჩვენი ბიჭები, — ჩაილაპარაკა მან. მალე კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა და ოთახში შაქრო ხახუტაშვილი და კარო იარალოვი შევიდნენ.

4.

შაქრო ხახუტაშვილს და კარო იარალოვს ვანოს ძმობლები კარგად იცნობდნენ.

ბალლომე, ვანო, შაქრო და კარო მერცხლის ბუდესავით აივანზე მიშენებულ პატარა ოთახში შევიდნენ. აივანზე ამ ოთახის მიშენების იდეა ვახოს ეკუთვნოდა. ოთახი ეზოში ჩარჭობილ ბოძებზე იდგა. შესავალ კარებს პატარა კიბე ჰქონდა აივნიდან მიყენებული. ბათლომემ ლამპა აანთო და ტახტზე დაჯდა. გვერდით შაქრო და კარო მოისვა. ვახო კი წიგნებით სავსე პატარა მაგიდასთან მოთავსდა. ტახტისა, პატარა მაგიდისა და სკამის გარდა, სხვა არაფერი ეტეოდა იქ და ისეთი სივიწროვე იყო, რომ ოთხი კაცის მობრუნება სჭირდა. აქ გაატარა ვანომ თავისი მოწაფეობისდროინდელი ხანა. მერმე, როდესაც ჯარში გაიწვიეს, ეს ოთახი მემკვიდრეობით მის დაზე — ქეთოზე გადავიდა.

— მამაჩემო, შენ უჩვენოდაც კარგად იცი, ოქტომბრის რევოლუციის წლის თავზე პარტია რომ შეიარაღებულ აჯანყებას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აპირებს. ამით იგი შეაფერხებს და ხელს შეუშლის დენიკინის არმიის მოსკოვისაკენ წინსვლას. აჯანყების მომზადების საქმეში პრესას უდიდესი მოვალეობა ეხიჭება. ჩვენი არალეგალური პრესა კი, მენშევიკებისაგან დევნის გამო, მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. მართალია, მამაჩემო, შენ ნაბრძოლი და ნატანჯი, უკვე ხანშესულიკაცი ხარ, მაგრამ ახლაც ხელი უნდა გამოიღო და არალეგალურ სტამბაში შენი ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება ახალგაზრდებს გაუზიარო და ერთი დიდი საქმის შესრულებაში მიეშველო, — უთხრა ვანომ მამას და გამხდარ ჭაბუკს კარო იარალოვს და შავულვაშიან, ჯმუხ კაცს — შაქრო ხახუტაშვილს გადახედა, ბათლომემ გაიღიმა და შვილს ჰკითხა:

— შაქროც ახალგაზრდების რიცხვში ჩააგდე?

— მე, კარო და შაქროც კომკავშირის ხელმძღვანელმა ბორის ძნელაძემ გამოგვგზავნა შენთან დელეგატებად, — მიუგო ვანომ.

ბათლომემ თუთუნი გააწყო და გააბოლა. დასახიჩრებული ხელი, თითქო მალავსო, მარჯვენა იღლიის ქვეშ ამოიდო. ხოლო მარჯვენა ხელის ცერით ჭაღარა ულვაშები გაისწორა. იგი მაშინვე მიხვდა, შვილი რომ რაღაც დავალებას აძლევდა. ამიტომ მოიყვანა ალბათ ვანომ ლონიერი და უშიშარი კაცი შაქრო ხახუტაშვილი და იატაკქვეშ გახთქმული მოძუშავე კარო იარალოვი— გაიფიქრა მან. ჩაახველა და თავი ჩაჰკიდა. შაქრო ხახუტაშვილი, კარო იარალოვი და კაროსაებრ ახალგაზრდა მუშები კარგად იცნობდნენ ძველ და განათლებულ მუშას ბათლომე მახათაძეს, რომელსაც არალეგალური მუშაობისა და თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მართლაც საამაყო გზა ჰქონდა გავლილი.

— ვატყობ, რაღაც საქმეში მაბამთ, ბიჭებო. ბერი კაცი თუ რამეში კიდევ გამოგადგებით, უკან არ დავიხევ, — მიჰმართა მან ვანოს, შაქროს და კაროს. კარომ გაიღიმა და შენიშნა:

— ძია ბათლომე, ნათქვამია: ბებერი ხარის რქაც გამოსადეგიაო.

— რა დროს შენი სიბერეა! — უთხრა შაქრომ და შესძახა: — გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი ჩაიდგი მგლისაო.

ბათლომემ გაიღიმა და შაქროს და კაროს უთხრა:

— ჩემს ქებას თავი გაანებეთ, და ისე მითხარით: რა საქმე გაქვთ ჩემთან?

— მას შემდეგ რაც მენშევიკებმა ჩვენი რედაქცია და სტამბა დაარბიეს, ფურცლებს, პროკლამაციებს და პარტიულ ლიტერატურას, როგორც იცი, სხვადასხვა სტამბაში ფარულად ვბეჭდავდით,—დაიწყო შაქრომ. — ახლა ეგ საქმეც გაჭირდა, რადგან მენშევიკებმა კონტროლი დააწესეს და სტამბებში კედიას აგენტები დაძრწიან. ისეთი ხერხიანი ბიჭი, როგორიც კაროა, ესეც კი ვერაფერს გახდა... ჯადოსნურმა გარმონმა ვერ უშველა.

— ჩვენი ლიტერატურის ბეჭდვის საქმე ბევრჯერ ჩავარდა და ახლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. თითქმის შეუძლებელია, — შენიშნა კარომ.

ვანომ მამას შეატყობინა:

— პარტიამ დაადგინა საკუთარი არალეგალური სტამბის მოწყობა. ამ საქმის მოწყობა ახალგაზრდებმა ვიკისრეთ.

— ცუდი როდია, ეგ საქმე ახალგაზრდებს რომ გიკისრიათ, — შენიშნა მამამ და ჰკითხა: — პარტიის ნებართვა

გაქვთ? თანხა გაგაჩნიათ? სად იშოვით ბახჭანას? საღ და ვისთან აპირებთ სტამბის მოწყობას?

— სწორედ ამიტომ მოვედით შენთან, ნებართვა სოსო ალავიძისა და სერგო ქავჟარაძისაგან მივიღეთ, თანხაც გვაქვს... მანქანის შესახებ კარო გეტყვის, — მიუგო ვანომ.

— ძია ბათლომე,—დაიწყო კარომ — მე უკვე თავი დავანებე სამუშაოს. მბეჭდავთა კავშირმა ჩემი თხოვნა შეიწყნარა და, როგორც ჭლექით დაავადებული, გამანთავისუფლა. მუშაობისათვის ახლა უფრო მოცლილი ვარ.

ბათლომემ თავი ასწია და შავ ქურთუკში გამოწყობილ, თვალებანთებულ, გამხდარ და მხრებაჩეჩილ, შავგვრემან ჭაბუკს შეხედა. ჭლექი მართლაც სჭირდა კაროს. მით უფრო საკვირველი იყო მისი გამძლეობა და ამტანობა, სიმხნე და სიმამაცე, გამბედაობა და დაუდგრომლობა.

— მე მობილიზაცია გავუკეთე ჩემს ამხანაგებს, — განაგრძო კარომ, — მაგრამ შრიფტი სტამბისათვის კერძოთ ვერ ვიშოვეთ. ამიტომ სხვადასხვა სტამბებიდან მოვიპარეთ. ამ საქმეში შაქრომაც დიდი დახმარება გაგვიწია.

— ო, თქვენ ქურდებო, თქვენა! ვინ იცის, იქნებ ჩვენი სტამბიდანაც ააცოცეთ, — ეშმაკურად გაუღიმა და ჰკითხა ბათლომემ.

— ავაცოცეთ, ძია ბათლომე, — ღიმილითვე მიუგო და განაგრძო კარომ.— ჩვენ უკვე დავაგროვეთ 6 ყუთი ქართული, რუსული და სომხური შრიფტი და აქ, დიდუბეში, ერთი საიმედო მოხუცი ქალის ბინაზე შევინახეთ.

შაქრომ გაიღიმა და ბათლომეს უთხრა:

— ისე მოგვივიდა, როგორც ერთ იმერელს, ხომ გახსოვთ: „იმერელმა ნალი იპოვნა და თქვა: რაღა მაკლიაო? აბჟანდუკი, ზედ საკუკი, საკბილუკი და ცხენიო“. ჩვენც ნალიდან დავიწყეთ — შრიფტიდან და ახლა მანქანა — ცხენი და სტამბისათვის ბინა გვაკლია და ის უნდა ვიშოვოთ...

— კარგი რამ გკლებიათ, — გაიცინა და ისე შენიშნა ბათლომემ, კაროს შერცხვა და ბათლომეს შეატყობინა:

— არც ისე უიმედოა ჩვენი საქმე, შაქრო რომ ამბობს. წინათ ჩვენს არალეგალურ სტამბაში ჟანდარმერიას ერთი პატარა მანქანა ალმოუჩენია და იგი მეფისხაცვლის სტამბისათვის გადუცია; ახლა ის მანქანა მენშევიკების ხელში კარგულებაშია. ჩვენ გადავწყვიტეთ იმ მანქანის გატაცება. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ „კავკასკოე სლოვოს“ სტამბიდან გავიტაცებთ.

— იქ ღამით მუშაობა არ სწარმოებს. კარგია, — შენიშნა შაქრომ.

— მე და ჩემმა მეგობარმა, ზეინკალმა დიმიტრი ჩაპლიგინმა — განაგრძო ისევ კარომ, — ორივე სტამბის კარებიდან კლიტის ზომა ავიღეთ და უკვე გასაღები თანა გვაქვს. ყველაფერი მზად არის. მაგრამ მანქანის გატაცება შევაჩერეთ, რადგან ბინა და ადგილი სტამბისათვის ჯერ კიდევ ვერ გამოვძებნეთ.

— მამაჩემო, იქნებ შენ გეგულება სანდო პირი, ან იქნებ მოხერხებული საიმედო ადგილი მიგვიჩინო სტამბის მოსაწყობად! — ჰკითხა ვანომ მამას.

ბათლომემ თავი ჩაჰკიდა, ჩაფიქრდა და დიდი ხნის დუმილის შემდეგ მიუგო:

— არის ერთი ჩემი ძველი მეგობარი, ასოთამწყობი ნიკოლოზ მაკაროვი. იგი მეტად საიმედო პიროვნებაა. მაკაროვი დიდუბეში, მტკვრის პირას ცხოვრობს. ახლა სოფლის მეურნეობას ეწევა. თუ კოლია მაკაროვი დასთანხმდა, სტამბა მისი სახლის ქვეშ — სარდაფში უნდა მოეწყოს.

— ნიკოლოზ მაკაროვი, ნიკოლოზ მაკაროვი, — ორჯერ გაიმეორა კარომ, თითქო იგი იცნობდა მაკაროვს და ახლა მის სახეს იგონებსო.

— არა, შენ ალბათ არ იცნობ მას. იგი ჩემი ხნის კაცია. ჩემთან ერთად მუშაობდა არალეგალურ სტამბაში აქ და ბაქოშიც ლადო კეცხოველთან. — შენიშნა ბათლომემ.

— საიმედო კაცია? — ჰკითხა კარომ.

— საიმედოა.

— ოჯახი? ცოლი და შვილი?

— ცოლიც საიმედოა. შვილი ომში მოუკლეს და ამჟამად პაპასთან და დედასთან შვილიშვილები — ბალღები ცხოვრობენ.

— დასთანხმდება მაკაროვი თავის სახლში სტამბის მოწყობას?

— მე ვფიქრობ, დასთანხმდება, — მიუგო ბათლომემ კაროს.

— მოხერხებულ ადგილად მიგაჩნია მაკაროვის ბინა და სარდაფი სტამბისათვის? — ახლა შვილმა ჰკითხა მამას.

— მეტად მოხერხებულად. აკი გითხარი, კოლია მაკაროვი დიდუბეში, ცალკე, მტკვრის პირას ცხოვრობს-მეთქი. მასთან მისვლა ნავითაც შეიძლება. ნავი პირდაპირ მის ეზოს ადგება, — მიუგო მამამ.

— ეს მეტად კარგი ამბავია, — სიხარულით განაცხადა ვანომ, — ხვალვე უნდა ინახულო, მამაჩემო, მაკაროვი. კარო წამოგყვება და თუ მაკაროვი დათანხმდა, კაროს თვალი ყველაფერს შეამჩნევს და აწონის...

— აი, გიდი კარო! — მიუბრუნდა ბათლომე კაროს და უთხრა: — წინად ჩემ თვალს, უნარს და გამოცდილებას ისეთი დიდი რევოლუციონერი და იატაკქვეშ მომუშავე კაცი ენდობოდა, როგორიც ლადო კეცხოველი იყო. ახლა კი შვილი ჩემზე უფრო გენდობა... ასე არის მოწყობილი ეს ცხოვრება: ძველ თაობას ახალი თაობა სცვლის, — უთხრა ბათლომემ კაროს.

— აბა, მე რა თქვენი შესადარი ვარ,—დარცხვენით ჩაილაპარაკა კარომ.

— განა შენ ჩვენთან არ იმუშავებ,— შენიშნა შაქრო ხახუტაშვილმა ბათლომეს. — შენ, მე, გიგო იოსებაშვილი, მიტია ტერეშჩენკო, რომან ვერბიცკი, ლეონ ვარდოიანი და არამ ბეჟანოვი ასოთამწყობად ვიქნებით. მბეჭდავებიცა გვყავს. კარო, ვასო მარუაშვილი და იაშა მუხინი კი გარეგარე ივლიან, სტამბასა და კომიტეტს შორის კავშირის დასაჭერად, აგრეთვე ქალალდის გადმოსაზიდად და დაბეჭდილი მასალის გასავრცელებლად.

— სტამბიდან თუ გამანაოავისუფლეს, მეც თქვენთან ვიმუშავებ, — მიუგო ბათლომემ.

— ამას ჩვენ მოვაგვარებთ, — აღუთქვა შვილმა.

როდესაც ბათლომემ, ვანომ, შაქრომ და კარომ არალეგალური სტამბის მოწყობისათვის ყოველი წვრილმანიც კი გაითვალისწინეს და თათბირი დაამთავრეს, შაქრო ბათლომეს არ მოეშვა და შეეხვეწა:

— ბათლომე, მე ბევრჯერ მომისმენია, რომ შენ ლადო კეცხოველთან არალეგალურ სტამბაში მუშაობდი. ვერ წარმოიდგენ, როგორ მაინტერესებს ლადოს ცხოვრება, ბაქოში არალეგალურ სტამბაში მასთან შენი მუშაობა. გვიამბე, ძალიან გეხვეწები.

შაქროს კარომაც აუბა ენა. ისეც ისე დაეღრიჯა ბათლომეს, რომ უკანასკნელმა უარი ვეღარ უთხრა მათ და მოჰყვა:

— წარსული საუკუნის ბოლოს, მგზნებარე რევოლუციონერმა ჭაბუკმა კობამ — აწ ლენინთან ერთად საქვეყნოდ სახელმოხვეჭილმა და დიდებულმა ჩვენმა სტალინმა თავისი მეგობრების — ლადო კეცხოველისა და საშა წულუკიძის მონაწილეობით საფუძველი ჩაუყარა მებრძოლ რევოლუციურ არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვის საქმეს საქართველოში. ლადო კეცხოველი ხელაძის სტამბაში მოეწყო და ლითოგრაფიის საქმეს გულმოდგინედ სწავლობდა. მე და რამდენიმე მუშამ იქ ავაწყეთ და დავბეჭდეთ ლადო კეცხოველის მიერ ქართულად თარგმნილი დიკშტეინის ბროშურა: „ლუკმა პურის ისტორია“. ეს პირველი ქართული არალეგალური ბროშურა იყო. ლადომ ხელაძის სტამბაში მოახერხა აგრეთვე რამდენიმე პროკლამაციის და ბროშურის დაბეჭდვა. სწორედ ხელაძის სტამბაში ყოფნის დროს გავიცანი მე საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მომწყობი და მისი სულისჩამდგმელი ამხანაგი სტალინი და მას შემდეგ მოჯადოებული ვარ ამ მგზნებარე, სწორუპოვარი რევოლუციონერით, დიდი და ბრძენი ადამიანით. სტალინის ინიციატივით თბილისის ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა 1901 წელს კავკასიის ყველაზე დიდ სამრეწველო ცენტრში, ნავთის ქალაქში — ბაქოში პარტიულ მუშაობისათვის ლადო კეცხოველი მიავლინა. კეცხოველმა, პირადად სტალინის მითითებით და დახმარებით, ბაქოში ლენინურ-ისკრული მიმართულების ბაქოს პირველი კომიტეტი ჩამოაყალიბა და ამავე დროს, კონსპირაციის განსაკუთრებულ პირობებში, დააარსა არალეგალური სტამბა, რომელიც ამ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბოლშევიკურ სტამბას წარმოადგენდა. მას სრულიადრუსეთის მნიშვნელობა ენიჭებოდა. სტალინის მითითებით, კეცხოველი მუდმივ კავშირს იჭერდა პარტიის ბელადთან ვ. ლენინთან, იღებდა მისგან დირექტივებს, პასუხს შეკითხვებზე და მითითებებს. ბაქოში არალეგალური სტამბის

მოწყობა ლენინს დიდ და მნიშვნელოვან პარტიულ საქმედ მიაჩნდა. სტალინისა და კეცხოველის ხელმძღვანელობით ბაქოს სტამბაში იბეჭდებოდა საზღვარგარეთიდან არალეგალურად გადმოგზავნილ მატრიცებიდან „ნაპერწკლის“ ნომრის ნაწილი. ხოლო ლენინური „ნაპერწკლის“ გამოსვლის რვა თვის შემდეგ, 1901 წლის სექტემბრიდან პირველი არალეგალური ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის—სტალინური „ბრძოლის“ ბეჭდვაც მოგვარდა. „ეკონომიზმთან“, „ლეგალურ მარქსიზმთან“, ოპორტუნისტებთან და მუშათა კლასის სხვა მტრებთან ბრძოლაში „ბრძოლა“ ლენინურ-ისკრულ იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებს იცავდა და კავკასიის მარქსისტებს ლენინისა და ლენინური „ნაპერწკლის“ ირგვლივ რაზმავდა. ამ გაზეთის გამოცემის უზრუნველსაყოფად თბილისიდან ბაქოში გაგზავნილ იქნენ სტამბის მუშები და მათ შორის მე და კოლია მაკაროვიც.

კარო შავი, დიდრონი და ანთებული თვალებით მიშტერებოდა მოხუც ასოთამწყობს და ხარბად იმახსოვრებდა ყოველ მის სიტყვას. შაქროს კმაყოფილების ღიმილი უვლიდა ჩოფურა სახეზე და ულვაშებს ხშირად აწვალებდა. ვანოს კი, თუმც ბევრჯერ სმენია მამისაგან ლადო კეცხოველთან მუშაობის შესახებ საუბარი, იგი ახლაც აღტაცებული უსმენდა მამას — ამ ცოცხალ „მემატიანეს“. შვილს მეტად სიამოვნებდა პარტიის ისტორიიდან მამის მიერ ზოგიერთი ეპიზოდის დალაგებული თხრობა. მამასთან ერთად, ისიც სიამაყის გრძნობას განიცდიდა. ბათლომე განაგრძობდა:

— არალეგალურ სტამბაში მუშაობასთან ერთად, ლადო დიდ ორგანიზაციულ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი ხელმძღვანელობდა რსდმპ (ბ)-ის ბაქოს კომიტეტს, სწერდა ფურცლებს და პროკლამაციებს, ხელმძღვანელობდა აგიტაციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას და რაზმავდა მუშებს თვითმპყრობელობასთან და კაპიტალიზმთან საბრძოლველად. იგი მუდმივ კავშირს იჭერდა ამხანაგ სტალინთან, ხშირად ჩადიოდა მასთან რჩევა-დარიგების მისაღებად თბილისში და ბათუმში. ბაქოს არალეგალურ სტამბაში, „ბრძოლისა“ და „ნაპერწკლის“ გარდა, ლადომ მარქსისტული არალეგალური ლიტერატურის: მარქსის, ენგელსის და ლენინის შრომების მასიური ბეჭდვაც მოაწყო. ყველა ეს გამოცემა ფართო გავრცელებას პოულობდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთშიაც. მიუხედავად მეფის ჟანდარმერიის და პოლიციის დიდი ცდისა, მათ დიდხანს ვერ მიაგნეს ბაქოს არალეგალურ სტამბას. ბოლოს, ბედმა გვიმტყუნა და აი, 1902 წლის 2 სექტემბერს, რკინიგზის სადგურში — აჯიქაბულში ჟანდარმებმა დააპატიმრეს მემამანქანის თანაშემწე ბაქრაძე, რომელსაც სტამბის შრიფტი უპოვნეს. მათ გაჩხრიკეს მისი ბინა ბაქოში. ჩხრეკის დროს ისინი რამდენიმე ჩვენ ამხანაგს წააწყდნენ. ერთი მათგანი ლადო კეცხოველი იყო, პასპორტით—მელიქოვი. ლადო 5 წლის განმავლობაში სხვისი პასპორტით ცხოვრობდა. რათა გადაერჩინა სტამბა ჩავარდნისაგან, ხოლო ამხანაგები კი დაპატიმრებისაგან, მან თავისი ნამდვილი ვინაობა გააცხადა და მთელი დანაშაული თავის თავზე იდო. იმავე 1902 წლის სექტემბრის ბოლოს იგი ბაქოს საპატიმროდან თბილისში, მეტეხის ციხეში გადმოიყვანეს. მერმე რაც საშინელება მოხდა, თქვენც კარგად იცით. ლადო ვერაგულად მოჰკლა თოფით გუშაგმა... ახლაც მახსოვს რსდმპ (ბ)-ის ბაქოს კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც აცნობებდა ყველას მეტეხის საპყრობილეში ლადო კეცხოველის ვერაგულად მოკვლის ამბავს. პროკლამაციას ეპიგრაფად მაქსიმ გორკის ცნობილი სიტყვები უძღოდა:

„ო, შენ მამაცო შევარდენო,
მხნევ-უშიშარო,
შენ დაიცალე სისხლისაგან
მტრებთან ბრძოლაში“...

ბათლომემ ხელი ასწია და აღელვებით წაიკითხა ეგ სიტყვები, ვანოს, კაროს და შაქროს ტანში გააჟრჟოლათ. ვანომ შესძახა:

— არასოდეს, არასოდეს არ მოკვდება მუშათა კლასში ხსოვნა იმ კეთილშობილ და მგზნებარე მებრძოლისადმი.

— რა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ,— შენიშნა შვილს ბათლომემ, — ნეტავ ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ქვეყანას მოსწრებოდა ლადო. ნეტავ თავისი თვალით ენახა, თუ რა დიდი რევოლუციონერი, შეუდარებელი მებრძოლი და ბრძენი კაცი გახდა მისი სიყრმის მეგობარი და ჭაბუკობის

დრონდელი ამხანაგი სტალინი! ნეტავ ცოცხალი ყოფილიყო ლადო!

ყველანი სულგანაბული უსმენდნენ ბათლომეს. შაქრომ შენიშნა:

— ცუდად არ გიმუშავნიათ თქვენ, ძველ მუშებს სტალინისა და კეცხოველის ხელმძღვანელობით თბილისსა და ბაქოში.

— ახლა ახალგაზრდებს გმართებთ, ჩემო შაქრო, — მიუგო ბათლომემ ინტრადიცია განაგრძოთ, გმირთა ნაკვალევს გაჰყვეთ და კიდევ უფრო უკეთ იმუშაოთ და იბრძოლოთ ახლა მენშევიკების ბატონობისა და კაპიტალიზმის მოსასპობად.

აჯანყება

„მხოლოდ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ომი შესძლებს გააქარწყლოს დენიკინელთა საშიშროება. ეს იქნება წითელი დროშისათვის მებრძოლ პროლეტარიატის წინაშე ჩვენი მუშებისა და გლეხების ისტორიული დამსახურება“.

გაზეთი: „ვ ო ლ ი ა“ № 1. 1919 წ., 9 ნოემბერი.

1.

საქართველოს მუშებსა და გლეხებს არასოდეს ისეთი გაჭირვება, შიმშილი და წყურვილი არ განუცდიათ, როგორც 1919 წლის მეორე ნახევრიდან, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მუშები წარმოებიდან გარბოდნენ. უმუშევართა რიცხვი ძალზე იზრდებოდა. ფაბრიკა-ქარხნები იხურებოდნენ. დარჩენილი წარმოებები კი მინიმალური დატვირთვით მუშაობდნენ. სპეკულაციურმა ვაჭრობამ საქართველოში დამღუპველი ხასიათი მიიღო და იგი დღითიდღე უფრო არყევდა და შლიდა ქვეყნის ისედაც მოშლილ ეკონომიურ მდგომარეობას. ფინანსიური რესურსები მენშევიკებს არ გააჩნდათ. ქვეყანა კატასტროფის წინაშე იდგა. სასურსათო კრიზისი 1919 წლის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით მძიმე შეიქნა. სიძვირე საარაკოდ იზრდებოდა. იგი მძიმე უღლად დააწვა მუშებსა და გლეხებს. სულს უხუთავდა ხელოსნებს, მოხელეებსა და მათ ცოლშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ფულის კურსი კატასტროფულად დაეცა, ხელფასის მცირედი მომატებაც კი ზღაპრულ ზრდას იწვევდა პროდუქტებზე და სამრეწველო საქონელზე. მშრომელი ხალხის მდგომარეობა მართლაც აუტანელი შეიქნა, რასაც შედეგად მოჰყვა მუშებსა და მწარმოებლებს შორის დაუსრულებელი კონფლიქტი. მუშებმა მშვიდობიანი ეკონომიური გაფიცვა დაიწყეს. მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებმა დემაგოგიას მიმართეს და განაცხადეს: გაფიცვა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, იგი ხელს უწყობს ანარქიის შექმნას და „დემოკრატიის რიგებში“ არევ-დარევის შეტანასო. ამით მენშევიკებს სურდათ თბილისის გაფიცული მუშების წინააღმდეგ მიმართული სასტიკი დევნა და რეპრესიები გაემართლებიათ, მაგრამ თბილისის გაფიცულ მუშებს და მოსამსახურეებს, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის და, უპირველეს ყოვლისა, ბაქოს პროლეტარიატმა დაუჭირა მხარი. გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. დაიწყო პროფკავშირების სწრაფი ბოლშევიზაცია და ბოლშევიკების მხარეზე პროლეტარული მასების გადმოსვლა. მაშინდელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ სავსებით დაარწმუნა მუშათა კლასი, რომ მენშევიკები ბურჟუაზიის, კონტრრევოლუციის მხარეზე გადავიდნენ. საბჭოთა რუსეთთან, დენიკინთან და იმპერიალისტურ ქვეყნებთან მენშევიკების დამოკიდებულება აშკარად ღალადებდა ამას. მენშევიკებმა არ მიიღეს საბჭოთა რუსეთის და ბაქოს ბოლშევიკების წინადადება ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა რუსეთთან კავშირს, მათ კონტრრევოლუციასთან

კავშირი არჩიეს. მენშევიკები აწვდიდნენ დენიკინს იარაღს, საძხედრო ძასალას და ცოცხალ ძალას. ამის საპასუხოდ თბილისის ფაბრიკებში და ქარხნებში ეწყობოდა მუშების მიტინგები. მიტინგებზე გამოქონდათ რეზოლუციები, ჰგმობდნენ ძენშევიკურ მთავრობას, რომელიც დაადგა დენიკინთან აშკარა შეთანხმების გზას და ინგლისელი გენერლების წინაშე მუხლდრეკას. ამიერკავკასიის ერთიანი ფრონტის ჩასაშლელად ძენშევიკები განაგრძობდნენ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მასიურ დაპატიმრებას და რევოლუციური ორგანიზაციების დარბევას. რეპრესირებული ბოლშევიკებით სავსე იყო ყველა საპატიმრო. ბოლშევიკური ორგანიზაციები კანონს გარეშე იყვნენ გამოცხადებული. შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლშევიკების მიმართ თეთრი ტერორის გზას დაადგა, ტერორის წინააღმდეგ სამხარეო კომიტეტმა დაადგინა სათანადო პასუხის გაცემა. მენშევიკები ასრულებდნენ რა თავისი მბრძანებლების — ინგლისელების დირექტივას, არა მარტო ეთიშებოდნენ საბჭოთა რუსეთს, უთანხმდებოდნენ დენიკინს და ამარაგებდნენ მას ნავთით, ბენზინით და ცოცხალი ძალით, არამედ საშუალებას აძლევდნენ ინგლისელებს გადაეზიდათ საქართველოს რკინიგზით დენიკინის არმიისათვის ამიერკავკასიის ციხე-სიმაგრეებიდან წაღებული ტანისამოსი, არტილერია და ყუმბარები. საქართველოს და მოხალისეთა არმიის შორის ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად თბილისში მოვლენილ იქნა დენიკინის ელჩი — გენერალი ბარათოვი, რომელსაც მამაცმა მუშამ არკადი ელბაქიძემ ვერის დალმართზე ბომბი ესროლა და დასჭრა. მალე ხმა გავრცელდა ინგლისელებს ამიერკავკასიიდან თავისი საოკუპაციო ჯარები გაჰყავთო. პარიზში მყოფმა სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციებმა მაშინვე მიჰმართეს მოკავშირე და მეგობრულ სახელმწიფოთა სამშვიდობო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს — ვილსონს დაეტოვებინა კავკასიაში მოკავშირეთა ჯარები იმ დრომდე, სანამ კონფერენციის უმაღლესი საბჭო ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხს არ გადასწყვეტდა. იმჟამად დენიკინის არმია კვლავ მოსკოვისაკენ მიიწევდა, ამიერკავკასიისათვის არ ეცალა და ძენშევიკურ, დაშნაკურ და მუსავატურ მთავრობებს ეშინოდათ, ინგლისელების ჯარები ამიერკავკასიიდან თუ წავიდნენ, ბოლშევიკურ შეიარაღებულ აჯანყებას, ჩვენის ძალებით ვაი, თუ ვერ გავუმკლავდეთო. დაახლოვებით ასეთი საშინაო და საგარეო მდგომარეობა იყო საქართველოში 1919 წლის მეორე ნახევრისათვის. დენიკინის არმიის ძოსკოვისაკენ გალაშქრება და წინსვლა, რომელიც უდიდეს ხიფათს უქადდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობას, საქართველოში არსებული ეკონომიური კრიზისი, მშრომელი ძასების სიღატაკე და გაჩანაგება, მუშათა კლასის სწრაფი ბოლშევიზაცია, მშრომელი გლეხობისა და რეგულარული არმიის ჯარისკაცთა უკმაყოფილება და მათ მიერ აჯანყების მოთხოვნა, ყოველივე ეს მთელის სიგრძე-სიგანით აყენებდა ბოლშევიკური პარტიის წინაშე საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყების საკითხს.

2.

1919 წლის შემოდგომის დასაწყისში შესდგა ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმი მიმდინარეობდა ვარდისუბნის ქუჩის ბოლოს ორსართულიანი სახლის კონსპირაციულ ბინაში, რომელიც ორი ოთახისაგან შესდგებოდა. წინა ოთახი ქუჩაში გადიოდა, უკანა კი — ეზოში და იგი სახლის მობინადრეთაგან იზოლირებული იყო. ოთახში ორი საწოლი, რამდენიმე სკამი და პატარა მაგიდა იდგა. ჭერზე ჩამოკიდებული ლამპა, ელდენის დაბალი ძაბვის გამო, ოთახს ძლივს აშუქებდა. კონსპირაციულ ბინას საგანგებოდ შერჩეული და გადაცმული პირები დარაჯობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პლენუმი მეორედ იყო მოწვეული და მასზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მუშათა და გლეხთა ისევ შეიარაღებული აჯანყების საკითხი ირჩეოდა, კომიტეტის ზოგიერთი წევრი კვლავ მერყეობდა. აჯანყების წინააღმდეგ ძველი თაობის წარმომადგენელნი გამოვიდნენ. დიდი უმრავლესობა კი აჯანყებას უჭერდა ხარს. აჯანყების საკითხი კომიტეტის წევრებს ყოველმხრივ შესწავლილი და მომზადებული ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარედ კოტე გურგენიძე იქნა არჩეული, მდივნად კი — სოსო ალავიძე. დაბალი, ქერა და ნაყვავილები, ბრგე კაცი. მოხსენება სერგო ქავქარაძემ, ვანო მახათაძემ და ბორის ძელაძემ გააკეთეს.

ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი, შავგვრემანი და ლამაზი კაცი სერგო ქავქარაძე მაგიდასთან დაჯდა, გულჯიბიდან საათი ამოიღო და წინ დაიდო. ქავქარაძე შუახნის კაცი იქნებოდა, წვერი გაპარსული ჰქონდა, შავი ულვაშები კი — მოკლედ შეკრეჭილი. შავი, დიდრონი ჭკვიანი და მგზნებარე თვალები მიმოავლო დამსწრეთ და საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და აჯანყებისათვის პარტიის მზადყოფნის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა და იგი ასე დაასრულა:

— ამხანაგებო, 1918 წელს გლეხთა აჯანყების დამარცხებისა და მენშევიკების რეპრესიების გამო შეწყვეტილი პარტიული მუშაობა მიმდინარე წლის გაზაფხულიდან ისევ გამოცოცხლდა. კავკავიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩვენ — სამხარეო კომიტეტის წევრები სათავეში ჩავუდექით მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების ბრძოლას. ჩვენ უშუალოდ ვხელმძღვანელობდით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად და ვაფართოვებდით ახალი უჯრედების ქსელს ფაბრიკასა და ქარხნებში. ამჟამად საქართველოს მუშების ძირითადი მასა მენშევიკებს მოსწყდა და ჩვენ მხარეზე გადმოვიდა. ეკონომიურად გაჩანაგებულ საქართველოს მუშათა კლასი დარწმუნდა, რომ მენშევიკები ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ. გლეხობაში ჩამოყალიბებულია მებრძოლი ორგანიზაციები, რომლებიც თვითონვე აყენებენ ახლა საკითხს შეიარაღებული აჯანყების შესახებ, რადგან გლეხობა ახლანდელი მთავრობის აგრარული პოლიტიკის შედეგად საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მენშევიკები ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესების დამცველნი არიან. გლეხების უმრავლესობა იძულებულია კვლავ უღვთო და მონურ პირობებში აიღოს იჯარით მიწა ბობოლებისა და მემამულეებისაგან. მენშევიკების კომისრები და მოხელეები გლეხებს სტანჯავენ, ცარცავენ და უკანასკნელ სარჩოსა და საბადებელს ართმევენ. ვიმეორებ, გლეხობა, ისე როგორც მუშათა კლასი, აჯანყებას უჭერს მხარს. ამჟამად საქართველოში [illegible] კრიზისი მძინვარებს. ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას.. მასიური რევოლუციური მოძრაობის პირობებში კლასობრივი წინააღმდეგობანი დღითიდღე მწვავდებიან. ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი აქვთ პროლეტარიატთან და მშრომელი გლეხობის ძირითადი მასის ავანგარდში დგანან. აუტანელმა ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა მუშები მოეწყოთ ეკონომიური გაფიცვა, რომელმაც მალე პოლიტიკური გაფიცვის ხასიათი მიიღო. პარტიამ მოახერხა მენშევიკურ ჯარში ფართო გავლენა მოეპოვებინა. გარკვეულ წარმატებას მივაღწიეთ ჩვენ აგრეთვე საოკუპაციო ჯარის გახრწნაშიც. ჯარის ძირითადი მასა აჯანყების მხარეზეა და იგი იარაღით ხელში გამოვა მენშევიკების ძალაუფლების დასამხობად. ამრიგად მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და რეგულარული ჯარის უმრავლესობა აჯანყებას უჭერს მხარს. ახლა, როდესაც დენიკინი მოსკოვს უახლოვდება და რევოლუციის ბედი ბეწვზე ჰკიდია, დენიკინის არმიის ზურგში — საქართველოში აჯანყების მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აჯანყების სამზადისს ახლავე უნდა შევუდგეთ. იგი ოქტომბრის რევოლუციის წლის თავზე, 24 ოქტომბერს უნდა მოხდეს.

სხდომის თავმჯდომარის — კოტე გურგენიძის წინადადებით გადაწყდა, კამათი დარჩენილი ორი ორატორის მოხსენების მოსმენის შემდეგ გახსნილიყო. ჯარში არსებული მდგომარეობის შესახებ სიტყვა ვანო მახათაძეს მიეცა.

— ამხანაგებო, — დაიწყო ვანომ, — მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის მდგომარეობისა და აჯანყებისათვის პარტიის მზადყოფნის შესახებ ვრცელი და ამომწურავი მოხსენება უკვე მოისმინეთ. ახლა ნება მიბოძეთ გაგაცნოთ თუ რა მდგომარეობაა ჯარში. საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის ზრდამ და სამოქალაქო ომმა, ბუნებრივია, გამოძახილი ჰპოვა ჯარშიც და მას შედეგად მოჰყვა კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავება არმიაშიც, რადგან

არმია მაზარაში გადაცმული მუშებისა და გლეხებისაგან შესდგება. მენშევიკების ჯარში მეფის რუსეთის ოფიცრობა მსახურობს. ოფიცრებმა მეფის რუსეთისდროინდელი მკაცრი წესები შემოიღეს ყაზარმებში. ამიტომ ჯარში დღითიდღე ძლიერდებოდა და ძლიერდება ოფიცერთა მიმართ ჯარისკაცთა უკმაყოფილება და ზიზღი. 1918 წლიდან დღემდე საქართველოში რეგულარული ჯარის ნაწილებში დაუსრულებლივ ხდებოდა გამოსვლები და აჯანყებები. ამ აჯანყებებს მენშევიკური მთავრობა, როგორც მოგეხსენებათ, იარაღით აქრობდა. ასე ძაგალითად 1918 წლიდან დღემდე აჯანყება მოხდა თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, გორში, თელავში, ლაგოდეხში და სხვაგან. არალეგალური ჩვენი ბოლშევიკური უჯრედები ამჟამად არსებობენ ყველგან, ცოტა თუ ბევრად დიდ სამხედრო ნაწილებში. პარტიის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ამას წინათ ჩამოყალიბდა თბილისის გარნიზონის საბჭო. საბჭოში შედიან თბილისში დაბანაკებული არმიის ყველა ნაწილის წარმომადგენლები. ისინი ყველანი უკლებლივ ბოლშევიკები არიან. გარნიზონის საბჭოს თავმჯდომარე ჩვენი ამხანაგი — ზაუტაშვილი გახლავს. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაბანაკებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცთა უმრავლესობა მზად არის ბოლშევიკების პირველ მოწოდებისთანავე დაიწყოს შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური ბატონობის დასამხობად. ასეთი მდგომარეობა გალხავთ რეგულარულ ჯარში. მაგრამ ბოლშევიზმის ზრდა საგრძნობია აგრეთვე მენშევიკების პირმშო სახალხო გვარდიაშიც. მენშევიკების მიერ მოტყუებულ მუშებს უკვე თვალი აეხილათ და ბევრი სახალხო გვარდიელი ამჟამად ბოლშევიკია და თავის ნაწილში ჩვენ მოწოდებებს და არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებს. ფართო აგიტაცია და პროპაგანდა გაიშალა აგრეთვე ოკუპანტების ჯარშიაც. იბეჭდება და ვრცელდება პროკლამაციები და ბროშურები ინგლისურ ენაზე. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაბანაკებულ ჯარის, ასევე მეზღვაურების ძირითადი მასა აჯანყებას ემხრობა. აჯანყება დროულია და მიზანშეწონილი. შეიარაღებული აჯანყების სამზადისს დღესვე უნდა შევუდგეთ. აჯანყების მოსაწყობად და ხელმძღვანელობისათვის შედგენილ უნდა იქნას საბჭედრო-რევოლუციური შტაბი.

კომკავშირის შესახებ მოხსენება ბორის ძნელაძემ გააკეთა. 1919 წლის 22 სექტემბერს ბაქოში შესდგა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქნა კომკავშირის სამხარეო კომიტეტი და გამოტანილი იყო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ყველა კომკავშირული ორგანიზაციების რუსეთის კომკავშირთან შეერთების შესახებ. ბორის ძნელაძე საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორი და მისი სულისჩამდგმელი იყო. ამ ჭკვიანი, მამაცი და უშიშარი ჭაბუკის გამოსვლას პლენუმზე ყველა დიდის გულისყურით უსმენდა. ბორის ძნელაძე შუა ტანის ვაჟკაცი იყო. შავი გიშრისფერი, გვერდზე გადავარცხნილი თმა აჩენდა მის მაღალ, ფართო და ფიქალ შუბლს, რომელზედაც გეზადგამლილი, ხშირი წარბები გაწოლილიყვნენ. ოდნავ მოღუნულ ცხვირზე ძნელაძეს პენსნე გაეკეთებინა და იქიდან დიდრონი, წყლიანი, ღრმა ფიქრით სავსე, საზრიანი და მგზნებარე თვალები იცქირებოდნენ. ულვაშები მოკლედ გაეკრიჭა. მას არაბსავით მსუქანი ბაგეები ჰქონდა და ნებისყოფის მაჩვენებელი, მრგვალი და დიდი ნიკაპი. ფრენჩისმაგვარი ჯიბიანი ხალათი, გალიფე და ჩექმები ეცვა. იგი ჯარისკაცსა ჰგავდა. მთელ მის არსებაში მთლიანი და ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანი, შემმართებელი მებრძოლი იგრძნობოდა. ისე როგორც ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე და სხვანი, ბორის ძნელაძეც ახალი ადამიანის — კომუნისტის ტიპს წარმოადგენდა. ისინი მოწადინებული იყვნენ ხალხის ბედნიერებისათვის ებრძოლნათ და მოწინავე საბჭოთა ადამიანები გამხდარიყვნენ. ისინი ღრმად სწავლობდნენ ცხოვრებას, ხარბად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას და ყოველდღიურად დაინებით და შეუპოვრად შრომობდნენ და იბრძოდნენ, რათა თავისი ეპოქის მოწინავე-კომუნისტური იდეების თავდადებული მსახურნი გამხდარიყვნენ. ისინი ბოლშევიკური იდეურობის, პრინციპულობის მაგალითს წარმოადგენდნენ და პირველ რიგში ბოლშევიკურ კრიტიკას და თვითკრიტიკას აყენებდნენ. მათში ხელსახები

იყო სიახლის გრძნობა, კომუნისტური მორალი და ხალხის წინაშე სამსახურის უდიდესი პასუხისმგებლობა.

პატარა მაგიდასთან ბორის ძნელაძე მივიდა.

— ბოლშევიკები, — დაიწყო მან, — განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობას, თავს უყრიან ახალგაზრდათა კადრებს და ბოლშევიკური სულისკვეთების მიხედვით ზრდიან მათ. კომკავშირლები დიდად უწყობენ ხელს მშრომელთა შორის ბოლშევიკური გავლენის ზრდასა და განვითარებას. ისინი დიდ სამსახურს უწევენ პარტიას მის მუშაობაში. ავრცელებენ მუშებში, გლეხებში და ჯარისკაცებში არალეგალურ ჩვენ ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა მიაგნეს და დაარბიეს ჩვენი არალეგალური სტამბები, კონფისკაცია უყვეს ჩვენს მანქანებს და დაბეჭდილ ლიტერატურას, ხოლო სტამბის მუშები კი დააპატიმრეს, — ვანო მახათაძემ, მე, სტამბის მუშებმა და ჩვენს მიერ შერჩეულმა კომკავშირლებმა მოვახერხეთ მანქანის გატაცება და არალეგალური სტამბის მოწყობა დიდუბეში, სადაც ამჟამად იბეჭდება და ვრცელდება ჩვენი ლიტერატურა... კომკავშირული ორგანიზაციები არსებობენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, სამეგრელოში, გურიაში და სხვაგანაც. კომკავშირლები ეწევიან სამხედრო-პოლიტიკურ მუშაობას ქალაქებში. აგროვებენ ცნობებს სამხედრო ნაწილების დაბანაკების შესახებ. იღებენ სამხედრო ნაწილების და არტილერიის ბაზების ადგილმდებარეობის სურათებს. კომკავშირის სამხარეო კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოში შეიარაღებულ აჯანყებას და მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს, როგორც აჯანყების მოწყობაში, აგრეთვე თვით შეიარაღებულ ბრძოლაშიც.

3

სერგო ქავჟარაძის, ვანო მახათაძისა და ბორის ძნელაძის შემდეგ სიტყვა ჭალარაშერთულმა, წვერულვაშიანმა ფარნაოზ სალარაძემ აიღო. მიუხედავად შეკდომებისა, იგი თავისი ხანდაზმულობისა და სტაჟის გამო, ჯერ კიდევ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პარტიაში. აჯანყების საკითხის დაყენებას იგი იმ თავითვე გაურბოდა. პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველ პლენუმზე მან აჯანყების წინააღმდეგ გაილაშქრა. ახლა — მეორე პლენუმზე კი დიდ სიფრთხილეს იჩენდა:

— აჯანყებულ ძუშებაა და გლეხებს, ვეჭვობ, საიდანმე ეყოლოთ დამხმარე ძალა. მარტოკა საქართველოს რეგულარულ ჯარზე იმედის დაშყარება, სახიფათოა. წითელი ჯარი ამჟამად, დენიკინის ლაშქრის მიწოლის გამო, მოსკოვისკენ იხევს და ჩვენ დახმარებას ვერ შესძლებს, მენშევიკებს კი უთუოდ აღმოუჩენენ დახმარებას, როგორც დენიკინი, აგრეთვე იმპერიალისტური სახელმწიფოებიც.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამას წინათ ინგლისის ჯარებმა დატოვეს, როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ტერიტორია. — შენიშნა სერგი ქავჟარაძემ. — ინგლისი და საფრანგეთი ამჟამად მენშევიკებს ხელსახებ დახმარებას ვერ აღმოუჩენენ. გარდა ამისა, დენიკინის მთელი ყურადღება ახლა მოსკოვისაკენ არის მიპყრობილი.

— საქართველოში თუ აჯანყება დაიწყო, განა გამარჯვებულს და მოსკოვისაკენ მიმავალ დენიკინს გაუჭირდება ორი-სამი პოლკი მენშევიკებს გამოუგზავნოს ან ინგლისი განა ბათუმში და ფოთში დესანტს ვერ გადმოსხამს? დენიკინისა და ინგლისის დახმარებით მენშევიკები ჩვენს აჯანყებას სისხლში ჩაახრჩობენ.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ფარნაოზ სალარაძეს მამია დალაქიშვილმა, — ამ საკითხში დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

დალაქიშვილიც ხანში შესული, ჭალარაშერთული, გრძელულვაშიანი კაცი იყო. მის უბედურებას ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მან ჯერ კიდევ ემიგრაციაში — შვეიცარიაში ყოფნის დროს შეირთო ქართველი სტუდენტი ქალი გუგული, რომელიც შემდეგ მოწამლული მენშევიკი გახდა. ამიტომ დალაქიშვილს არა მარტო პარტიულ სხდომებზე, არამედ შინ ოჯახშიც დაუსრულებელი დისკუსია ჰქონდა. ნიკო გოცირიძე წინათაც უკმაყოფილო იყო სალარაძის და დალაქიშვილის პოზიციით და მათ მოაგონა:

— თქვენ და სალარაძე შარშან შამქორის სისხლიანი ამბების და ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტის დროსაც აჯანყების წინააღ-

მდეგ ილაქშრებდით. მაშინ მე და ვანო მახათაძე გარწმუნებდით, რომ ჯარისკაცთა საშუალებით ჩვენ სულ ადვილად გავრეკავდით მენშევიკებს და ხელთ ვიგდებდით ძალაუფლებას, მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ.

— მაშინ, კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულ რუს ჯარისკაცთა საშუალებით აჯანყება რომ მოგვეხდინა, მენშევიკები პროვოკაციას და დემაგოგიას მიმართავდნენ: ბოლშევიკებმა გარედან, უცხო ძალის საშუალებით მოახდინეს გადატრიალებაო, — შენიშნა დალაქიშვილმა.

— არა, — არ დაეთანხმა ნიკო. — ვანო და მე მუშათა რაზმების და თბილისში დაბანაკებული ქართველი ჯარისკაცების საშუალებით ვფიქრობოთ მენშევიკური ხელისუფლების დამხობას. განა დიდი ჯარი იყო მაშინ საჭირო? სულ ორი-სამი პოლკით გავრეკავდით მენშევიკებს.

საღარაძემ დამცინავად გაიღიმა და შენიშნა:

— ძალაუფლების ხელში ჩაგდება კი არ არის მთავარი, არამედ მისი შენარჩუნება. მარტოკა ჯარისკაცების საშუალებით მოპოვებული გამარჯვება ხანგრძლივი არ იქნებოდა. მაშინ კავკასიის ფრონტიდან ჩამოსული ჯარის ზოგიერთი ნაწილი დროებით იყო თბილისში დაბანაკებული. აქ, თბილისში გაჩერება არცერთ ჯარისკაცს არ სურდა და ყველა სამშობლოში, შინ მიისწრაფოდა. თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა წასვლის შემდეგ, ჩვენ უთუოდ დავმარცხდებოდით.

— არა მგონია, — განაცხადა ბორის ძნელაძემ, — ასეც რომ იყოს, სამოქალაქო ომი არასოდეს უშედეგოდ არ ჩატარებულა. სამოქალაქო ომს დაჩაგრული ხალხის გამოფხიზლების საქმეში განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. იგი აუცილებელი სკოლა და გაკვეთილია დაჩაგრული და დამონებული კლასებისათვის.

— მე ძალიან კარგად მესმის სამოქალაქო ომის მნიშვნელობა დაჩაგრული და დამონებული კლასებისათვის. იგი მართლაც დიდი სკოლაა, მაგრამ იმ სკოლის გავლა საჭიროა ჩამორჩენილი ხალხებისათვის. საქართველოს მშრომელთათვის კი ის სკოლა ახალი ამბავი როდია, — არ დაეთანხმა საღარაძე. — ჩვენ ხელს ვერ მოვკიდებთ ისეთ ბრძოლას, რომელიც, საეჭვოა, გამარჯვებით დასრულდეს. აჯანყებისა და ბრძოლის საკითხი წინასწარ, ყოველმხრივ უნდა შესწავლილ იქნას.

— ამჟამად ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ აჯანყება გამარჯვებით დასრულდეს, მაგრამ თქვენ ახლაც მერყეობთ, — შენიშნა ვანო მახათაძემ და მის გამხდარ სახეზე მოცისფრო თვალები ბრაზით აღენთნენ.

— არა მგონია, ყველა წინაპირობა არსებობდეს აჯანყების უეჭვო გამარჯვებისათვის, — მიუგო საღარაძემ. — ძნელაძე, გოცირიძე და თქვენც, ამხანაგო ვანო, ჩვენთან შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ. ახალგაზრდებს კი აჩქარება და წინდაუხედაობა გჩვევიათ.

საღარაძეს დალაქიშვილი მიეშველა და ვანოს კითხა:

— ხომ გაგიგონიათ ძველი ანდაზა: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია და ვინც რომ აჩქარებულა, მას მალე დაუნანიაო?

— მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ჩვენ შორის, — ახლა უკვე მოურიდებლად მიუგო ვანომ, — ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან გაუბედავი, უხერხემლო ბოლშევიკები, რომლებიც ყველაფერს დაუსრულებლად სწონიან, რომელთაც ერთი გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანა არ ძალუძთ, მუდამ მერყეობენ, ხშირად მარჯვნივ მიდიან, მენშევიკებისაგან ვერ გაარჩევ და საბჭოთა ხელისუფლების დაყარებისათვის ბრძოლის საქმეში ხელს გვიშლიან. როდესაც ჩვენ, ახალგაზრდები, — მიმართა ვანომ მამია დალაქიშვილს და ფარნაოზ საღრაძეს, — საყვედურს გეუბნებით, თქვენ ბრაზდებით, გვტუქსავთ და პარტიული სტაჟით და ხანდაზმულობით იკვეხნით, ან კიდევ დაგვცინით და ძველ ანდაზებს გვიკითხავთ: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. ეს ძველი ანდაზა, ჭეშმარიტად ძველი ქართველი, ჩამორჩენილი კაცის ბუნების გამომხატველია: წუთისოფელი რომ მოსჭამო, უნდა აუჩქარებლად, დიდხანს და უშფოთველად იცხოვრო. ამ ძველი ანდაზის მიმდევრებს გავიწყდებათ, რომ ამ წუთისოფლად ხშირად დგება ხოლმე ისეთი წუთი, როცა აუჩქარებლობა, სწრაფი გადაწყვეტილების მიუღებლობა, დაგვიანება და ლოდინი, შესაძლოა დასანანიებელი და საბედის-

წერო გახდეს. გავიწყდებათ, ოქტომბრის რევოლუციის წინ შეიარაღებული აჯანყებისათვის დანიშნული დღის შესახებ თქმული ლენინის სიტყვები, მისი გაფრთხილება... ახლაც ასე დგას საკითხი. ახლა რევოლუციის საბედისწერო ჟამს, როდესაც დენიკინის ლაშქარი მოსკოვს უახლოვდება და საბჭოთა რუსეთის ბედი ბეწვზე ჰკიდია, აჯანყების მიუღებლობა, დაგვიანება და ლოდინი, ეს იქნებოდა რევოლუციის, რუსეთის მუშათა კლასის და დენიკინის ლაშქრის წინააღმდეგ რუსეთში მებრძოლ წითელ არმიის წინაშე ღალატი.

ვანოს ამ განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია. ფარნაოზ საღარაძე და მამია დალაქიშვილი ღელავდნენ და ჭაღარაშერთულ წვერულვაშზე მალიმალ ისვამდნენ ხელს... მაგრამ უმრავლესობა ვანოს მიემხრო.

— აჯანყება უთუოდ უნდა მოხდეს, — განაცხადა სერგო ქავჟარაძემ. — იგი შეაფერხებს დენიკინის წინსვლას მოსკოვისაკენ, აღაფრთოვანებს და მორალურ დახმარებას გაუწევს წითელ არმიას. აჯანყებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. იგი ხელს შეუშლის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იმპერიალისტების მიერ მოწყობილ თოთხმეტ სახელმწიფოს ლაშქრობას, რომელშიაც ანტანტა ცდილობს ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მდებარე პატარა ერების და, მათ შორის, საქართველოს ჩაბმასაც. აჯანყება ჩაშლის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობის გეგმას, რომლითაც ანტანტა ასე იკვეხნის.

ბოლოს საღარაძისა და დალაქიშვილის წინააღმდეგ, პლენუმის უმრავლესობამ საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას დაუჭირა მხარი. გამოსვლების დღეთ მიჩნეულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი — 24 ოქტომბერი.

სამხარეო კომიტეტმა აჯანყების ხელმძღვანელობისათვის სამხედრო-რევოლუციური შტაბი დაამტკიცა და ყველა რაიონში თავისი რწმუნებულები დაგზავნა. აჯანყების გეგმა ზუსტად და ყოველმხრივ დამუშავებული იყო. აჯანყებისათვის მზადება სასურველად მიმდინარეობდა.

ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე, ზაუტაშვილი და სხვანი სამხედრო-რევოლუციური შტაბის წევრები — ყველანი თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა შორის მუშაობდნენ, ხოლო ორთქლმავლისა და ვაგონის სარემონტო ქარხნის ხარატი სტეფანე დანგაძე, ზეინკალი დიმიტრი ჩაპლიგინი, ასოთამწყობი შაქრო ხახუტაშვილი და სხვანი კი — ფაბრიკა-ქარხნის და სტამბის მუშათა შორის. მიხა ფრუიძე და კვესიტაძე ბიათურაში გაგზავნეს. გალაქტიონ გელაშვილი და რაჟდენ ტურიაშვილი — კარისმერეთში, ტატე ბახტაძე და მიტო ჩიკვაიძე — ხაშურში, გიგა ხუციშვილი და გიგო შიშნიაშვილი ლაგოდეხში და სხვანი კიდევ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

თავგამოდებით მუშაობდნენ აგრეთვე ნიჭიერი, მამაცი და უშიშარი კომკავშირლები ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით.

მენშევიკებმა იცოდნენ, აჯანყება რომ მზადდებოდა. გზადაგზა მათ ხელში უვარდებოდათ აჯანყების ორგანიზაციის წევრები, მაგრამ მათ ვერ მიაკვლიეს სამხედრო-რევოლუციურ შტაბს და ხელთ ვერ იგდეს აჯანყების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით აჯანყება 24 ოქტომბერს ღამით თბილისის მუშებს და გარნიზონის ჯარისკაცებს უნდა დაეწყოთ. მათ დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებიათ ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულება: ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზის სადგური, არსენალი, ყაზარმები... მიჩნეულ ნიშანზე, აჯანყება უნდა დაწყებულიყო რაიონებშიაც, რომ რაიონებს ზურგი გაემაგრებინათ თბილისში გამოსულ მუშებისა და ჯარისკაცებისათვის... დაიწყო დიდი მუშაობა და სერიოზული მზადება.

საუბედუროდ, ყოველმხრივ მოფიქრებული, გათვალისწინებული და კარგად მომზადებული აჯანყების გეგმა ჩაიშალა და იგი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. აჯანყებამდე რამდენიმე დღით ადრე 22 ოქტომბერს, გარნიზონის კრება შესდგა, რომელსაც 22 კაცი დაესწრო. კრებას საბოლოოდ უნდა დაემტკიცებინა აჯანყებაში გარნიზონის მონაწილეობის გეგმა. დამსწრეთა შორის აღმოჩნდა ერთი იუდა — გამცემი, რომელმაც მთელი კრება იქვე კიდიას განსაკუთრებულ რაზმს დააპატიმრებინა. ამავე კრებაზე

ჩავარდა მთელი სამხედრო-რევოლუციური შტაბიც. ამრიგად აჯანყება სამხედრო-რევოლუციური ცენტრის ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. მენშევიკურმა მთავრობამ ხელთ იგდო დამუშავებული გეგმა და შესძლო აჯანყების ჩაშლა, როგორც ცენტრში, აგრეთვე პერიფერიებშიც. დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელები და მონაწილენი, მუშები, გლეხები, ჯარისკაცები, მათ შორის ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე და სხვანი. სამხარეო კომიტეტმა აჯანყების გადადება გადასწყვიტა, მაგრამ მცირე დროის გამო, ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დადგენილება ცენტრიდან დროზე ვერ მიიღო და აჯანყება 24 ოქტომბერს ზოგ რაიონში მაინც მოხდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება. მაგალითად ლაგოდეხში, სამტრედიაში, სოფელ კულაშში, გუბში და სენაკისა და დუშეთის მაზრის ზოგიერთ რაიონში. 8 და 9 ნოემბერს აჯანყება მოხდა აგრეთვე გორის მაზრის ზოგიერთ რაიონში და გურიაში.

აჯანყების ჩავარდნის გამო, რაიონებმა ვერ მიიღეს ცენტრიდან დახმარება და გვარდიელების და მილიციის საშუალებით მენშევიკებმა აჯანყება განსაკუთრებული სიმკაცრით ჩააქრეს. აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკები ინტერვენტების დახმარებასაც მიმართავდნენ. მაგალითად, მეორე ლეგიონის ჯარისკაცთა აჯანყების ჩასაქრობად, მენშევიკების მოწვევით, ინგლისის კრეისერმა სოხუმში დესანტი გადმოსხა.

საქართველოში ბოლშევიკების აჯანყებას მენშევიკებმა თეთრი ტერორით უპასუხეს და მოწინააღმდეგეებს სასტიკად გაუსწორდნენ. გამხიკებული მენშევიკები ძირბუდიანად სწვავდნენ აჯანყებულთა სოფლებს. ყველა საეჭვრობილე პატიმრებით აივსო. პატიმართა, დახვრეტილთა და კატორღელთა რიცხვი 2 ათას კაცს უდრიდა... კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრთა რიცხვიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩა დაპატიმრებას. ქალაქების განტვირთვის საბაბით, მენშევიკებმა დაიწყეს საქართველოდან გადასახლება ყველა იმ პირებისა, რომლებიც ეჭვს ბადებდნენ ბოლშევიზმისადმი თანაგრძნობაში. ბოლშევიკების წინააღმდეგ თავისი სასასტიკის გასამართლებლად მენშევიკები დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან აცხადებდნენ, რომ საქართველოში ბოლშევიზმისათვის ნიადაგი არ არსებობსო, ავრცელებდნენ ყმსგავსო ჭორებს, თითქო აჯანყება მომზადებული იყო გარედან, იგი ყაჩაღურ ხასიათს ატარებდაო და სხვა...

მიუხედავად საგრძნობი მსხვერპლისა, აჯანყებას საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს აჯანყება მარცხი იყო ანტანტის პოლიტიკისათვის, რადგან ანტანტა ცდილობდა პატარა ერები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. ბოლშევიკური გამოსვლა საქართველოში აიძულებდა დენიკინს შიშით გადმოეხედნა თავისი ზურგისათვის და გადმოესროლა რამდენიმე თავისი პოლკი საქართველოს საზღვრებისაკენ მენშევიკების დასახმარებლად.

მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, აჯანყებას საქართველოში ამაოდ არ ჩაუვლია. 1919 წლის აჯანყება საქართველოს მუშებისა და რევოლუციური გლეხობისათვის სამოქალაქო ომის სკოლა იყო. აჯანყების გაკვეთილიდან ბოლშევიკებმა ბევრი რამ ისწავლეს და გამოიტანეს. პარტიამ მალე მოიშუშა აჯანყების ჩავადრნით გამოწვეული იარები, შეამჭიდროვა თავისი დარბეული რიგები და ისევ გაორკეცებულ ენერგიით და ბოლშევიკური სიმტკიცით შეუდგა სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად იატაკქვეშიდან მუშებისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლის ხელმძღვანელობას.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

იაკობ ნიკოლაძის ხსოვნას

★

როგორ გამოვთქვა გულის ტკივილი
აცრემლებული ლექსის ტაეპით? —
შენგან სულჩადგმულ ქვათა ყივილით
სამარის დუმილს შევედავებით.

შენ ასრულებდი შეუსვენებლად
ჩვენი უკვდავი დროის ბრძანებებს,
და უკვდავია შენი ხსენებაც,
სიკვდილს შენს სახელს არ დავანებებთ.

ახალი ქართლის კოშკის რაფაზე
რჩეულთა ძვირფას სახელებს წერდი,
შენ შეგიყვარეს და დაგაფასეს,
დიდების შუქით შეგიმკეს მკერდი.

ამირანის კლდეს სიმღერა უთქვაძს. —
შენ იმ კლდის ძახილს მაღლა აჰყევი
რამდენი ქვა და ბრინჯაო სუნთქავს
დღეს შენი ხელით ნაქანდაკევი!

სული ჩაჰბერე უსულო თიხას
და გააცოცხლე ლოდი უძრავი.
რაც შენ 'შეჰქმენი — დარჩება დიდხანს
დროთა ბრუნვისგან 'შეუმუსრავი.

პირველ-ოსტატი მოხველი ერთი,
მიდიხარ! — სტოვებ რამდენ ხელოვანს!
ზეშთაგონების სინათლე ერთვის
შენს გზას ბრწყინვალეს და სახელოვანს.

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო,
ჩვენს გულთან გულით გადაჭდობილო,
მომღერალ ქვათა დიდო ლოტბარო
და შემოქმედო კეთილშობილო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკინთე ლისაშვილი

ერთგულება

რომანი *

★

თავი მეშვიდე

მიდიოდნენ ზაფხულის დღეები. ნატო თავაუღებლად მუშაობდა პროექტზე. თითქმის ყოველ დღე ნახულობდა თამაზს. უთანხმებდა პროექტის ყოველ ნაწილს, ერთად არჩევდნენ ნახაზებს, შეჰქონდათ შესწორებები. ნატო სულ უფრო და უფრო რწუნდებოდა, რომ ძალა შესწევდა, ცოდნა ჰქონდა, მაგრამ გამოცდილება და გამბედაობა არ ჰყოფნიდა. თუ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს თამაზი მოუწონებდა და მისგან ქებას დაიმსახურებდა, სჯეროდა, რომ ის, რაც გააკეთა, ნამდვილია, შეუცვლელია და რაღაც ბედნიერი გრძნობით გამსჭვალული ბრუნდებოდა შინ. გეგმის შედგენას მეტის ხალისით განაგრძობდა. როცა მუშაობით მოიღლებოდა, გაღებულ სარკმლიდან ცას გაჰხედავდა, ფიქრები აეშლებოდა; თამაზი ედგა თვალწინ, მისი დანახვა გულს უნათებდა, თან რაღაც შიში ჰქონდა, წითლდებოდა, გული უცნაურად შეუტოკდებოდა, მოკრძალება იპყრობდა.

მრავალი მასწავლებელი ჰყოლია ნატოს, მრავალ ამხანაგთან უმუშავია ინსტიტუტში და ინსტიტუტის გარეთაც, მაგრამ არავისთან ასეთი მორცხვი არ ყოფილა, როგორც თამაზთან. ზოგჯერ მას აოცებდა თამაზის ოფიციალური, თითქმის გულცივი შეხვედრა. თუმცა ამ გულცივობაში ნატო რაღაც ადამიანურ სითბოსაც გრძნობდა. ალბათ ყველაფერი ამ შეფარულ სითბოდან მოდისო, ფიქრობდა ნატო, როცა თამაზი საქმეში შეელოდა. მერე როგორი საამო იყო თამაზთან მუშაობა. რა კარგი და ნათელი იყო ეს დღეები, რა ნეტარებით იყო ალსავსე ამ გასაოცარი ზაფხულის ბნელი თუ მთვარიანი ღამეები.

თავის მხრივ თამაზიც შეეჩვია ნატოსთან შეხვედრას. როცა ნატოს მოსვლის დრო მოახლოვდებოდა, თამაზი მაგიდაზე გაშლილ წიგნებსა და რვეულებს დახურავდა და ეზოში სეირნობას დაიწყებდა.

ახლაც მშვენიერი დილაა. თითქოს საგანგებოდ დღეს ნატოს ოთახში უხვად იღვრებოდნენ სხივები და თამაშობდნენ კედელზე, იატაკზე, საწოლზე, თვითონ ნატოს მოლიმარ სახეზე. ნატო წასასვლელად ემზადებოდა, პაპკაში აწყობდა ნახაზებს. აი პაპკა აიღო, კარი გააღო, გამოვიდა.

— დედი, წავედი! — დაიძახა და ეზოში ჩავიდა.

მან ხალისიანად შეათვალიერა რტოებდახრილი ვაშლისა და მსხლის ხეები; ციტრუსების ნაყოფს გაუღიმა, მერე ვარდის კოკრებს გადაუსვა ხელი; უცნაურმა გრძნობამ გული აუჩქროლა: ისეთი სითბო შეჰქონდა მის გულში ბუნების სიცოცხლისა და გაფურჩქვნის მომჯადოებელ ძალას, რომ თავის არსებაშიაც გრძნობდა გაფურჩქვნას, გალაღებას. ისე გაიტრუნა, თითქოს ესმისო, როგორ ეღვრებოდა გულში კოკრებიდან წამოსული სიტკბოება.

წავიდა. მთის ნიავი სახეზე ელამუნებოდა, უალერსებდა. წინ გადმოყრილ, ოქროსფერ თმებს ნიავი უფრიალებდა. აი, სოფლსაბჭოს შენობა. რომ არავის შეეჩერებინა, თავი დახარა ნატომ და ფეხს აუჩქარა. თამაზთან მიისწრაფოდა. იქ მიუხაროდა, სული წინ უსწრებდა. არ დაუძახნია, ისე შეაღო ჭიშკარი და თამაზისაკენ მონუსხულივით გაემართა.

თამაზი მიეგება, გულთბილად მიესალმა, პაპკა ჩამოართვა და გაუღიმა:

— იმედი მაქვს წარმატებით იმუშავებდით.

---

* გაგრძელება, „მნათობი" № 3.

ნატომ სიხარულით შეანათა თვალები.

— დიახ...

თამაზმა მაგიდაზე თვითონ გაშალა ნატოს მიერ მოტანილი ნახაზები.

ნახაზის დეტალებს უკვირდებოდა, სახე ხან მოეღუშებოდა, ხან გაუბრწყინდებოდა. გზადაგზა თითოოროლა შეკითხვას აძლევდა ნატოს და როცა პასუხს მიიღებდა, თანხმობის ნიშნად მაგიდაზე ფანქარს დააკაკუნებდა, თავს დაიქნევდა.

ნატო გულისფანცქალით მოელოდა თამაზის შენიშვნებს და ცდილობდა შეძლებისამებრ დასაბუთებული და გარკვეული პასუხი გაეცა.

თამაზმა დადო ფანქარი, დაასრულა ნახაზების განხილვა. სახე გახსნილმა ღღეს პირველად გაუსწორა თვალი ნატოს, მერე ხელი მაგიდას დაარტყა და კმაყოფილებით წამოიძახა:

— თუ ასე განაგრძობთ, პროექტი ერთ კვირაში გვექნება! ახლა მაინც დარწმუნდებიან, რომ თქვენს შესახებ მე არ ვცდებოდი. მხოლოდ, ნატო, ყურადღება მიაქციეთ გასასვლელ კარებს. — ვიწროა, გააფართოვეთ.

ნატოს გული აუძგერა არა შექებამ, არც შენიშვნამ, არამედ იმან, რომ თითქოს გულჩაკირულ ინჟინერისაგან ღღეს პირველად მოესმა თბილად წარმოთქმული მისი სახელი „ნატო“.

— თქვენ მართალი ხართ, თამაზ! რასაკვირველია, უფრო განიერი კარებია აქ საჭირო, — ნატო ვერ ფარავდა სიხარულს.

— ნახეთ, დაფიქრდით, თვით გადაწყვიტეთ, — ურჩია თამაზმა; ნახაზები შეაგროვა, ერთად დააწყო და დაუმატა: — თქვენ შეგიძლიათ დამოუკიდებლადაც დაასრულოთ ეს სამუშაო.

თამაზს გაუკვირდა, რომ მისმა აზრმა გახარების მაგიერ ნატო ჩააფიქრა და თითქოს შეაკრთო.

— რად მოიწყინეთ? — ჰკითხა თამაზმა. — თქვენი საესკიზო ნახაზი მოწონებულია, ახლა პროექტსაც მოიწონებენ და სხვა რაღა გინდათ? მალე თქვენი პროექტით აგებულ კლუბსაც იხილავთ. ინჟინერისათვის ამაზე სასიხარულო არაფერია!

— შესაძლებელია, მაგრამ... იცით, მეშინია უთქვენოდ...

— რაა უჩემოდ? თქვენთვის ახლა ყველაფერი ნათელია. მთავარი გაკეთებულია. — თითქოს გულმოსულად უთხრა თამაზმა, რადგან ნატოს გადაკრული სიტყვები არ მოეწონა. ასეთი რამ ზედმეტად, უადგილოდ ჩასთვალა.

— არა, არა, თამაზ, ძნელია მარტო... — გაწითლდა, თავი დახარა.

ღღეს ნატოსათვის სხვანაირი ღღე იყო. მართალია, თამაზმა, ღღეს მისი სახელი ასე თბილად პირველად ახსენა, მაგრამ ამავე დროს ისიც აგრძნობინა, რომ ამიერიდან მათი შეხვედრები საჭირო არ იყო. გული შიშით შეეკუმშა. თავი ასწია და თვალები ვედრებით მიაპყრო.

— თამაზ, თქვენ ჯერ კიდევ საჭირო ხართ ჩემთვის... მუშაობისათვის... საქმისათვის. ცოტა დაგვრჩა, კიდევ რამდენიმე ღღე და მერე აღარ შეგაწუხებთ. — იგრძნო, რომ აღელვებით ლაპარაკობდა, მაგრამ თავს ვერ ართმევდა თავის გრძნობებს.

— კარგი, შეგიძლიათ ყოველ ღღე მოხვიდეთ, სანამ პროექტი დამთავრდებოდეს. — უთხრა თამაზმა. მან იგრძნო რა აღელვებდა ქალს, რატომ უმძიმდა მასთან დაშორება. ეს ღღეს პირველად არ შეუნიშნავს, ამას დიდი ხანია ერიდებოდა თამაზი, თავი შორს ეჭირა. ამიტომ ექცეოდა ასე ცივად ნატოს. „მომავალშიაც ასეთი ვიქნები. ახლა კი არ არის საჭირო მისი ერთბაშად მოშორება“. — გაიფიქრა თამაზმა და გადასწყვიტა ბოლომდე გაენგრძო ნატოსთან მუშაობა. — ჩვენ ალბათ შემდეგშიაც შევხვდებით ერთმანეთს ჩვენს მუშაობაში. მე ყოველთვის მზად ვიქნები დაგეხმაროთ, თუ ეს თქვენთვის საჭირო იქნება. მაგრამ გირჩევთ ახლავე შეეჩვიოთ დამოუკიდებელ მუშაობას. მეტი გამბედაობა, მეტი დამოუკიდებლობა. ეს თქვენ შეგიძლიათ.

ნატო მზად იყო ყოველგვარი რჩევა მიეღო, მხოლოდ ახლა არ დაშორებოდა, მხოლოდ ახლა, ასე უეცრად, მოულოდნელად და მოუმზადებლად. თამაზი შემდეგშიაც პირდებოდა დახმარებას, რჩევას, ერთად მუშაობას. რამდენი უფიქრია ამაზე თვითონ ნატოს. მაგრამ ვერ უმხელდა თამაზს. ამიტომ გადასწყვიტა, რადგან შესაფერი დროც დამიდგა სათქმელს ვეტყვიო.

— მართალია, თამაზ, საჭიროა ადამიანი იმთავითვე შეეჩვიოს დამოუკიდებელ მუშაობას, საჭიროა მეტი სითამამე, მაგრამ ამისთვის უნდა გყავდეს

ისეთი ადამიანი, რომელიც გვერდში ამოგიდგება, დაგეხმარება.

— განა ჩვენში ეს ასე არ ხდება, ნატო? — უთხრა თამაზმა, — განა ჩვენ ყველა ერთმანეთს არ ვეხმარებით, ყველას ერთმანეთის წარმატება არ გვახარებს?

ნატომ აღარ იცოდა რა ეპასუხნა. მიხვდა, ჩემი აზრის დასაცავად ყველა გზა მომიჭრაო, ამიტომ სიტყვა შეაბრუნა და პირდაპირ ჰკითხა:

— თქვენ სად იქნებით, სად იმუშავებთ?

— ჯერ არ ვიცი, ნატო, ვნახოთ. დაებრუნდები თბილისში და...

ჩამოვარდა დუმილი. ნატო წამოდგა.

— მიდიხართ? — ჰკითხა თამაზმა.

— წავალ...

— მაშ შეთანხმებული ვართ, ხვალაც მოგელით.

— დიახ, მოვალ უსათუოდ.

ჭიშკრისაკენ გაემართნენ.

გზაზე საბარგო მანქანა გამოჩნდა. სწრაფად მოჰქროდა. გაისმა მუხრუჭების ხრჭიალი და მანქანა ჭიშკრის წინ შეჩერდა. გაიღო კარი და ვიღაც ჭალარა მამაკაცი ძირს ჩამოვიდა.

— ლევანი! — შესძახა თამაზმა და ჭიშკრისაკენ გაიქცა.

— თამაზ, თამაზ! — როგორც მოწაფეობისას, ქალაქიდან შინ დაბრუნების დროს, ისე იყვირა ლევანმა, მის გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ თამაზი უჯოხოდ სირბილით მიეჩქარა: — რას ვხედავ, რა ამბავია, ეს რა მომხდარა?! — ყვიროდა ლევანი.

შოფერმა ჩემოდნები ლევანს ეზოში შეუტანა და ისე წავიდა, არც გაუგიათ.

ხელიხელ გადახვეული ძმები ეზოში შევიდნენ. იქ უხერხულად შეჩერებული ნატო მხოლოდ ახლა შენიშნა ლევანმა. გული რაღაც სიამის შუქმა გაუნათა.

— თამაზ, ვინ არის ეს მშვენიერი ასული?

— ინჟინერი, პროექტს აკეთებს. — უთხრა თამაზმა.

ლევანს გაეხარდა, რომ თამაზთან ახალგაზრდა ქალი ნახა. „იქნებ დაიწყოს რაც იყო. იქნებ ეს ქალი დაეხმაროს ამაში“. გაიფიქრა ლევანმა.

ნატომ ცისფერი თვალები სახეში მიაშუქა ლევანს და მოკრძალებით მიესალმა.

— ბედნიერი იყოს თქვენი აქ მოსვლა. — უთხრა ღიმილით ლევანმა და ხელი ჩამოართვა.

ნატოს ალმური მოედო სახეზე, მაგრამ ის კი არ წვავდა, არამედ ათბობდა. მან ლევანის სიტყვებში რაღაც სხვა, უფრო დიდი შინაარსი ამოიკითხა და გული აუჩქროლა, ბაგე თავისთავად გაეხსნა, გაიღიმა.

— გმადლობთ, — უთხრა, მერე თამაზს გადახედა. — ნახვამდის!

— თქვენ მიბრძანდებით? არა, მეგობარო, ახლა ვერ გაგიშვებთ! — უთხრა ლევანმა.

— არა, მე საჭირო საქმე მაქვს, ბატონო ლევან! — მოკრძალებით, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა ნატომ, დაინახა, რომ თამაზსაც უნდოდა ახლა მისი წასვლა.

ნატო წავიდა.

— თამაზ, რად გაუშვი? — წყენით უთხრა ლევანმა.

— გადაუდებელი საქმეები აქვს. კოლმეურნეობის კლუბის პროექტს აკეთებს, ვეხმარები. დიდ საქმეს აკეთებენ აქ ლევან. ყველა ჩქარობს, ისწრაფვის.

— შენც ჩაგითრიეს? კარგი კონსულტანტი აურჩევიათ, — ლევანმა ძმას ეშმაკურად თვალი ჩაუკრა და გაუღიმა. — საიდან გაჩნდა ეს ანგელოზი? ო, თამაზ, თამაზ. მას შეუძლია ააშენოს არამცთუ კლუბი, ოქროს კომკიც. სად არიან დედა, ბაბუა, ბავშვები?

— ყველა სამუშაოთაა წასული. ყველას საქმე აქვს. ყველა რაღაცას აკეთებს. ბაბუაა მარტო სახლში.

— წავიდეთ, თამაზ! ისინი ხელიხელ გადახვეულნი ბაბუასკენ გაეშურნენ.

ლევანს აქ თითქმის ყველაფერი უღიმოდა.

ბაღში რომ შევიდნენ ლევანმა უეცრად ძმას ხელი შეუშვა:

— წადი წინ, თამაზ, ვაცარე, აბა ერთხელ კიდევ შეგხედო, როგორ გაივლი. გთხოვ, გთხოვ.

თამაზი გამართული ნაბიჯით წავიდა წინ.

გახარებულმა ლევანმა ტაში დაჰკრა და დაიძახა:

— თამაზ, ვინ იფიქრებს, რომ შენ ოდესმე ფეხი გტკიოდა!

II

ათი დღე გავიდა. ძმებისათვის ეს სიხარულის დღეები იყო.

თამაზი გამოცოცხლდა, ლევანი მოწყენის საშუალებას არ აძლევდა. როცა მზე მაგრად დააცხუნებდა, ლევანი ეზოში ჭილოფს და მუთაქას გამოიტანდა, წამოწვებოდა, ლევანი მოუყვებოდა ამბებს წარსულზე, მომავალზე. თამაზი გატაცებით უგდებდა ყურს. ზოგჯერ თვითონაც ჩაერეოდა ამ ამბებში, ყვებოდა ფრონტის ამბებს, ან თავის სტუდენტობის დღეებს იგონებდა.

ლევანი ძმას მხოლოდ მაშინ მოეშვებოდა, როცა ნატო მოვიდოდა და ნახაზების განხილვას შეუდგებოდნენ. თამაზი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ერთ საინტერესო თემას ამუშავებდა ტექნიკური მეცნიერების დარგში. ომმა ეს მუშაობა შეაწყვეტინა, თუმცა ფრონტზედაც ხშირად ფიქრობდა მასზე. ახლა ამ შრომას კვლავ დაუბრუნდა და თავაუღებლად მუშაობდა. მაგრამ ლევანი მისდაუნებლიედ ხელს უშლიდა ძმას. როცა თამაზი მუშაობას იწყებდა, ლევანი მის პირდაპირ მიწაზე დაწვებოდა, ან დაჯდებოდა და თამაზს გაბუტულ ბავშვივით უცქეროდა სახეში. მართალია ამით სტკბებოდა, მაგრამ ავიწყდებოდა, რომ თამაზს ახლა მისთვის არ ეცალა.

მუშაობით გართული თამაზი გამოერკვეოდა, ძმას სიყვარულით გაუღიმებდა, დაენანებოდა, ამბავს ვერ შეაწყვეტინებდა და სამუშაო მაგიდას მიატოვებდა, ძმას გვერდით მიუჯდებოდა, უსმენდა.

ბოლოს გადაწყვიტეს, საზიარო საქმე გაეჩინათ, დატრიალდნენ, თოხები ნახეს, ერთი ტარიანი, ერთი უტარო, უტაროს ტარი გაუკეთეს და ბაღში შეავიდნენ.

— მიწა! ერთი ეს მიწა მომათოხნინე და გულს მალამოსავით მომეცხება! — უთხრა ძმას ლევანმა და მიწის თოხნა დაიწყო.

ძმებმა ბევრი თოხნეს, მოიქანცნენ, უკან მოიხედეს, გაუკვირდათ: მთელი კვალი გაეტანათ.

ცოტა დაისვენეს. შემდეგ გადაწყვიტეს. ახლა ბოსტანში გადავიდეთ, დავამუშაოთ და მოხუცი დედა გავახაროთო.

მართლაც, სადილობამდე ბოსტანიც გათოხნეს, იქვე მიწაზე დასხდნენ, პაპიროსი გააბოლეს.

— შვილებო, სად ხართ, რამდენი გიძებეთ, — მოესმათ დედის ხმა.

— აქა ვართ, დედა! ბოსტანი გავთხა-დგურეთ. — გასძახა ლევანმა.

— შვილებო, ეს რა ამბავი ჩაგიდენიათ? თოხი ყოველთვის უხდება მიწას, მაგრამ ახლად გათოხნილს რალად უნდოდა.

— მარტო ბოსტანი კი არა, ნახე ბაღიც როგორ გავთოხნეთ! ჯერ კიდევ სადაა, მალე კოლექტივის ყანაშიც გადავალთ.

თამაზი ღიმებოდა.

დედა ხარობდა, თანაც შვილებს ურჩევდა:

— დაისვენეთ, თოხი და ბარი რა თქვენი საქმეა, თუ აქაც მოიქანცებით, თქვენ საქმეს ვინ გააკეთებს?

სადილობის შემდეგ ისევ ბაღში გადავიდნენ.

— რადგან დავიწყეთ, გიორგი გაგვლახავს, თუ არ მოვათავეთ. — ამბობდა ლევანი.

ჭიშკართან ავტოს გუგუნი გაისმა. თამაზი მიხვდა, ალბათ ჩემთან მოვიდნენო, მაგრამ ხმა არ ამოიღო, მანდარინის ფართოდ გადაშლილ ბუჩქებში უფრო ღრმად შევიდა, თოხნა განაგრძო.

— ვინ უნდა იყოს? — ჰკითხა ლევანმა.

— ალბათ ჩემთან არიან.

— არა, თამაზ, ვერსად გაგიშვებ. აქ ჩავიმალოთ.

„მობრძანდით, ვარდენ“! — გაისმა ჭიშკარისაკენ მიმავალი ასმათის ხმა.

— წავიდეთ, ლევან!

— არა; ცოტა მოვითმინოთ, იქნებ საქმე უჩვენოდაც გათავდეს!

ამ დროს ვარდენის ხარხარიც გაისმა და ძმები მიხვდნენ, რომ დედამ გაამხილა ისინი.

— თოხებით ხელში? რას ამბობთ. ძვირფასო! ხა, ხა, ხა! — იცინოდა ვარდენი და გრძელი ნაბიჯით ახლოვდებოდა. — მიჩვენე, დედა, ერთი მაგათი თოხებიც ვნახო.

— საქმე გლახადაა, ჩავცვივდით, თამაზ! — წასჩურჩულა ლევანმა.

— წავიდეთ, ლევან, უხერხულია, — გაუმეორა თამაზმა და ბაღიდან გამოვიდნენ.

— ჰო, ჰო, ჰო! აი, კოლექტივის ლაშქარი! გამარჯობათ, ძვირფასო გმირებო!

— გაგიმარჯოთ! — გაისმა ძმების საერთო პასუხი.

ეზოში დასხდნენ.

— თუ ასეთი გმირები იყავით, როგორც წესია, პირველად კოლექტივის ბალებს გაგათოხნინებდით. — თქვა ვარდენმა და ულვაშებზე გადაისვა ხელი, — ეს ყველაფერი კარგია, თამაზ, მაგრამ თქვენთან სულ სხვა საქმეზე მოვედი. ვადაზე ადრე დამთავრებული თქვენი პროექტი მოწონებულია, ხალხი კმაყოფილი და მადლობელია. ამიტომ გადავწყვიტეთ, წაგიყვანოთ და ქვეყანა გაჩვენოთ: ხვალ დილიდანვე ბახმაროს მთაზე, ჩვენი კოლექტივის ფერმაში მივდივარ და ხალხმა თქვენი წაყვანა მომანდო: ღირსნი არიან, წაიყვანეთ, მთაშიაც ჩვენი დოვლათი აჩვენეთო, ასეა, ძვირფასო ხალხის თხოვნას ვერ გაექცევით.

— თამაზი რომ მიგყავთ, გასაგებია, მაგრამ მე რა შუაში ვარ?—ჰკითხა ლევანმა.

— თქვენ იმ შუაში ბრძანდებით, ძვირფასო, რომ თამაზის ძმა ხართ და ჩვენი ქვეყნის სახალხო მასწავლებელი... ნატოც გვინდოდა წაგვიყვანა, მაგრამ საქმე არ უშვებს. კლუბის მშენებლობას შევუდექით.

— რატომ წუხდებით, ვარდენ, ჩვენ მაინც მალე უნდა წავიდეთ აქედან, — უთხრა თამაზმა.

— წასვლას მოესწრებით, ასეთი შემთხვევა შესაძლოა არასოდეს გექნეთ. გთხოვთ მოემზადოთ, საკითხი გადაწყვეტილია. — თქვა ვარდენმა, წელზე ქამარი გაისწორა და დაიძახა: — ნახვამდის გმირებო!

— კაცმა რომ თქვას, კარგი საქმეა. — წარმოსთქვა ლევანმა, — იცი თამაზ, როგორ მინდოდა, ერთხელ კიდევ გადმომეხედა ბახმაროს მთიდან, დამენახა ჩვენი საყვარელი გურია? წავიდეთ, თამაზ! მხოლოდ აი, სამწუხაროა, რომ ნატო ვერ მოდის.

— ალბათ ასე იყო საჭირო. — თითქოს ცივად წარმოსთქვა თამაზმა.

*
* *

დილით ხელპირი დაიბანეს. ლევანი ტანსაცმელს იცვლიდა, თანაც ცალი თვალით თამაზისკენ იხედებოდა, უნდოდა გაეგო, ჩაიცვამდა თუ არა თამაზი ახალ კოსტუმს, რომელიც ჩემოდანში ედო და ხელი არ ეხლო.

როცა ლევანი გამოეწყო, განზრახ თამაზის წინ სარკესთან გაჩერდა. თამაზმა ტახტის ქვეშ შედგმულ ჩემოდანს მიაპყრო თვალი, ცოტა ხანს უცქირა, მერე ზურგი შეაქცია.

— ჰო, მიდი, მიდი! გაბედე, გამოიღე, ჩაიცვი, — უთხრა ლევანმა — ხომ ხედავ, მოხუცებულობაში შესული კაცი დენდს დავემსგავსე. თუ ძველებს ჩაიცვამ, შენთან აღარ წამოვალ, თავს არ შევირცხვენ, ჰო, მოდი, გაბედე.

თამაზმა მორჩილებით გაუღიმა; მივიდა, ომის დაწყების წინ შეკერილი კოსტუმი ამოიღო და ჩაცმას შეუდგა. დღემდე მის ჩაცმას ერიდებოდა, რადგან ამ კოსტუმში გამოწყობილმა დანიშნა თამარი. სარკესთან მივიდა. მის დიდრონ თვალებში სევდის კვალი შენიშნა: „არაფერია, მიხდება კიდეც“. — გაიფიქრა და თითქოს სევდა მართლაც უხდებაო, ლაზათიანად შებრუნდა; კოსტუმი გაისწორა, ტანზე კარგად მოირგო: კოსტუმის გამოცვლამ რაღაც შინაგანი მხნეობაც აგრძნობინა.

— შესანიშნავია! აი, ვაჟკაცი! — დაიძახა ლევანმა და ძმას ირგვლივ შემოუარა. — ნეტავი ეს ახალი ტანსაცმელი, ახალ სატრფოსთან გაგიკვლევდეს გზას! — თქვა და გულიანად გაიცინა. — მერე იცი, საითკენ? ნატოსკენ!

თამაზი მოიღუშა, ხელი ჩაიქნია და ძმას წყენით უთხრა:

— ლევან, გთხოვ ასეთი რამ აღარ იხუმრო.

თამაზის ასეთმა თხოვნამ ლევანი ჩაფიქრა, ძალაუნებურად ღიღინი დაიწყო და აივანზე გავიდა.

თამაზმა იგრძნო, რომ აწყენია ძმას. ლევანი მაშინ აღიღინდებოდა ხოლმე, როცა რაიმე ეწყინებოდა.

— რა მშვენიერი დილაა, ლევან! კარგი ამინდი დაგვიდგა. — უთხრა ლევანს აივანზე გამოსულმა თამაზმა.

— იქ, ბახმაროზე, კიდევ უკეთესი ამინდი იქნება. — მიუგო ლევანმა.

ავტოს გუგუნი შემოესმათ.

— მოვიდა! — ბავშვური სიხარულით დაიძახა ლევანმა.

— მხოლოდ სანდრო მოსულა, დავუძახოთ, ვისაუზმოთ! — უთხრა თამაზმა.

ისაუზმეს. ასმათმა საგზალიც შეუხვია შვილებს, მანქანამდე მიაცილა.

— ჭკუით იყავით, შვილებო! — უთხრა დედამ როცა თამაზი და ლევანი მანქანაში ჩასხდნენ, კარი თავის ხელით მიუხურა.

მანქანა დაიძრა.

— სოფლსაბჭოში დიდი ამბები იყო; — მანქანის დაძვრისთანავე დაიწყო სანდრომ, — ალიონზე ბახმაროს გზის სამუშაოებზე გაემგზავრნენ ბიჭები. მათ წასულები უნდა შესცვალონ. ვარდენმა ჯერ მათი გამგზავრება მოაწყო, შემდეგ კლუბის მშენებლობაზე გაგზავნა ხალხი. ნატო მოწყენილი იყო. ვარდენი მიუხვდა მიზეზს. შუბლში ხელი იტკიცა და წამოიძახა: „მიგიხვდი, ძვირფასო! შენ ბახმაროს სატკივარი გაქვს! იყოს ნება შენი, გეკუთვნის და წავიდეთ“.

— აი, ეს მესმის, მართალია, ეკუთვნის. ჩინებულია! — წამოიძახა ლევანმა.

— ჰოდა, ნატომ გაიღიმა, თუმცა თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. არ მინდოდა თქვა, მაგრამ ვარდენმა არ დაუჯერა. არა, ძვირფასო, რაღა დროს უარია, გადაწყვეტილია, მოემზადე! — მივდივართ და ნატოც გულისფანცქალით ელის გამგზავრებას.

კოლმეურნეობის კანტორამდე კიდევ ბევრი ამბების მოყოლა მოასწრო სანდრომ. როცა მანქანა კოლმეურნეობის შენობის წინ შეჩერდა, აივანზე გადამდგარი ვარდენი ჩამოეგება მოსულებს და თან სავსე ხურჯინი ჩამოიტანა.

— გამარჯვებათ, ძვირფასებო. აბა, ვიჩქაროთ. ნატოს უნდა გავუაროთ სახლში.

მანქანა სამ-ოთხ წუთში ერთი პატარა ეზოს ჭიშკართან შეჩერდა. ეზოში პატარა, ლამაზი ოდა იდგა. ჭიშკართან დაწყებული ოდამდე მოკირწყლულ გზას აქეთ-იქიდან ვარდ-ყვავილთა მწკრივი ასდევნებოდა. თვალს იტაცებდა ფერთა დიდებული შეზავება. ლამაზ კარმიდამოს საერთო სურათს ამთავრებდა პატარა, კოხტა ჭიშკარი. ამ ეზოდან კაცს თვალწინ ეშლებოდა ერთი მხრივ ზღვისა და მეორე მხრივ მთის პეიზაჟი.

სახლის კარი გაიღო და აივანზე გამოსულ ნატოს ჭაღარაშერეული ქალი გამოჰყვა:

— აი, ნატო და მისი დედა! მხოლოდ დედა-შვილი ცხოვრობენ აქ. სანდრო მიდი, ძვირფასო, რაღაც მოაქვს და მიეშველე — უთხრა ვარდენმა შოფერს.

სანდრო ჩავიდა, გააღო თუ არა ჭიშკარი, მაშინვე ჭასთან შეჩერებულმა ყურებჩამოფხატულმა ფინიამ ყეფა დაიწყო.

— დამიყეფე, ჰო, დამიყეფე, ჩემო თვალჭუტია, არ შემაშინო, თვარა გული გამისკდება და წავიქცევი! — მოეფერა სანდრო ფინიას.

ფინიამ კუდი გააქნია, ერთი-ორი კიდევ შეყეფა, მერე უკან გაიქცა და ნატოს გაეთამაშა.

ლამაზი უცქეროდა პატარა ეზოს, პატარა ოდას, პატარა ჭიშკარს, ყურებჩამოფხატულ ფინიას და რაღაც ახლობელს ხედავდა მათში.

სანდრომ ნატოს დედას ხილით სავსე კალათი ჩამოართვა და მანქანაში ჩადგა.

— ძვირფასო, მთელ კვირას გვეყოფა ამდენი ხილი. — გაიცინა ვარდენმა.

— დედამ მითხრა, თამაზს ჩვენი ბახალი უყვარდაო. — თქვა ყურებამდე გაწითლებულმა ნატომ.

— თქვენ გახსოვთ, დეიდა მარიამ? — გაოცდა თამაზი.

— როგორ არ მახსოვს, შვილო, კენწეროზე რომ მოექცეოდი ჩვენ თავსხალას. — უთხრა მარიამმა.

— ხომ ხედავ, თამაზ შენი ბავშვობაც კი ახსოვთ აქ. შენ კი სტუმარივით ჩამოდი. — უთხრა ვარდენმა თამაზს და მემანქანეს მიუბრუნდა: — სანდრო, ძვირფასო, ახლა ნურაფერს მიაქცევ ყურადღებას, პირდაპირ გასწიე ბახმაროსაკენ.

მანქანაში იჭრებოდა მზის სხივები და ხან ერთს, ხან მეორეს დასთამაშებდა სახეზე.

თამაზი ისე მისჩერებოდა ნატოს, როგორც ლამაზ ქანდაკებას.

ნატოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სხივები მზიდან კი არ მოდიოდნენ, არამედ თამაზისაგან.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ, თითქო უფრო მაღლდებოდა ბახმარო, სულ ზევით და ზევით მიიწევდა მოწმენდილი ცის უსასრულობაში.

მთის ძირას მიაღწიეს.

— აქ დიდი ალმართი იწყება. საჭიროა ცოტა მოვისვენოთ. — განაცხადა სანდრომ, მანქანა შეაჩერა და პირველი გადმოვიდა მანქანიდან.

— აქ მოსვენება, მართლაც დიდებულია, ძვირფასო, — დაეთანხმა ვარდენი.

ჩამოვიდნენ, მდინარესთან შეჩერდნენ.

მთიდან ხმაურით გადმომსკდარ მდინარეს თან მოჰქონდა გრილი მაცოცხლებელი ნიავი.

— ხედავთ, რამოდენა სიკეთე მოაქვს მდინარეს? სიცოცხლე მოაქვს, — თქვა ვარდენმა და საყელო გაიხსნა, რომ ნიავი გულშიაც შეეშვა.

სწორედ აქედან იწყებოდა ბახმაროს ახალი გზა. ადამიანის ,ყოვლისშემძლე ხელით გარღვეული მთის ხონჩხი მოჩანდა აქა-იქ, ნარღვევებში ძირფესვიანად ამოთხრილი ხეები მდევებივით გაწოლილიყვნენ, ხოლო უფრო შორს, — სოჭითა და ნაძვებით დაბურულ მთაში გზა აღარ ჩანდა. უსასრულო ტყეში იკარგებოდა.

სანდრომ მგზავრებს გასძახა:

— მობრძანდით! მანქანას წყალი შევასვი, ჩვენ კი გზაში წყაროს წყალი შეგვიძლია მივირთვათ.

— მართალია, ძვირფასო! — უთხრა ვარდენმა, მაგრამ მისი სტუმრები ადგილიდან არ იძროდნენ, ჯიქრს მიაცემოდნენ; ლევანის მოღიმარ სახეს ზოგჯერ რაღაც ბინდი გადაეკვროდა. ვინ იცის, იქნებ ეს იყო მოგონება იმ საყვარელ ადამიანებზე, რომლებიც აღარ იყვნენ ამ ქვეყანაზე. ეს მოგონება სახეს შეუბნელებდა, მაგრამ სიკვდილ მალე ერეოდა, კვლავ მხიარულ გუნებაზე დგებოდა.

მხოლოდ ნატოს ღიმილი იყო უზადო, ხალასი, ნამდვილად ბედნიერი. მას არავითარი სამწუხარო მოგონება არ უდაღავდა გულს. ნატოს უდროოდ დაკარგული მამაც აღარ ახსოვდა. ერთადერთი შვილი დედამ გაზარდა და მწუხარების აჩრდილი არ მიკარებია.

თამაზისათვის კი რამდენადაც მიმზიდველი იყო ბუნების სურათი, თითქოს იმდენადვე მტკივნეულად კრთოდნენ მისი სახის ნაკვთები, ხოლო მისი თვალები უმოძრაოდ რჩებოდნენ.

— წავიდეთ, ძვირფასო! — დაიძახა ვარდენმა.

მანქანა დაიძრა.

მდინარეზე ახლად აგებული ხიდი გამოჩნდა, ქვემოთ ხევში რძესავით თეთრი მდინარის ხმაური ისმოდა. ხიდზე სიფრთხილით გადიოდა მანქანა.

ამ სიფრთხილის გრძნობამ უნებლიედ მგზავრებიც შეიპყრო. ისე აწურულნი ისხდნენ, თითქოს სურთ მანქანას ტვირთი შეუმსუბუქონო.

როგორც იყო ხიდზე გავიდნენ. მანქანა ალმართს შეუდგა. იგი ისე გმინავდა, შფოთავდა, ხრიალებდა, თითქოს მთას ეძუქრებაო: „ვერ შეძაჩერებ! გიჯობს დაძნებდე“.

— სად მივდივართ, ძვირფასო? ცაზე ავდივართ? — იკითხა ვარდენმა, როცა სანდრომ მესამე მთაზე გაძარჯვებულის იერით ააგელვა მანქანა და ალისფერი ქოჩორი მედიდურად მალა აჰყარა.

— ჯერ კიდევ სადა ხართ! — წარმოსთქვა სანდრომ; — მალე ჩვენი ბიჭების უბანს მივაღწევთ, გზაზე გაცხარებული მუშაობაა და იქნებ არც გაგვატარონ.

ცოტა კიდევ და იმავე გზის ვიწრო ხვეულში ადამიანთა ჯგუფი გამოჩნდა. სანდრომ იქვე შეჩერებული საბარგო ავტო იცნო და წამოიძახა:

— აი, ჩვენი მანქანა, დილით სოფლიდან რომ გამოემგზავრა!

გამაყრუებელი გრგვინვა გაისმა მთაში: ცოტათი მოშორებით პიტალო კლდიდან ამოვარდნილმა ცეცხლმა გაჰკვეთა ჰაერი და კლდის ნამსხვრევები ცას მიაყარა.

— ვარდენი, ვარდენი! — დაიძახეს გზაზე მომუშავე ახალგაზრდებმა, როცა სანდრომ მანქანა შეაჩერა.

ვარდენი ჩამოვიდა:

— გამარჯობათ, ძვირფასო ბიჭებო! — ხელების გაშლით მიესალმა ვარდენი კოლმეურნეებს.

— ვარდენს სალამი!

— ვარდენს გაუმარჯოს!

გაისმა აქეთ-იქედან კოლმეურნეთა შეძახილები.

— საქმე როგორაა, მეგობრებო, ხომ არაფერი გაკლიათ? ხომ არაფერი გიჭირთ?

— შემწვარი სულუგუნები გვაკლია, ვარდენ. — დაიძახა ერთმა შავგვრემანმა ჭაბუკმა, რომელსაც ხელში წერაქვი ეჭირა და ქვას თავგამოდებით ურტყამდა.

— იქნება, ძვირფასო! გამოგივლით და ჩამოგიტანთ! — შეეპირდა ვარდენი.

გზაზე მომუშავე კოლმეურნეებმა სიცილი მორთეს.

— შემწვარ სულუგუნს ჩხავერი უხდება, ვარდენ.

— აი, აქ ჩაცივებული. ამ მდინარეში.

— იქნება, ჩხავერიც იქნება, ძვირფასებო. — ეუბნებოდა ვარდენი კოლმეურნეებს. — წავიდეთ, სანდრო. — უთხრა მემანქანეს.

ვარდენი გახარებული იყო მშენებლობის სურათით, კოლმეურნეები ვეფხვებივით შებმოდნენ მთას, ანგრევდნენ კლდეს. ისინი გურიის თითქის ყოველ კოლმეურნეობიდან თავიანთი სურვილით გამოსულიყვნენ გზის საშუშაოზე და თვითეული იმათგანის სახეზე სიხარული ეწერა. ისმოდა ყიჟინა, თოხისა და წერაქვების ჯახა-ჯუხი, ქვის მჭრელი ბურღების ხრჭიალი და ალაგ-ალაგ აფეთქებათა გრიალი. რაც უფრო ზევით მიიწევდნენ, გზა უფრო ვიწროვდებოდა, სვლა ძნელდებოდა, სახიფათო ხდებოდა.

თითქოს თვითონ მთა ძალობდა, რომ მანქანისათვის დაბრკოლება შეექმნა, თავისი სიამაყე არ შეელახვინებინა, მაგრამ მანქანა აღარ ცხრებოდა, ზოგჯერ სუნთქვას, თუ შეანელებდა ისიც იმიტომ, რომ შემდეგ უფრო მეტი ძალით გაჭრილიყო წინ და დაეძლია, უფრო მაღალი მწვერვალები.

ერთი სიმაღლე კიდევ აიარეს და მანქანა კლდეში ამოხეთქილ წყაროსთან შედგა.

— წყაროს მივადექით და შეგვიძლია მივირთვათ. — თქვა სანდრომ, მანქანიდან გადმოხტა, ჭიქა შეუშვირა წყაროს. ყინულივით ცივ წყალს სანდრო ხან ერთს აწვდიდა ხან მეორეს: მაგრამ მგზავრები ჭიქას ისე ართმევდნენ, რომ სანდროს არ უცქეროდნენ. მათი თვალები ბუნების გასაოცარი სურათებისაკენ გარბოდნენ.

დასავლეთით, გამჭვირვალე ნისლების ქვემოთ, მთელი გურია გაწოლილიყო, იქ ზვირთებივით ამაღლებულიყვნენ პატარა გორაკები, ვიწრო ვერცხლისფერ ზოლებად კრთოდნენ მდინარეები და უფრო შორს ფართედ გაწოლილ შავ ზღვას მზის სხივები აელვარებდა.

აღმოსავლეთით ვეებერთელა ტაფობი ტყეს ამოევსო, ამ ტაფობის იქითაც მთა იწყებოდა, იმ მთასაც გაუვალი ტყე ფარავდა.

ჩრდილოეთით ჭალარა ვაკეებს მწვერვალები აღმართულიყვნენ, ხოლო სამხრეთით, სადაც თვით ბახმარო მოჩანდა, ტყით შებურვილ მთებს თავზე ხავერდოვანი ბალახის მწვანე ქუდები ჩამოეხურათ. აქა-იქ ხევში ჩარჩენილ ნისლებს ჰაეროვან ასულებივით გაეშალათ ხელები, მიიწევდნენ ზევით, ინთქებოდნენ მთის გამჭვირვალე ჰაერში.

ვარდენს უფრო ტყეები და საბალახოები ნიბლავდა, მგზავრებს უხსნიდა:

— დააკვირდით, ძვირფასებო, აი, იმ ტაფობში რა ხეს არ ნახავთ! უფრო ხშირად და მუქმწვანედ რომ მოსჩანს ნაძვებია, მხრებდაშვებულნი და თავაწეულნი. უფრო ნათელი ფიჭვებია, უფრო ახლო წიფლები, მერე მოდის ცაცხვები და თელები. აჰა, ხომ ამჩნევთ, აქა-იქ ხარის ტყავის ოდენა ადგილი რომ უკავია უნაპირო ტყეებში, ის ურთხმელია; რადგან ყველას ვჯობივარ, ამიტომ ყველაზე ცოტა უნდა ვიყოვო, — ამბობს და მზეთუნახავივით გვემალება ამ ტყეებში. აი საბალახოები! იქ კოლექტივის ჯოგს აძოვებდნენ ჩვენი მწყემსები, — დაასრულა ვარდენმა და თანამგზავრებს ისე გადახედა, თითქოს ყველაფერი, რასაც უჩვენებდა, მისი ხელით ყოფილიყოს შექმნილი.

— ეს რა გზა გაგიყვანიათ! ვინ იფიქრებდა, რომ აქ ოდესმე ავტომობილი გაივლიდა. ზღაპარია, სასწაულია! — იძახდა აღფრთოვანებული ლევანი და მთის სუფთა ჰაერს ხარბად სუნთქავდა; აღარ იცოდა, როგორ გამოეთქვა ის დიდი გრძნობა, რაც მის გულში არ ეტეოდა.

— ვისაც ეს მხარე არ უნახავს, განა მას უცხოვრია ქვეყანაზე, ძვირფასო? — სიამაყით ამბობდა ვარდენი.

— ეს ჩვენი სამშობლოა, ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებულად ტკბილია. ასე გვგონია ქვეყნად არაფერი ამის მსგავსი არ არის. თუმცა დედამიწაზე ბევრი კარგი ქვეყანაა, მაგრამ ადამიანს თვისი მხარე, თავისი კუთხე ყოველთვის უფრო ლამაზი გონია. — უთხრა ვარდენს ღიმილით ლევანმა. — მეც ასე მგონია, ვარდენ, რომ ამ მხარეზე ულამაზეს კუთხეს სხვაგან ვერსად ნახავსთქვა კაცი.

— ჰო, ძვირფასო, ჩვენი სამშობლო მაინც სულ სხვაა. ეს ბუნება, ეს მიწა ჩვენი დიდი ქვეყნის მშვენებაა.

— ასეა, ასე, ვარდენ, — დაეთანხმა ლევანი, რომლის ყურადღება ისევ მთის სურათებს მიეპყრო.

ნატოს ხელები ისე გაეშალა, თითქოს ცაში აფრენას ლამობსო. მისი სახე სიხარულით განათებულიყო, ნატო პირველად ხედავდა ამ სურათებს.

თამაზსაც ხიბლავდა ეს წარმტაცი სურათები, მაგრამ რაღაც სხვა გრძნობა ულმობელი ხელით აქრობდა მის სულში აღტაცებას.

— ავტო მზადაა, — დაიძახა სანდრომ, რომელსაც აოცებდა მგზავრების გატაცება მთის სურათებით.

— წავიდეთ, ძვირფასო! — დაეთანხმა ვარდენი.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ ბახმაროს მთას, მით უფრო ჰკარგავდა იგი მკაცრი სიამაყის იერს.

შუადღე იყო, როცა გორაკ ბახმაროს მიაძახა მანქანამ, ერთხელ კიდევ სწრაფად გაქანდა, დაიგუგუნა და აგარაკის მოედანზე გაიჭრა.

— აქ, ნუ გავჩერდებით, პირდაპირ ფერმაში წავიდეთ, ვარდენ! — თხოვა თამაზმა.

ვარდენს ვერაფრით ვერ აეხსნა თამაზის ასეთი სურვილი, მაინც წინააღმდეგობა არ გაუწია.

— კარგი, თანახმა ვარ, მხოლოდ რაღაც უნდა წამოვიღო და ორ წუთში აქ ვიქნები! — უთხრა ვარდენმა და სადღაც წავიდა.

მოედანზე ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი მოაგარაკეები დასეირნობდნენ, კამათობდნენ, ხელებს შლიდნენ.

ნატო წყვილად მოსეირნე, თუ ჯგუფ-ჯგუფად მდგარ ახალგაზრდობას აკვერდებოდა. ისინი ხმამაღლა იკინოდნენ, ხელებს შლიდნენ. ნატოს ყოველივე ეს ახარებდა, აღაფრთოვანებდა და არ უნდოდა მოაგარაკეთა შორის ვინმე ისეთი შეენიშნა, რომლის ხილვა ნათელ განწყობილებას გაუქარწყლებდა.

ლევანი უღიმოდა ბავშვებს, რომელნიც მანქანასთან შეკრებილიყვნენ და დიდი ინტერესით ერთმანეთს ეკამათებოდნენ:

— ემადინია.

— ორმოცდაათი ცხენის ძალა აქვს.

— ორმოცდაათი კი არა, სულ არ გცოდნია: ოცდაათი აქვს.

— ორივენი ცდებით. ამას — დოყლაპიაც მიხვდება. ორმოცდახუთი ცხენის ძალა აქვს.

— არაფერიც!

— ამისთანა მანქანა ქვეყანაზე არ გაჩენილა! — ამბობდა ერთი, ყველაზე პატარა, ქერა, ბიჭუნა.

— ძვირფასებო, გამიღეთ კარი! — მიაძახა ვარდენმა ბავშვებს.

მანქანის სახელურს სამი ბავშვის ხელი ერთად წაეტანა, ერთმანეთს არ ანებებდნენ და კარი ისევ ლევანმა გააღო.

— ჰა, თქვენ ცუგრუმელებო, ხომ დაგასწარით! შესძახა ბავშვებს ლევანმა.

ბავშვები დარცხვენილი ღიმილით მიჩერებოდნენ.

ვარდენმა მანქანაში ჩაალაგა ღვინით სავსე ბოთლები და ყველა მიხვდა, თუ სად და რისთვის იყო წასული.

— ჩვენი მწყემსები უნდა დავარწმუნო, რომ ყველაფერი სოფლიდან მომაქვს. თუ რამე არ მიუტანე, ისე არ მ მესვლება — ამბობდა ვარდენი.

სანდრო საჭეს მიუჯდა.

— ბავშვებო, გზა! — დაიძახა, თავი აიქნია და ქოჩორი უკან გადაიყარა.

ქვევით, მწვანე ბალახით შემოსილ ველზე გავიდნენ. აქაც მდინარე ბახვს მიადგნენ. ის თითქოს გურიაში დატოვეს და აქაც წინ დაუხვდათ, აქ, მთაში, უფრო პატარა მოჩანდა, იმდენად პატარა და გამჭვირვალე, რომ შიგ ყოველ კენჭს დაინახავდი. მდინარე ჩქარობდა, ხმაურობდა, თითქოს გაბრაზებული მიიკვლევდა თავის გზას.

მანქანამ მდინარე გადალახა და ჭალაზე გაიჭრა.

მდინარის გასწვრივ საქონლის ჯოგი შესეოდა მინდორს და მთის ბალახს დახარბებით დაწაფებოდა.

— აი, ჩვენი ჯოგი! აგერ, მთის ძირას ტყეზე დამდგარი ბოლი რომ მოსჩანს, იქ ჩვენი ფერმის კარვებია, — სთქვა ვარდენმა სტუმრებს ხან ტყეზე, ხან ველზე უთითებდა. კოლმეურნეობის ფერმასთან მიახლოვებამ თვითონაც ისე გაახარა და ააღელვა, რომ მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, სული წინ გაურბოდა.

— პირდაპირ მწყემსებთან წავიდეთ, ვარდენ! — თხოვა ლევანმა.

— რასაკვირველია, პირდაპირ მათთან, სანდრო! აგერ ხომ ხედავთ, ის ჩვენი ფერმის გამგეა, აქეთკენ მოდის, ალბათ შეგვნიშნა! ქრისტეფორე, ქრისტეფორე!

ძაღლები ყეფით გამოქანდნენ მანქანისაკენ.

— ჰაიტ! — გაუჯავრდა ქრისტეფორე ძაღლებს.

გახარებული ქრისტეფორე სახეგახსნილი მოისწრაფვოდა წინ, ხოლო მის გვერდით მომავალი ძაღლები წრიალებდნენ, ჩქარობდნენ. წინ გაჭრას მაინც ვეღარ ბედავდნენ.

როცა ქრისტეფორემ ჩამოსულთა შორის ქალი შენიშნა, უეცრად შედგა, რატომღაც წვერზე ხელი მოისვა, ნაბიჯი შეანელა, აბურძგნული თმები გაისწორა.

დათვისოდენა ქოთაკები ისევ აყეფდნენ, მაგრამ ქრისტეფორეს შეძახილმა ჩააჩუმა.

ქრისტეფორე შორიახლო შედგა მანქანასთან. მაღალი, ჩაფსკვნილი, ახოვანი. იგი გაოცებით შეცქეროდა ახალმოსულებს, ეტყობოდა, უცხო სტუმრებს არ ელოდა.

— გამარჯობა, ქრისტეფორე, ძვირფასო! — მიესალმა ვარდენი.

— გაგიმარჯოთ, მობრძანდით! — უპასუხა ქრისტეფორემ და ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

ვარდენმა მხარზე დაჰკრა ხელი ქრისტეფორეს.

— ეს ჩვენი ქრისტეფორეა, ფერმის გამგე, საქონლის ღმერთი.

ქრისტეფორეს შუქი შეჰფენოდა სახეზე, ეტყობოდა, მოულოდნელი სტუმრების მოსვლა უფრო ახარებდა, ვიდრე ვარდენის ქება.

ველზე გაშლილ ჯოგისაკენ გაემართნენ.

ფეხქვეშ აბრეშუმივით შრიალებდა მთის ხაშხაშა, მაღალი ბალახი. იქვე მიბუტბუტებდა მდინარე ბახვი. ნაირფერებად ბრწყინავდა ბალახი. ქროდა მთის სუფთა ნიავი, სტუმრებს სახეს უგრილებდა, თმებს უწიწავდა, თითქოს რაღაც საამურ ამბებს ჩასჩურჩულებდა. მერე რამდენი მწვერვალები, ტყეები, ხეობები, ჩანჩქერები და ველები გადმოევლო მთის ნიავს! მოდიოდა, მთა და ველის სურნელება მოჰქონდა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საქონლის ჯოგს, თითქოს მით უფრო მრავლდებოდა იგი. ჯოგის იქით ველი არ სჩანდა. საქონელი მადიანად სძოვდა მთის ბალახს. დასუქებულიყო ჯოგი, დამძიმებოდა ტანი. უფრო შორს, მთის ძირას ზმუილი ისმოდა. ერთი ბუღა თვალების ბრიალით გამოიჭრა წინ. დაფრთხა ჯოგი, აქეთ-იქით მიმოიფანტა.

— ხომ ხედავთ, როგორი ჯიშიანი საქონელი გვყავს? აგერ ფურები! ისინი უკრაინელებმა გვაჩუქეს! მათ ჩვენც ვეხმარებოდით და ვეხმარებით! ჩვენც გვყავს ჩვენი ახალი ჯიშები, არა მარტო ძროხები, ცხენებიც! აი, წითური ხარები, თვალებს რომ აბრიალებენ — ეს ჩვენებურია. ჩვეულებისამებრ მოღიმარი და სახეგახსნილი ამბობდა ვარდენი.

თამაზი გრძნობდა, თუ როგორ ახარებდა ვარდენს მის მიერ თქმული ყოველი სიტყვა კოლმეურნეობის მიღწევებზე, დოვლათზე. თვითონ თამაზიც გახალისდა, ალაპარაკდა. იგი, განსაკუთრებული ინტერესით უკრაინელი კოლმეურნეების მიერ მოძღვნილ საქონელს ათვალიერებდა. საიდან მოიყვანეს ისინი, რა დიდი მანძილი გადმოატარეს, მაგრამ თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს არაფერიც არ შეცვლილა, თითქოს ისევ მშობლიურ უკრაინის მიწაზე არიანო, მადიანად სძოვდნენ ქართული მიწის გემრიელ ბალახს.

— ომის დროს გაზეთებში ვკითხულობდი თქვენი და უკრაინელი კოლმეურნეობის მეგობრობაზე. მაშინ უკრაინაში ვიბრძოდი, მაგრამ ასე მეგონა საქართველოს მიწას ვიცავდი.

— ეს ჩვენი კანონია, ძვირფასო! ჩვენ და უკრაინელებს ერთი სამშობლო გვაქვს, ერთი მიწა. ჩვენ ერთი გული გვაქვს და ამიტომ ვართ ძლიერი. აგერ, ჩვენმა ქრისტეფორემ, თვალებს რომ აბრიალებს, ბერლინამდე ჩასდია მტერს.

— ეჰეი! — გაისმა შეძახილი და მათკენ სირბილით მომავალი ყმაწვილი გამოჩნდა. მას მოწითალო, დიდი და ბეწვდახვეწილი ქოფაკი მოსდევდა.

როცა ყმაწვილი შენიშნა ქრისტეფორეს თვალები გაუბრწყინდა.

— მოვიდა აფთარი... ჩემი ვაჟია...

— ეს მარადია, ძვირფასო? შეხედეთ! — გაიკვირვა ვარდენმა, მერე მოახლოებულ ყმაწვილს გასძახა:

— ბიჭო, ძაღლმა არ გაიოგასწროს, არ შემარცხვინო!

ძაღლი თითქოს მიხვდა, რომ იგი ახსენეს და ყეფა დაიწყო.

— დაჩუმდი, ლეგა!.. გამარჯობა! — მკვირცხლად მიაძახა უცხო სტუმრებს თმახუჭუჭა, თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილმა და თვალების ბრიალით მოძალებულ ქოფაკს ჯოხით გზა გადაუღობა. მაგრამ ძაღლი წინ გაიჭრა.

შეკრთა ნატო, მკლავში სწვდა თამაზს, მიეკრა. ამან უფრო შეაკრთო და დააბნია.

თამაზი გაწითლდა.

— მშიშარა ყოფილხართ. — უთხრა ყრუდ ნატოს და მკლავი გაითავისუფლა, რადგან ამ დროს ქრისტეფორემ ძაღლს ხელი სტაცა და განზე გაიყვანა.

— მშიშარა? — იკითხა ნატომ; მერე დაუმატა: — არ ვიცი...

ცოტახნის შემდეგ, როცა მთის ძირს მიაღწიეს, ნატომ გულში თავისვე სიტყვები გაიმეორა: „არ ვიცი“.

ამ დროს იქვე, სადაც ველი თავდებოდა და მთის შეფენებაზე ტყე იწყებოდა, უცებ ძლიერი თქარათქური გაისმა და უმალვე ჭენებით მომავალი რემა გამოჩნდა.

— უტიეთ ძვირფასო, თორემ გაგთელავთ! — დაიძახა ვარდენმა და განზე გადახტა.

ვარდენს სხვები მიყვნენ. გადახტა თამაზიც. გზაზე მარტო ნატო დარჩა. შეკრთა, ადგილზე გაქვავდა! რემა გასაოცარი სისწრაფით ახლოვდებოდა. კიდევ ცოტა და გადათელავდა ნატოს. თამაზი ფიცხლად შემობრუნდა და მიეჭრა ნატოს, ხელი მოხვია, მაგრამ ვერ გაიტაცა. მოიჭრა რემა. თამაზი ხან აქეთ გასწევდა ნატოს, ხან იქით, სწრაფად უქცევდა გვერდს ცხენებს, რომლებიც თვალგანათებით მოჰქროდნენ.

უბელო ბედაურზე შემჯდარი მწყემსი უკან მოსდევდა რემას, ისიც შესულიყო აზარტში, ცხენს ქარიავით მოაქროლებდა და მთელი ხმით მოჰკიოდა:

— ჰაჰაა!

გრიალით ჩაიარეს ცხენებმა. ნატო და თამაზი უძრავად იდგნენ.

— ცოცხლები ხართ, ძვირფასო?! — დაიძახა ვარდენმა.

— როგორ გადარჩით?! — დაიყვირა ლევანმა, რომელსაც მართლაც შეშინებოდა და თმა აწეწოდა.

— თქვენ, ძვირფასო, ვეფხვები ყოფილხართ! — დაიძახა ვარდენმა.

ნატო წითლდებოდა, თავს დაბლა ხრიდა. ის სურათი ედგა თვალწინ, თუ როგორი სისწრაფით მიეჭრა თამაზი, ხელი მოხვია და მიიზიდა. ვაჟკაცის შეხებით გამოწვეული ჟრუანტელი თითქოს ახლაც უვლიდა ტანში.

ტყეში შეეიდნენ. მცირე მოედანზე ყავრით დახურული რამდენიმე კარავი გამოჩნდა.

ქრისტეფორე სტუმრებს წაუძღვა. როცა კარავის კარი გაიღო, წინ გრძელწვერიანი, წელში მოხრილი და პირში ჩიბუხგამოჩრილი მოხუცი შემოეგება.

მოხუცმა კარავში შესულ ქრისტეფორეს თვალებზე ჩამოფარებულ წარბების ქვემოდან გახედა, ჩიფჩიფით ჰკითხა:

— ვარდენი არ ჩანს?

— აქა ვარ, ძვირფასო! — დაასწრო ქრისტეფორეს პასუხი ვარდენმა, მივიდა, მოხუცს ხელი მოჰხვია.

— აი, ჩვენი უხუცესი მეჯოგე, სახელგანთქმული ბესარიონი!

— გამარჯობა, ბაბუა, — მიესალმა ნატო ბესარიონს.

— თქვენა... ნატო ხარ, ბაბუა? — გაიკვირვა მოხუცმა, ხელები უხერხულად ააფათურა, თითქოს მოულოდნელმა სტუმრებმა დააბნიესო. მერე დაიძახა: — გაგიმარჯოთ! მობრძანდით!

ქრისტეფორემ და მოხუცმა ყველას სათითაოდ დაუდგა საჯდომად გამოთლილი მორგვები. მაგრამ სტუმრები ჯერ კიდევ იდგნენ, ინტერესით ათვალიერებდნენ კარავის მოწყობილობას. კარავი შუაზე იყო გაყოფილი; ეტყობოდა, პირველი ნახევარი მწყემსების სადგომი იყო, სადაც შუაცეცხლის გარშემო ნარები გაეწყოთ. ნარებზე ნაბდები ეფინა. ეყარა ქეჩები, ფარდები, ნადირის ტყავები, რომელთა შორის ყველაზე შესამჩნევი შავი დათვის ვეება ტყავი იყო. კარავს წნელით დალობილი კედლები ჰქონდა. კედლების გასწვრივ სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის კასრები და ქვაბები იდგა.. კარავის ერთი კუთხე იარაღით იყო სავსე. აქ იყო ძველი თუ ახალი იარაღი — დაწყებული კაჟიანი თოფით და ხანჯლებით — გათავებული ბერდანით და შაშხანით.

კარავის მეორე მხრიდან ხბოების ბღავილი ისმოდა.

აქვე, შესასვლელშივე ორი ვეებერთელა კასრი იდგა.

სტუმრები რაღაც უცნაურმა ხმამ გააოცა. კარვის მეორე ნაწილის ერთ კუთხეში რაღაც ბუტბუტებდა, ღობეს ამტვრევდა.

სტუმრებმა თვალები დააცეცეს, მიმოიხედეს, მაგრამ ვერაფერი შენიშნეს.

ქრისტეფორე მიხვდა რასაც ეძებდნენ.

— იქ დათვის ბელი ბრძანდება!

— რას ამბობთ, თქვენ დაიჭირეთ?— ჰკითხა ლევანმა.

— ქრისტეფორე დათვს ხელით იჭერს და კიდეც წვრთნის. — თქვა ვარდენმა.

სანდრო შეუდგა წამოღებული სურათისა და სხვა ბარგის კარავში შემოზიდვას.

ვარდენი მიეშველა.

— ეს რომ არ მომეტანა, არ მომიშვებდნენ. ხომ ბაბუა ბესარიონ? ეუბნებოდა ვარდენი მოხუცს და თან სურსათსანოვაგეს ნარებზე აწყობდა.

ქრისტეფორემ სტუმრებს ხელპირი დააბანინა და ვარდენის დახმარებით სუფრა გაშალა.

— ახლა სახელდახელოდ მიირთვით და საღამოსთვის ისეთი ვახშამი გვექნება, ისეთი ვახშამი... — სიტყვა არ დაასრულა ვარდენმა ბესარიონს მიუბრუნდა, — როგორი, ბაბუა ბესარიონ?

— როგორი და როგორიც ასეთ ძვირფას სტუმრებს შეეფერება ბაბუა.— უთხრა ღიმილით ბესარიონმა თავმჯდომარეს.

მზე გადიხარა, მისი ოქროსფერი სხივები ტყეს ხანძარივით მოედო; მერე ქვევით დაიწია და ხეობაში ჩაეშვა. ჩამავალი მზის სხივებს დაეფარა მწვერვალები და ისინი გიგანტურ კელეპტრებივით ენთნენ სივრცეში. მუქდებოდნენ ტყეები, ღრმა ხეობებში იგრაგნებოდა ყომრალი ნისლი და ტყეებს ზეწარივით ეფარებოდა. ახლა თითქოს ბახვმაც ხმა აიმაღლა, მისმა შხუილმა ხევი აავსო; მთის ცივმა ნიავმა დაუბერა ტყე ახმაურდა.

საკარვეებთან ერთი ალიაქოთი შეიქნა. ჰყეფდნენ ძაღლები, ჭიხვინებდნენ ცხენები, ბღაოდა ნახირი. შიგადაშიგ მწყემსების მბრძანებელი და მომწესრიგებელი ხმა გაისმოდა.

სტუმრები გარეთ გამოსულიყვნენ, თვალს ვერ აშორებდნენ წარმტაც სურათს. დამკლავებული ქრისტეფორე მოუსვენრობდა, კარავიდან კარავში გადარბოდა, რაღაც მიჰქონდა და მოჰქონდა. ზოგჯერ კარავის კარებზე მოძალებულ ხბოებს უჯავრდებოდა. ბესო ვეებერთელა ღარზე გადმონაჩქეთ წყალს უდგამდა კასრებს, სხვა კასრებშიც ასხამდა და გულმოდგინედ რეცხავდა მათ!

გამოჩნდნენ ცურებდამძიმებული ფურები, გაბმული ბღავილით მოისწრაფოდნენ. მათ მოჰყვებოდნენ დეკეულები და მოზვრები, ხოლო სულ უკან ვეება რქიანი ხარები თვალების ბრიალით მოაბიჯებდნენ, ბულები მოუსვენრობდნენ. დარბოდნენ, მიწას რქით თხრიდნენ.

ზღვასავით დადგა კარვების გარშემო ჯოგი.

ფურებისა და ხბოების გაბმულ ბღავილში ყურთასმენა ალარ იყო.

აგერ, ვეებერთელა კარვის კარებთან ჯოხიანი მწყემსები ჯარისკაცებივით შემოიკრიბნენ. ისინი საქონელს ხან უჯავრდებოდნენ, ხან უყვავებდნენ, მეწველ ფურებს ქალტაში ამწყვდევდნენ, დანარჩენებს განზე მიერეკებოდნენ.

მწყემსებმა ქალტის კარები მაგრად ჩაჰკეტეს, კარვისაკენ გაემართნენ. მაგრამ ქრისტეფორემ მათ კასრები შემოაგება და თვითონ სახბორეში შევიდა.

მწყემსები წვეულას შეუდგნენ. რძით სავსე ქვაბები ზედიზედ გამოჰქონდათ და რძეს კასრებში ახსამდნენ.

იღვრებოდა თბილი რძე ვეება ჭურჭელში, ქაფდებოდა.

ვარდენი კორტოხზე წამოდგმულ კარავისაკენ წაუძღვა სტუმრებს. აქ დურგლები სამოთახიან სახლს აშენებდნენ.

— ეს სახლი ჩვენი ფერმებისათვის გვჭირდება. აქ გვექნება ლაბორატორია, სამკითხველო, კანტორა. — უხსნიდა სტუმრებს ვარდენი.

კორტოხზე შეჩერდნენ.

ცოტა ქვემოთ გაისმა ყიჟინა მწყემსისა, რომელიც ცხენების რემას მოერეკებოდა. მალე ცხენების რემაც გამოჩნდა. ხმაურმა იმატა.

— ხომ ხედავთ, როგორ მოედინება ჩვენი დოვლათი? მაგრამ ძვირფასო, განა ყველაფერი ამით თავდება? თქვენ უნდა ნახოთ კოლექტივის ღორები, უნდა ნახოთ ჩვენი ჯიშიანი ფრინველების ფერმა...

დაღამდა. ხმაური თანდათან მისწყდა.

მწყემსები რძეს წურავდნენ, ყველსა და მაწონს ადედებდნენ.

სტუმრები კვლავ გარეთ იყვნენ. იმდენად აკივებულიყო, რომ უკვე პალტოები წამოესხათ. ისინი გასცქეროდნენ მთვარის შუქში გარინდულ მთებს. მდინარე ბახვის გალმა, ტყეში ციცინათელებივით აკიაფებული წერტილები თითქოს რაღაცას ანიშნებდა მთის ახალ სტუმრებს.

— რათ დადუმებულხართ? ალბათ მოგწყინდათ! არაფერია, გულს ნუ გაიტეხთ. აი, სად წაგიყვანთ ვახშმობის შემდეგ! იქ გაერთობით და ღამესაც ვაათევთ! — თქვა ვარდენმა და ხელი აგარაკის მოედნისაკენ გაიშვირა.

— ამეღამ აქედან ჩვენ არსად წავალთ. კი არ მოგვწყინდა; ალფრთოვანებამ დაგვაჩუმა! — უთხრა ლევანმა.

— მართალია, აქ ნაძვის ძირას გვირჩევნია ღამის გათევა, — დაუმატა თამაზმა.

— იქნებ გავიწყდებათ, ძვირფასო, რომ ჩვენთან ქალია?

— მე პირველი არ წავალ! — თქვა ნატომ! — მირჩევნია ასე თვალგახელილი ვიდგე დილამდე.

— კეთილი, ძვირფასო! თუ აქ გირჩევნია, ნარები დიდი გვაქვს, მაყრულად წამოვწვებით და ზღაპრებს დავიწყებთ, — დაეთანხმა ვარდენი.

სტუმრებთან ქრისტეფორე მოვიდა.

— მწყემსები გთხოვენ, შემობრძანდეთ კარავში, გველოდებიან, — თქვა მან.

— წავიდეთ! — დაეთანხმა ვარდენი.

ქრისტეფორე წინ გაემართა, რომ კარავის წინ წამოწოლილ ქოფაკებს სტუმრები არ დაეფრთხოთ. ძაღლები შორს გარეკა.

ვარდენმა კარავის წინ მდგარი ავტომანქანა მაგრად დაარხია და დაიძახა:

— სანდრო, ძვირფასო, მიწისძვრაა, თავს უშველე!

ჩაძინებული სანდრო წამოხტა, თვალი გაახილა, უცბად ვერ გამოერკვა სად იყო.

— სადა ვართ? თენდება თუ ღამდება ნეტავი?

— თენდება, ძვირფასო! აგერ ხომ ხედავ, როგორ განათებულია სუფრა! — უთხრა ვარდენმა და კარავში გაშლილი ვახშამი უჩვენა. კარავში ანთებულ კვარს შუშხუნი გაჰქონდა. — მლოცველები ვართ და უნდა შევიდეთ!

მაგიდის ერთ მხარეს მწყემსები და ორი დურგალი იდგნენ, ხოლო მეორე მხარეს, სადაც სტუმრები უნდა დამსხდარიყვნენ, ფიცრები დაელაგებიათ და ზედ ყველა სახის ნაბდები თუ ქეჩები დაეწყოთ.

სტუმრები იმ მწყემსებს მიესალმნენ, რომელთა ნახვა ჯერ ვერ მოესწროთ. მაგიდას შემოუსხდნენ.

ქრისტეფორემ ვარდენი მაგიდის თავში დასვა და წინ მოზრდილი ჯამი დაუდგა. მერე ორიოდე ასეთივე ჯამი საჭმელ-სასმელით გავსებულ მაგიდაზე აქა-იქ ჩადგა.

ვახშამი დაიწყო. ბესოს მიერ საგანგებოდ გაკეთებულ ელარჯს ოხშივარი ასდიოდა, კარავს მსუყე სურნელებით ავსებდა.

ვარდენი ენაწყლიანობდა, სადღეგრძელოებს ამბობდა და დაცლილ ჯამს ხან ერთს,ხან მეორეს სთავაზობდა.

— დალიე, ძვირფასო, შიგ მზიური საქართველოს ნაპერწკლებია. ჩვენი მიწის წვენია! შეგერგოთ!

ბესოს გვერდით მჯდარ ჭაბუკს ვარდენმა სიყვარულით გაუღიმა და მისი სადღეგრძელო რიგგარეშე დალია.

— ბედაურს ქარიკით რომ მოაჭროლებდი და კინალამ წაგვიღე... შენ გაგიმარჯოს! ასე უნდა დავძრათ ცხოვრება!

ყმაწვილი იღიმებოდა, ნარზე ისე მოხრილი ჩამომჯდარიყო, თითქოს ახლაც იმავე ბედაურს მიაჭენებსო.

— ეს ჩვენი არსენი და აგერ მოწინავე მწყემსი — მაქსიმელი, ბესოს გამოზრდილი ბიჭებია, ორივენი გაზეთში მოხვდნენ. კიდეც ჩახატეს და კიდეც შეაქეს. — თქვა ქრისტეფორემ.

შუაღამემ მოაწია. მწყემსებმა და ორმა დურგალმა შეუმჩნევლად დატოვეს კარავი, ღამის გასათევად სადღაც წავიდნენ. მასპინძლებიდან მხოლოდ ქრისტეფორე და ბესო დარჩნენ კარავში.

ლევანმა აავსო ჯამი, აწლა თამადა ადღეგრძელა, მერე იმის ნიშნად, რომ ვახშამი დასრულებულია და მეტს ალარ დავლევთო, ჯამი დაამხო.

ვახშმის განმავლობაში ნატოს ერთი ჯამი ღვინოც არ შეუსვამს, მაგრამ თვალები ელულებოდა, შეაბეჭდილებებს მოექანცა.

ვახშამი დაამთავრეს. ბესომ სტუმრებს შესთავაზა:

— მოვისვენოთ, მოვთავსდებით. ნაბდები ბევრია, ნარები დიდია. ნატოს ერთ ნარზე დათვის ტყავს დავუგებ, ფარდას ჩამოვუფარებ. დანარჩენი როგორმე მეორე ნარზე მოეწყობა. სანდრო მანქანაში დაწვება. — თქვა და სამზადისს შეუდგა.

— აგაშენოს, ძვირფასო! — დაიძახა ვარდენმა.

ბესომ მიჰყარ-მოჰყარა ნაბდები, მერე ქრისტეფორეს დახმარებით ერთ ნარს ფარდაგი ჩამოაფარა, ზედ ვეებერთელა დათვის ტყავი გააგო და სტუმრებს მიმართა:

— მოისვენეთ!

სტუმრებს აღარ უპატიენიათ, ნარებზე მიწვნენ.

ბესომ ერთი ანთებული კვარი საქვაბე ჯაჭვს მიამაგრა და თვითონაც წამოწვა. როცა ვარდენმა შავი დათვის ტყავზე თავმიდებული ნატო შენიშნა, ქრისტეფორეს მიმართა:

— ძვირფასო ქრისტეფორე! ერთი ის გვიამბე, ეს შავი დათვი როგორ მოჰკალი... და მერე მშვიდობით, ძილი ნებისა!...

— როცა ჩვენ აქ ამოვედით, — დაიწყო ქრისტეფორემ, მთაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ძაღლები წამოვიყვანეთ და დათვზე სანადიროთ წავედით. ერთ ვიწრო ხევში დათვი შევამწყვდიეთ. შეწუხდა, აწრიალდა, ნაძვის წვერზე ისე აირბინა, რომ ვეღარ მოზომა, მოუტყდა წვერი და ძირს ბრაგვანით დაენარცხა. დაედევნენ ძაღლები, მეც მივირბინე, თავში ვესროლე. იქვე მისი ბელიც დავიჭირეთ და გაანჩხლებული ძლივს წამოვიყვანეთ.

ვარდენმა გადაიხარხარა და თვალები მოხუჭა. დაღლილებს მალე ჩაეძინათ. მხოლოდ თამაზს არ ეძინა, იგი შემჭვარტლულ ჭერს მისჩერებოდა: ყავრის სახურავში და ღობურ კედლებში მთვარის შუქი იჭრებოდა. რკინის ჯაჭვში ჩარჭობილ კვარს ტკრციალი გაჰქონდა.

მარჯვნივ მის გვერდით ჩაძინებული ძმის, — ლევანის სუნთქვა ესმოდა. ის დრო აგონდებოდა, როცა ბავშვობაში ძმის გვერდით იწვა. შუა ნარზე ქრისტეფორესა და ბესოს შორის მარადი ხვრინავდა. ქრისტეფორეს სუნთქვა თითქმის არც ისმოდა.

თამაზი პატარაობიდანვე იცნობდა ბესოს, მეჯოგე კვარაცხელიას მოჯამაგირეს. მთელი სიცოცხლე კვარაცხელიას ჯოგს დასდევდა იგი. ახლა კოლმეურნეობის ფერმაში, საპატიო მწყემსის სახელი მოეხვეჭა.

თამაზი კვარის შუქით ოდნავ განათებულ ნატოს სახეს აკვერდებოდა. თვალებს დახუჭავდა და მაინც ნატო ედგა თვალწინ. არ უნდოდა ნატოზე ეფიქრა, მაგრამ ფიქრს ვერ იშორებდა.

შუშხუნითა და ტკაცანით იწოდა კვარი. ზოგჯერ აყეფდებოდნენ ძაღლები, კარვებს ყეფა-ღრენით შემოურბენდნენ გარშემო კარვის მეორე ნაწილში დროდადრო აწრიალდებოდა დათვის ბელი.

თამაზი მარჯვენა მკლავზე თითქოს წარუშლელ სითბოსა გრძნობდა, ამ სითბოს ვერ იშორებდა. იგონებდა წუთს, როცა ეს სითბო გადაეცა მის მკლავებს. მაგრამ მაშინ სულაც არ უგრძვნია მისი ძალა. ახლა კი ვერ იშორებდა. ცდილობდა გულში არ შეეშვა, მაგრამ სითბო გულისკენ მიიპარებოდა; ვერ ივიწყებდა სურათს, როცა მის მკლავში გამომწყვდეული ნატო ცხენების რემას უშიშრად მიჩერებოდა... გვიან ჩაეძინა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

მიმართვა პროლეტარულ პოეტებს

★

ამხანაგებო,
ყურადღება
ჩემსკენ მომართეთ!
აზრი არ აკლდა
საგულისხმო
რაიმე თუ ვთქვი:
ნიღაბი,
პოზა არ მჭირდება. —
გეტყვით სიმართლეს
ამხანაგებო
ბეზიმენსკი,
სვეტლოვ და უტკინ.
ჩვენ ვდაობთ ხშირად,
ენის ლესვას
ბევრი დრო უნდა.
ვიბრძვით —
ესტრადა
დიშეჯახების გახდა ადგილი.
ამხანაგებო
ახლა მინდა
დროგითხრათ დროულად —
მოდით,
მოვაწყოთ
ძმეობრული, კარგი სადილი!
კომპლიმენტები
ძირს დავიგოთ,
მოვუსხდეთ სუფრას.
მოვხერხოთ ტაბლი —
თუ ბმა ჩვენზე
ფლესავს ვინმე.
ყველა გვირგვინი
ლუნაჩარსკიმ
ჭაბში ჩავყაროთ —
რაც გისაჩუქრათ
მას უხდება
დაფნის გვირგვინი.
თავისებურად,
იქნებ, ყველა არის
მართალი.
თვითეულს ხმა აქვს
საკუთარი
და იმით მღერის.
მოდით,
დიდების ეს საერთო
დავჭრათ ქათამი
და ყველას მივცეთ
თანაბარი
მისი ნაჭერი.
მწარე სიტყვების
ნიალვარი
ყურს ხშირად ხვდება,
სჯობია დავსტკბეთ
საამური
და კარგი სიტყვით
და მე როდესაც
ლაპარაკის
მომცემენ ნებას —
ავიღებ სიტყვას
და მაშინვე
აი, რას ვიტყვი:
— რბილ სკამზე მჯდომი
განსწავლული კაცი
გგონივართ,
ამბობთ —
შევალე
პოეზიის უცნობი კარი.
სინამდვილეში
მხოლოდ
ერთი რამის მდომი ვარ —
კარგი პოეტი
ბევრი გვყავდეს
სხვადასხვაგვარი.
გვხვდება ისეთნიც,
რომ ძველ სახელს
დაატარებენ.
ზოგი თავის თავს
კარგს ეძახის,
რიხით აცხადებს...
და გაიძახის:
— მხოლოდ ჩვენ ვართ
პროლეტარულნი... —
მაშ მე ვინა ვარ?
ნეტავ ჩარჩი
ხომ არ გამხადეთ?
მე ოსტატი ვარ
დაიჯერეთ
ასეა, ძმებო.
გულშემზარავი
მეჯავრება
ფილოსოფია.

ხელს დავიმკლავებ.
შრომას, ბრძოლას
რომ შევეგებო, —
მე მიყვარს როცა
კაცის შუბლზე
შრომის ოფლია.
საქმე მრავალი
ადგილიდან
უკვე დავძარით.
მივცეთ ჩვენს ლექსებს
სიცოცხლე და
მეტი ხალისი.
ვიშრომოთ მთელი ძლიერებით,
ღონით და ძალით,
რაოდენობას არ დავაკლოთ
კარგი ხარისხიც.
ლექსების ზომას
და მათ ხარისხს
კომუნა მაძლევს,
მე მას ყოველთვის
სიყვარულით
ვუმღერი ლექსით.
კომუნა არის,
ჩემის აზრით,
დიდი სიმაღლე,
კომუნა არის,
ჩემის აზრით,
სიღრმე უღრმესი.
არ გვინდა ლექსში
ნათესავი
და მეგობარი.
ვერ შეაერთებს
პროტექცია
რითმების თასმას,
განაწილდება
ორდენები
და საჩუქარი,
ამხანაგებო,
იარლიყის
გვეყოფა დასმა.
აზრი ახალი
ჩვენ ტრაბახით
როდი ვიპოვნეთ?
მაგრამ იცოდეთ —
მე ვამტკიცებ
და ერთი მჯერა —
კომუნა მოსპობს,
არ დაინდობს
არცერთ ჩინოვნიკს,
კომუნა შეჰქმნის
მრავალნაირ
ლექსს და სიმღერას.
მოხდება ხოლმე
გაგვაკვირვებს
რითმა რაიმე
და სულ პატარა
პოეტუნაც
დიდი გვგონია,
ვიძახით:
— ეს ხომ ჩვენი დროის
არის ჰაინე,
ეს ხომ
ნამდვილი და ახალი
ბაირონია!
ერთი რამეა, რომ მაშინებს
და ვიტყვი აქვე, —
ძალზე მაწუხებს არ ამოშრეს
ეს სული, გული,
რომ არ ვასაღოთ
კომუნისტურ და დიად საქმედ
ლექსი და სიტყვა
უვარგისი და სულელური.
სულით ერთნი ვართ
ეს თქვენ გესმით
და იცით კარგად:
ერთ სწორ ხაზს ნახავთ
რომ ეს გული
უცბად გაჰკვეთოთ.
მე ვფიქრობ თქვენ თუ
ჩვენთან არ ხართ,
ჩვენ თქვენთან არ ვართ,
მაშინ, მითხარით,
რა ეშმაკი უნდა
ვაკეთოთ?
თუ წაგეჩხუბეთ
რომელიმე
მეგობარ პოეტს,
თანაც უეცრად
მოგიქნიეთ
მე კალმით ხელი,
თქვენ გახსოვთ კარგად —
ყველაფერი
მე სისხლით ვპოვე,
ჩემი რითმები
თქვენს რითმებზე
უფროა ცხელი.
ამხანაგებო,
უკვე გვეყო
ვაჭრული ჩვევა.
ისმის:
— ჩემია პოეზიის
ძველი დუქანი! —
დე, თქვენი იყოს
უამრავი
რაც მაქვს მიღწევა —
აჰა, რითმები
და თემები;
დიქცია,
ბანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება არის
ცვალებადი
და წარმავალი.
მე მას
საფლავში არ ჩავიტან,
როცა მოვკვდები.
ამხანაგებო,
არ მჭირდება
საქმე წვრილმანი,
არ ვარ მოსურნე
არც ფულების
და არც დიდების.
რად ვინაწილოთ
პოეტური
ძალაუფლება, —
სჯობს ვსთქვათ
სიტყვები მჭექარე
და ამხანაგური.
შური და გვარი
დავივიწყოთ,
მივცეთ უკლებლად
მზიურ კომუნის
მშენებლობას
ყველა აგური.
ამხანაგებო,
გზას ფეხდაფეხ
ერთად გავიართ.
ბუზღუნა კაცთან
საუბარსაც კი
არ ვიკადრებთ.
ლანძღვა თუ გინდათ —
საზღვარს იქით
მტერი ბევრია,
რომ შემოჰყურებს
მუდამ შიშით
ჩვენს ბარიკადებს.

1926 წ.

თარგმანი
ვასილ ლაფერაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ კოზაჩენკო

ახალი ნიაღვარი

★

თავი მეხუთე *

1.

დღეს, დილიდანვე, ლესიას ყველაფერი ალიზიანებდა. მოანგარიშეს გუშინსალამოთი არ მოუმზადებია მკის მიმდინარეობის ნუსხა, აწან ისე ვააბრაზა ლესია, რომ ლამის წაეჩხუბა მას: შეხვედრისას რაღაც მკვახედ უთხრა, მოანგარიშის თავისმართლებას არც მოუსმინა და მოღუშული ჩუმად გაემართა ფერმისაკენ.

„ზაფხულში თხრილების გაყვანა შეიძლებოდა და დათესვაც მოესწრებოდა“, — გაიფიქრა ლესიამ და იმავე დროს იგრძნო, რომ მოხუცის მიმართ თანდათან სიბრაზე იპყრობდა.

ფერმაში კი ლესიამ თავი ვეღარ შეიკავა: წყენამ და გულმოსულობამ იფეთქეს და მან სასტიკად გაიცხა ფერმის დარაჯი გორობეცი, მისი მიზეზით ავად გახდა კოლმეურნეობის საუკეთესო, სანიმუშოდ მეწველი ძროხა. მარცვლეულით ზედმეტად 'გამძღარი, ახლა ის გაბერილი ფაშვით იწვა და მძიმედ სუნთქავდა. გორობეცს ვეტერინარის გამოძახებაც კი ვერ მოესაზრებია.

ლესია გორობეცს უყვიროდა, ის კი გაჩუმებული უყურებდა, ასე გაბრაზებულს პირველად ხედავდა, და პირველად ესმოდა მისი ყვირილი. გორობეცი გაკვირვებული უფრო იყო, ვიდრე შეურაცხყოფილი.

კოლმეურნეობაში საერთოდ არ იყვნენ შეჩვეული იმას, რომ ვინმეს, და მათ შორის თავმჯდომარესაც, ხმა აეწიოს და ეყვიროს. ლესია კოლმეურნეობას მშვიდად და წყნარად მართავდა: ის თავს არავის აბეზრებდა, ბრიგადირების განკარგულებებში არ ერეოდა; ბრიგადირებს და კოლმეურნეებს აჩვევდა დამოუკიდებელ მუშაობას და ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ ინიციატივას. ზარმაცები და უთაურები, კოლმეურნეობაში გამეფებული წესრიგისა და საქმიანი ატმოსფეროს გავლენით, მეტ ფხასა და უნარს იჩენდნენ. ყოველი ადამიანი პასუხისმგებელი იყო მასზე დავალებული საბუშაოსათვის. მოვალეობის ეს დიდი გრძნობა თვითეულ მათგანში იწვევდა გამჭრიახობასა და ბადებდა გამომგონებლობის სურვილს, სპობდა გაუპიროვნებას და კოლმეურნეს სჭვალავდა თავისი თავისადმი პატივისცემით. ლესია მუდამ დიდ ტაქტს იჩენდა და ცდილობდა საკუთარი ღირსების და სიამაყის გრძნობის გაღვივებას კოლმეურნეებში.

დღეს პირველად დაიბცირა თავი ისე, რომ იყვირა და იჩხუბა.

გაკვირვებული გორობეცი ლესიამ დატოვა და მინდორში — მანქანისკენ წავიდა.

ყანებზე მიდიოდა. მარჯვნივ, გზის გაყოლებით, ექვსი კილომეტრის მანძილზე გაჭიმული იყო დამცველი ტყენარგი. ორი წლის წინ დარგული ხეები — ნეკერჩხალი, თელა და კოპიტი — სწორი და სქელი ზვინებით კვეთავდა ველს. ხეები ჯერ კარგად წამოზრდილნი არ იყვნენ, მაგრამ ჩრდილს უკვე ფენდნენ ირგვლივ და ტრამალის ცხელ სუნთქვასაც აკავებდნენ.

გზიდან მარცხნივ, დამცველი ტყენარგის გასწვრივ, მწკრივად დათესილა ყანა იყო. მაღალ, სუფთა ფიტვში მწყერების ჭუკჭუკი ისმოდა. ყანა და ტყენარგის მწვანე ზოლი თვალს ახარებდნენ. ცაში პატარა ღრუბელი მიცურავდა. აი, ის გადაეფარა მზეს და დიდმა, უცნაურმა ლანდმა სწრაფად გადიარა ყანაზე, წუთით ხევში ჩაიმალა და კვლავ გამოჩნდა ველის სივრცის

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

ნათელ ზოლზე, შემდეგ კი ძალიან შორს, სადღაც იქ, ველის ბოლოში გაიფანტა და გაქრა.

ლესია, ფერმაში ყოფნისას, ისე აღელდა, რომ ხელები უკანკალებდა.

ახლა კი აქ, მინდორში, მღელვარებამ და სიბრაზემ გაუარა, დამშვიდდა და ჩვეული ზრუნვა, რომელიც ღამითაც არ ანებებდა თავს, დაეუფლა მას.

ლესია ფიქრობდა მეურნეობაზე, წისქვილზე, ფუტკარზე, მაგრამ ხანდახან მაინც აგონდებოდა გორობეცის გაკვირვებული სახე, და როდესაც სრულიად დამშვიდდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ მისი მღელვარების მიზეზი არც მოანგარიშე და არც გორობეცი ყოფილა.

თუმცა მას ეს არც სურდა და არც ფიქრობდა, მაგრამ სწორედ სერგეიმ დაარღვია ასეთი სიძნელით მოპოებული ლესიას სიმშვიდე.

არც მათი წარსული იყო ამის მიზეზი. ბოლოს და ბოლოს შორეულმა, თითქმის ბავშვურმა გატაცებამ, დიდი ხანია გაიარა როგორც სიზმარმა. სერგეის ხსოვნა მასში დარჩენილი იყო მხოლოდ როგორც კარგ მეგობარზე, კომკავშირული დღეების ამხანაგზე, რომელიც ყოველთვის მიუხვდებოდა გუმანს, და რომელიც ახლაც რამდენიმე წლების შემდეგაც, მეგობრულად ამოუდგება მხარში. არა, საქმე ამაში არ იყო.

გუშინ საღამოთი, სახლში დაბრუნებისას, ლესიამ ჯერ კიდევ ქუჩიდან დაინახა ზღურბლზე მსხდარნი სერგეი და ტოლია. ისინი ერთმანეთთან ძალიან ახლოს ისხდნენ წყნარად და მეგობრულად ბაასობდნენ. „როგორც მამა და შვილი“, —გაიფიქრა ლესიამ და უეცრად მოეჩვენა, რომ მას იაკობი და ტოლია ელოდებიან. ლესიას გული ტკივილით შეეკუმშა. რა ბედნიერება იქნებოდა, რომ მართლაც იაკობი ცოცხალი იყოს!.. მაგრამ იაკობი აღარ არის, და ლესიას გულში მას ვეღარავინ შეცვლის, ახლო მეგობარიც კი, თვით სერგეიც კი, რომელსაც ყოველთვის პატივს სცემდა და რომლის მეგობრობას ასე აფასებდა.

ისევე, როგორც ამ ორი წლის წინ, ლესიას საშინელი გულისტკივილი მიაყენა იმ აზრმა, რომ იაკობი არასოდეს აღარ დაბრუნდება.

ლესია არ უღალატებია იაკობის ხსოვნას. თუმცა მარტოდ ცხოვრება მეტად ძნელი და მძიმეა.

აზრი პირადი ბედნიერების შეუძლებლობის შესახებ ძილშიაც აწვალებდა ლესიას; ხშირად აღელვებდა და გამოყავდა წონასწორობიდან.

ფიქრებში წასული ლესია ნაკვალევს მიყვებოდა, ირგვლივ ვერაფერს ვერ ამჩნევდა და მოტორის ხმაური მხოლოდ მაშინ მოესმა, როცა მანქანა თითქმის გაუსწორდა მას. მანქანის კიდეებზე მოროზის კომკავშირული ბრიგადის ხუთი ქალიშვილი იყო ჩამომჯდარი. მათ ფერად თავსაფრებს და ჭრელ კაბებს ქარი აფრიალებდა, — კაცს ეგონებოდა, — ყვავილნარი ღელავსო.

მანქანა გაჩერდა. გოგოებმა ერთხმად დაიძახეს:

— ლარისა დიმიტრიევნა! დაბრძანდით, ჩვენ მიგიყვანთ.

შოფერმა კაბინის კარი ზრდილობიანად გაუღო, მაგრამ ლესიამ უარი უთხრა და ზევით, გოგოებთან ავიდა. მანქანა დაიძრა.

— სად მიდიხართ? — იკითხა ლესიამ.

— კალოზე. ხორბალი უნდა ვტვირთოთ.

— თქვენი მოროზი სადღაა?

— გაიქცა, — იყვირეს გოგოებმა.

— სიმინდში?

— ვილაცამ უთხრა, რომ სინიდში ძროხა შესულა!

— მოუთელია?

გოგოები ლაპარაკობდნენ მოროზის შეწუხებასა, და აღელვებაზე და თან იცინოდნენ. იმათაც ძალიან აწუხებდათ სიმინდის ამბავი — მათ მიერ იყო დათესილი და მოვლილი, — მაგრამ მაინც იცინოდნენ, რადგანაც ახალგაზრდები, ღონივრები და ალბათ ბედნიერნიც იყვნენ.

დღე თბილი და მზიანი იყო, მინდვრის ქარი მათ უწითლებდა სახეებს და უშლიდა თმებს.

ლესიაც კარგ ხასიათზე დადგა და გამხიარულდა. კალოზე მივიდა თუ არა, ის მთლად მიეცა მეურნეობაზე ზრუნვას და დილის ცუდმა განწყობილებამ სრულიად გაუარა, დაავიწყდა კიდეც.

ლესია კალოზე თითქმის ერთი საათი დარჩა, შემდეგ წისქვილში გაიარა და ბაღში მივიდა.

II.

ბაღში ლესიას სერგეი ელოდებოდა. მორჩილი, მაგრამ კოხტა ვამლისა და მსხლის ხეები სწორ მწკრივებად იდგნენ.

ჰაერში ნესტიანი მიწის სიგრილე იგრძნობოდა.

ახალგაზრდა ხეებს შორის გოგოების თავსაფრები თეთრად მოჩანდა. ისინი ფიცრის ყუთებიდან სასუქს იღებდნენ და ხის ძირში დაბარულ მიწას აყრიდნენ. მეთულუხეებს ფორნებზე დაკრული დიდი კასრებით წყალი მოჰქონდათ. კასრებიდან წყალი ნაკადივით, ხმაურით ვედროებში დიოდა. გოგოები რწყავდნენ ხეებს, ხუმრობით ერთმანეთს წყალს აშხეფებდნენ და კისკისებდნენ.

სერგეის გაახსენდა, რომ სწორედ ამ ადგილზე ოდესღაც დაუხვნელი, შამბნარით დაფარული ფერდობი იყო, ახლა კი მშვენივრად გაშენებული ბაღია, თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ბაღია.

— ჩვენი გეგმის გაცნობა აი აქედან უნდა დაიწყო, — უთხრა ლესიამ, როცა სერგეიმ აუხსნა თავისი მისვლის მიზეზი.

ახალ ნიაღვრებში ყოფნის დროს, სერგეი პირველად ხედავდა ლესიას ასეთ აგზნებულს: თითქოს გაახალგაზრდავებულიყო, სახე აწითლებული ჰქონდა, თავსაფარი ბეჭებამდე ჩამოვარდნოდა და გრძელი წამწამებით დაჩრდილული მომწვანო თვალები უბრწყინავდა.

დიდიხნის, თითქმის დავიწყებას მიცემული მოგონებები გაცოცხლდნენ სერგეის სულში. ახალგაზრდული აგზნებით აღარ აშფოთებდნენ ისინი მას, მაგრამ მაინც ათბობდნენ და ახარებდნენ გულს. ლესიას მხიარული გუნება სერგეისაც გადაედვა, გაღვიძა ძალისა და რწმენის გრძნობა.

ლესია ყოველ ხესთან დაიხრებოდა, თითქოს მას სალამს აძლევსო, გზაგზა ტეხავდა გამხმარ შტოებს და ამორებდა გაყვითლებულ ფოთლებს.

— ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე დავგეგმეთ, — უამბობდა ლესია, — და ეს ფერდობი მაშინვე მოვხანით ტრაქტორით. ამოვთხარეთ ორმოები. ნერგები ვესელოკუტსკის სანერგეში ვიყიდეთ და გასულ შემოდგომაზე დავრგეთ. მებაღეობისათვის სპეციალური ბრიგადა გამოვყავით. მალე ჩვენს ბაღს წელიწადი შეუსრულდება, სამოთხე წლის შემდეგ კი უკვე საკუთარი ვამლები გვექნება. მაშინ უთუოდ უნდა გვესტუმრო! სამი დესეტინა გვექნება გაშენებული, ამ შემოდგომით კიდევ ორი უნდა გავაშენოთ. ნიადაგს უკვე ვამზადებთ. ძალიან მინდა ქლიავი და ჭერამიც ვიშოვნო. როგორ გგონია, ხომ კარგი იქნება? ტოლია აქაურობას მთელი გაზაფხული არ მოშორებია. ხეები ძალიან უყვარს, კომბაინზე მხოლოდ მკის დაწყებისას გადავიდა. ალბათ ბრიგადირი იქნება. ისე გართულია ჩემი საქმეებით, რომ ვშიშობ სწავლაზე არ იმოქმედოს ცუდად. აი, ესეც ჩვენი ახალგაზრდა მებაღეა! გამარჯობა, ქენია!

მათთან ქერა ქალიშვილი მივიდა და მიესალმა. იგი მაღალი და ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო. დიდრონი, ცისფერი და ცოტათი გაკვირვებული თვალებით უყურებდა ლესიას. რამდენი წლის იქნება? ცამეტის, თოთხმეტის თუ თუთხმეტის?

ქენიამ მსუქანი ბაგეები გაწსნა, სწორი და კრიალა კბილები გამოაჩინა და თქვა:

— ლარისა დიმიტრიევნა! იმ ბოლოში სამი ხე დაიღუპა. არაფერი აღარ ეშველება. იმ ხუთს კი, რომელზედაც მე გეუბნებოდით, გამოკეთება დაეტყო, დანარჩენები ყველა კარგად არიან.

ქენია, რამდენიმე ხანს გვერდით მიყვებოდათ, შემდეგ ჩამორჩა. ლესია ქენიაზე ისეთივე აღტაცებით ელაპარაკებოდა სერგეის, როგორც ბაღის შესახებ.

— ქენია ბანკის ბუღალტრის შვილია, მერვე კლასში გადავიდა. ის პიონერია და ამ ბოლო წელს პიონერ-ხელმძღვანელის თანაშემწედ იყო უმცროს კლასებში. ძალიან უყვარს მცენარეები, კარგად სწავლობს და გატაცებულია ბუნებისმეტყველებით. მისი მცენარეების კოლექცია მთელ სკოლაში საუკეთესოა. როცა კოლმეურნეობაში ბაღი გავაშენეთ, ქენიამ შეკრიბა თავისი პიონერები — მესამე და მეოთხე კლასის ბავშვები — და ბაღის შეფობა იკისრა, მარტო ბაღის კი არა, არამედ სუსტი ხეებისაც. ქენია თავისი ბავშვებით თითქმის მთელი ზაფხული მუშაობდა ბაღში. დაავადებულ ხეებს უვლიდა, აქიმობდა,

რწყავდა, ძირებთან მიწას უთოხნიდა — ხეები მომაგრდნენ და გაიზარდნენ; ახლა უკვე აღარავითარი საფრთხე აღარ მოელით მათ.

სერგეის, ისევე როგორც ლესიას მოსწონდა ნორჩი და ენერგიული ქალიშვილი.

სერგეიმ და ლესიამ ბალი განვლეს და მიყრუებულ, ჭანგათი დაფარულ ბილიკზე გავიდნენ.

ბილიკის იქით მოჩანდა ახალი ხნული — შემოდგომის ნათესისთვის გატეხილი ყამირი. ლესიამ ნახნავს შეხედა და მოაგონდა:

— ოცდათერთმეტში აქ ჩვენ მზისუმზირას ვჭრიდით. აი, იქ იდგა სალეწი მანქანა, შენ მაშინ მედოლე იყავი, გახსოვს? აქ ხშირი, ძალიან ხშირი აბზინდა იზრდებოდა, ბიჭები გვაშინებდნენ, რომ შიგ მგლებიაო.

სერგეი ძლივს იგონებდა აბზინდას, მგლები კი სულაც არ ახსოვდა მაგრამ ის, რომ ლესია ასეთი გატაცებით ლაპარაკობდა იმ დროის შესახებ, სიამოვნებდა მას.

...სერგეიმ ცხენს მოსართავი გაუსწორა, ლესიას ორთვალაზე ასვლაში მოეხმარა და თვითონაც გვერდით მიუჯდა მას.

სოფლისაკენ წავიდნენ. ლესია კარგ გუნებაზე იყო, თავის საქმეებზე ხალისით ლაპარაკობდა:

— წრეულს შვიდი კილომეტრი ტყენარგი კიდევ მოგვემატა, ახლა სულ ცამეტი კილომეტრი გვაქვს. ადრეული ბოსტნეულისათვის სათბურები მომზადებულია; უკვე მიწას მზრალად ვხნავთ. ახლა ჩემი ოცნებაა საკუთარი ელექტროძრავის და აგურის ქარხნის მოწყობა.

გზა ფერდობს მიყვებოდა. მარჯვნივ, თვით ჰორიზონტამდე მოხნული მიწა შავად მოჩანდა; მარცხნივ, ხევის ფერდობები ბოსტნების კვალებით იყვნენ დაფარულნი. ბოსტნებს დაბალი ლელით შემოფარგლული გაშლილი, ფართე ჭაობებიანი მინდორი ეკრა. ოდესღაც ამ მინდორზე აქა-იქ გაფანტული ბებერი ტირიფები ახლა აღარ მოჩანდნენ; მხოლოდ სწორი მინდორი, მწვანე, ადგილ-ადგილ სიყვითლემორეული ბალახით იყო დაფარული. ყველაფერი ხელის გულივით მოჩანდა. „ალბათ ოკუპაციის დროს აჩეხეს“ — გაიფიქრა სერგეიმ და გაახსენდა, რომ ეს სწორედ ის მინდორია, რომლის შესახებაც დაობენ ლესია და ლუკა მიტროფანოვიჩი.

თითქოს მის აზრებს უპასუხაო, ლესიამ თქვა:

— აქ კარგი მინდვრის ბალახია, მაგრამ ძროხები არ ჭამენ მას, ჭაობის სუნი არ უყვართ. ამ მინდორის ამოშრობა მინდა. ეს რომ ჩვენი იყოს, უკვე ლიდიხნის დაწყებული გვექნებოდა მუშაობა. ლუკა მიტროფანოვიჩთან კი საერთო ენა ვერ გამოვნახეთ.

— ამოშრობის შემდეგ რის დათესვას აპირებ? საძოვარი ბალახი ხომ არ გინდა? — კითხა სერგეიმ.

— საქმეც იმაშია, რომ არა! ასე უწინ ფიქრობდნენ რომ ნაჭაობარზე მხოლოდ საკვები ბალახის დათესვა შეიძლება, ბალახისათვის ჭაობის ამოშრობა არ ღირს. ნიკიტა სერგეიჩმა ხრუშჩოვმა გვასწავლა ასეთი მიწების პროდუქტიულად გამოყენება, ისე, რომ შრომა ტყუილუბრალოდ არ დაიკარგოს, — ლესია სერგეისაკენ უფრო ახლოს მიიწია, ჩააჩერდა მას სახეში და განაგრძო: — გახსოვს, რამდენი წელიწადი ისვენებს ეს ჭაობიანი მიწა? რამდენი მცენარის სასიცოცხლო ძალა მოიპოვება აქ! ასეთ მიწაზე გასამკეცებული ჭარხლის მოსავლის აღება შეიძლება, კარტოფილის და კიდევ ვინ იცის, რამდენი ტექნიკური კულტურის! ასეთ ამოშრალ მინდორს შეუძლია კოლმეურნეობა გაამდიდროს...

— ელაპარაკე თუ არა ამის შესახებ ლუკა მიტროფანოვიჩს? — წყნარად კითხა სერგეიმ.

—როგორ არა, მაგრამ მასთან რას გახდები, მოსმენაც არ სურს!

— ეს რომ იცოდეს, შესაძლოა მაშინ წინააღმდეგი არ იქნეს.

— შესაძლოა, შესაძლოა... მაგრამ გარწმუნებ იმდენი საზრუნავია კოლმეურნეობაში, რომ ფსიქოლგიური ამბებისათვის დრო აღარ მრჩება. ლუკა მიტროფანოვიჩმა ბავშვივით წყენა იცის! თუ თქვა „არა“, — მორჩა და გათავდა.

— მართლა, მე და ფედორჩუკს ლაპარაკი გვქონდა ტრაქტორის ნაწილების ურთიერთმოქმედების შესახებ. უკვე დროა თავი დაანებოთ ყველამ ლუკა მიტროფანოვიჩის წყენას, და მასთან ურთიერთობის საკითხი ძოაგვაროთ. მე დარწმუნებული ვარ, მოხუცს ეს საქმე გაიტაცებს, ის ხომ მებოსტნეა!

— კარგი, ჩემი ბრალი იყოს! — თქვა ლესიამ და თავი გაბეიდულად ასწია, — მაგრამ ამაზე ხელახლა მასთან ლაპარაკი მეუხერხულება. სიმართლე გითხრა, მომბეზრდა კიდეც. — ლესიამ გაიღიმა და სერგეის შეხედა. — აი, შენ იკისრე მისი მოტეხა, რისთვისაც დიდ მადლობას გეტყვი!

სერგეიმ პასუხის ბიცემა ვერ მოასწრო.

— ლესია დიმიტრიევნა, გამარჯვება! — დაიძახა ვიღაცამ, თითქოს იქვე გვერდით მდგომმა.

სერგეიმ მიიხედა, და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მათი ორთვალა უკვე სოფელში იყო. გზის პირად ორი ქალიშვილი იდგა: ერთს — შუატანის, სახემსუქანს ყვითელი კოფთა ეცვა, ხელში ორკაპი ეჭირა და სერგეის ყურადღებით ათვალიერებდა. თვალებში მხიარული ნაპერწკლები უკრთოდნენ. მისალმება, რაღაც თითქოს განზრახ ხმამაღალი ჰქონდა. მის გვერდით ტილოს კაბიანი მარუსია იდგა. ბეჭებზე ისეთივე ლურჯი დაწინწკლული თავსაფარი ეხურა, როგორც ლესიას, ხელში ნამგალი ეჭირა. მისალმების ნაცვლად მარუსიამ ჯერ სერგეის შეხედა, შემდეგ ლესიას, თავი დაუქნია მათ, წამწამები ძირს დახარა და გაწითლდა.

— საით გამგზავრებულხართ? — კითხა ლესიამ.

— საღამოთი ლუკა მიტროფანოვიჩი ბუქსირზე უნდა ავიყვანოთ, ახლა კი ცელს დავეძებთ სანათხოვროდ, — ისევ წკრიალა ხმით უპასუხა ყვითელ კოფთიანმა.

ორთვალა დაიძრა. სერგეიმ მოიხედა. მარუსია თავდახრილი ძიდიოდა. შავგვრემანი ქალი რაღაცას ელაპარაკებოდა მას და ხშირად იხედებოდა უკან.

სერგეის და ლესიას შეწყვეტილი ლაპარაკი აღარ განუახლებიათ.

ლესიამ სერგეი ჯერ ფერმაში წაიყვანა, იქედან სამჭედლოში; ბოლოს აჩვენა ცხენები, შემდეგ კი კანცელარიაში ერთად შევიდნენ. სერგეი ხან მშენებლობის ნახაზებს და ხან ახალი ქუჩის გეგმას ათვალიერებდა. ლესია დამშვიდებით და საქმიანი კილოთი აცნობდა მას ციფრებს, სქემებს და დიაგრამებს. დიაგრამები კედელზე იყო გაკრული. ყოველ კოლმეურნეს შეეძლო ენახა წლიდან-წლამდე როგორ იზრდებოდა კოლმეურნეობის სათესი მოედანი, როგორ იმატებდა მოსავალი თითოეულ ჰექტარზე და ამასთან ერთად როგორ დიდდებოდა შრომადღეების სახლაური. დიაგრამებზე კოლმეურნე იმასაც ნახავდა, რამდენი და როგორი სასუქი სჭირდებოდა ამა თუ იმ ყანას; რა კულტურებისათვის უნდა მოიხნას ესა თუ ის ნაკვეთი მომავალი წლისათვის და რამდენი შრომა იქნება ამაზე დახარჯული. მისთვის ნათელი იყო მიზანი და ის ხედავდა იმ გზას, რომელსაც მიზნისკენ მიყავდა.

ლუკა მიტროფანოვიჩის კოლმეურნემ არაფერი ეს არ იცოდა, საჭირო კი იყო, რომ ცოდნოდა!

სერგეიმ მოისმინა რა ყველაფერი ეს, ნებართვა ითხოვა, რომ რამდენიმე დღით მისთვის ეთხოვებიათ მწკანე ყდაში ჩასმული სქელი რვეული, რომელშიაც დაწვრილებით იყო დამუშავებული კოლმეურნეობის გეგმა.

— იცი, ლესია, — უთხრა სერგეიმ, — ყველაზე უფრო მე გვალვის საკითხი მაწუხებს. აი, შენ ყველაფერი ისე მტკიცედ გაქვს დაგეგმილი, თითქოს წრევანდელი გვალვა შეიძლება აღარ განმეორდეს. რაშია ამის საწინდარი?

— უმთავრესად თვით გეგმაშია, — ღიმილით უთხრა ლესიამ.

— მესმის, მაგრამ მე გვალვასთან ბრძოლის და მორწყვის საკითხი მაინტერესებს; მინდა ამის შესახებ უფრო ვრცლად და დაწვრილებით მიამბო.

ლესიამ ისევ აიღო მწვანე წიგნი.

— მაპატიე, მაგრამ მე მგონია გეგმის დათვალიერებისას, მთავარი გამოგრჩენია.

— ესე იგი, არც ისე ნიჭიერი მოწაფე ვყოფილვარ, — გაიცინა სერგეიმ, — მაგრამ ფხუკიანი არა ვარ და ყველაფერს თავიდან მოვისმენ.

— ყველაფრის მოსმენა არ არის საჭირო. ამ გვერდს მიაქციე თუ არა ყურადღება? ხედავ? ორმოცდა ოთხ წელში, ოკუპაციის დროს სამყურას გავერანებული ყანებიდან სულ სამი კილოგრამი თესლი ავიღეთ; წრეულს კი სამყურა, იონჯა და სხვაცა გვაქვს. ბალახი, რაც შეიძლება მეტი უნდა დაითესოს! საუბედუროდ ამაზე ჯერ ყველა კოლმეურნეობა არ ფიქრობს. კარგი ბალახი, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს სწორ თესლბრუნვას. ბალახთესვითი სისტემა — სტრუქტურული ნიადაგებია, სტრუქტურული ნიადაგები

კი ყველაზე უკეთ ინახავენ სინესტეს. აგრეთვე მთავარია საფარი ტყის ზოლები. დღესდღეობით ასეთი ტყეები ცამეტი კილომეტრი გვაქვს, ხუთწლედის ბოლოსათვის ორმოცდა ათი გვექნება.

ლესია მივიდა კარადასთან, კარები გამოაღო, რაღაც წიგნი გამოიღო და სერგეის გაუწოდა.

— თუ წაკითხული არა გაქვს, წაიღე, წაიკითხე და ყველა ეს საკითხები ნათელი გახდება შენთვის.

სერგეიმ გამოართვა მომცრო ტანის წიგნი; ეტყობოდა არა ერთსა და ორ ხელში გაევლო მას. ოდესღაც თეთრზე, ახლა კი გაშავებულსა და გაცვეთილ ყდაზე გარეული ვაციწვერას მინდვრის გამოხუნებული სურათი ეხატა. მინდვრის შუა ადგილას სარსარაკი იყო გამოსახული. მას ლამაზი ყელი მაღლა აეწია და გაფაციცებით იცქირებოდა.

დოკუჩაევი, „ჩვენი ველები". — გამოცემის წელი მოწმობდა, რომ წიგნი ჯერ კიდევ მაშინ იყო გამოცემული, როცა სერგეი დაბადებულიც არ იყო.

— არა, არ წამიკითხავს, თქვა სერგეიმ.

— უთუოდ წაიკითხე, არ ინანებ. გამოცემის წელმა და ძველმა დამწერლობამ არ შეგაკრთოს, მეორე გვერდიდანვე დაგავიწყდება.

— რაო, შენ გგონია, რადგანაც ეს წიგნი არა მაქვს წაკითხული, ამიტომ დოკუჩაევის შესახებ აღარაფერი ვიცი? — სერგეიმ განგებ ნაწყენი კილოთი თქვა.

— სხვათაშორის, ერთ-ერთი პირველთაგანი გამოცემაა. ის ადამიანი ჯერ კიდევ მაშინ ოცნებობდა, როცა ჩვენი ხსენებაც არ იყო, ჩვენ კი მის ოცნებას მალე სინამდვილედ ვაქცევთ...

III.

— ზოგიერთს ბედი აქვს, — მხიარულად თქვა გალია სარაჩენკომ, როცა სერგეიმ და ლარისა დიმიტრიევნამ ორთვალათი ჩაიარეს. აქ ისეთიც არავინ არის, რომ კლუბში მაინც იცეკვო მასთან; სხვებს კი ჩამოსულები ხელში უვარდებიან, პირდაპირ სახლში მიდიან მათთან, მიდიან და გზასაც ვერ ხედავენ. მართალი გითხრა, მეხარბება!

ლაპარაკი რომ შეეწყვიტა, მარუსიამ უპასუხა:

— შენ რაღა გსურს? მოროზის გამო შენთვის დღის სინათლეც არ არსებობს!

მარუსიას სიტყვებში გალიამ წყენა ვერ იგრძნო და ამიტომ ფუქსავატი ჭიკჭიკი ისევ განაგრძო:

— მერე რა, მოროზი მე რას მარგია? მატიუშა... — და მეტი არაფერი! სიმინდის გარდა ვერაფერს ხედავს. იცხოვრებს, იცხოვრებს, მერე მოიხედავს უკან და შეამჩნევს, რომ უცოლოდ დარჩენილა. ამის ჩამოსვლისთანავე კი ერთი ამბავი შეიქნა. როგორ გგონია, ეგ რომ არ იყოს, განა ასე ენაგადმოგდებული ვირბენდით კარდაკარ ნამგლების საძებნელად? სხვა დროს ჩვენი საქმის გარდა, თავს არაფრით შევიწუხებდით და არც ლუკა მიტროფანოვიჩის კეფის ფხანას მივაქცევდით ყურადღებას. ახლა კი, ხომ ხედავ, რაც ხდება! — განაგრძობდა გალია. — ლარისა დიმიტრიევნა ამაყობს, გარწმუნებ ასეა, თვალებში ვატყობ. მე რომ მის ადგილზე ვიყო, ბევრს არ ვიფიქრებდი, თორემ მერე შეიძლება სანანებლად გამხდომოდა საქმე. ეგ სერგეი, მგონი, უცოლოა, არა?

— არ ვიცი, — უხალისოდ უპასუხა მარუსიამ.

— როგორ თუ არ იცი! უთუოდ დაგიჯერებ, რომ არ იცი! უცოლოა, ხომ კი?

— ხო, უცოლოა, — გაბრაზებით თქვა მარუსიამ, — მერე რა გინდა?

— ლარისა დიმიტრიევნას ურჩევნია, ბევრს ნუ ყოყოჩობს და ფრთხილად იყოს, რომ თვალსა და ხელს შორის არ გაუფრინდეს! ვინ იცის, იქნებ გამოჩნდეს ვინმე მარუსია, წამწამები შეარხიოს, თვალები ძირს დახაროს და... მორჩა. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ლარისა დიმიტრიევნას ყურადღებას არ მივაქცევდი. შევამჩნევ, რომ სხვანაირად გიყურებდა შენ, ისე, რაღაცნაირად გიყურებდა... მერე და რა კაცია... აბა წარმოიდგინე...

მან გადაიკისკისა, შემდეგ მარუსიას შეხედა და უცბად გაჩუმდა.

მარუსიას სახე ერთბაშად შეეცვალა: ლოყები ჯერ აუელვარდა, მერე გაუფითრდა. მალე მთელი სახე გაუფერმკრთალდა, მხოლოდ ყურები ჰქონდა ისევ აწითლებული.

— გაჩუმდი, — დაგუბებული ხმით უთხრა მარუსიამ...

...როცა პირველად სერგეი მოულოდნელად შევიდა მტს-ის სახელოსნოში, მარუსია დაიბნა. უხერხულობა მაშინ უფრო იგრძნო, როცა ფედორჩუკმა წინადადება მისცა მას, ეამბნა მაიორისათვის ტრაქტორის ნაწილების ურთიერთქმედების შესახებ, და თუმცა მარუსია ლაპარაკობდა მშვიდად, მაგრამ ამავე დროს სულ ეშინოდა, რომ მაიორის თვალში, სასაცილო არ გამხდარიყო.

როცა მარუსიამ გაათავა ლაპარაკი და ქურდულად შეხედა სერგეის, მის სახეზე ვერ შეამჩნია ვერც გულგრილობა და ვერც ირონიული ღიმილი, პირიქით, მარუსიას მოეჩვენა, რომ მაიორს ყველაფერი ეს ძალიან მოეწონა, რის შემდეგაც თბილი და მადლიერი გრძნობა აღეძრა მისთვის უცნობი ადამიანისადმი.

ფედორჩუკის წასვლის შემდეგ, მარუსია და სერგეი დიდხანს მუშაობდნენ ერთად და თან ლაპარაკობდნენ. მათი საუბარი მსუბუქად და ძალდატანებულად მიმდინარეობდა.

სერგეის ყველაფერი აინტერესებდა, რაც ეხებოდა ბრიგადას, კოლმეურნეობას და რაიონს. ისიც კი კითხა მარუსიას, თუ როგორ მუშაობდა ის, რას აკეთებდა და როგორ ცხოვრობდა აქამდე.

გამოირკვა, რომ სერგეი მხიარული ადამიანია და ხუმრობაც უყვარს.

მარუსიას განსაკუთრებით მოეწონა ის, რომ სერგეი სრულიად დაუფლებული იყო ხელსაწყოებს და მანქანა უნაკლოდ იცოდა.

როცა ფედორჩუკი დაბრუნდა და სერგეი თავის სახლში წაიყვანა, მარუსიამ სიცარიელე იგრძნო.

საღამოთი სერგეი კიდევ შევიდა სახელოსნოში, მარუსია მას გულთბილი ღიმილით შეეგება.

შემდეგ რამდენჯერმე შეხვდა მას ქუჩაში, ყოველ შეხვედრისას მარუსია სიხარულს გრძნობდა.

ახლა კი, დაინახა თუ არა სერგეი ლარისა დიმიტრიევნასთან ერთად, მოულოდნელად შეკრთა და დაიბნა.

გალიას ხუმრობა მარუსიას აბრაზებდა და თან საშინელ სევდას გვრიდა, გული წყდებოდა. ყველაფერზე უფრო მეტად აწუხებდა, რომ მას ეს გრძნობა ვერ დაემალა.

IV.

როცა სერგეი სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან დაბრუნდა, ლუკა მიტროფანოვიჩი სახლში არ დახვდა — კომკავშირლები წაეყვანა ყანაში.

მზე ახალი ჩასული იყო. ხეების მუქი მწვერვალების იქით დაისი ქრებოდა. ქუჩიდან ადამიანთა ხმები და ბორბალთა რახუნი მოისმოდა — კოლმეურნეები მინდვრიდან ბრუნდებოდნენ. მდინარის გაღმა მხარეს, კლუბთან, მაღალ სვეტზე ელექტრონათურის მკრთალი სინათლე გამოჩნდა.

ბიცოლა სახლის ახლო მიწაყრილთან იჯდა, წინ ვედრო ედგა და ჭარხალს ჭრიდა. სერგეი შევიდა თუ არა სახლში, იმ წამსვე წიგნის კითხვა დაიწყო.

წიგნმა პირველი გვერდიდანვე მიიქცია სერგეის ყურადღება. საინტერესო და ამაღელვებელი იყო მისი გამოკვლევის პირობები: მეცნიერმა ის საშინელი გვალვისა და შიმშილის დროს დასწერა და წიგნის გაყიდვისაგან შემოსული თანხა დამშეულთა სასარგებლოდ გადადვა.

...ორი საათიც არ გასულა და სერგეიმ უკანასკნელი გვერდის კითხვაც ჩაათავა, რის შემდეგ რამდენიმე წუთი უძრავად იჯდა.

ის აღელვებული იყო.

ამ წიგნში ავტორი სწორედ იმაზე ლაპარაკობდა, რაზეც ამ ბოლო დღეებში ასე ბევრს ფიქრობდა სერგეი.

სპეციალური სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება სერგეის არ შეუსწავლია, მაგრამ მხვნელ-მთესველის აზრები და ოცნება მისთვის მახლობელი და გასაგები იყო. მან კარგად იცოდა, თუ როგორი მტერი იყო გლეხისათვის ზოგჯერ ბუნება, რომლის წინაშე ადამიანი ხშირად უმწეობას გრძნობდა.

სერგეი ვერც იტყოდა, ყველაზე უფრო მეტად რამ გააკვირვა ამ წიგნში: მეცნიერულმა აზრის სიღრმემ, პატრიოტის მისწრაფებამ თუ იმ მეცნიერის ტრაგიულმა ბედმა, რომელიც ვერ მოესწრო თავის ოცნების განხორციელებას და ხალხის მძიმე ცხოვრების შემსუბუქებას.

ნიადაგმცოდნეობა, სტრუქტურული ნიადაგები, თესლბრუნვა, ნესტის შენახვის ხელოვნება და ბოლოს, თვით დოკუჩაევის მიერ გამოცდილი საფარი ტყის ზოლები — ყველაფერი ეს ხალ-

ხისათვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ახლა გახდა.

ლესია მართალს ამბობდა, რომ წიგნი მას დაეხმარება უფრო ღრმად გაიგოს ხვავიანი მოსავლის საიდუმლოება. თავისთავად გამოდიოდა დასკვნა: — ადამიანის კეთილმდგომარეობა თვით მის ხელშია. ფიქრიც არ შეიძლება დოვლათის დაქვეითებაზე, მიწების გამოფიტვაზე, რითაც გვაშინებდნენ დასავლეთის მეცნიერები. მაგრამ ცალკეული საფარი ტყის ზოლები საკითხს ვერ გადაწყვეტენ. ასეთი დიდი საქმისათვის საჭიროა მთელი ხალხი, მთელი სახელმწიფო ადგეს ისე, როგორც ომის დროს მთელი ფრონტები მიდიოდნენ შეტევაზე.

სერგეის მოზღვავებული აზრების ვისმესთვის გაზიარება მოუნდა. ვისთან უნდა წასულიყო, თუ არ ლესიასთან?

„ალბათ უკვე სახლშია“, — გაიფიქრა სერგეიმ.

ლესიაზე ფიქრთან ერთად მას კვლავ დაუბრუნდა ბაღში აღძრული სიხარულის გრძნობა. სერგეი ადგა, დაიხურა ქუდი და სახლიდან გავიდა.

„უკვე გვიანაა“, — გაუელვა სერგეის თავში, მაგრამ ძალა არ შესწევდა გადაელახა ლესიასთან საუბრის სურვილი; ჯიუტად გამოაღო ჭიშკარი და ქუჩაში გავიდა.

გზაზე, როცა პატარა ხიდს გადადიოდა, ის ფედორჩუკს შეხვდა. ლესიასთან ეზოში ისინი ერთად შეივიდნენ, თან დაწყებულ ბაას განაგრძობდენ.

— ლესია! — დაიძახა ფედორჩუკმა ოთახში შესვლისას, — ერთი ყური დაუგდე, რას ამბობს სერგეი კულჩიცკის შესახებ!

ლესია მათ თავაზიანად შეხვდა, მაგრამ ჩანდა, ის სულ სხვანაირ ხასიათზე იყო, ვიდრე ამ რამდენიმე საათის წინ. ახლა ძალიან მშვიდი, კეშნიანი ადამიანის იერი ჰქონდა.

„ალბათ დაიღალა“ — გაიფიქრა სერგეიმ.

— არა ერთი ყური დაუგდე, რა ბუზანკალია! — თითქმის იხრჩვებოდა, ისე უყვიროდა ფედორჩუკი ლესიას, რომელიც ამ დროს სამზარეულოში სტუმრებისათვის ჩაის ამზადებდა.

როცა სერგეი კულჩიცკის ამბავს ყვებოდა, ფედორჩუკი ვერ ითმენდა, ადგილიდან ხშირად წამოდგებოდა ხოლმე, ხელებს გაბრაზებით იქნევდა და ხმამაღლა იცინოდა.

— ძროხის შესახებ გიამბო? — იკითხა დიმიტრიმ როცა, მაგიდასთან ჯდებოდა.

— მიამბო, — დაუმოწმა სერგეიმ.

— ახალგაზრდა ცოლზედაც?

— ახალგაზრდა ცოლზედაც!

— როგორც კი მოევლინა სოფელს, მეორე დღესვე იქორწინა. ვერც კი გაიგებ, რამ უფრო მიიზიდა: ძროხამ, ახალმა სახლმა თუ თავად ქალმა? ოჰ, რა ბუზანკალია! — იცინოდა ფედორჩუკი.

— მერე და სასაცილო რა არის ამაში? — მოულოდნელად და სერიოზულად იკითხა ლესიამ.

— სასაცილო? — ფედორჩუკმა ვერ გაიგო, რისი თქმა უნდოდა ლესიას, — რა თქმა უნდა, ქალის შერთვაში სასაცილო არაფერია, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ ხდება ეს!

— არა, მე სხვას ვამბობ, ეს ჩემში სიცილს კი არა, ზიზღს იწვევს. შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს მას არც ცოლი და არც შვილი არ ყოლია. ყველაფერი იოლად და უბრალოდ გადაწყვიტა. ეს ვერ გამიგია მე, — გულისტკივილით ლაპარაკობდა ლესია.

— თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, კულჩიცკის საქციელში გასაგებიც არაფერია, ის ერთი თავკერძა კაცია და მეტი არაფერი! — თქვა ფედორჩუკმა. — საერთოდ კი, კაცი თუ ნამდვილ ადამიანს შეხვდება და ნამდვილი გრძნობა აღეძრება... მე მგონი, რომ ადამიანს უოჯახოთ ცხოვრება არ შეუძლია და არც უნდა იცხოვროს. სიყვარულმაც, თუ ნამდვილი სიყვარულია, არ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს გარდაცვლილთა ხსოვნას.

— არა, — გააქნია თავი ლესიამ, — მე ეგ ვერ წარმომიდგენია. აი მაგალითად, შენ ძალიან გიყვარს შენი ცოლი, ვთქვათ, რომ უეცრად შენ ის დაკარგე, განა შეძლებდი მის დავიწყებას?

ფედორჩუკი დაიბნა და ცოტაოდენ საქციელწამხდარმა გაიღიმა:

— თუ გინდა სიმართლე ვთქვა... პირადათ მე რომ... იცი, ამაზე წარმოდგენაც კი მიმძიმს ახლა... საერთოდ კი შენ არ გეთანხმები.

— რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ყველასათვის ერთ რეცეპტს ვერ გამოიგონებ, მაგრამ მე მგონია, — ლესიას ხმა აუკანკალდა, — უკეთესია მთელი სიცოცხლის მანძილზე მარტოდ დარჩე.

მან მტკიცედ გაიქნია თავი, გაჩუმდა და მაშინვე გულჩათხრობილი გახდა.

სერგეი არეული გრძნობებით უყურებდა ლესიას. მასში ლესიასადმი პატივისცემა, თანაგრძნობა და გაუგებარი გულის ტკივილიც იყო, სერგეის ეგონა, რომ ლესია ფედორჩუკს კი არ უპასუხებდა, არამედ მას პასუხობდა, მის ოდნავ გამოვლინებულ გრძნობებზე, რომლებმაც ამ დილით ბაღში იჩინეს თავი. ახლობელი და ყოველი სულისკვეთებით გასაგები ლესია, თითქოს შორს გაიწია მისგან. ახლა მხოლოდ ის წადდა სერგეის, რომ ფედორჩუკს ამ ლაპარაკისათვის თავი დაენებებია.

მაგრამ ფედორჩუკი გატაცებული იყო; ის არ იზიარებდა ლესიას აზრებს და სულით და გულით სურდა მისთვის ყოველივე კარგი.

— სასაცილოა! — ცხარობდა ის. — ამ აზრებიდან მონასტრამდე ერთი ნაბიჯია... ერთი დაფიქრდით! მთელი სიცოცხლე მარტო იარო და იკვნესო! სხვა რომ არა იყოს რა სხვისთვისაც ცუდი მაგალითია. აი კიდევ, ეს ეგზემპლიარი! — მეგობრული მოურიდებლობით და გულღიაობით მიუთითა ფედორჩუკმა სერგეიზე.

სერგეიმ გაოცებით შეხედა მას.

— უკვე მეოთხე ათეულში გადასულხარ, და ჯერ კიდევ უცოლო ხარ. რატომ? მაპატიე, მაგრამ მე მგონია ადამიანი დიდი ეგოისტია.

ფედორჩუკი სრულიად უნებლიეთ შეეხო მის მტკივნეულ ადგილს.

სერგეიმ ძლია მღელვარებას და ღიმილით უპასუხა:

— იმიტომ არ ვითხოვე, რომ ომმა შემიშალა ხელი. ახლა კი უკვე მოხუცი ვარ...

უხერხულობიდან მან თავი ხუმრობით იხსნა, მაგრამ ხასიათი კი წაუხდა.

დიახ. ის უცოლოა, მაგრამ როგორც ლესიას, ისე მასაც ჰქონდა თავისი დიდი სიყვარული.

ზინას მხიარული სახე, აწეული პატარა ცხვირით, ოდნავ დამცინავი ყავისფერი თვალებით, სახე, რომელიც მან უკანასკნელად ომის გამოცხადების პირველ დღეს ნახა, ახლაც ცოცხალივით ედგა თვალწინ. ომმა შეუშალა ხელი მათ, რომ შეექმნათ საკუთარი ოჯახი. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ ურყევი რწმენით, რომ მომავალში შეერთდებოდნენ.

მას აქეთ ალარ უნახავთ ერთმანეთი. ორმოცდა სამ წელში სერგეიმ მოკლე წერილი და ზინას სურათი მიიღო. სურათი გამოყვითლებული და დაჭუჭყიანებული იყო. ბარათის ძუნწი სიტყვები გულის ტკივილს იწვევდნენ: ზინა ევაკუაციაში ივანე ბობროვის მშობლებთან ერთად წავიდა. ბომბარდირების დროს მდინარე დონზე გადადიოდნენ და მაშინ დაიღუპა. იქვე, დონის ნაპირზე დაასაფლავეს. მხოლოდ გამოყვითლებული, დაჭუჭყიანებული ფოტოსურათი დარჩენილა, რომელიც ივანეს ცოლს შეუნახია.

თუმცა სერგეი არ ირწმუნებდა თავს იმაში, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ უღალატებდა ზინას, მაგრამ ცხოვრება თავისთავად ეწყობოდა სწორედ ასე...

ორმოცდახუთ წელს, როცა სერგეი ჰოსპიტალში იწვა, მას ექიმი ნინა ფეოდოროვნა მკურნალობდა. მთელ პალატაში სერგეი ყველაზე მძიმე ავადმყოფი იყო, და ამიტომ ექიმი მის ლოგინთან უფრო მეტ ხანს რჩებოდა, ვიდრე სხვასთან. პირველ ხანებში, როცა სერგეის გაზეთის კითხვაც კი აკრძალული ჰქონდა, ნინა ფეოდოროვნა უამბობდა მას ზურგისა და ფრონტის ამბებს. მათი ბაასი შეუმჩნევლად თანდათან ხშირდებოდა, და მათი ლაპარაკის თემას მარტო საგაზეთო ცნობები ალარ შეადგენდა.

ნინა ფეოდოროვნა კარგი და საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. ზოგჯერ მათი ლაპარაკი ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. ამ ბაასს სერგეი ისე მიეჩვია, რომ მისთვის ეს აუცილებელი გახდა. ის ელოდებოდა და უსმენდა, თუ როდის გაიგონებდა ნინა ფეოდოროვნას ფეხის ხმას დერეფანში. სერგეი მალე მიხვდა, რომ ისინი ერთიმეორისათვის უცხონი ალარ არიან.

თუმცა სერგეი თავის თავზე იშვიათად ფიქრობდა, მაგრამ მაინც ეწვეოდა ისეთი წუთები, როდესაც სასოწარკვეთა მოიცავდა მას. პირველად ეს მოხდა პალატაში, როცა მან იგრძნო, რომ ის ნინა ფეოდოროვნასათვის ჩვეულებრივი ნაცნობი არ არის.

ნაღმის ნამსხვრევი, რომელიც სერგეის მკერდში ჰქონდა, დიდად არ აწუხებდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ მკერდით სიკვდილს ატარებდა, მძიმე მუშაობის დროს მკერდში ტკივილს

გრძნობდა და სული ეხუთებოდა. ნალმის ნატეხს არტერიის დაზიანება შეეძლო, მაგრამ სერგეის ამის შესახებ ფიქრიც არ უნდოდა. შემდეგში ამ ნალმის ნატეხის მოცილება შეიძლებოდა, ახლა-კი მხოლოდ და მხოლოდ სიფრთხილე იყო მისი სიცოცხლის თავდები.

განა სერგეის, მისი მოუსვენარი ხასიათით, შეეძლო ასე ეცხოვრა? შეძლებისდაგვარად ის ცდილობდა თავს გაფრთხილებოდა, მაგრამ ხშირად ავიწყდებოდა საშიშროება და მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა, როცა ის უკვე მოახლოვებული იყო.

ერთხელ სერგეი სრულიად ფხიზლად პირველად შეეკითხა თავის თავს: აქვს თუ არა მას ნება ფეოდოროვნას შეყვარების ნება? — „ვთქვათ გახდა ჩემი ცოლი, — ფიქრობდა სერგეი, — ხომ შეიძლება ერთი ან ორი თვის შემდეგ, ნალმის ნატეხმა ჩემი სიცოცხლე, როგორც დამპალი თოკი ისე გადახრას? საჭიროა თუ არა იმაზე ფიქრი, რა ჯავრს და უბედურებას მოუტანს ეს მას? განა ეს სისასტიკე არ იქნება?“

რამდენიმე დღე წვალობდა ასე სერგეი და შემდეგ გადაწყვიტა, რომ ასეთ მდგომარეობაში, მას ნება არა აქვს პირად ბედნიერებაზე იფიქროს, და ამიტომ მან მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება ნინა ფეოდოროვნას მიმართ: აღარ ელაპარაკებოდა, გულჩათხრობილი გახდა, და ნინა ფეოდოროვნაც ჩამოცილდა გულნატკენი და გაოცებული. მათმა ურთიერთობამ ხელახლა ოფიციალური იერი მიიღო.

ნინა ფეოდოროვნამ სერგეის ასეთი საქციელი ვერ გაიგო.

ფედორჩუკთან ლაპარაკმა სერგეის მოაგონა ზინა და ნინა ფეოდოროვნაც, და აღავსო სინანულის გრძნობით.

როცა სერგეი ლესიანდან დაბრუნდა, სახლში არავინ იყო. ის ლია ფანჯარასთან მდგარ ტახტზე დაჯდა და ჩაბნელებული ოთახიდან ქუჩაში დაიწყო ცქერა.

საიდანღაც მოისმა ქალის კრიალა ხმა:

ჩვენი ქვეყნის დასაცავად
აცილებდა მებრძოლს ქალი.
და კიბეზე ბნელ ღამეში
ხელს უწვდიდა სახემკრთალი.

ხმა მეტად წვრილი იყო და კაცს ეგონებოდა, რომ აგერ-აგერ გაწყდებაო, მაგრამ ამ დროს უეცრად ოგი გუნდმა შესცვალა:

და ხედავდა შავ ბურუსში
ვაჟი გზაზე მიმავალი
ქალიშვილის ფანჯარასთან
კიაფობდა სანთლის ალი.

სერგეის უსიამოვნო, მოუცილებელი ფიქრები უბურღავდა თავს: „ნუთუ უკვე, ჩაქრა ჩემი შუქი?“ — ქუჩიდან ახლა ახალი სიმღერა მოისმა:

ყველა როდი ქორწინდება
ერთმანეთის სიყვარულით.

მხიარულად დაიწყო ქალის ხმამ და მოულოდნელი სევდით განაგრძო:

ყველა ბალი როდი ჰყვავის
გაზაფხულზე შეფოთლილი.

და ხმამაღლა, თითქოს უდასტურებსო, შეეშველა გუნდი:

ზოგი ბალი ჰყვავის, ზოგიც
სანახევროდ ადრე სჭკნება.

სერგეიმ გაბრაზებით დახურა ფანჯარა და სინათლე აანთო, მაგრამ სევდა მას თავს მაინც არ ანებებდა.

„თუ მარტობა მიმძიმს, ხალხთან უნდა წავიდე“...

მან დაკეტა კარები, გასაღები დანიშნულ ადგილას, ქვის ქვეშ ამოდვა და კოლმეურნეობაში წავიდა. სიმონ ბელოზუბმა მას ცხენი შეუკაზმა და სერგეიმ მინდვრისკენ გასწია. იქითკენ, სადაც კომკავშირლები ქერს ჭრიდნენ.

V.

შუადღემე გადასული იყო. მთვარე ანათებდა, ხავერდოვან ტალღებად შორს მისცურავდა ფართე ტრამალი. ხეობებსა და ხრამებში ჩრდილები ჩაწოლილიყვნენ.

ჩამუქებულ სიმწვანეში, მთვარის შუქით განათებული მძიმე მზისუმზირის თავები თეთრად მოჩანდნენ. მათ შემდეგ გაფენილი იყო უგრეხელას ყანა.

კატუშა ხმამაღლა ფრუტუნებდა და თავწახრილი თოხარიკით მიდიოდა. გზაზე დაყრილი მტვერის სქელი ფენა ახ-

შობდა ცხენის ფლოქვების ხმაურს. ორთვალა რბილად ქანაობდა. სერგეი იქეთ გაემართა, სადაც მუშაობდნენ. ორთვალა მან ახლად მოჭრილ ქერის ძნებთან გააჩერა. ერთ ძნასთან ნატაშა ლეშჩინსკაია იდგა და ბოთლიდან წყალს სვამდა. მან გაიგონა ბორბლების ჭრიალი, მოიხედა და სერგეი იცნო.

— ვერ მოითმინეთ და მოდით? გამარჯვებათ სერგეი პეტროვიჩ!

— გაგიმარჯოთ! — სერგეი ჩამოხტა ორთვალადან. — ახლა მეც ვხედავ როგორი ღამეებიცაა, ამხანაგო რაიკომის მდივანო!

ნატალიამ გაიცინა.

მოცელილ ქერზე სერგეი ფრთხილად დგამდა ფეხს და ისე მიდიოდა მომუშავეებისაკენ. ისინი ახალ სვრელს იწყებდნენ.

წინ სტიოპა სტარჩუკი მიდიოდა. სერგეიმ ის ჯერ კიდევ შორიდან შეამჩნია.

სტიოპა სწორად მკიდა, წყნარად, ოდნავ წახრილი. მისი ცელი მსუბუქად მოძრაობდა და ძლივს გასაგონად წკარუნებდა.

სტიოპას მოროზი მიჰყვებოდა, წინ ძალზე გადაწეული, ის შორიდან იქნევდა ცელს და ცელის ყოველ მოქნევისას ისე ჩაიკუზებოდა, თითქოს ჩაჯდაო. როცა ზოგჯერ მისი ცელი გამხმარ მიწას მოხვდებოდა, უსიამოვნო ყღარუნი ისმოდა.

მოროზის გვერდით მაღალი, ქოჩრიანი ჭაბუკი მუშაობდა, მას სახელოებწაკაპიწებული თეთრი ხალათი ეცვა. ჭაბუკი სწორად მიდიოდა, წინ მხოლოდ თავი ჰქონდა წახრილი და ცელის ყოველ მოქნევაზე მისი ქოჩორი ზევით ავარდებოდა. ეს ვანო ჭელიძე იყო.

ვანოს მიმყოლი სამი ახალგაზრდაც იცნო სერგეიმ, ისინი ფედორჩუკის ბრიგადიდან იყვნენ. მარუსიაც დაინახა, მასაც ცელი ეკავა, მარუსია თავისუფლად, მამაკაცივით მკიდა. მარუსიას ყვითელ კოფთიანი შავთვალა ქალი მიყვებოდა, იგი რაღაცნაირად ხელს ზურგისაკენ იქნევდა. ქალის უკან იგორი იყო. ისევე როგორც მოროზი, იგორი იკუზებოდა და გამძაფრებით იქნევდა ცელს. იგორი თავის კბილა ბიჭების ჯგუფის თავში იდგა. ამ ბიჭებთან ერთად სერგეის ნაცნობი, ბანკის თანამშრომელი კომკავშირელიც იყო. სულ ოციოდე მთიბავი იქნებოდა.

მთიბავებს ახალგაზრდა ქალებისა და ჭაბუკების მთელი ჯგუფი მიყვებოდა, ისინი მოთიბულ ქერს აგროვებდნენ და ზვინებად აწყობდნენ. აქ იყო მოროზის მთელი ბრიგადა, ფედორჩუკის ბრიგადის ნახევარი, რაიონის დაწესებულებათა მოსამსახურეები და ათწლედის უფროსი კლასების მოწაფეები. ტოლია ნაზსა და ქერა ჟენიასთან ერთად მუშაობდა, ის თავის წყვილეულს რაღაცას ხმამაღლა უამბობდა და იცინოდა. აქვე იყო ფროსიაც. სულ ბოლოში, ხელში დიდი ფოცხით, თავდადებით მუშაობდა „დიპკურიერი“ ვოლოდკა.

მთვარე უხვად აფრქვევდა თავის მოცისფრო სინათლეს. ახალგაზრდები მხიარულად და კარგად მუშაობდნენ, ჩუმ ღამეში მინდორზე შორს ისმოდა ლაპარაკი და სიცილი.

სერგეი მარუსიასთან მივიდა და ცელი თხოვა, ქალმა გაიღიმა და ცელი გადასცა.

პირველი მოქნევისთანავე, ცელის წვერი მიწაში ჩაერჭო, ფოლადმა საბრალოდ გაიწკარუნა. სერგეის ცელის ტარი მკერდზე დაეტაკა, ამის გამო მკერდში უსიამოვნო ტკივილმა გაუელვა.

— ცელის ქუსლს უფრო დააწექით, — უთხრა მარუსიამ, რომელმაც ვერ შენიშნა სერგეის შეკრთომა.

მეორე და მესამე მოქნევის შემდეგ ცელი მსუბუქად წავიდა. მარუსია მოშორდა სერგეის.

სერგეი მის წინ მდგომ ჭაბუკს უკან არ რჩებოდა, მაგრამ შეწუხებულს გულისყური მკერდში ყრუ ტკივილებისაკენ ქონდა მიპყრობილი. ტკივილი თანდათან ძლიერდებოდა. თავში ხმაური დაეწყო. თუმცა სვრელი გრძელი არ იყო, მაგრამ სერგეიმ ძლივს მიაღწია ბოლომდე. როცა მასთან მარუსია ცელის გამოსართმევად მივიდა, სერგეის სახე ფერმკრთალი ჰქონდა, ოფლად იღვრებოდა და ხელები უკანკალებდა.

მარუსიამ შიშით შეხედა მას. ქალი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ხედავდა რომ სერგეის არ უნდოდა თავისი სისუსტის გამოჩენა და ისე მოიქცა, თითქოს ვერაფერი შეამჩნია.

სერგეიმ მარუსიას დაუბრუნა ცელი, შემდეგ რამდენიმე აჩქარებული ნაბიჯით გადადგა და გაჩერდა.

ის ჰაერს ჩქარ-ჩქარა ისუნთქავდა. სანამ თვალწინ ათამაშებული ყვითელი რგოლები არ გაქრა, ასე იდგა, შემდეგ განზე გავიდა და თბილ მიწაზე დაწვა. იწვა და ყურს უგდებდა თავისი გულის ნელ ცემას. სხვა დროს სერგეი, ალბად თავის თავს გაუჯავრდებოდა ასეთი გაუმართლებელი სიჯიუტისათვის. მან ხომ იცოდა, რითი შეიძლებოდა გათავებულიყო ყველაფერი ეს? მიუხედავად ამისა, ოდნავადაც არ ნანობდა თავის საქციელს. ის მშვენივრად იგრძნობდა თავს, რომ საკუთარი უძლურების შესახებ აზრს არ შეეწუხებია.

სერგეიმ მოიგონა ის დრო, როცა ასეთივე მთვარიან ღამეებში თიბავდა და ეგონა, რომ არას დროს არ დაიღლებოდა. მაშინ არ ფიქრობდა იმაზე, რომ აქ, ამ თბილ მიწაზე უმწეოდ წოლა და ასეთი ტკივილების ატანა მოუხდებოდა. განა წარმოიდგენდა, რომ შრომა მიუწვდომელ და საოცნებო ბედნიერებად იქცეოდა მისთვის?

სერგეის უკან, მოთიბულ ყანაში რაღაც ნელა გაფაჩუნდა, ლანდმა გაიელვა და მან მოულოდნელად მარუსია დაინახა.

— როგორ ხართ, სერგეი პეტროვიჩ?

მისმა ხმამ და მზერამ სერგეის ტკივილი შეუმსუბუქა და დაამშვიდა.

— გმადლობთ, მარუსია, ნუ წუხარ, ასე პირველად არ მომდის, არა უშავს, გაივლის. უკვე გამიარა კიდეც.

— არ უნდა გააკეთოთ ის, რისი ძალაც არ შეგწევთ...

მარუსია კიდევ ერთი წუთი იდგა და შემდეგ ისე მიიმალა, თითქოს სიბნელეში გადნაო.

სერგეიმ თამბაქო მოსწია.

განა სერგეისათვის მართლა ყველაფერი მოსპობილია ამ ქვეყნად? მარტო პირადი ცხოვრების გადაუჭრელი საკითხია მის წინ ყრუ კედლად აღმართული; ეს არის და ეს. ისე მოხდა, რომ მისი ოჯახის ამბავი ვერ მოეწყო. ამის გარეშეც ხომ არსებობს ცხოვრება! ნაღმის ნამსხვრევი განა მას ხელს შეუშლის კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენაში? რატომ არის, რომ ნატაშასადმი ვანო ჭელიძის სიყვარული, მას ყოველთვის აგონებს მხოლოდ თავის პირად ცხოვრების უიღბლობას?

განა ამ ქართველი კოლმეურნის აქ ყოფნა, რომელმაც საბჭოთა კავშირის გმირობის სახელი აქვე, უკრაინის პარტიზანულ რაზმში მოიხვეჭა, არ ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის დიდსა და სისხლით შეკავშირებულ მეგობრობაზე? რატომ არ უნდა მოვაწყოთ ისე, რომ ვანოს საშუალებით გაებას მჭიდრო მეგობრობა საქართველოს კიროვის სახელობისა და უკრაინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა შორის? ალბათ ასეთი მეგობრობა გააბეჯითებს და გაამაგრებს ლუკა მიტროფანოვიჩის კოლმეურნეობას. უნდა ორგანიზებული იქნეს შეჯიბრი; უნდა გამოვიწვიოთ სხვა კოლმეურნეობები გვალვასთან საბრძოლველად. ესეც მუშაობაა! როცა ადამიანი საკუთარი აზრის განხორციელებას მოესწრება ხოლმე, — ეს უკვე უდიდესი ბედნიერება არის.

თარგმანი **რ. გვეტაძისა.**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჭელიძე

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ახალი აღმავლობისათვის

★

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა გამოჩენილ ოსტატებთან ერთად 1950 წელს სტალინური პრემიები მიენიჭა სამ ქართველ მწერალს: ალექსანდრე ჭეიშვილს — რომანისათვის „ლელო“, გრიგოლ აბაშიძეს — ლექსების ორი ციკლისათვის: „ლენინი სამგორში“ და „სამხრეთ საზღვარზე“ და ილო მოსაშვილს — პიესისათვის „ჩაძირული ქვები“.

ეს დიდი მოვლენაა ქართულ საბჭოთა მწერლობის ცხოვრებაში. სტალინურ პრემიათა დაწესების დროიდან გასული 11 წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, რომ ასეთი მაღალი ჯილდო ერთდროულად წილად ხვდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის სამივე ჟანრის — პროზის, პოეზიის, დრამატურგიის წარმომადგენლებს. ეს გარემოება მოწმობს იმ ახალ მძლავრ იდეურშემოქმედებით აღმავლობას, რომელსაც; ჩვენი დიადი სამშობლოს სამეურნეო და კულტურული შემოქმედების ყოველ სხვა დარგთან ერთად, მთელს მრავალეროვან საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურასთან ერთად განიცდის ქართული საბჭოთა ლიტერატურაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახლანდელს, ომის შემდგომ პერიოდში.

1950 წელს სტალინური პრემიებით აღნიშნულ ნაწარმოებთა სია წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ეს გარემოება მოასწავებს ჩვენს ქვეყანაში სულიერ ღირებულებათა სიუხვის თანმიმდევრულ ზრდას, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. გასული წლის სტალინურ ლაურეატთა ეროვნული შემადგენლობა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი სისწრაფით იზრდება ყოველი ჩვენი სოციალისტური ნაციის, და მათ ‘ძორის ქართველი საბჭოთა ხალხის ხვედრითი წონა მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა მეცნიერებისა და გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა ასე უხვი აღნიშვნა სტალინური პრემიებით მკაფიო გამოხატულებაა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელი მზრუნველობისა სოციალისტური კულტურის ყოველი დარგის განვითარებაზე. ამასთანავე სტალინური პრემიების მინიჭება საბჭოთა კულტურისადმი ჩვენი პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი აქტიური ფორმაა. აჯილდოებს რა სტალინური პრემიებით საბჭოთა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს, პარტია ამით ორიენტაციას აძლევს ჩვენს ინტელიგენციას თავის შემოქმედებითი მუშაობაში სწორედ იმ თვისებათა დანერგვასა და გაღრმავებაზე, რომლებითაც ამ მაღალი ჯილდოთი აღნიშნული ნაწარმოებნი ხასიათდებიან. ამიტომაც ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ვალდებულია გულმოდგინედ შეისწავლოს და გაარკვიოს ის თვისებანი, რომელთა მეოხებითაც საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებებმა ხალხისა და პარტიის ასეთი მოწონება და აღიარება დაიმსახურა. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ ამ თვისებათა წახალისებას, მათ შემდგომს გაღრმავებასა და განვითარებას, ამასთანავე ამ თვისებათა საწინააღმდეგო მოვლენების აღმოფხვრასა და გადალახვას ჩვენს მწერლობაში.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ქართული საბჭოთა ლიტერატურის ის თვალსაჩინო ნაწარმოებნი, რომელთაც 1950 წელს სტალინური პრემიები მიენიჭათ.

ალექსანდრე ჭეიშვილის რომანი „ლელო“ ღრმა იდეურ-თემატიური აქტუალობით, მხატვრული სიმართლით, სინამდვილის მოვლენებისადმი მღელვარე, იდეური, მიზანდასახულებრივი დამოკიდებულებით ხასიათდება. სისხლ-ხორცით სავსე მხატვრული სახეების, მკაფიოდ გამოკვეთილ ადამიანური ხასიათებისა და კოლორიტულად დახატული საყოფა-ცხოვრებო სურათების მეშვეობით ავტორი დიდი დამაჯერებლობით მოგვითხრობს საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ განმტკიცებისა, საბჭოთა სოფელში სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობათა ახალი, სოციალისტური მიწათმოქმედების მოწინავე ადამიანთა ზრდისა და ფორმირების შესახებ.

„ლელო“ ასახავს ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას ომისწინა პერიოდში, როდესაც კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრების ნიადაგზე წარმოიშვა სოფლად სტახანოვური მოძრაობა, რომელმაც ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდასთან ერთად გამოიწვია საბჭოთა სოფელში შეძლებული, კულტურული ცხოვრების ახალი აღმავლობა. ამ ნაწარმოების სადღეისო აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიჩვენებს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური შრომის მთელს ძალასა და სიდიადეს, მის კეთილმყოფელ, ამამაღლებელ ზემოქმედებას ადამიანზე, მის შეგნებასა, ხასიათსა და მდგომარეობაზე.

რომანში გამოხატული სინამდვილე მთლიანად გამსჭვალულია ცხოვრების გარდამქმნელი და განმაახლებელი კოლექტიური შრომის პათოსით. სოფლად ახალი გზები გაჰყავთ, ახალ ხიდს აგებენ, ახალ ფართობებს ითვისებენ ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების გასაფართოებლად, კოლმეურნენი საცხოვრებელ ოდებს იშენებენ და ყოველივე ეს არა მარტო სახეს უცვლის სოფელს, არამედ სცვლის ადამიანთა ხასიათსაც, ამაღლებს და აწრთობს მათს სოციალისტურ შეგნებას.

რომანში დახატულია ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის მოწინავე ადამიანთა ტიპების მდიდარი გალერეა. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შერმანდი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ეპიფანე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ძაქიმედი, კომკავშირულ ორგანიზაციის მდივანი სილოვანი და რიგითი კოლმეურნეები — სკაჩია, ყაისანი, სეფე, ალვასი და სხვები — ღრმა განზოგადებითი ძალით განასახიერებენ საბჭოთა გლეხობის, მთელი ჩვენი ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებებს; მის მგზნებარე პატრიოტობას, შრომისმოყვარეობას, ჰუმანიურობას, სოციალიზმის საქმისადმი თავდადებულ ერთგულებას; პარტიის რაიკომის მდივნის გიორგის სახე და რომანში მომქმედ სხვა კომუნისტების ყოველი სიტყვა და მოქმედება ასახავს დიადი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელსა და შთამაგონებელ როლს სოციალისტური სოფლის მშენებლობაში, ისე როგორც ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ცხოვრების სხვა ყოველ დარგში.

რომანის მთავარი გმირები — ციცინო და ქიშვარდი — კოლმეურნე ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენლები არიან. სიყვარიბესა და გაჭირვებაში განასახიერებს საბჭოთა ხალხის მთელი ერთი თაობის სოციალურ ბიოგრაფიას, იმ თაობისა, რომელმაც თავისი ბავშვობის წლებში იგემა ძველი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ქონებრივი უთანასწორობის სიმწარე და რომელიც მონობისა და გაუხარელი შრომისათვის იყო განწირული, რომ ჩვენი დროის დიად სოციალურ ძვრებს არ გადაერჩინა იგი ამ მძიმე ხვედრისაგან.

ციცინოსა და ქიშვარდის ურთიერთობის მთელს ისტორიაში რელიეფურად გამოსჩანს საბჭოთა ახალგაზრდობის მაღალი და კეთილშობილური მორალური სახე. როგორი სპეტაკი, უანგარო გრძნობა მეგობრობისა და სიყვარულისა აკავშირებს ერთმანეთთან ამ თანაბრად მდიდარი და მშვენიერი სულის ახალგაზრდობას: ქიშვარდიმ თავისი დაუღალავი შრომით, ყოველგვარი ანგარებისა და პირადი სარგებლიანობის მოლოდინის გარეშე შეამზადა პირობები ციცინოს დიდი შრომითი წარ-

მატებისათვის. თავის მხრივ ციცინომ როდი დაუკარგა ქიშვარდის შრომა და ღვაწლი, მან სახალხოდ აღიარა ქიშვარდი ჩაის კრეფაში მოპოებული წარმატების, ახალი რეკორდის მონაწილედ, უცხოა საბჭოთა ახალგაზრდობის სულიერი სამყაროსათვის ეგოიზმისა და პატივმოყვარეობის მანკიერება, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალას შეადგენს, ასეთია საბჭოთა ადამიანების სოლიდარული შრომისა და კოლექტიური შემოქმედების ის სიხარული, რაც ყოველად გაუგებარი და მიუწვდომელია ბურჟუაზიულ საზოგადოების ადამიანისათვის.

წრფელი და სპეტაკი სიყვარულით უყვართ ერთმანეთი ციცინოსა და ქიშვარდის. მათს ამ გრძნობაში არაფერია ბიწიერი, ტლანქი და უხეში, ჭეშმარიტად ადამიანის ამაღლებელი და დამამშვენებელი, კეთილშობილურ საქმეთათვის აღმაგზნებელი ტრფიალების გრძნობა სუფევს მათს გულში. როგორი მოკრძალებით, სიფაქიზით ატარებენ ისინი ამ გრძნობას, როგორი მშვენიერი და კდემამოსილი ოცნებით უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს. ყოველივე ეს ჩვენი ადამიანის, საბჭოთა ფორმაციის ადამიანის მდიდარსა და მომხიბლავ სულიერ სამყაროს ახასიათებს.

„ლელოს“ გმირებს არ გააჩნიათ სახალხო, საზოგადოებრივი ინტერესებისაგან გამოთიშული პირადი ცხოვრება და მისწრაფებანი. ადამიანის პირადი სიხარული და ბედნიერება აქ ორგანიულად გამომდინარეობს სახალხო საქმის წარმატებისაგან, საყოველთაო კეთილდღეობისაგან. პირადისა და საზოგადოებრივის ასე ორგანიულად შერწყმა და შედუღება მხოლოდ საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროშია შესაძლებელი. ეს სოციალისტური ფსიქიკის, კომუნისტური შეგნების ერთ-ერთი უპირველესი თავისებურებაა. და რომანის პოეტიკისათვისაც დამახასიათებელია თანაბარი უნარი და ძალა როგორც კოლექტიური შრომისა და სახალხო გართობა-თამაშობათა ე. წ. „მასიური სცენების“ დახატვისა, აგრეთვე გმირის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომისა, მისი უაღრესად პირადულ-ინტიმურ განცდებისა და გრძნობების ცხოვლად გადმოცემისა.

მწერალი ხატავს ნათელი და გამჭვირვალე საღებავებით. ეს სავსებით შეესაბამება იმ მზიურსა და ხალხურად ატმოსფეროს, რომელიც სუფევს ჩვენს საკოლმეურნეო სოფელში, ჩვენს სოციალისტურ ყოფა-ცხოვრებაში.

ძამინაც კი, როდესაც ჩვენს სინამდვილეში ჩარჩენილ ბნელი წარსულის დასაღუპავად განწირულ ნაშთებს გამოხატავს, მწერალი გაურბის მუქ საღებავებს, — ჰუმორის მოშველიებით „ამსუბუქებს“ სურათს. საერთოდ „ლელო“ მახვილ ჰუმორით გამსჭვალული ნაწარმოებია. ამასთანავე ამ წიგნის მთელი რიგი თავები წრფელი და კეთილშობილური ლირიზმით არის აღბეჭდილი.

ავტორი ფლობს მასალის პლასტიკური გამომსახველობის იშვიათ უნარს. მისი თხრობა უმრავლეს შემთხვევაში ახალი სოფლის ყოფითი სურათების ხატვის გზით მიემართება. რომანში აღწერილი სცენები კოლმეურნეთა მიერ ახოს გაკაფვისა, ახალი ხიდის მშენებლობისა, წყალდიდობასთან ბრძოლისა, ლელო-ბურთის თამაშისა და სხვა თავიანთი პლასტიკური სიცხოველით და ნახატის ექსპრესიულობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე.

საბჭოთა სოფელში საბოლოოდ დამკვიდრებულ სოციალისტური ცხოვრების ტრიუმფის ამსახველ თავის რომანში, ალექსანდრე ჭეიშვილი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ძველი ცხოვრების გადანაშთებსაც, რომლებიც აქ პერსონიფიცირებულია ისეთ მხატვრულ სახეებში, როგორიცაა სიპიტო, პუპულა, ბონდო. რა უმწეოდ, ღატაკად და დაკნინებულად გამოიყურება ამ ადამიანთა წვრილმანი ზრახვებისა და ინტერესების სამყარო საკოლმეურნეო სოფლის მგზნებარე შემოქმედებითი ცხოვრების ფონზე! ასეთია დადებითისა და უარყოფითის შეფარდება ჩვენს სინამდვილეში და ასეთივე უნდა იყოს იგი საბჭოთა ლიტერატურაშიც.

„ლელოს“ ერთ-ერთ ძირითად მოტივს ჩვენს ქვეყანაში განუყოფლად დამკვიდრებული ხალხთა ურყევი სტალინური ძმობისა და მეგობრობის მაღალი იდეა შეადგენს. ამ იდეის ხორცშესხმული მხატვრული განსახიერებაა მწერლის მიერ დახატული სურათები გურიის საკოლმეურნეო სოფელში ჩუვაშეთის მშრომელთა დელეგაციის ჩამოსვლისა. ჩვენს დიად ცხოვრებას ერთ-

მანეთთან მშობლიური გრძნობით დაუძმობილებია ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები, სხვადასხვა ისტორიული ბედისა და ტრადიციების ადამიანები და ახლა ისინი პირველი შეხვედრისთანავე წრფელი მეგობრობით ეგებებიან ერთმანეთს. შვირფასი სტუმრების მიღება ნამდვილი ზეიმია გურული კოლმეურნეებისათვის. მაგრამ ეს ბევრად მეტია, ვიდრე ზეიმი. სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს ამდიდრებენ სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით. მკითხველის წრფელ აღტაცებას იწვევს რომანის ის ფურცლები, რომლებიც გვიხატავენ ჩუვაშელი სტუმრების აქტიურ მონაწილეობას გურულ კოლმეურნეთა თავდადებულ ბრძოლაში წყალდიდობის წინააღმდეგ — ახლად აგებული ხიდის გადასარჩენად. მკაფიოდ კონკრეტულ-სახეობრივ გამოხატულებას პოულობს ალექსანდრე ჭეიშვილის რომანში საბჭოთა ხალხების საბრძოლო და შემოქმედებითი თანამეგობრობის ის დიადი გრძნობა, რომელიც ჩვენი სამშობლოს უძლეველობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს.

„ლელოში“ გურიის ერთი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაა გამოხატული, როგორც ბუნების სურათებში, ისე პერსონაჟთა ხასიათებში, საყოფაცხოვრებო ეპიზოდებში მკვეთრად არის გადმოცემული ამ კუთხის კოლორიტი. მაგრამ ავტორი შორსა დგას ეთნოგრაფიული შეზღუდულობისაგან. გურული საკოლმეურნეო გლეხობის შრომისა და ყოფაცხოვრების კონკრეტულ მასალაზე მწერალმა შექმნა ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც სიმართლით გვიხატავს საქართველოს საბჭოთა სოფლის, კიდევ მეტიც — მთელი საბჭოთა საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრების ძირითად პროცესებს სოციალისტური საზოგადოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე.

„ლელოს“ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანამედროვეობის აქტუალური თემებისადმი ქართველი საბჭოთა მწერლების მიერ მიძღვნილ ისეთ პირველხარისხოვან ნაწარმოებთა გვერდით, როგორიცაა ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „იმერეთის ცისკარი“.

ვიდრე „ლელოს“ წერას შეუდგებოდა, ალექსანდრე ჭეიშვილი ხიდზანს სწავლობდა განახლებულ საბჭოთა სოფელში მიმდინარე პროცესებს. არა ერთ ადრინდელ მხატვრულ ნარკვევში მან გამოავლინა დაკვირვების უხარი, მისწრაფება ცხოვრების მოვლენათა სიღრმეში შეჭრისა, ცოდნა ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის ხასიათისა და მისწრაფებებისა. „ლელო“ — ხანგრძლივი შთაგონებული შემოქმედებითი შრომის შედეგია. ამ წიგნის ძირითადი ნაწილი ავტორმა ოცდაათიანი წლების მიწურულში დაწერა და გამოაქვეყნა. მას შემდეგ მწერალს არ შეუწყვეტია მუშაობა ნაწარმოების გაუძჯობესებისა და სრულყოფისათვის.

უკვე ომისშემდგომს პერიოდში ალექსანდრე ჭეიშვილმა დასწერა „ლელოს“ მეორე ნაწილი და ამ უკანასკნელის შესაბამისად საფუძვლიანად გადაამუშავა რომანის პირველი თავები. მართალია, ქრონოლოგიურად რომანში ასახული მოვლენები ომის წინა წლებს მიეკუთვნება, მაგრამ წიგნი მთლიანად არის გამსჭვალული ომისშემდგომი ჩვენი ცხოვრების სუნთქვით, იმ ახალი ატმოსფეროთი, რომლითაც ეხლა მოცულია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შრომისა და ყოფის უმაგალითოდ მდიდარი სინამდვილე.

მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩება „ლელოს“ ზოგიერთი ნაკლოვანება. რომანის ენობრივი ქსოვილი ჭარბად არის გადაჭვირთული კუთხური სიტყვებითა და გამოთქმებით, გურული პროვინციალიზმებით. წიგნის მრავალრიცხოვანი პერსონაჟებიდან ყველა როდია დახატული თანაბარი სიმკვეთრით, ინდივიდუალური ხასიათის გადმოცემით. სიუჟეტური კომპოზიციის მხრივაც რომანს გარკვეული ხარვეზები გააჩნია. მაგრამ ეს ცალკეული ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავენ იმ მაღალ იდეურ-მხატვრულ ღირსებებს, რომელთა მეოხებითაც ეს წიგნი დამსახურებულად მიეკუთვნა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს.

„ლელოს“ ავტორის სტალინური პრემიით დაჯილდოების ფაქტიდან ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის ოსტატებმა გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანონ. უპირველესი დასკ-

ვნა ამ შემთხვევაში ის უნდა იყოს, რომ პარტიისა და ხალხის მოწონებას და აღიარებას პირველ რიგში ის მხატვრული ნაწარმოებნი იმსახურებენ, რომლებიც ცხოვლად ეხმაურებიან თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, ღრმად და სიმართლით ასახავენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის მოვლენებს.

ამ ჭეშმარიტების გაგება და მთელი სიღრმით გათვალისწინება განსაკუთრებით აუცილებელია ახლა, როდესაც ქართული მხატვრული პროზის დარგში ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენილობას თანამედროვეობის ამოცანებისაგან, სოციალისტური კულტურის საერთო აღმავლობის ტემპებისა და მასშტაბისაგან. საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ქართველი ხალხის ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა პირუთვნელი სიმართლით აღნიშნა თანამედროვე ქართული პროზის ეს ჩამორჩენილობა და ქართული საბჭოთა მწერლობის წინაშე პირველხარისხოვან საბრძოლო ამოცანად ამ ჩამორჩენილობის აღმოფხვრა დასახა. რაში გამოიხატება ეს ჩამორჩენილობა? პირველყოვლისა იმაში, რომ ქართველ პროზაიკოსებს ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების საგნად არ გაუხდიათ ის უმაგალითო შრომითი გმირობა, რომლითაც საბჭოთა ხალხი ომისშემდგომს პერიოდში კიდევ მეტად განაძტკიცებს ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და კულტურულ ძლიერებას და შეუნელებელი აღმავლობით მიემართება კომუნიზმის მწვერვალებისაკენ. დღემდე ქართულ მხატვრულ პროზაში არ შექმნილა არც ერთი ფართო პლანის მაღალმხატვრული ნაწარმოები ომის შემდგომი მშენებლობის თემაზე.

ეს ყოვლად გაუმართლებული და მოუთმენელი მდგომარეობა იმით უნდა აიხსნას, რომ ქართველ საბჭოთა პროზაიკოსების დიდი ნაწილი თავის შემოქმედებით ენერგიას უმთავრესად ისტორიულ წარსულის, რევოლუციამდელი ეპოქების ასახვას ახმარს. ჩვენი სამშობლოს ისტორიის შორეულ ეპოქებს მიუძღვნეს თავისი საუკეთესო რომანები შალვა დადიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, აკაკი ბელიაშვილმა. წარსულის თემატიკას უპირატესი ხვედრითი წონას აქვს დათმობილი დეძნა შენგელაიას, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში. რევოლუციამდელი ცხოვრების მასალაზეა აგებული ალექსანდრე ქუთათელის მრავალტომიანი რომანი „პირისპირ“, აგრეთვე ბორის ჩხეიძის, იაკინთე ლისაშვილის, დავით სულიაშვილის უმთავრესი ნაწარმოებნი.

ის რამოდენიმე ჩვენი სახელმოხვეჭილი პროზაიკოსიც, რომლებიც თანამედროვეობის თემებზე მუშაობენ (ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რაჟდენ გვეტაძე) უკანასკნელ წლებში ვერ იჩენენ მათი შემოქმედებითი ნიჭიერებისა და პოტენციისათვის შესაფერ ნაყოფიერებას. ამასთანავე არც ერთი მათგანის კალამი საბჭოთა ხალხის ომისშემდგომი ცხოვრების სინამდვილეს არ შეხებია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართულ მხატვრულ პროზაში დღემდე არ შექმნილა სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებნი ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის თემაზე, ჩვენს სახელოვან მუშათა კლასზე, ტექნიკურ ინტელიგენციაზე, მრეწველობის ოსტატებზე, რომელთაც თავიანთი თავდადებული შრომით საქართველო მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნად აქციეს.

ჩვენი მხატვრული პროზის განვითარებაში არსებული ეს სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი უარყოფით გავლენას ახდენენ მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობაზე. ასეთი ჩამორჩენილობის დაძლევას მხატვრული პროზის ოსტატები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ ღრმად და გულმოდგინედ შეისწავლიან ჩვენი მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის დღევანდელ ცხოვრებას, ახლოს გაიცნობენ ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანებს და მათ მხატვრულ ნაწარმოებთა მთავარ გმირებად აქცევენ.

ამას ავალებს და აქეთკენ მოუწოდებს ჩვენს მწერლობას პარტიისა და ხალხის ნებისყოფა, რომელმაც კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის 1950 წლის საუკეთესო ნაწარმოებთათვის სტალინური პრემიების მინიჭების ფაქტში.

*
* *

გრიგოლ აბაშიძის ლექსების ორი ციკლი, — „ლენინი სამგორში“ და „სამხრეთ საზღვარზე“, რომელმაც სტალინური პრემია დაიმსახურა, — საბჭოთა პოეზიის მაღალი იდეურობისა და ჭეშმარიტი ხალხურობის საუკეთესო ნიმუშებს შეიცავს, ამ ლექსების ლირიკული გმირი — საბჭოთა ადამიანია, რომელიც სამამულო ომის ქარცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული, ეხლა თავისი გმირული შემოქმედებითი შრომით ახალი დიდებით მოსავს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს — მთელს მსოფლიოში ხალხთა მშვიდობისა და თანამეგობრობის უპირველეს საიმედო ბურჯს.

მახვილი აზრით, მდიდარი ფანტაზიით და მაღალი პოეტური ოსტატობით ამ ლექსებში გრ. აბაშიძე შთაგონებულად გამოხატავს საბჭოთა ხალხის საუკეთესო აზრებსა და მისწრაფებებს. ჩვენი ხალხის ახლანდელი შრომითი გმირობის თემა ამ ლექსებში ორგანულად არის დაკავშირებული ომის სისხლიან გამჩაღებელთა წინააღმდეგ პროგრესიული კაცობრიობის ძლევამოსილი ბრძოლის თემასთან.

ლექსების ციკლი „ლენინი სამგორში“ (სამგორის ველზე) ასახავს და უმღერის სამგორის ველზე გაჩაღებულ ამ გმირულ შრომას, რომელმაც უახლოეს მომავალში ეს ველებერთელა გადამწვარი და უნაყოფო მიწის მასივი აყვავებულ ბაღებად და ვენახებად, ნაყოფიერ მობიბინე ყანებად უნდა აქციოს. საქართველოს ამ უდიდესი მშენებლობისადმი მიძღვნილ ჰიმნში პოეტი განზოგადოებულად ადიდებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა ეპოპეას, რომელიც ჩვენი სამშობლოს ომისშემდგომი ცხოვრების ძირითად შინაარსს შეადგენს.

გრიგოლ აბაშიძე, სამგორის არხის მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექსებში მკაფიოდ განასახიერებს ლენინისა და სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის უწმინდეს სახალხო გრძნობას. ყველგან, სადაც ხალხის კეთილდღეობა იჭედება, სადაც კომუნისტური ცხოვრების ახალი და ახალი ნათელი იბადება, პოეტი ცხადად ხედავს უკვდავი ლენინის სახეს, მომავლისაკენ მომწოდებლად და გზის მანათობლად გაწვდილ მის უძლეველ ხელს. ამ სახით იხსნება ციკლი „სამგორის ველზე“:

„ოცნებით ვხედავ უდაბნო ველი
როგორ შეჰხარის თვალის ახელას,
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი
ორზეც მოჩანს, ვით ცისარტყელა.
მას აქაც ვხედავ, დგას ამართული,
მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი,
ტალღას ძლიერი ტალღა გადუვლის
და კაშკაშს იწყებს ირგვლივ მთა-ბარი.
და თრთოლვით მისდევს მავთულებს დენი,
ბნელი რომ შუქით გაამზიანა...
ოცნებით ვხედავ ორზეც ლენინს, —
სინათლეს ქცეულს ადამიანად“.

ლენინისადმი მიძღვნილი ასეთი შთაგონებული ჰიმნით დაწყებული ეს პოეტური ციკლი მთავრდება დიდი სტალინის შემოქმედი, ყოვლის დამძლევი გენიის მადიდებელი ლექსით, რომელშიც ყოველი საბჭოთა პატრიოტის გრძნობა და მაღალი ოცნებაა განსახიერებული:

„სადღა არ მისწვდა ბელადის მზერა,
სამგორმაც იწყო თვალის გახელა!
აქაც, სიცოცხლის ანთებულ კერას
სტალინს დაარქმევს ხალხი სახელად!
ხვალ, აქ რომ ჩრდილი დაგვფარავს ხეთა,
წინ მასზე ფიქრი გამოგვიძღვება...
სამგორის ველზეც მის სიბრძნეს ვხედავთ,
როგორც სიცოცხლის გამოღვიძებას“.

სტალინის დიად პიროვნებაში ხორცშესხმულად არის განსახიერებული მშრომელი კაცობრიობის დევ-გმირული ძალა, რომელიც არა მარტო სოციალური მონობისა და უთანასწორობის კერპებს ამსხვრევს, არამედ თრგუნავს ბუნების ველურ სტიქიასაც და მას ადამიანის კეთილდღეობის მიზნებს უმორჩილებს:

„დამამხობელი მონობის ტახტთა,
იგი გვალვას და ქარსაც შეება,
და უდაბნოთა ოცნებაც ახდა,
მწვანე ბაღები დგანან ტყეე ად“.

საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი დიადი მსოფლიო-ისტორიული მისიით. განუზომელია ჩვენი ხალხის სიამაყე და

სიხარული იმის გამო, რომ კაპიტალისტური მონობით განაწამებ მშრომელ ადამიანთა მილიონებს მსოფლიოს ყოველ კუთხეში თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის საბრძოლო დროშად დიდი სტალინის სახელი მიუძღვის წინ:

„იმსხვრევა ხალხთა ბორკილი მძიმე,
და თუმც მანძილი ძლიერ დიდია,
სტალინს შესცქერენ — ნუგეშს და იმედს,
სტალინისაკენ ხელებს იწვდიან.
და მალე ჩვენი ბორკილის მსგავსად,
მათიც გაჰქრება და დაინთქმება,
აღარ იქნება უდაბნო არსად,
რადგან მონობა აღარ იქნება.
რადგან კრემლიდან ბელადის მზერა
უნათებს ხალხთა თვალის ახელას...
ყველგან, ახალი სიცოცხლის კერას
სტალინს დაარქმევს ხალხი სახელად“.

ასე ხორციელდება გრიგოლ აბაშიძის ამ ლექსებში სოციალისტური ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი თვისება—ღრმად გააზრებული გამოხატულება მისცეს სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებს, მათში ჩვენი თანამედროვეობის მამოძრავებელი დიადი აზრი და შინაარსი განასახიეროს.

გრიგოლ აბაშიძე პოეტური აღწერილობის შესანიშნავი ოსტატია. თავის პოემებში, რომლებიც ქართულ საბჭოთა პოეტური ეპოსის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, პოეტი მხატვრული მომთხრობელობისა და აღწერილობის თანაბარ ძალას იჩენს. მისი პოეტური ნიჭიერების ეს თავისებურება ხელშესახებად გამოსჩანს ლექსების ციკლში „ლენინი სამგორში“. პოეტი ხატავს სამგორის ველზე გაჩაღებულ ძლევამოსილ სოციალისტური შრომის პლასტიკური სიცხოველით აღბეჭდილ სურათებს:

„ქვასა და დუღაბს ალმური ასდის,
რკინას და ბეტონს გააქვს ვარვარი
და სათავიდან „თბილისის ზღვამდის“
მიწა უთხრელი აღარსად არი.
წევს ცარიელი, როგორც ქარქაში,
თვალგახელილი არხი ნახევრად
და უცდის, ცივი ტალღის კაშკაშით
როდის ჩაიგებს იორს სატევრად“.

თავისუფალი ხალხის კოლექტიური შემოქმედებითი შრომის ძალას ასახავს და უმღერის პოეტი „სამგორის მამითადში“ და ამ ციკლის სხვა მრავალ საუკეთესო ლექსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სოციალისტური პოეზიის დანიშნულება მარტო ის კი არ არის, რომ დღევანდელობის მოვლენები წარმოსახოს. საბჭოთა პოეტის ფრთაასხმულმა ოცნებამ თვალნათლივ უნდა დაანახვოს ხალხს მისი ცხოვრების კიდევ უფრო ნათელი და სრულყოფილი ხვალინდელი დღე, თვალწინ უნდა გადაგვიშალოს ჩვენი თავდადებული შრომისა და ბრძოლის დიდებული შედეგი. ამაში მდგომარეობს აზრი რევოლუციური რომანტიკის იმ შენაკადისა, რომელიც ორგანიულად ერთვის სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდს.

გრიგოლ აბაშიძეს გამახვილებული აქვს მომავლის წინადხილვის „მშვენიერი ოცნების“ ეს ძვირფასი ნიჭიერება. სამგორის მშენებელთა დაძაბულ შრომითი ყოველდღიურობაში პოეტი განსჭვრეტეს და ჩვენც გვაგრძნობიებს ამ საყოველთაო-სახალხო შრომის დიდებულ ნაყოფს:

„უდაბურ ტრამალს, სისხლისგან დაცლილს,
როგორც ბუმბერაზს მზესთან ნაომარს,
აეხილება თვალები საცრის
და წამოიწევს წამოსადგომად.
წამოვა წყალი, მოხვდება ორხევს,
და ვიდრე მიწა გაძღება, ალბათ,
ვაქაცურ ხელებს სურვილით მოხვევს
და ცივ წყალს მკერდში ჩაიკრავს ხარბად“.

პოეტის ფანტაზიით წარმოსახული მომხიბვლელი სურათია მოცემული ლექსში „საღამო თბილისის ზღვაზე“. თითქოს პოეტი უშუალოდ ხედავდეს სამგორის მშენებელთა გმირობით სახეშეცვლილ თბილისის მიდამოების წარმტაც ფერადოვნებას და ტკბებოდეს ამ სანახაობით:

„საღამოვდება, ზღვა ჩრდილებს იფენს,
ტევა აღარ აქვთ აფრებს, იალქნებს
და ზღვის ზედაპირს, საოცრად ცისფერს,
ჩუმი ნიავი აფორიაქებს.
ჩქერები რჩება ნავების ჩავლით,
და ჩამავალი მზე თვალს ადევნებს,
რა ჩუმად ამტვრევს ურიცხვი ჭავლი
წყალში ჩასული შუქის სატევრებს“.

ასე ცოცხლად, განცდილად და მეტყველად შემოაქვს საბჭოთა პოეტის წი-

ნადხილვის უნარს ჩვენს დღევანდელობაში ხვალინდელი დღის სახება. და ეს ოცნება ორგანიულად შეხამებულია სინამდვილის განცდასთან, რადგან ჩვენს სინამდვილეში მართლაც ხილულად მოსჩანს მომავლის კიდევ უფრო მაღალი და ელვარე მწვერვალები.

საბჭოთა ადამიანის დაუცხრომელი წინმსვლელობის მისწრაფებას გამოხატავს პოეტი ლექსში „მწვერვალებისაკენ", რომელშიც ჩვენი ინჟინერები გონებამახვილური ანალოგიით მთამსვლელებთან არიან შედარებული, რადგან ისინიც დაუსვენებლივ ისწრაფვიან ახალ-ახალ მწვერვალების დასაპყრობად დედა-სამშობლოს სამეურნეო და კულტურული ძლევამოსილობისათვის ბრძოლის დიად გზაზე.

უმაგალითო შრომითი აღფრთოვანებით გარემოცული საბჭოთა ადამიანის სიამაყისა და პატივისცემის გრძნობით იხსენებს წარსულის იმ ადამიანებს, რომელთაც თავისი უანგარო ღვაწლით უშენებიათ ჩვენი სამშობლოს ციხესიმაგრეები. მაგრამ რამდენად მძიმე იყო და გაუხარელი მათი ხვედრი! ლექსში „უჯარმის ნანგრევებზე" პოეტი მხატვრულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ წარსულის ყველაზე რაინდ და კეთილშობილ ადამიანებსაც ალბათ შეშურდებოდაო ჩვენი თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება:

„იგი მართალი იყო მის დროსთან,
შეურცხვენელი თავის ტოლებთან
და მაინც მათი შურდა დიდ ოსტატს,
ვინც ახლა სამგორს აბეტონებდა".

ამბობს პოეტი ახლა ნანგრევებად ქცეულ უჯარმის მშენებელ ოსტატის შესახებ.

ციკლის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „მლაშე ტბები" პოეტი წარმოგვისახავს ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში ახალგაზრდა სტალინის მეთაურობით გაჩაღებულ დიად კლასობრივ ბრძოლების ერთ-ერთ ეპიზოდს. ამ ბრძოლებმა განაპირობეს ჩვენი ხალხის ახლანდელი დიადი ცხოვრება:

„იმ დღეს ადიდებს ყველა ჩვენგანი,
სტალინის დროშის ვაშლა პირველი —
ყველა სამგორის, ყველა ფერგანის
სათავე გახდა და საძირკველი".

მშვიდობიანი შრომის ენთუზიაზმით მოცული საბჭოთა ხალხის ახლანდელი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ თვისებას შეადგენს მღელვარე გულისწყრომა და მომაკვდინებელი ზიზღი თანამედროვე საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის მესვეურებისადმი, ომის ვერაგ გამჩაღებელთა ხროვისადმი. ლექსში „კორეაზე ფიქრი სამგორში" პოეტი მწვავე მამხილებელ ძალით თავს ესხმის ჩვენი დროის იმ უბნელეს და უბოროტეს ძალას, რომელიც „ცივი ომის" ლიანდაგიდან უკვე აშკარა სისხლისმღვრელ აგრესიაზე გადავიდა:

„ხანძრის ვეშაპებს ხახადაბჩენილთ
ნავთს ასხამს უცხო ქვეყნის მარჯვენა
და ურცხვად ცდილობს ცეცხლის გამჩენი,—
მსხვერპლს დაბრალოს ცეცხლის გაჩენა.
მან ცეცხლი სად არ ააბრიალა,
მისი ტყვიები ვიეტნამს აწვიმს,
თურქეთს და ირანს აწვდის იარაღს,
ზარბაზნებს აწყობს საზღვრების გასწვრივ".

პოეტის, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის ეს გულისწყრომა დაკავშირებულია მტკიცე რწმენასთან, რომ ომის ბოროტი გამჩაღებლები ალაგმული იქნებიან, რადგან მშვიდობის სადარაჯოზე დგას გამარჯვებათა სწორუპოვარი მთავარსარდალი — დიდი სტალინი. კეთილნების ადამიანთა მილიონები გააცამტვერებენ მშვიდობისა და თავისუფლების მტრების კვეხნა-მუქარას:

„მაგრამ დარჩება მუქარა კვეხნად,
სჯერათ მსოფლიოს ყველა კუთხეში,
რადგან მოსკოვი არსებობს ქვეყნად,
რადგან სტალინი არის ნუგეში".

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებს პუბლიცისტური სიმძაფრით ეხმაურება პოეტი ლექსების ციკლში „სამხრეთ საზღვარზე".

მგზნებარე პოეტური სიტყვით ამ ლექსებში მომაკვდინებულად მხილებულია ველური სახე ამერიკული მტაცებლებისა, რომელთაც ქართული მარგანეცისა და ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდების სურვილით თავბრუდახვეულებს „თავდაცვის ხაზი" გაუყვანიათ ქართულ სოფელთან და თურქეთის საზღვრებთან

მოტანილი ამერიკული ქვემეხებით ემუქრებიან მშვიდობიან შრომაში გართულ ქართველ მევენახეებს.

ამ ციკლის მთელი საბრძოლო პათოსი თავისი მახვილით მიმართულია თანამედროვე თურქეთის მმართველ წრეების წინააღმდეგ, რომლებიც ურცხვად ძიეყიდნენ ამერიკელ იმპერიალისტებს და უოლსტრიტის იანიჩრებად ქცეულნი ოცნებობენ კიდევ ერთხელ ავაზაკური ხელი აღმართონ საქართველოს მიწა-წყლის წინააღმდეგ:

„ეს ბნელი ტომი ჩვენს ახლოს ბუდობს,
სხვისი ნაყიდი და საზიარო,
უკვე მზად არი ველური ურდო,
რომ ჩვენს ბავშვებზე გადაიაროს“.

ამ ციკლის მთელ რიგ შესანიშნავ ლექსებში პოეტი მოგვაგონებს თურქი მტაცებლების მიერ ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილ უთვალავ ბოროტმოქმედებას და გვიჩვენებს თურქეთის ახლანდელ ხელისუფალთა ბნელ და მზაკვრულ ზრახვებს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ.

ამ თავზეხელაღებულ ავანტიურისტების ხროვისადმი მკაცრ გაფრთხილებად გაისმის მთელი ჩვენი ხალხის აზრისა და ნებისყოფის გამომხატველი სიტყვები პოეტისა:

„და თუ კვლავ ბრძოლის დარეკავს ზარი,
თურქთან ჩვენ ძველი გვაქვს ანგარიში,
ის, ვინც შელეწა ბერლინის კარი,
ადვილად შევა მათ ანკარაშიც.
შევალთ, ხმალდახმალ შეხლა გვექნება,
ერთად გადვუხდით ვალებს უკლებლად,
რომ ველარას დროს თურქთა ბეგებმა
ველარ გვინატრონ „მამელუკებად“.

ლექსში „ისტორიის გაკვეთილი“ პოეტი გვიჩვენებს, თუ რა საფუძველს ემყარება ქართველი ხალხის ეს მტკიცე და ურყევი რწმენა; ამ საფუძველს ჩვენს სამშობლოში სამუდამოდ დამკვიდრებული ხალხთა სტალინური მეგობრობა წარმოადგენს, კერძოდ, დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ძმობისა და საბრძოლო თანამეგობრობის ტრადიცია, რომელმაც არაერთხელ იხსნა საქართველო აუცილებელ განადგურებისაგან და რომელიც განსაკუთრებულად ბრწყინვალე გამოვლინებას ჩვენს დიად სინამდვილეში პოულობს.

ამიტომაც თითქოს მთელი ქართველი ხალხი მეტყველებს პოეტის სიტყვებით:

„ერთად ვიყავით, ერთად ვართ ახლაც,
და თუ ჩვენს ძმობას შურით გასცქერის,
თუ ისევ ფიქრობს ჩვენს გულზე დახლას,
ტყვიების დახლას თურქი ასკერი,
მან ჩვენი დარტყმის სიმწარე იცის,
და შენანდება კვლავ თავხედობა,
რადგან ერთგული სტალინურ ფიცის
ქართლს იცავს მოძმე ხალხთა მხედრობა“.

საბჭოთა პოეტური პამფლეტის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „ირანის ლომი“, რომელშიაც მომაკვდინებელ სარკაზმით არის დახატული სასაცილო და უბადრუკი სახე ირანის თანამედროვე რეაქციული მმართველი წრეებისა.

ვრცელი ლექსი „მდინარეების სიმფონია“ ჩვენი სამშობლოს ურღვევი ერთიანობისა და ძლევამოსილებისადმი მიძღვნილ შთაგონებულ ჰიმნად ჟღერს.

გრიგოლ აბაშიძის ლექსების დასახელებულ ორ ციკლში მაღალ ნიჭიერად არის განხორციელებული სოციალისტური ლირიკის ის ძვირფასი ტრადიციები, რომელთა შემოქმედი და ფუძემდებელი ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო. რამდენადაც არ იმეორებს გრიგოლ აბაშიძე თავის შემოქმედებაში მაიაკოვსკის პოეტიკის გარეგან ფორმას, იმდენად თავისი პოეზიის შინაგანი, არსებითი თვისებებით ქართველი პოეტი ღრმად ენათესავება მაიაკოვსკის პოეტურ მრწამსს. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად უსაფუძვლო და უაზროა რუსულ სალიტერატურო კრიტიკაში უკანასკნელ ხანებში აღმოცენებული „თეორია“, თითქოს საბჭოთა პოეზიაში არსებობდეს რაღაც განსაკუთრებული, სოციალისტური პოეზიის მთელი მდინარებისაგან გამოყოფილი „მაიაკოვსკის სკოლა“. ამ „თეორიის“ მიხედვით მაიაკოვსკის პოეტურ ტრადიციათა მემკვიდრედ აღიარებულ უნდა იქნას პოეტთა ის პატარა წრე, რომელიც ან პირადი ბიოგრაფიით იყო დაკავშირებული რევოლუციის უდიდეს პოეტთან, ან ლექსის გარეგანი ტექნიკით ბაძავს მაიაკოვსკის.

მაიაკოვსკის მემკვიდრეობის ასეთი სექტანტური შემოზღუდვა ძირფესვიანად ყალბია და გადაჭრით უნდა იქნას უკუგდებული. ყველაფერი, რაც მოწინავე და საუკეთესოა საბჭოთა პოეზიაში, ყოველი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში — წარმოადგენს მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელებას და განვითარებას. როგორც წარმოუდგენელია არსებობდეს საბჭოთა ლიტერატურაში განყერძოებული „გორკის სკოლა“, ისევე შეუძლებელია „მაიაკოვსკის სკოლის“ არსებობაც. მთელი მრავალეროვანი სოციალისტური პოეზია მიემართება მაიაკოვსკის მიერ დადგენილი შემოქმედებითი გზით და ამ მაგისტრალურ გზაზე მოიპოვა დიდი წარმატება გრიგოლ აბაშიძემაც.

ეს წარმატება აიარაღებს საბჭოთა პოეზიის ოსტატებს ჩვენს პოეტურ კულტურაში მაიაკოვსკის შემოქმედების საუკეთესო თვისებათა კიდევ უფრო ღრმად დანერგვისათვის.

უმიზნო პეიზაჟები, ვიწრო პირადი ინტიმური მოტივები, განყენებული „ფილოსოფიური“ მსჯელობანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდებიან ზოგიერთი ქართველი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში, მოასწავებენ სოციალისტური ლირიკის მთავარი გზიდან გადახვევას და ეს ტენდენციები დაძლეული და გადალახული უნდა იქნას.

სოციალისტური პოეზია უაღრესად ნოვატორული მოვლენაა. ამიტომ მისთვის ყოვლად შეუფერებელია არქაული პოეტური სამკაულები, რომლებისგანაც დღემდეც თავისუფალი არ არის ზოგიერთი ჩვენი პოეტის შემოქმედება და რომელზეც სრულიად სამართლიანად მიუთითა თავის დროზე რუსულმა სალიტერატურო კრიტიკამ.

წარმატებას, რომელიც წილად ხვდა გრიგოლ აბაშიძეს განსაკუთრებული პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ბრძოლის თვალსაზრისით, რომელიც მიმდინარეობს ახლა ჩვენს ლიტერატურაში პოეტური მეტყველების ფორმის სიცხადისა და სიზუსტისათვის, ენობრივი სიწმინდისა და დახვეწილობისათვის, პოეტურ სახეთა და გამოთქმათა ბუნებრივობისათვის. გრიგოლ აბაშიძის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი წერს ნათელი საღებავებით, მკვეთრი, ხატოვანი, ცოცხალი ქართული ენით. პოეტური მთანაფიქრის ყველაზე სიმახვილისა და ორიგინალობის პირობებშიც მისი სახე თუ პოეტური ფრაზა ზუსტია, ბუნებრივი და ადვილათ გასაგები.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ქართულ საბჭოთა მწერლობას უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები დაუსახა ქართულ სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების დარგში. ორი მოწინავე ქართველის პოეტის—გიორგი ლეონიძის და სიმონ ჩიქოვანის პოეტური პრაქტიკის მაგალითებზე ამხ. კ. ჩარკვიანმა ნათლათ დაგვანახვა, რომ ამ მხრივ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ყველაფერი რიგზე არ არის.

სოციალისტური ლირიკის ბუნებისათვის უცხო და შეუფერებელ ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა გადავაქციოთ „მორიგ კამპანიად“ ეს უაღრესად რთული და სერიოზული საქმეა, რომელიც ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის, მთელი ჩვენი მწერლობის ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს.

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებითი წარმატება კიდევ ერთ მეტად საყურადღებო გაკვეთილს გვაძლევს. როგორც ცნობილია, სამამულო ომის ბოლო ხანებში და ომის შემდგომი პერიოდის დასაწყისში გრიგოლ აბაშიძეს, ისე როგორც სხვა ჩვენს ზოგიერთ პოეტს, ახასიათებდა მცდარი გატაცება ე. წ. „წმინდა ლირიკის“ მოტივებით. ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ მიუთითა პოეტს თავის ამ შეცდომაზე. პოეტმა ანგარიში გაუწია კრიტიკას, გაიგო თავისი დროებითი გატაცების სიმცდარე, საოცარი სისწრაფით დაძლია იგი და შექმნა ისეთი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების ნაწარმოებნი, რომელთაც სახალხო აღიარება და სტალინური პრემიაც კი დაიმსახურეს.

ჯანსაღი და მართებული კრიტიკისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება არის ის ერთადერთი სწორი და ნაყოფიერი გზა, რომელსაც შეუძლია

დიდი შემოქმედებითი წარმატება მოუპოვოს საბჭოთა მწერალს.

გამოჩენილმა ქართველმა საბჭოთა პოეტმა ილო მოსაშვილმა ომისშემდგომ წლებში დაიწყო მუშაობა დრამატურგიის დარგში და ზედიზედ შესძინა ჩვენი თეატრის რეპერტუარს მაღალი იდეურმხატვრული მნიშვნელობის სამი პიესა: „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“ და „მისი ვარსკვლავი“.

ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ დღემდე რჩება ქართული საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებად დიდი სამამულო ომის, კერძოდ, კავკასიის გმირული დაცვის თემაზე. თავის ამ პირველსავე დრამატიულ ნაწარმოებში მწერალმა გამძაფრებული სიუჟეტის შეთხზვის ცოცხალი და მკვეთრი სცენიური სახეების დახატვის, დახვეწილი და მდიდარი დიალოგის გამართვის იშვიათი ოსტატობა გამოიჩინა. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, ღრმად ამაღელვებელი სცენიური ენით მოგვითხრო მწერალმა ამ პიესაში იმ გმირული და კაცობრიობის მთელს ისტორიაში სწორუპოვარი თავგანწირულების შესახებ, რომლითაც საბჭოთა ხალხმა ჰიტლერელ ბარბაროსთა ურდოებისაგან იხსნა ჩვენი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება, დამხობისა და გაცამტვერებისაგან გადაარჩინა მთელი თანამედროვე საკაცობრიო ცივილიზაცია.

ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა დრამატურგიის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება ილო მოსაშვილის პიესა „მისი ვარსკვლავი“. ამ პიესაში დიდი დამაჯერებლობის ძალით და ისტორიული სიმართლით არის ასახული მოწინავე მატერიალისტური საბჭოთა მეცნიერების ბრძოლა საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის უცხო და მტრული იდეალისტური „თეორიების“ წინააღმდეგ.

ყველაზე გულმხურვალედ მაინც ქართველი საბჭოთა მაყურებელი გამოეხმაურა „ჩაძირულ ქვებს“, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა ხალხისა და პარტიის მაღალი შეფასება — სტალინური პრემია.

„ჩაძირული ქვები“ მგზნებარე პატრიოტული ჟღერის პიესაა, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ერთ-ერთ უძნიშვნელოვანეს პრობლემას ეხება. პიესაში მხილებულია ეროვნული ჩაგვრისა და რასიული დისკრიმინაციის ის ჯოჯოხეთური პოლიტიკა, რომელიც მძვინვარებს ამჟამად იმპერიალისტური რეაქციის სამყაროში და ამასთანავე ასახულია ბურჟუაზიულ ქვეყნებში უკიდურესი ჩაგვრისაგან გახაწამები და მოთმინებადაკარგულ ხალხის ამოძრავება თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

მსოფლიო ბატონობის გიჟური მისწრაფებით თავბრუდასხმული თანამედროვე ნეოფაშისტები უდიერად ფეხქვეშ თელავენ ხალხების ნაციონალურ უფლებებსა და ინტერესებს, მათს პატრიოტულ გრძნობებსა და ეროვნულ თავმოყვარეობას. თავის მხრივ თავისუფლების მოყვარე ხალხები ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობით უპასუხებენ იმპერიალისტური რეაქციის გააფთრებულ იერიშებს.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების დამახასიათებელი ეს ერთ-ერთი ურთულესი წინააღმდეგობა აირჩია ილო მოსაშვილმა თავისი პიესის „ჩაძირული ქვების“ თემად. ეს კონფლიქტი პიესაში განსახიერებულია საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის ერთ-ერთი ძირითადი კერის — თურქეთის დღევანდელი სოციალური სინამდვილის მასალაზე.

თავისი ოკეანესგაღმელი ბატონების შთაგონებით და წახალისებით თურქეთის ახლანდელ მესვეურთა ხროვა დღითი-დღე აძლიერებს ხალხის ყოველმხრივი ჩაგვრისა და შევიწროების პოლიტიკას, კერძოდ, ეროვნული უმცირესობათა დევნას და რბევას. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს იმ ქართველ მოსახლეობის მიმართ, რომელიც ცხოვრობს თურქი დამპყრობლების მიერ ყაჩაღურად მიტაცებულ სამხრეთ-საქართველოს რაიონებში. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს მიწა-წყალიდან ამ რაიონების ჩამოგლეჯის დროიდან, თურქი აგრესორები არავითარ ბარბაროსულ საშუალებას არ ერიდებოდნენ იმისათვის, რომ გაეთურქებიათ ამ დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველობა, წაერთმიათ მათთვის

ძმობლიური ენა, ადათ-ჩვეულები, კულტურული ტრადიციები. ამ ბარბაროსული პოლიტიკის უმძიმეს უღელქვეშ მგმინავ ქართველ მოსახლეობას ქედი არ მოუხრია საძულველ მოძალადეების წინაშე, უარი არ უთქვამს თავის ეროვნულ მისწრაფებებზე, არ დაუვიწყნია ძმობლიური ენა. ქართველი ხალხი კი, არასოდეს არ შერიგებია თავისი კუთვნილი მიწა-წყლის დაკარგვას, მას ხელი არ აუღია ამ ტერიტორიის უკანვე დაბრუნებისა და იქ მოსახლე ქართველობის დედა-სამშობლოსთან შემოერთების მისწრაფებაზე.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქართველმა საბჭოთა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ხმა აღიმაღლეს იმ დიდი ისტორიული უსამართლობის წინააღმდეგ, როგორიცაა საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალზე თურქი მოძალადეების ბატონობა. ქართული საბჭოთა საზოგადოებრივ აზრის ამ კანონიერ პრეტენზიას თანაგრძნობით შეხვდნენ უცხოეთის პროგრესიული, დემოკრატიული წრეები. ამ გარემოებით შეშფოთებული თურქეთის მთავრობა ახალ გააფთრებულ იერიშებზე გადავიდა თურქეთში მცხოვრები ქართველობის წინააღმდეგ. თურქული რეაქციის მესვეურებმა განიზრახეს მიტაცებულ ქართულ რაიონებში აღმოფხვრან ქართული კულტურის ყოველგვარი კვალი. მათ იწყეს ქართველი მოსახლეობის ძალდატანებით აყრა და თურქეთის შიდა რაიონებში გადასახლება. ხოლო ქართველების კუთვნილ მიწა-წყალზე უხვად შემორჩენილი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების ბარბაროსულად ნგრევა და განადგურება. ბუნებრივია, რომ ქართველმა მოსახლეობამ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობელთა ამ ველურ მოქმედებას. ღრმა დრამატიზმით აღსავსე ამ უთანასწორო ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი დაუდო საფუძვლად ილო მოსაშვილმა თავის „ჩაძირულ ქვებს“. მწერალმა ჩამოაყალიბა დიდი ემოციური ზემოქმედების ძალის, მძაფრად დრამატიზირებული სიუჟეტი, რომელიც ნათლად გვისურათებს ზემოდდახასიათებულ კონფლიქტს და მკაფიოდ გვიჩვენებს ამ ორთაბრძოლის ისტორიულ აზრს.

პიესის მთავარი დადებითი პერსონაჟები: თურქეთში მცხოვრები ქართველების საუკეთესო შვილები — ჯემალ, შუქრი, ბეჟან აღა, გაიანე, პატარა გოგიჩა და სხვ. არა მარტო თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველობის კეთილშობილურ მისწრაფებებს განასახიერებენ არამედ დიდი განზოგადებითი ძალით გამოხატავენ კაპიტალისტური ტირანიისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მსოფლიოს ყოველ კუთხეში აღმდგარი კეთილი ნების ადამიანთა მაღალ იდეალებს და ვაჟკაცურ მორალურ სახეს.

მეორეს მხრივ პიესაში ასეთივე ტიპიზირებული საშუალებით გამოხატულია იმპერიალისტური რეაქციის ბანაკი. ამ ბანაკს პიესაში განასახიერებს თურქეთის ახლანდელი რეაქციული მთავრობის მსახურთა მთელი ხროვა ვილაეთის უფროსის—აბდულ სადეყის მეთაურობით. ვერაგი და დაუნდობელი სატრაპი სულით და ხორცით გაჯერწნილი, აბდულ-სადეყი თავისი ყოველი სიტყვით და ქმედებით ნათლად გვისურათებს საერთაშორისო რეაქციის მესვეურთა ფაშისტურ ბუნებას მათს მხეცურ სახეს. პიესაში მომქმედი ამერიკელი ჯონ-რაიტი მძაფრი რეალისტური საღებავებით შესრულებული მხატვრული სახეა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ყოველ კუთხეში ყოველგვარი, ანტიხალხური, ავაზაკური საქმის სულისჩამდგმელ და წამახალისებელ ძალას სწორედ ამერიკული რეაქციული ბურჟუაზია წარმოადგენს.

პიესაში მკაფიოდ არის ნაჩვენები, თუ როგორის იმედით და სასოებით შეჰყურებენ მსოფლიოს ჩაგრული თავისუფლებისმოყვარე ხალხები ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს — ხალხთა მშვიდობიანი თანამეგობრობის, დემოკრატიისა და პროგრესის ამ უპირველესსა და უძლიერეს ბურჯს.

სამწუხაროდ, დრამატურგმა ვერ მოახერხა ამ პიესის სიუჟეტურ ფარგლებში მოეთავსებია ისეთი პასაჟებიც, რომლებიც გვიჩვენებდნენ თვით თურქი ხალხის დემოკრატიული ფენების გამოფხიზლებას და ამოძრავებას რეაქციული კლასების წინააღმდეგ, დაგვანახვებდნენ თურქეთში მცხოვრები ქართველების სოციალურ დიფერენციასაც. მაგრამ ეს ხარვეზი ვერ ანელებს იმ

ღრმა შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს მაყურებელზე ეს ღრმა აღმზრდელობითი და ესთეტიკური ძალის დრამატიული ნაწარმოები.

„ჩაძირული ქვების“ დიდი წარმატება იმის მომასწავებელია, რომ საბჭოთა ხალხის მოწონებას და აღიარებას მხოლოდ ისეთი დრამატიული ნაწარმოები იმსახურებს, რომელიც ჩვენი დროის დიდსა და მღელვარე პრობლემებს ეხმაურება, თანამედროვეობის აქტუალურ მოვლენებს ასახავს. არა მაყურებლის გართობა, გამხიარულება ან გულის აჩუყება დაუსახავს მიზნად ამ პიესის ავტორს, არამედ ხალხის სულიერი აღზრდა და შეიარაღება, ჩვენი ხალხის უწმინდეს პატრიოტულ გრძნობათა მაღალმხატვრული განსახიერება.

ილო მოსაშვილის ამ პიესის წარმატების მიზეზთა გათვალისწინება კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მორსა დგას ჩვენი სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის მაღალ იდეურ-აღმზრდელობითი დანიშნულებისაგან ისეთი პიესები, რომლებიც ერთადერთ მიზანს ემსახურებიან — ახარხარონ მაყურებელი, ან ცრემლები მოჰგვარონ მას იმის განურჩევლად და განუკითხავად რა იდეურ მიზანდასახულებას შეიცავს ეს სიცილი თუ ცრემლთა ფრქვევა. გაჩნდნენ ისეთი ხელმარჯვე „დრამის მკეთებლები“, რომლებიც მოხერხებულად ნიღბავენ თავიანთი პიესების ვოდევილურ-ფარსულ სიცალიერეს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი თემების მექანიკური ჩაკერებით ასეთ პიესებში.

თუ ასეთი ხასიათის პიესებს ჯერ კიდევ ადგილი ეთმობა ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში, ეს იმათაც უნდა აიხსნას, რომ ქართული საბჭოთა დრამატრუგია ჯერ კიდევ ვერ ახერხებს უზრუნველყოს ჩვენი თეატრი საკმაო რაოდენობის სრულფასოვანი დრამატიული ნაწარმოებებით. ქართული საბჭოთა თეატრის სცენიდან მსუბუქი და მდარე ვოდევილების გაძევების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ისეთი მაღალი იდეურ-ესთეტიკური ღირსების პიესათა შექმნა, როგორიც არის, მაგალითად, ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“.

„ჩაძირული ქვების“ წარმატებიდან კიდევ ერთი დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ: ჩვენი თეატრის რეპერტუარის გამდიდრება ახალი მაღალიდეური და მაღალმხატვრული პიესებით ჩვენი მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატთა საპატიო მოვალეობაა და ამ საქმეში ბევრს ვერაფერს შეგვძენენ იოლად საჩელის მოხვეჭის მაძიებელი მოხალისენი თუნდაც ხუმრობისა და ენამახვილობის ნიჭიერებითაც იყვნენ ისინი დაჯილდოებულნი.

უეჭველია, რომ სამი ქართველი საბჭოთა მწერლისათვის სტალინური პრემიის მინიჭება ახალ შემოქმედებით აღფრთოვანებას შემატებს ქართულ საბჭოთა მწერლობას და მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მის შემდგომ აღმავლობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუმბურიძე

სალიტერატურო ენა და პერსონალთა მეფყველება*

★

მეცნიერების დიდმა კორიფემ ი. ბ. სტალინმა ენათმეცნიერების საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში გენიალურად გააშუქა ენის ურთულესი პრობლემები და გზა გაუკაფა ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად. ამ ნაშრომებით ამხანაგმა სტალინმა გააცამტვერა ნ. მარის ანტიმარქსისტული თეორია, რომელიც ენასა და აზროვნებას ერთმანეთისაგან სწყვეტდა და ამით ამცირებდა ენის როლს. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ ენას საზოგადოებისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს: „თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“.[1]

ამ დებულებიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ენის დახვეწისა და განვითარებისათვის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან რაც უფრო სრულყოფილი იქნება ენა, მით უფრო უკეთ მოემსახურება იგი საზოგადოებას, როგორც მისი ბრძოლისა და განვითარების იარაღი.

ენის სრულყოფისათვის ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად არის მიჩნეული. ეს ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს, ერთის მხრივ, ენის ლექსიკური შედგენილობისა და გრამატიკული წყობის გამდიდრებასა და განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, არასაჭირო ნეოლოგიზმების, არქაიზმების, პროვინციალიზმების, ბარბარიზმების და, საერთოდ, ენისადმი დაუდევარი დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინების აღკვეთას.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებაში ღრმად გააშუქა ახალი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების პროცესი და ცხადყო, თუ რა ზიანი მიაყენა ქართული ენის განვითარებას სხვადასხვა ანტიხალხურმა მიმდინარეობამ. ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანმა გამოამჟღავნა აგრეთვე ზოგიერთი ქართველი მწერლის, კერძოდ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას მცდარი პოზიცია ლიტერატურული ენის მიმართ.

როგორც ცნობილია, ვაჟა ცდილობდა ქართული ლიტერატურული ენის ნაცვლად პოეტურ მეტყველებაში დაემკვიდრებინა თანამედროვეობისაგან მრავალი საუკუნით ჩამორჩენილი ფშავური კილო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ბოლომდე თანამიმდევრული არ იყო და თავის მოთხრობებსა და პუბლიცისტურ — ეთნოგრაფიულ წერილებს გამართული ლიტერატურული ენით წერდა.

ქართული ლიტერატურული ენის განვითარების ისტორიაში იყო აგრეთვე ენის არქაიზაციის ცდებიც. ამგვარი ცდები ჰქონდა, მაგალითად, ვ. ბარნოვს, ხოლო უფრო გვიან — კ. გამსახურდიას.

ლიტერატურული ენის ნაცვლად დიალექტების გაბატონების ცდა, ისევე როგორც არქაიზაციისაკენ მისწრაფება, ენისათვის საზიანო და მიუღებელია. როგორც ერთი, ისე მეორე ეწინააღმდეგება საზოგადოებისათვის გასაგები და მისი ყველა წევრისათვის საერთო ეროვნული ენის განმტკიცების საქმეს. ხალხის მიერ დიდი ხნის წინათ უარყოფილი სიტყვებისა და ფორმების აღდ-

---

* განხილვის წესით. რედაქცია.

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 20.

გენის ცდა, ლიტერატურულ ენაში მათი კვლავ შეღოტანა რაიმე აუცილებლობის გარეშე გაუმართლებელია. ასევე მიუღებელია საერთო სახალხო ენის ნაცვლად რომელიმე კილოს დამკვიდრების ცდა, რაც არსებითად ნიშნავს ერის მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ერების შექმნის პროცესში ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად. ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას საფუძვლად დაედო კურსკ-ორიოლის დიალექტი, უკრაინულს — პოლტავა-კიევის დიალექტი ქართულს კი, როგორც ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, საფუძვლად უდევს „ქართლ-კახური დიალექტი, რომელიც შევსებულია სხვა ქართული კილოების ენობრივი მასალით და რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები".[1] ასეთი ენების დანარჩენი დიალექტები კი, ამხანაგ სტალინის განმარტებით, „კარგავენ თავისთავადობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებიან მათში".[2]

ეროვნული ინტერესებისათვის საჭიროა ხელი შევუწყოთ საერთო-სახალხო ენის განვითარებასა და განმტკიცებას ფუძედიალექტის ბაზაზე, ხოლო სხვა რომელიმე კილოს გაბატონებისა ან ენის არქაიზაციის ცდები კი ამას ხელს უშლიან.

ამასთან დაკავშირებით მხატვრული ნაწარმოების ენისთვის დგება შემდეგი საკითხი: მართალია, ნაწარმოები დახვეწილი ლიტერატურული ენით უნდა იწერებოდეს, მაგრამ ასევე დახვეწილი ენით უნდა მეტყველებდნენ თუ არა ნაწარმოების პერსონაჟებიც? თუ პირიქით, პერსონაჟი უნდა მეტყველებდეს იმ ეპოქისა და კუთხის ენით, რომელსაც იგი ეკუთვნის? ამრიგად, ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებისათვის საკითხი დგება პერსონაჟთა მეტყველებაში არქაიზმების — ხმარების შესახებ, ხოლო თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებისათვის — პერსონაჟის მეტყველებაში დიალექტიზმების ხმარების შესახებ.

ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს და პრაქტიკულადაც იგი სხვადასხვაგვარად წყდება მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. მაგალითისათვის რომ ავიღოთ ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა" და პ. ლორიას „დელი მურადი" ან აკ. ბელაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა" და კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი", ამ მხრივ მათ შორის არსებით სხვაობას შევნიშნავთ: „გვადი ბიგვას" პერსონაჟთა მეტყველებაში დიალექტიზმები არ გვხვდება, მაშინ როცა „დელი მურადის" პერსონაჟთა მეტყველება გადატვირთულია დიალექტიზმებით, ასევე „დავით აღმაშენებლის" პერსონაჟთა მეტყველება არქაულია, „ბესიკის თავგადასავალისა" კი — არა.

ჩვენი აზრით, არქაიზმები და დიალექტიზმები პერსონაჟთა მეტყველებაში ისევე დაუშვებელია, როგორც თვით ავტორის ენაში. პერსონაჟთა ენაც გამართული, დახვეწილი, მთელი საზოგადოებისათვის გასაგები უნდა იყოს.

ჯერ ერთი, ეს აუცილებელია უკეთ გაგებინებისათვის. ენა გაგებინების საშუალებაა. ყოველი მწერალი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება უკეთ გააგებინოს მკითხველს თავისი აზრი, ჩამოაყალიბოს აზრი მაქსიმალურად ნათლად და გასაგებად. ცხადია, პერსონაჟთა ენაც მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს.

პერსონაჟთა მეტყველება გამართული და დახვეწილი ენით საჭიროა აგრეთვე საერთო-სახალხო ენის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, რადგან პერსონაჟთა მეტყველების სიჭრელე ხელს უშლის საერთო ენის დამკვიდრებასა და გავრცელებას.

დასასრულ, თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებისათვის ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში იშლება ზღვარი პროვინციასა და ცენტრს შორის, დიალექტები თანდათან კარგავენ დამოუკიდებელ სახეს და ერწყმიან საერთო-ეროვნულ ენას. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში

---

[1] კ. ნ. ჩარკვიანი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, საანგარიშო მოხსენება თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე 1951 წლის 10 იანვარს. გვ. 70.

[2] ი. ვ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 42.

ინტელიგენციის, მოსწავლეების, მუშების და კოლმეურნეების მეტყველებაში სწრაფად მკვიდრდება ლიტერატურული ენა. ასეთ პირობებში ნაწარმოების გმირის, თანამედროვე ადამიანის მეტყველების პროვინციალიზმებით დატვირთვა ცხოვრებისაგან ჩამორჩენას ნიშნავს.

პერსონაჟთა მეტყველებაში არქაიზმების, პროვინციალიზმების და საერთოდ, ვიწრო ენობრივი კოლექტივის მიერ ხმარებული ფორმების დაცვა — ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნატურალიზმი ენაში და იგი დასაგმობია, როგორც დასაგმობია ნატურალიზმი საზოგადოდ ხელოვნებაში.

პერსონაჟის სწორი და დახვეწილი ენით მეტყველება არ ნიშნავს პერსონაჟთა ენის ნიველირებას. საჭიროა, რომ პერსონაჟთა ენას შერჩეს კუთხისა და ეპოქის კოლორიტი. სხვადასხვა პერსონაჟის მეტყველება არ იყოს ერთფეროვანი, უსახური, ღარიბი. ვინც ამ მიზნის მისაღწევად პროვინციალიზმებისა და არქაიზმების უკონტროლოდ, უსისტემოდ ხმარების იოლი გზით მიდის, იგი ზიანს აყენებს ენას. პერსონაჟთა მეტყველების კოლორიტი დაცული უნდა იქნეს სალიტერატურო ენის ნორმათა ყოველგვარი უხეში დარღვევის გარეშე.

პერსონაჟთა მეტყველებისათვის კოლორიტის შენარჩუნება სალიტერატურო ენის ნორმათა უხეში დარღვევის გარეშე შესაძლებელია სტილისტურ თავისებურებათა გამოყენებით. სახელდობრ: ენაში ერთი ცნების გამოსახატავად ხშირად რამდენიმე მსგავსი სიტყვა მოიპოვება; ერთი და იგივე აზრი შეიძლება რამდენიმე სახის წინადადებით გადმოიცეს; ყოველ დიალექტში ბევრი ისეთი ფორმაა, რომელიც ლიტერატურულ ნორმებს არ ეწინააღმდეგება და სხვ. ყოველივე ეს უამრავ შესაძლებლობას იძლევა პერსონაჟთა მეტყველების მრავალფეროვნებისა და კოლორიტულობისათვის. მოვიყვანოთ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი ქართული ენიდან: „გულადი“ და „გულოვანი“, „ღონიერი“ და „ძალღონიანი“, „იოლი“ და „ადვილი“. „სწორი“ და „მართებული“ და კიდევ მრავალი სხვა ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვა ახალ სალიტერატურო ქართულში თანაბარი ძალითა და უფლებით სარგებლობს. ასევე თანაბარი ძალის მქონე ლიტერატურული ფორმებია „ბია“, „ძია-კაცი“ და „ბიძია“, „ბიძიკო“. ამათგან „ძია“, „ძია-კაცი“ დამახასიათებელია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა მეტყველებისათვის, დასავლეთ საქართველოში კი მის ნაცვლად იხმარება „ბიძია“, „ბიძიკო“. ცხადია, მწერალს დაუბრკოლებლად შეუძლია გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში როგორც ერთი, ისე მეორე. ასევე თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ემფატიკურ ა-ხმოვნიანი ფორმები („ვეწვიე ძმასა“, „მოვეკიდე ოჯახსა“, „უვლის ცოლსა და შვილსა“ და სხვ.), რომელიც დამახასიათებელია ქართლ-კახურისათვის, დასავლეთ საქართველოს კილოებისათვის კი — არა. ცხადია, როცა მწერალი პერსონაჟს ამგვარი ფორმებით ალაპარაკებს, ამით იგი უკვე გარკვეულ კოლორიტს იცავს და გვაგრძნობინებს, თუ რომელი კუთხიდან არის გამოსული ეს პერსონაჟი.

ან კიდევ, ახალ ქართულში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ორგვარი წყობა, — იხმარება როგორც „ბებერი მუხა“, ასევე „მუხა ბებერი“. სალიტერატურო ქართულის ნორმების დარღვევას არც ერთი წარმოადგენს და არც მეორე, ოღონდ პირველი უფრო დამახასიათებელია ახალი ქართულისათვის. მეორე კი გავრცელებული იყო ძველ ქართულში. ისტორიულ პერსონაჟთა მეტყველების კოლორიტისათვის შეიძლება აქცენტი გადატანილ იქნას მსაზღვრელ-საზღვრულის ძველ წყობაზე. სავსებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მრავლობითი რიცხვის წარმოების დროს: „კაცნი“ და „კაცები“; ამჟამად ორივე იხმარება, მაგრამ პირველს გარკვეულ შემთხვევებში უკვე არქაულობის იერი დაჰკრავს და კოლორიტის შესაქმნელად მისი გამოყენება შეიძლება.

მწერალს შეუძლია პერსონაჟთა მეტყველებაში იხმაროს აგრეთვე ისეთი ფორმები, რაც არალიტერატურულია, მაგრამ ენის განვითარების ტენდენციებს არ ეწინააღმდეგება და სალიტერატურო ენის ნორმების უხეშ დარღვევას არ წარმოადგენს, მაგალითად, სასაუბრო მეტყველებაში საყოველთაოდ გავრცელებული ისეთი ფორმები, როგორიცაა: „მოიტა“, „მოიცა“, „წამო“, „დაიჭი“ და სხვ. აქვე უნდა დავსძინოთ. რომ

„მეიტა“, „მეიცა“, „დეიჭი“ ან „მაიტა“, „მაიცა“ და სხვა ამგვარი ფორმები კი უკვე ენის ნორმათა უხეში დარღვევაა და მათი ხმარება პერსონაჟთა მეტყველებაშიც არაა მიზანშეწონილი.

ჩვენი აზრით, შესაძლოა აგრეთვე პერსონაჟთა მეტყველებისას **ნენ** სუფიქსის ნაცვლად **ენ**-ის ხმარება (მოვიდენ, ამბობდენ, ლაპარაკობდენ, ატყავებდენ, იცვამდენ და სხვ.), **ინა**-ს ნაცვლად **ია**-ს ხმარება(მოატანია, ათქმევია, გაატყავებია, გააკეთებია, გააგზავნია და სხვ.), **დ**-ს ნაცვლად **თ**-ს ხმარება (კარგათ, მეზობლათ, უცბათ, მოყვრათ, დიდათ და სხვ.) და სხვა ამგვარი მცირედი გადახვევები სალიტერატურო ენის ნორმებიდან.

ცხადია, ამგვარ მცირე გადახვევათა კოდექსი არ შეიძლება წინასწარ შედგეს, თვითონ მწერალზეა დამოკიდებული, თუ რა ფორმებს და რა რაოდენობით მიიჩნევს იგი დასაშვებად პერსონაჟთა მეტყველებაში, მაგრამ სასურველია, რომ ამგვარ ფორმათა გამოყენება მაქსიმალურად შეიზღუდოს. საგულისხმოა ამ მხრივ დიდი რუსი პროლეტარული მწერლის, სოციალისტური რეალიზმის მამამთავრის მაქსიმ გორკის აზრი, გამოთქმული ახალგაზრდობასთან საუბარში: „მხატვრულ ნაწარმოებს... მოეთხოვება მკაფიო, ზუსტი ენა, გულდასმით შერჩეული სიტყვები. სწორედ ასეთი ენით სწერდნენ „კლასიკოსები“, რომელნიც მას თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში ამუშავებდნენ. ეს ნამდვილი სალიტერატურო ენაა, და თუმცა მას მშრომელი მასების სამეტყველო ენიდან კრეფდნენ, იგი მკვეთრად განსხვავდება თავისი პირველწყაროსაგან, რადგან გამოხატავს რა აღწერილობითი სახით, იგი სამეტყველო სტიქიიდან უკუაგდებს ყოველივე შემთხვევითს, დროებითს და არამტკიცეს, ახირებულს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით არ შეეფერება ტომთა საერთო ენის ძირითად „სულს“, ე. ი. აგებულებას. თავისთავად ცხადია, რომ სამეტყველო ენა რჩება ლიტერატორის მიერ დახატულ ადამიანთა ენაში, მაგრამ რჩება **უმნიშვნელო რაოდენობით**, რაც საჭიროა მხოლოდ დასახატავი პირის უფრო პლასტიკური, მკაფიო დახასიათებისათვის. მისი უფრო ცოცხლად წარმოსახვისათვის“.

ალსანიშნავია, რომ ახალი ქართული ლიტერატურული ენის ფუძემდებლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი პერსონაჟთა გამართული და დახვეწილი ენით მეტყველების პრინციპს იცავდნენ. ერთადერთი შემთხვევა, როცა ილია ჭავჭავაძე არღვევს ამ პრინციპს— ესაა მოხევის მეტყველება „მგზავრის წერილებში“. აქ ილია აბსოლუტური სიზუსტის დაცვას ცდილობს და სიტყვებს მახვილსაც კი უსვამს. ამით მას სურდა მოხევის სიტყვების უშუალობაში (დაეჭვების საფუძველი მოესპო მკითხველისათვის. როგორც ცნობილია, ილიამ „მგზავრის წერილებში“ მოხევის პირით ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მთელი პროგრამა წამოაყენა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“. მაგრამ ამასთანავე ილიას სურდა ეჩვენებინა, რომ ამას ხალხის წარმომადგენელი — მოხევე მოითხოვს, თვითონ ილია კი მხოლოდ გადმოსცემს მოხევის აზრს. ამიტომ დასჭირდა მას მოხევის ალაპარაკება დიალექტზე, რასაც კიდეც აღნიშნავს მოხევესთან საუბრის დასასრულს: „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით როგორც, მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ **იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო**“.

მაგრამ აიღეთ ილიას სხვა უკვდავი თხზულებები: „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და დაინახავთ, რომ ავტორი დიალექტიზმებს გაურბის. მართალია, ილიას მოთხრობების გმირთა მეტყველებაში ზოგჯერ გხვდება ისეთი ფორმები, რაც შესაძლოა, ერთი შეხედვით, პერსონაჟთა დახვეწილი ენით მეტყველების პრინციპიდან გადახვევად გვეჩვენებოდეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ სინამდვილეში ასე არაა. სახელდობრ: არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ილიას დროს ახალი ქართული ლიტერატურული ენა ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო და ილია თვითონ იყო მისი განმტკიცებისათვის ბრძოლის მეთაური. ამიტომ ბუნებრივია, რომ ბევრი სიტყვა და გრამატიკული ფორმა, რაც ამჟამად ლიტერატურული ენის ნორმებიდან გადახვევას წარმოადგენს,

იმ დროისათვის ასეთად არ ჩაითვლებოდა. შესაძლოა, რომ მაშინ ილიას ზოგიერთი ასეთი ფორმა ლიტერატურული ენისათვის მისაღებად მიაჩნდა. ამით უნდა აიხსნას, რომ ზოგი ამგვარი ფორმა პერსონაჟთა მეტყველების გარდა თვით ილიას ენაშიც გვხვდება.

საგულისხმოა ისიც, რომ გვიანდელ ნაწერებში ილიამ თვითონვე უარყო ამგვარი ფორმები: ამ მხრივ, მაგალითად, „ოთარაანთ ქვრივის“ ენა საკმაოდ განსხვავდება „კაცია ადამიანის“ ენისაგან.

საყურადღებოა ილიას მოთხრობების შედარებაც მათ პირვანდელ ვარიანტებთან. ეს შედარება გვიჩვენებს, რომ ილია პერსონაჟთა მეტყველებაში შენიშნულ დამახინჯებულ ფორმებს გულმოდგინედ ასწორებდა. მაგალითად, პირვანდელ ვარიანტებში ხმარებული არალიტერატურული ფორმები დაბეჭდვისას ილიას შემდეგნაირად შეუსწორებია:

ვარიანტებშია:

რამდვენი	(გვ. 621) [1]
ამთვენი	(გვ. 622)
ხო	(გვ. 624)
მიტო	(გვ. 647)
შეირთამ	(გვ. 648)
აულოკამ	(გვ. 644)

ნაბეჭდ ტექსტშია:

რამდენი	(გვ. 337)
ამდენი	(გვ. 343)
ხომ	(გვ. 383)
მიტომ	(გვ. 306)
შეირთავ	(გვ. 306)
ავულოკავ	(გვ. 303) და სხვ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე პერსონაჟთა სწორი და დახვეწილი ენით მეტყველების პრინციპს იცავდა.

სავსებით იგივე შეიძლება ითქვას ქართული ლიტერატურული ენის მეორე ფუძემდებელის აკაკი წერეთლის შესახებაც. აკაკის ისტორიული მოთხრობა „ბაში აჩუკი“ რომ ავიღოთ, ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად დახვეწილია პერსონაჟთა მეტყველებაც და ავტორის ენაც.

მიუხედავად იმისა, რომ ილიასა და აკაკის პერსონაჟების მეტყველება დიდად არ სცილდება სალიტერატურო ენის ფარგლებს, იგი მაინც მრავალფეროვანი და კოლორიტულია. მათ ნაწარმოებში ცხადად იგრძნობა ცხოვრების სიბრძნით სავსე გლეხი ლაპარაკობს, განათლებული ინტელიგენტი, თუ უსაქმური თავადი. ასე, მაგალითად, ოთარაანთ ქვრივის ან გიორგის მეტყველება მკვეთრად განსხვავდება კესოსა და არჩილის მწიგნობრულად დალაგებული საუბრისაგან, „მწიგნობარის პტყელი ენისაგან“, როგორც თვითონ ილია ამბობს.

პერსონაჟთა ენის ხატოვანობისა და მრავალფეროვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს „სცენები ბატონყმობის გადავარდნის დროიდან“. ამ ნაწარმოების ყოველი პერსონაჟის მეტყველებას თავისებური იერი აქვს, თუნცა მთელ ნაწარმოებში ძხოლოდ აქა-იქ თუ შეხვდებით დიალექტურ ფორმებს. ანდა, მოვიგონოთ თუნდაც ლუარსაბ თათქარიძის ენა. ილიას მრავალი ნიუანსი აქვს გამონახული, რათა ლუარსაბის მეტყველებითაც ნათლად გვიჩვენოს მისი გონებაჩლუნგობა.

ლუარსაბის ერთი მოკლე ფრაზა, დარეჯანის სიზმრიდან გამოწვეული ერთი წამოძახილი: „აი, ვენაცვალე სულში იმ სიზმარსა!“ მეტად კოლორიტულად გადმოგვცემს გმირის ხასიათს.

ლუარსაბის გონებაჩლუნგობას ბრწყინვალედ გვიხატავს ერთი და იგივე სიტყვების ხშირი გამეორებაც. მაგალითად: „ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!... გაგონილა!... ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან“ [1]. ან კიდევ: „ბიჭებო! არიქა, ბიჭებო! აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ, თავლას უკან ორმოაო! არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!“ [2].

ლუარსაბის მეტყველებას ახასიათებს აგრეთვე ხშირად წინადადების დამთავრება აღტაცება-გაოცების გამომხატველი შეძახილებით. მაგალითად:

[1] გვერდები მითითებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საიუბილეო გამოცემის მიხედვით (სახელგამი, 1937 წ.).

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, გვ. 333

[2] იქვე, გვ. 381

— „დარეჯან! წყალში ხომ არა ჰხედავდა, ჰა? შენ რას იტყვი?

— იქნება მართლა! შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, სწორედ წყალში ჰხედავდა.

— რა ვქნა, მე კი აგრე ძგონია და!

— ღმერთმან იცის, იქნება სწორედ ეგრე იყოს.

— რა ვიცი! მე კი რაღაც ეჭვი მაქვს და!

— შენმა მზემ, ეგრე უნდა იყოს.

— რა ვიცი, ჩემმა გონებამ კი ეგრე გასჭრა და!“ [1]

ამგვარი ხერხებით ილიამ თავისებური ელფერი მისცა ლუარსაბ თათქარიძის მეტყველებას და განასხვავა იგი ყველა დანარჩენ პერსონაჟთა ენისაგან. ასე იქცეოდა ილია სხვა შემთხვევებშიაც, ასევე იქცეოდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, რომელნიც ლიტერატურული ენის ნორმათა დაურღვევლად უხარჩუნებდნენ გმირთა მეტყველებას კოლორიტსა და ძრავალფეროვნებას.

ახალი ქართული ლიტერატურული ენის ფუძემდებელთა ამ ტრადიციას აგრძელებენ თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის გამოჩენილი ოსტატებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა პროზის შესანიშნავი ოსტატი ლეო ქიაჩელი, რომლის თხზულებებში არც პერსონაჟთა და, მით უმეტეს, არც ავტორის ენაში არქაიზმები და პროვინციალიზმები არ გვხვდება. ლ. ქიაჩელის გმირები გამართული, სწორი ქართული ენით მეტყველებენ, მაგრამ მათი ენა მაინც კოლორიტულია. ავიღოთ თავიდან ბოლომდე კარგი ლიტერატურული ენით დაწერილი რომანი „გვადი ბიგვა“. აქ ცხადად იგრძნობა ნიუანსები პერსონაჟთა მეტყველებაში. მაშინ როდესაც ონისე, გოჩა, სალომე, განსაკუთრებით გვადი, და სხვები ხშირად ხმარობენ წმინდა ხალხურ ფრაზებს, ხატოვან გამოთქმებს და სხვ., გერას, ნაიას, ელიკოს მეტყველებას ოდნავ იმჩნევა ფრაზის მწიგნობრულობა. გასაკუთრებით მკაფიოდ უპირისპირდება ერთმანეთს გვადი ბიგვას ენა-წყლიანი, ხალხური გამოთქმებით მდიდარი, წამდაუწუმ „ჭირიმე“ — ჩართული საუბარი და არჩილ ფორიას მედიდური და დამცინავი კილო, რომელშიაც ფარული ღვარძლი იგრძნობა. ამ გაიძვერა ადამრანის შემპარავი კილოს გამოსახატავად ავტორს მეტად ეფექტიანი, თუმცა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსი მოუძებნია: არჩილი საუბარში ხშირად „ვითომ“-ს ურთავს ხოლმე: „შენს ქალიშვილს ვითომ საჩუქარი მოვუტანე“, „ვითომ ფუური კამეჩის ჩამორთმევა დაუპირებიათ და საქმის გამოსარკვევად წავიდა“, „ჯამაგირს რომ მომიგდებენ ორიოდე გროშს, ვითომ ამას ვიკმარებ?“ და სხვ.

პერსონაჟთა მეტყველებაში იმერული კილოსათვის დამახასიათებელი გამოთქმები ოსტატურად აქვს გამოყენებული მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს „იმერეთის ცისკარში“. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი: „თალიკოს კი არა, აღათიას ცხვირმოუხოცელ გოგოს არავინ გამოგატანს! რისი იმედით, ვისი იმედით! შენს გვარობაზე ერთი საჩეჩმე ადგილი არსად მოიძევა, ღობეზე ერთი ჭირიანი მამალიც არ გიყივის და ოჯახის მოწყობაზე ფიქრობ?... ჯერ, ვაჟო, თავზე შენი ჭერი დაიხურე, დაოჯახებაზე მერე იფიქრე! შეიძლება ხანდახან ცივი ჭადი და პრასა მოგენატროს, მარა შენი კერიიდან კვამლი რომ ამოვა, შეხედავენ და იტყვიან, დასახლდაო. გიმეზობლებენ, სათვალავში ჩაგაგდებენ, კაცობა მოგიმატება!“ — ეუბნება დახუნდარა მექის. აქ ყოველი გამოთქმა, ყოველი სიტყვა ისე ოსტატურადაა შერჩეული, რომ ცხადად იგრძნობა, რომელი კუთხის, რა სოციალური წრის, რა განათლების ადამიანი ლაპარაკობს ამ სიტყვებს. ლიტერატურული ენა კი აქ უხეშად არსად არაა დამახინჯებული.

ასევე კოლორიტულია ისეთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მეტყველებაც კი, როგორიც არის ქუთაისელი ებრაელი შალომა: „ამ ომიანობამ, ვადაი, ხილს გასავალი დაუკარგა! წინად ჩვენი ებრაელობა ორპირის ქუჩაზე დახვდებოდა გლეხსა და იქვე გაუსაღებდა საქონელს, შენმა მზემ! ეხლა ორპირის ქუჩაზე კი არა, შინაც რომ მიუტანო, გარეთ არ გამოგხედავს“. ასე ოსტატურად გამართული დიალოგები რომანში მრავლადაა, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც გვხვდება ისეთი კუთხური ფორმები, რასაც ჩვენი აზრით, ავტორი უნდა ერიდოს. მაგალითად: „გამეიარე, შე დაფეხვილო“, „ჩემი კოწიე შენზე მოწი-

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. 383.

ფებული ვაჟკაცია, მარა ხანდახან იმასაც ქე მივაყოლებ კისერში".

იმერული კოლორიტი ნათლად იგრძნობა აგრეთვე ალ. ქუთათელის რომანის „პირისპირის" პერსონაჟთა მეტყველებაში, თუმცა ეს მეტყველება სავსებით გამართული და დახვეწილია. მაგრამ აქაც გვხვდება ზოგიერთი გამონაკლისი: სახელდობრ, პერსონაჟთა ლიტერატურულად დახვეწილი მეტყველების ფონზე განსაკუთრებით სჭრის ყურს მოხუცი თეოდე ტურიაშვილის იმერული. მის რომანში — „თავგადასავალი „გმობთყე", „წაართმევთყე", „წააგებთყე" და სხვ.

ისტორიული რომანის პერსონაჟთა თანამედროვე ენით მეტყველების პრინციპს იცავს მწერალი აკაკი ბელიაშვილი. მის რომანში „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა"—პერსონაჟები თანამედროვე მკითხველისათვის სავსებით გასაგები ენით ლაპარაკობენ. აქ გმირთა მეტყველების კოლორიტს ჰქმნის აქა-იქ ოსტატურად ჩართული არქაული ფორმები („როგორ გეკადრებათ სამეფო კარის დიდებულთ ასეთი კადნიერება", „იყოს ნება თქვენი", „თქვენ საიდან იცით ყოველივე?" და სხვ.). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტიზმების ხმარების მხრივ კი აკ. ბელიაშვილი ზომიერებას ვერ იცავს და ლიტერატურულად არასწორ ფორმებსაც ხმარობს ხოლმე პერსონაჟთა მეტყველებაში (მაგალითად: „მაიტა", „სომენ", „ჩამაასხი", „ჩამოართო" და სხვ.).

თუ ამგვარ უმნიშვნელო გადახვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ითქვას, რომ საერთოდ მოწინავე ქართველი საბჭოთა პროზაიკოსების უმრავლესობა პერსონაჟთა გამართული, დახვეწილი ენით მეტყველების პრინციპს იცავს.

მაგრამ არის მწერალთა გარკვეული ნაწილი, რომელსაც პერსონაჟთა მეტყველებაში არქაიზმებისა და დიალექტიზმების დაცვა საჭიროდ მიაჩნია. არქაიზმებითა და დიალექტიზმებით პერსონაჟთა ენის დამძიმების მაგალითები ხშირია ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაშიაც. ხალხში გავრცელებული ყოველგვარი ფორმისა და გამოთქმის უკონტროლოდ გამოყენება ხალხის საუბრო ენასთან დაახლოებას როდი ნიშნავს. ამგვარი ფორმების დაცვით გატაცებას ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი იქამდე მიჰყავს, რომ პერსონაჟს სავსებით არაბუნებრივი ენით ალაპარაკებს. მაგალითად, თ. დონეაშვილის რომანის პერსონაჟთა მეტყველებაში ვხვდებით ამგვარ გამოთქმებს: „შენ რო გეჩქარება, ბიძე, მაგაზე კი არა. ეშინიათ იგენს", „ჩამოდი მაი რაშიდან", „ყველაის ოჯახშია დამფრთხალი ძილი, ყველაის გული იქანაა"..

მწერალი ასეთი ენით ხშირად ალაპარაკებს გურიის სოფლის მოწინავე ადამიანებს, — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ინტელიგენტებს და სხვებს. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ „მაი რაშიდან", „ყველაის გული" და სხვა ამგვარი ფორმები გურულ დიალექტს საერთოდ არ ახასიათებს. გურული კაცი იტყოდა „ჩამოდი მა რაშიდან", „ყველას გული" და სხვ. ამრიგად, ასეთი ფორმების ხმარებით ავტორი ორმაგად სცოდავს: ჯერ ერთი, ენას ამახინჯებს და მეორე — არ იცნობს დიალექტსაც. თავის ისტორიულ ნოველათა პერსონაჟებს ასევე არასწორ არქაულ ფორმებს ახვევს თავს კ. რუსიძე. მაგალითად: „ცრემლი არღა ყონავს თვალთაგან ჩემთა, გავშრეული. ტირილი მწადს, ვერ მიტირნია. ვაჰ, დღენო ჩვენნო, ღამეულნო!", „ხუთს შევმუსრავ იმ ვერაგთ მაინც და მერმე მომკლან!", „ერთი რასღა იქმ? ყურად იღე ნათქვამი ჩემი, ჯალათნი მაინც ნუ იხარებენ სიკვდილით ჩვენით" და სხვ.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა როგორც დასახელებულ ავტორთა, ისე ზოგი სხვა მწერლის ნაწარმოებებიდან, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა. ჩვენი აზრით, არქაიზმები და დიალექტიზმები პერსონაჟთა მეტყველებიდანაც უნდა განიდევნოს. ეს ხელს შეუწყობს ლიტერატურული ენის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას. სასაუბრო მეტყველებიდან უნდა შეირჩეს ჭეშმარიტად ხალხური, ფართოდ გავრცელებული და გასაგები ფორმები, სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ენის ბუნებას, და მათი ოსტატური გამოყენებით უნდა შეიქმნას პერსონაჟთა მეტყველების სათანადო კოლორიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია კობ ბალახაშვილი

რამდენიმე ნიმუში ილია ჭავჭავაძის მიერ ახალი სიტყვების შემოტანისა

★

თბილისის ბოლშევიკების XX პარტიულ კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე გააშუქა ქართული ენის განვითარებისა და მისი სიწმინდის დაცვის საკითხები.

„თავის მრავალ სტატიაში, რომლებიც აშუქებდა საქართველოს მაშინდელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების უკლებრივ ყველა დარგს, მის ისტორიას, მის კულტურას, ილია ჭავჭავაძეს შემოჰქონდა ახალი სიტყვები და გამოთქმები ეპოქის მიერ წამოყენებული ახალი ცნებების აღსანიშნავად, მაგრამ ამ სიტყვებს იგი კი არ იგონებდა, ჯერამედ ქმნიდა ქართული ლექსიკური მასალისა და ქართული ენის მიერ შეთვისებული პირველ რიგში რუსული სიტყვების, აგრეთვე გავრცელებული უცხო სიტყვების საფუძველზე“ [1].

ვნახოთ, როგორ შემოჰქონდა ილია ჭავჭავაძეს თავისი ეპოქის მიერ წამოყენებული ახალი ცნებების აღმნიშნავი სიტყვები და გამოთქმები.

ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე ერთგულ გუშაგად ედგა ქართული ენის სიწმინდეს. თავის პირველ წერილშივე („ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, 1860 წ.) ილიამ დევიზად დაისახა: „მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას, ენა საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ [2]

ი. ჭავჭავაძის თანამედროვენი გადმოგვცემენ, თუ რაოდენ ენერგიული და მუყაითი იყო „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი სამუშაო მაგიდასთან.

„რამდენჯერ გაუთენებია ილიას, — წერს გრიგოლ ყიფშიძე, — სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ, რომელიც მწვავე რამ საზოგადო საგნის შესახებ ყოფილა. უკვე დაწერილს, თუ არ მოეწონებოდა, ხევდა შეუწყალებლად და იწყებდა ხელ-ახლა წერას, მერე კიდევ მერე კიდევ და ასე განაგრძობდა, ვიდრე ყოველმხრივ, შინაარსითაც და კილოთიც არ დააკმაყოფილებდა“. [3]

ასეთივე მომთხოვნი იყო ილია თავისი გაზეთის თანამშრომლებისა და სხვების მიმართაც.

ენობრივი და აზრობრივი ხასიათის შესწორებების შეტანას განაგრძობდა ილია კორექტურაში და ხელახალი გამოცემის დროსაც.

ასეთი გულმოდგინე შრომის შედეგად ქმნიდა ი. ჭავჭავაძე ფოლადივით მტკიცე, აზრით ნათელ, სხარტულსა და ფრთიან ფრაზას, რომელსაც საჭიროებისდამიხედვით ახალი სიტყვებით ამდიდრებდა.

ილია შემდეგნაირად ასაბუთებდა ენის ახალი სიტყვებით შევსების აუცილებლობას: „რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაშია. თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსაო, იმან არ იცის, რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებთო, გონებას მხედველობას ნუ უვრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებთო,

---

[1] კ. ჩარკვიანი, საანგარიშო მოხსენება თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე...“ 1951 წ. გვ. 70 — 71.

[2] ი. ჭავჭავაძე, „ნაწერების სრული კრებული“, 1927 წ. ტ. IV, გვ. 26.

[3] ი. ჭავჭავაძე „თხზულებანი“, 1914 წ. ტ. I, გვ. XVII.

ერთი სიტყვით — კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო.[1]

ი. ჭავჭავაძე სამ გზას ასახელებს ენაში ახალი სიტყვების შემოსატანად: „სიტყვა შემოიტანა. ვსთქვათ მოიგონა შესაფერი სიტყვა, წმინდა ქართული, ან სთარგმნა, ან კიდევ უცხო ენის სიტყვა იხმარა[2].

ილია ამ სამივე გზით ამდიდრებდა ქართულ ენას.

ი. ჭავჭავაძისათვის ცოცხალი, ხალხური სალაპარაკო ენა იყო „წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმებისა". იონა მეუნარგია წერდა: „ყოველ შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა ხალხიდამ თავის სიტყვიერებისათვის. დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი. ხალხი იყო ილიასთვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმის".[3]

ხალხური მეტყველების არსენალიდან ახალ ქართულ ლიტერატურულ ენაში დაამკვიდრა ილიამ არა ერთი სიტყვა და გამოთქმა.

უცხოური სიტყვების, უმთავრესად რუსული სიტყვებისა და გამოთქმების შესატყვისებს ილია ქმნიდა ქართული ლექსიკური მასალიდან, „ამ უკანასკნელ დროს, — წერდა ილია, — რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართული: შიგ-მდებარეობა (Содержание), მიქცევ-მოქცევა (отношение не в смысле математического отношения) წარლტოლვილი (Отвлечение), მოთხოვნილება (требование), გავლენა (влияние), მიმართულება (Направление), მეცნიერება (наука)".[4]

ამ გამოთქმების უმეტესი ნაწილი თითონ ი. ჭავჭავაძის მიერ იყო დამკვიდრებული ქართულში.

უცხო სიტყვების შემოტანის შესახებ ილიას სრულიად სწორი თვალსაზრისი გააჩნდა.

ცნობილია, რომ ილიამ თავის პირველ საპროგრამო წერილში „ორიოდე სიტყვა „შეშლილი"-ს თარგმანზედა", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის" 1861 წლის აპრილის ნომერში, დაგმო ისეთი რუსიციზმები, როგორიცაა: „ზადაჩა", „ოსტროვები", „ლინიები" და სხვა, მაგრამ თავად იხმარა ხსენებულ სტატიაში, არა ერთი რუსული და უცხოური სიტყვა.

საქმის ვითარებაში გაურკვეველნი უმართებულოდ თავს დაესხნენ ი. ჭავჭავაძეს.

მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძე წერდა: „ვთხოვთ (ი. ჭავჭავაძეს — **ი. ბ.**) შეასმინოს ჩემს გაუნათლებელს გონებას რა მნიშვნელობა აქვს ლექსებს (სიტყვებს — **ი. ბ.**); ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი. ხომ იცის რომ ჩვენ „ცისკარს" მკითხველები, უფრო მეტნი ეგულვებიან სოფლებში, სადაც ესტეტიკური, იქნება საჭმელადაც მივიღოთ. განა მაგასავით განათლებულნი ვართ. მაშ თვითონ რათ დაიცინება „ცისკარში", შეგვხვედრია გარმიანული (უცხო, არაჩვენი — **ი. ბ.**) სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითაო".[5]

ილიას მიერ გაკრიტიკებული მთარგმნელი — რევაზ შალვას-ძე ერისთავიც სთხოვდა ი. ჭავჭავაძეს აეხსნა მის მიერ ხმარებული უცხო სიტყვები.

ილიამ ასე უპასუხა მათ:

„მე „ოსტროვები", „ლინიები" და სხვა გარმიანული სიტყვები ამისთვის დავიძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია (იგულისხმებიან სიტყვები „ესტეტიკური", „სენტიმენტალური", „დრამატიზმი" და სხვანი — **ი. ბ.**), ვერ იპოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს.

მე რომ ახალი სიტყვები მომეგონა და შემედგინა მაგ სიტყვების მნიშვნელობისათვის, ისინიც ისე გაუგებარნი იქნებოდნენ ყველასათვის, როგორც ეხლა ეგენი არიან გაუგებარნი ზოგიერთისათვის: განათლებულს კაცს მაინც ესმის ეგ სიტყვები და იმ ქართულსა, რომელსაც მე შევადგენდი, ვერც განათლებული გაიგებდა და ვერც გაუნათლებელი, თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, „ნაწერების სრული კრებული", 1927 წ. IV, გვ. 401 — 402.

[2] იგივე წყარო, გვ. 401.

[3] ჟურ. „მნათობი", 1936 წ. № 5 — 6.

[4] იგივე წყარო გვ. 401

[5] ჟურ. „ცისკარი", 1861 წ. № 5

ვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოღიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის სცრუობს, — რომელიცა ძრახავს მაგ-გვარ სიტყვების შემოტანას ენაში". [1]

ილია ჭავჭავაძეს ალმოუჩხდნენ თანამოაზრენიც. „სფირიდონ ჩიტორელიძის" ფსევდონიმით მიხეილ ზაალისძე ყიფიანი (1833 — 1891) წერდა: „რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყველაფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შეეუფარდოთ, ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი. რასაკვირველია, მეც საშინელი წინაალმდეგი ვარ „ოსტროვებისა", „ლინიებისა", და „ოზეროების" ხმარებისა; ეს მეტის-მეტი ახირებაა, რადგანაცა ჩვენა ჩვენს სამშობლო ენაზედაც კარგად ვიტყვით და გავიგონებთ კიდეცა „კუნძულსა", „ხაზსა", და „ტბასა", მაგრამ ეს სალაპარაკოდ არა ღირს, რადგანაც უმეცრებით მოსვლია მის დამწერსა, ვეჭვობ, შემდგომ აღარ გაიმეორებს". [2]

საერთოდ ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში რომელიმე საგნის შემოსვლას თან მოჰყვება საგნის სახელწოდებაც. თუმცა შეიძლება საგანი შემოტანილი არ იყოს და სიტყვა ზეპირი ან მწიგნობრული გზით გავრცელდეს. მაგალითად, საქართველოში „სამოვარის", როგორც ნივთის შემოტანას თანმოჰყვა „სამოვარის" როგორც სიტყვის გავრცელება.

საქართველოში პირველი სამოვარი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოიტანეს და ამ სიტყვის გავრცელებაც აღნიშნული დროიდან მომდინარეობს. 1895 წელს ზ. ჭიჭინაძე წერდა: „მარიამ ერისთავისამ გვიამბო: იმპერატრიცა ეკატერინამ მეფე ერეკლეს ჩაის ჭურჭელი, სამოვარი და სხვა ნივთები გამოუგზავნა საჩუქრადაო. ნივთები საქართველოს მიჯნაზედ მოიტანეს და ყაზბეგიანთ გადასცეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ეს ნივთები ყაზბეგმა თბილისში მეფეს ჩამოუტანა. სამეფო სახლში ყუთი გახსნეს და ნივთები ამოალაგეს. მერე მეფემ სამოვრის დადგმა ბრძანა, მაგრამ სასახლის მოსამსახურეებმა ერთმაც ვერ დადგა სამოვარი. ბოლოს ყაზბეგიდამ ნივთების მიმტანმა მთიელმა დადგა თვითსადუღარი, აადუღა, ჩაიც გააკეთა და მეფეს მიართვა". [3]

ახლა მოვუსმინოთ მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანს, თუ რას წერდა იგი „სამოვრის", როგორც სახელის შესახებ:

„ავიღოთ, მაგალითად „სამოვარი", ვსთქვათ, ჩვენ პირველადა ვნახეთ; აბა რა დავარქვათ, ქვაბსა და ქოთანს არა ჰგავს, არც ქილასა, არც თუნგსა და არც ალთაფასა. მაგრამ ჩვენ გვითხრეს, რომ სამოვარი ჰქვიანო; რა უჭირს სამოვარი ერქვას ისევა. და თუ გინდ მოვიგონოთ და დავარქვათ სხვა სახელი, ვის უნდა დავასწავლოთ როდესაც ყველამ იცის იმისი სახელი, უნდა დავწეროთ ქაღალდზედა და დარჩება ისე უხმარებელი". [4]

მართლაცდა „სამოვრის" ვითომდა შესატყვისად ხელოვნურად შეთითხნილი „თვითსადუღარი" „ქაღალდზე დაწერილი" ისევ-ისე „დარჩა უხმარებელი"

ილია ჭავჭავაძე სასტიკი წინაალმდეგი იყო ქართული ენის დანაგვიანებისა, მაგრამ საჭირო უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს იგი არ ერიდებოდა.

იმის ნათელსაყოფად რომ ილია ახალ სიტყვებს „კი არ იგონებდა, არამედ ქმნიდა ქართული ლექსიკური მასალისა და ქართული ენის მიერ შეთვისებული პირველ რიგში რუსული სიტყვების, აგრეთვე გავრცელებული უცხო სიტყვების საფუძველზე", [5] მივმართოდ ი. ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკას.

ჯერ ორიოდე სიტყვა ილიას პირადი ბიბლიოთეკის შესახებ.

ი. ჭავჭავაძის ტრაგიკულად მოკვლის შემდეგ, მისი მთელი ქონება გადაეცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომელ-

---

1 ი. ჭავჭავაძე „ნაწერების სრული კრებული", 1927 წ. ტ. IV, გვ. 58 — 59

2 ეკრ. „საქართველოს მოამბე", 1863 წ.

3 „ლიტერატურის მატიანე", 1942 წ. № 3 — 4, გვ. 290

4 ეკრ. „საქართველოს მოამბე", 1863 წ.

5 კ. ჩარკვიანი „საანგარიშო მოხსენება თბილისის XX პარტიულ კონფერენციაზე" 1951 წ. გვ. 71.

მაც ილიას წიგნები შეუერთა თავის ბიბლიოთეკას.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გაუქმების შემდეგ, საზოგადოების წიგნები გადაეცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. 1937 წელს საზოგადოების ბიბლიოთეკა ჩაიბარა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ.

ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის აღმწერი თამარ მაჭავარიანი გადმოგვცემს:

„საჯარო ბიბლიოთეკას წიგნებს აბარებდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი თინათინ ნაკაშიძე, რომელმაც პირველად მიგვითითა ი. ჭავჭავაძის წიგნებზე.

ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკიდან ხელთ გვაქვს მხოლოდ 414 წიგნი, ამათში 32 ქართული წიგნია... წიგნები მისი პირადი ბიბლიოთეკიდან მოწმენი არიან ი. ჭავჭავაძის მუშაობის, მისი გონებრივი ზრდისა და იმ ინტერესების, რითაც სულდგმულობდა მეცხრამეტე საუკუნის ქართველთა საზოგადოებრივი აზრის მებაირახტრე.

წიგნის კითხვის დროს ი. ჭავჭავაძეს, ალბათ, ხელში ეჭირა ლუპა-წითელი ფანქარი, რადგან წიგნები ასეთი ფანქრითაა აჭრელებული, ნიშნავდა მრავალ ადგილს, ხანდახან უბრალო ფანქრითაც და, თუ რომელიმე ადგილი განსაკუთრებით საყურადღებო იყო გამოიწერდა იმ გვერდებს წიგნის დასასრულს, ზოგს კიდევ ორჯერ ხაზს გაუსვამდა ან ერთხელ. ზოგიერთ წიგნის სარჩევში ნიშნავდა თავებს. მინაწერებით ხომ აჭრელებულია მთელი რიგი წიგნებისა“.[1]

მკითხველთა ყურადღებას ამჟამად მივაპყრობ ილიას პირად ბიბლიოთეკაში დაცულ გ. მაკლეოდის თხზულებას — „Основания политической экономии“, 1865 г., რომლიდანაც ი. ჭავჭავაძეს ქართულ ენაში შემოსატანად გაუმზადებია მთელი წყება სიტყვებისა და გამოთქმებისა.

ილიას, მისთვის საყურადღებო სიტყვებისათვის, ტექსტში ხაზი გაუსვია, ხოლო გვერდით თარგმანი მიუწერია. მაგალითად:

ტექსტში:	მინაწერი:
გვ. 22. **Меновая ценность**	აღებ-მიცემობის ღირებულება.
გვ. 25. **Ходячий денежный знак**	მოარული ფულის ნიშანი.
გვ. 30. **Кредитных или бумажных денежных знаков**	ნიშანი ქაღალდის ფულისა, ან უკეთ ქაღალდის ფული.
გვ. 30. Мы отвергаем, чтобы монета была орудием мены, а придаем ей значение представительницы долга . .	წარმომადგენელი ვალისა.
გვ. 31. **Упадок в цене и уменьшение внутренней стоимости**	ფასის დაცემა ანუ დაწევა ან ღირებულების დაკლება.
გვ. 31. Выражение — упадок в цене прилагается одинаково и к товарам и к монетам; выражение же уменьшение внутренней стоимости относится преимущественно к денежным знакам. Когда подобная же перемена обнаруживается в товарах, она называется порчею . . .	წახდენა. ფულის ტრიალი.
გვ. 38. **Денежное обращение**	

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე ბრმად, პირდაპირ კი არ თარგმნიდა სიტყვებსა და გამოთქმებს, არამედ ქართული ენის ბუნებასთან შეფარდებით აყალიბებდა ახალ ტერმინებს.

[1] „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948 წ. № 4 — 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ყურაშვილი

ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების ექვსი წელი

★

ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების დღიდან ექვსი წელი გავიდა. 1945 წლის 2 მაისს ჩვენმა გმირულმა ჯარებმა ბერლინზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

1945 წლის 8 მაისს გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ომთა შორის ყველაზე უდიდესი ომი, რომელიც ჰიტლერულმა გერმანიამ მოახვია თავს ევროპის ხალხებს, დამთავრდა გერმანიისა და მისი სატელიტების სრული დამარცხებით.

1945 წლის 9 მაისს ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა...

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიადი გამარჯვების დღე“.

დამარცხდა ყველაზე სისხლისმსმელი იმპერიალიზმი — გერმანიის იმპერიალიზმი.

გერმანიის იმპერიალიზმი განსაკუთრებით აგრესიული გახდა, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცა ჰიტლერული ბანდიტების პარტია — „...იმპერიალისტთა პარტია, თანაც პარტია ყველაზე უფრო მტაცებელი და ავაზაკი იმპერიალისტებისა მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის“. (სტალინი).

ჰიტლერელები მიზნად ისახავდნენ დაემყარებინათ გერმანიის იმპერიალიზმის ბატონობა ევროპის ყველა ქვეყნებში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში.

ამ მიზნის მისაღწევად ისინი სწამლავდნენ გერმანიის ხალხის შეგნებას კაცთმოძულე „რასიული თეორიით“, რომლის მიხედვითაც გერმანელები თითქოს მოწოდებულნი იყვნენ ებატონათ დანარჩენ ხალხებზე. ჰიტლერელი ყაჩაღების მხეცური სიძულვილი, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო სლავ ხალხთა წინააღმდეგ.

თავისი ყაჩაღური გეგმის განსახორციელებლად ფაშისტურმა გერმანიამ 1938-41 წლებში დაიპყრო ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ნორვეგია, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, საბერძნეთი და იუგოსლავია. ამ ქვეყნებში ფაშისტებმა დაამყარეს ეგრეთწოდებული „ახალი წესრიგი“, რაც ნიშნავდა ძარცვას, ტერორსა და ძალადობას. საბჭოთა კავშირი დაუღალავად და თანმიმდევრულად ამჟღავნებდა გერმანული ფაშიზმის რეაქციულ და იმპერიალისტურ ბუნებას არა მარტო ომის დროს, არამედ დიდი სამამულო ომის დაწყებამდეც.

საბჭოთა მთავრობას ბევრჯერ გაუფრთხილებია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჰიტლერელთა საზიზღარი ზრახვების შესახებ; მრავალჯერ გაისმა მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის მზურვალე მოწოდება, რათა ლაგამი ამოედოთ ჰიტლერელ ბნელეთის მოციქულთათვის.

მიუნხენის მონაწილეები და მსოფლიო ომის გაჩაღების სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ხელისშემწყობნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის,

რომ უშედეგოდ დაეტოვებინაო საბჭოთა დიპლომატიის ღონისძიებანი.

მეორე მსოფლიო ომის პირველ პერიოდში გერმანელი ფაშისტები რიგრიგობით უპირისპირებდნენ თავიანთ ძალას ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებს და ცალ-ცალკე ამარცხებდნენ მათ.

ჰიტლერელებს ესმოდათ, რომ საბჭოთა კავშირი უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა მათ მიერ მსოფლიო ბატონობის მოპოვების გზაზე, ესმოდათ, რომ ვიდრე საბჭოთა კავშირი არსებობს, ვერცერთი იმპერიალისტური სახელმწიფო ვერ შესძლებს გაბატონებას მსოფლიოში.

ცნობილია, რომ 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გეგმა. 1940 წლის ბოლოს ეს გეგმა ჰიტლერულმა მთავრობამ დამტკიცა „ბარბაროსას გეგმის“ სახელწოდებით.

გეგმის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა იმ საბჭოთა ჯარების მოსპობას, რომელნიც განლაგებულნი იყვნენ სსრ კავშირის დასავლეთ რაიონებში. საბოლოო მიზნად დასახული იყო არხანგელსკ-ვოლგის ხაზზე ვამაგრება, საჰაერო ძალების საშუალებით ურალისა და საბჭოთა აღმოსავლეთის სხვა სამრეწველო ოლქების პარალიზება, ბალტიის ფლოტის მოსპობა.

ჰიტლერელებს განზრახული ჰქონდათ ერთი დაკვრით აეღოთ ლენინგრადი და კრონშტადტი. შემდეგ გაელაშქრათ მოსკოვზე. მათი აზრით, მოსკოვის აღება გერმანიის ჯარების ვადამწყვეტი წარმატება და საბჭოთა კავშირის სრული დამარცხება იქნებოდა.

ჰიტლერელებს შემუშავებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირის გაძარცვისა და დანაწილების გეგმა.

ამ გეგმით მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელიც გერმანიის საზღვრებიდან ურალამდე მიდიოდა, არავითარი სახელმწიფო არ უნდა ყოფილიყო.

გერმანელ ფაშისტებს განზრახული ჰქონდათ გერმანიასთან შეეერთებინათ პრიბალტიკა, ყირიმი, კავკასია, უკრაინა და ბელორუსია; ვოლგის მხარისა და ბაქოს ნავთის რაიონები „გერმანიის სამხედრო კოლონიებად“ უნდა გადაქცეულიყვნენ.

გერმანელი ფაშისტები ფინელებს აძლევდნენ აღმოსავლეთ კარელიას, ხოლო თავისთვის იტოვებდნენ ნიკელით მდიდარ კოლის ნახევარკუნძულს; ფინელებს „უთმობდნენ“ ლენინგრადის ოლქს, მაგრამ თვით ლენინგრადი, ფინელ ხელისუფლებთან შეთანხმებით, დედამიწის პირიდან უნდა აღეგავათ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მოსახლეობას, ფაშისტ კაციჭამიებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ათეული მილიონობით საბჭოთა ადამიანი მოესპოთ.

თავიანთი ბანდიტური განზრახვების განსახორციელებლად 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტთა ჯარები მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩვენ სამშობლოს.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის საზღვრებზე გადმოვიდნენ ფინეთისა და რუმინეთის ჯარებიც; შემდეგ კი ფაშისტური გერმანიის მხარეზე საომარ მოქმედებაში მონაწილეობას იღებდნენ უნგრელები, იტალიელები და ესპანელებიც კი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ჰიტლერელთა ურდოებისთვის მუშაობდა ევროპის დაპყრობილ სახელმწიფოთა მთელი მრეწველობა.

ამრიგად, ფაქტიურად ჩვენ ვეომებოდით აგრესიულ სახელმწიფოთა ბლოკს, რომელსაც მეთაურობდა ჰიტლერული გერმანია.

1941 წლის 3 ივლისს წარმოთქმულ სიტყვაში დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა ცხადჰყო, თუ რა საფრთხეს უქმნიდნენ ჩვენს სამშობლოს გერმანელი ფაშისტები:

„...ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ“. (სტალინი).

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი აღსდგა დიდი სამამულო ომისათვის გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის ეს დიდი სამამულო ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ კაცობრიობის ისტორიაში ყველა ომთა შორის ყველაზე სამართლიანი

ომი იყო. საბჭოთა ხალხს ამ ომში ამოქმედებდა მაღალი საკაცობრიო მიზნები. მას უნდა დაეცვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი, დაეცვა სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დახმარებოდა ევროპის ხალხებს, რომლებიც სულს ღაფავდნენ გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ, და მათ ეხსნა პროგრესიული კაცობრიობა ფაშისტური მონობისაგან.

საბჭოთა კავშირმა ჰიტლერული გერმანიის დამარცხებაში მთავარი და გადამწყვეტი როლი შეასრულა.

იმისათვის, რომ ღირსეულად შეეფასოთ სსრ კავშირის გამარჯვების სიდიდე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის არახელსაყრელი პირობები, რომლებშიც იმყოფებოდა ჩვენი ქვეყანა სამამულო ომის პირველ ხანებში. ამ ომში ფაშისტური გერმანია აღმოჩნდა უფრო ძლიერი, გამოცდილი და ვერაგი, ვიდრე ის იყო ყველა წინა ომის დროს.

ფაშისტურმა გერმანიამ გამოიყენა დროებითი უპირატესობანი, რომელსაც მას ანიჭებდა თავდასხმის მოულოდნელობა.

ფაშისტურ გერმანიას, როგორც აგრესიულ ქვეყანას, ბუნებრივია, უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდა ოავისი შეიარაღებული ძალების გაშლისათვის, ვიდრე მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომენტში ფაშისტური გერმანიის სრმია მთლიანად მობილიზებული იყო. მას დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული ევროპაში ორი წლის განმავლობაში წარმოებული ომის შედეგად. გერმანიის განკარგულებაში იყო ევროპის თხუთმეტი სახელმწიფოს საწარმოო ძალები. გარდა ამისა, ომის პირველ ეტაპზე გერმანელებს ცოცხალი ძალა, ტანკები და ავიაცია მნიშვნელოვნად მეტი ჰყავდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომში გერმანიის სტრატეგიული პოზიციები უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის, ვიდრე 1914-1918 წლებში. პირველ მსოფლიო ომში, გერმანიას ომის დაწყებიდანვე ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა — დასავლეთში და აღმოსავლეთში; ამავე დროს მისი ძალების უდიდესი ნაწილი დასავლეთში იმყოფებოდა. ამ ომში კი მთელი სამი წლის განმავლობაში გერმანია ომობდა მხოლოდ გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე. ამრიგად, საბჭოთა შეიარაღებული ძალები მარტო უმკლავდებოდნენ ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების მთავარ ძალებს.

მოკავშირეებმა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტი მხოლოდ მაშინ გახსნეს, როდესაც ჰიტლერული ურდოების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე.

„შექმნილი საომარი ვითარება მოასწავებდა, რომ საბჭოთა კავშირს შეეძლო მოკავშირეთა დაუხმარებლად, თავისი საკუთარი ძალებით მოეხდინა მთელი გერმანიის ოკუპაცია და განეხორციელებინა საფრანგეთის განთავისუფლება. ამ გარემოებამ აიძულა ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, რომელიც იმდრომდე წინააღმდეგი იყო ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისა, დაეწყო დასავლეთ ევროპაში შეჭრა“. (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია. გვ. 212, მეორე გამოცემა, თბილისი).

რასაკვირველია, 1944 წლის ივნისში მოკავშირეთა ჯარების შეჭრა ევროპაში იმდენად სამხედრო მიზანს არ ისახავდა, რამდენადაც სამხედრო-პოლიტიკურ მიზანს.

ჩერჩილი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ გერმანიის ოკუპაციაში მოკავშირეთა ჯარებსაც მიეღოთ მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირმა ფაშისტურ გერმანიაზე მოიპოვა სრული სამხედრო, ეკონომიური და იდეოლოგიური გამარჯვება.

ჩვენი გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ საბჭოთა კავშირმა ფაშიზმისაგან იხსნა მსოფლიოს მრავალი ხალხი და კაცობრიობის ცივილიზაცია: ამავე დროს მან მთელ ქვეყანას დაანახვა, რომ სოციალისტური ქვეყნის კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის უმაღლესი საფეხურია. გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობანი.

„ომი, — როგორც ვლადიმერ-ილიასძე ლენინი მიგვითითებდა, — ხალხის

მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი შემოწმებაა“.

დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვა ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა. ომმა თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად დაგვანახვა ის ისტორიული უპირატესობანი, რომელიც სოციალისტურ წყობილებას მოეპოება კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მეოხებით ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილ ქვეყნიდან, როგორიც ის მეფის რუსეთის დროს იყო, გადაიქცა ძოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა.

ომამდელი სტალინური ხუთწლედების შესრულებამ საბჭოთა კავშირი მოამზადა აქტიური თავდაცვისათვის.

ახასიათებს რა ომების განვითარების დღევანდელ ეტაპს, ამხანაგი სტალინი ჩვენს დროს უწოდებს მანქანებით ომის პერიოდს. ომისწინანდელ წლებში გამოსთქვამდა რა ამავე აზრს, ამხანაგი სტალინი თანამედროვე ომს განსაზღვრავდა, როგორც მოტორების ომს.

დღევანდელი ომების ასეთი ხასიათი მოითხოვს ქვეყნის სამრეწველო განვითარების შესაფერ დონეს. საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკა აღმოჩნდა იმ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე, რომლებსაც მას ცხოვრება უყენებდა.

სინამდვილემ სასტიკად დასცინა ჩვენი სამშობლოს მტრების მიერ გამოგონილ მყვირალა ვარაუდებს იმის შესახებ, რომ თითქოს დაირღვევოდა მრავალეროვნებიანი საბჭოთა სახელმწიფო.

მოლაყბე ბურჟუაზიული კრიტიკოსები უკვე ვეღარ ბედავენ, ხალხთა სოციალისტური თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობის ხელაღებით უარყოფას. ახლა „ლაპარაკია იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუში, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისეთ სისტემას, სადაც ნაციონალური საკითხი და ეროვნებათა თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში“ (სტალინი).

დიდ სამამულო ომში წამყვანი როლი ეკუთვნოდა დიდ რუს ხალხს. რუსმა ხალხმა დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც ყველაზე თვალსაჩინო ერმა იმ ერთა შორის, რომელნიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან.

რუსი ხალხის უსაზღვრო ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი წარმოადგენდა იმ გადამწყვეტ ძალას, რომელმაც უზრუნველჰყო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტერზე, ფაშიზმზე.

სახელოვნად შეასრულა თავისი ისტორიული მისია საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმაც.

ამხანაგი სტალინი ასე ახასიათებს საბჭოთა ჯარებს: „...ჩვენმა ჯარებმა თანამედროვე ომის წარმოების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ჩვენი ოფიცრები და გენერლები უნარიანად ხელმძღვანელობენ ჯარებს, წარმატებით ეუფლებიან ჯარების წინამძღოლობის ხელოვნებას. წითელი არმია ყველაზე უფრო მძლავრი და გამობრძმედილი თანამედროვე არმია გახდა“. (ი. სტალინი).

და ეს სავსებით გასაგებია, რადგან საბჭოთა არმია წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალას.

ომმა დაგვანახვა საბჭოთა ხალხის უბადლო ნიჭი, მისი მასობრივი გმირობა და სიმამაცე.

თუ 1914 — 1918 წლების პირველ მსოფლიო ომში გერმანიის სამხედრო იდეოლოგიამ განიცადა პირველი დამარცხება, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი სრულიად გაცამტვერდა.

სტალინური სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება და ტაქტიკა აღმოჩნდა ყველაზე მოწინავე და მან სავსებით დაჩრდილა ჰიტლერული არმიის მანკიერი სტრატეგია და ტაქტიკა.

სტალინურმა სტრატეგიამ ბრწყინვალედ მოიგო ომი, რომლის მსგავსი არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში.

სტალინურმა სტრატეგიამ უზრუნველჰყო ქვეყნის ყველა რესურსების მობილიზაცია და გამოყენება ხანგრძლივი ომისათვის.

თუ ომის პირველ პერიოდში სტალინური სტრატეგია ბრწყინვალედ ასრულებდა დიდი თავდაცვითი ბრძო-

ლების ამოცანას, რაც მოასწავებდა მოწინააღმდეგის სისხლიდან დაცლასა და შესუსტებას, ომის მეორე პერიოდში მან დაგვანახვა მტრისადმი თავბრუდამხვევი დარტყმების უბადლო მაგალითები.

აი, ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორი ზარალი მიაყენეს მტერს საბჭოთა ჯარებმა ომის პირველ ეტაპზე:

ძველ ბოროდინოს ველზე ცხარე ბრძოლები სწარმოებდა. აქ ისტორია გადანასკვული იყო თანამედროვეობასთან. იქ, სადაც 1812 წელს იდგა რაევსკის სახელგანთქმული ბატარია, 1941 წელს კაპიტან ბელიაევის და უფროს ლეიტენანტ ზელენოვის არტილერისტები ანადგურებდნენ გერმანელთა ჯავშნიან მანქანებს. აქ ჰიტლერელებმა მოაყარეს რამდენიმე ათეული ტანკი. მაგრამ ვერცერთმა გზა ვერ გაიკაფა. ასევე თავგანწირულად იბრძოდა საბჭოთა ბატალიონი შევარდინოს რაიონში. როდესაც ბრძანებით ბატალიონმა უკან დაიხია, ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 117 განადგურებული ტანკი და 10 000-ზე მეტი მოკლული და დაჭრილი ჰიტლერელი. ასე იბადებოდა მარადიული დიდება იმ გმირებისა, რომლებმაც მოამზადეს 1945 წლის მაისი.

დიდი სტალინის გენიით დიდი სამამულო ომის წლებში სამხედრო მეცნიერება ავიდა უდიდეს სიმაღლეზე.

„ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა დებულება ომის ბედის გადაწყვეტი მუდმივ მოქმედი ფაქტორების შესახებ, აქტიური თავდაცვისა და კონტრშეტევის და შეტევის კანონების შესახებ, ომის თანამედროვე პირობებში ჯარების გვარეობათა და საბრძოლო ტექნიკის თანამოქმედების შესახებ, თანამედროვე ომში ტანკების დიდი მასებისა და ავიაციის როლის შესახებ, არტილერიის, როგორც ჯარების ყველაზე ძლიერი გვარეობის შესახებ. ომის სხვადასხვა ეტაპზე სტალინის გენია პოულობდა ისეთ სწორ გადაწყვეტას, რომელიც სავსებით ითვალისწინებდა ვითარების თავისებურებას.

სტალინურმა სამხედრო ხელოვნებამ თავი იჩინა, როგორც თავდაცვაში, ისე შეტევაში. ამხანაგ სტალინის მითითებით საბჭოთა ჯარების აქტიური თავდაცვა შეხამებული იყო კონტრშეტევის მომზადებასთან, შეტევა შეხამებული იყო მტკიცე თავდაცვასთან. ამხანაგმა სტალინმა ოსტატურად შეიმუშავა და გამოიყენა მანევრების ახალი ტაქტიკა, ტაქტიკა მოწინააღმდეგის ფრონტის ერთდროულად რამდენიმე უბანზე გარღვევისა, გაანგარიშებული იმისათვის, რომ საშუალება არ მისცე მოწინააღმდეგეს თავი მოუყაროს თავის რეზერვებს დამრტყმელ მუშტად, ტაქტიკა მოწინააღმდეგის ფრონტის რამდენიმე უბანზე სხვადასხვა დროს გარღვევისა, როცა ერთი გარღვევა მეორეს მოსდევს გაანგარიშებული იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე აიძულო დაჰკარგოს დრო და ძალები თავისი ჯარების გადასაჯგუფებლად, მოწინააღმდეგის ფლანგების გარღვევის, ზურგში შეჭრის, მტრის ჯარების დიდ დაჯგუფებათა გარშემორტყმისა და მოსპობის ტაქტიკა. ამხანაგი სტალინი გენიალური შორსმჭვრეტელობით გამოიცნობდა ხოლმე მტრის გეგმებს და აქარწყლებდა მათ. იმ ბრძოლებში, რომლებშიც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა საბჭოთა ჯარებს, ხორცშესხმულია სამხედრო ოპერატიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები“. (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია გვ. 229 — 230).

ყველა საბრძოლო ოპერაცია, რომელიც საბჭოთა არმიამ განახორციელა კაცობრიობის გენიის გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით, ხასიათდება შემოქმედებითი თავისებურებით და ჩანაფიქრის ორიგინალობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის პირველ პერიოდში ჩვენი ჯარების საბრძოლო მოქმედება არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო თავდაცვითი ხასიათისა, რადგან ომი აგრესორის მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო.. საბჭოთა სამხედრო მეცნიერების შესაბამისად ჩვენი თავდაცვა უპასუხებდა ორ მნიშვნელოვან მოთხოვნას: პირველყოვლისა, ის იყო აქტიური თავდაცვა; მეორეც, ის უზრუნველყოფდა გადამწყვეტი კონტრშეტევის მომზადებას.

ეს შეიძლება ნათლად დავინახოთ იმ დარტყმებში, რომელიც საბჭოთა არმიამ მტერს აგება ომის დასაწყისში. მოსკოვთან ფაშისტთა ურდოების განადგურების შედეგად, საბჭოთა არმიამ ჩაფუშა მტრის ბოდვითი გეგმა საბჭოთა კავშირის ელვისებური დამარცხების შესახებ. ამის გამო, მოულოდნელობის

ფაქტორი, რაზედაც მტერი ამყარებდა ძალ თავის იმედს, თითქმის სრულიად გაქარწყლდა.

ძალაში შედიოდა მუდმივ მოქმედი ფაქტორები, რომელთა გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე ცხადი იყო.

წლინახევრის განმავლობაში საბჭოთა არმიის აქტიურმა თავდაცვითი ბრძოლებმა დაქსაქსა მტრის ძალები, უზრუნველყო ჩვენი ძალების მობილიზაცია იმისათვის, რომ მტერს ისეთი კონტრშეტევა დასტეხოდა თავს, როგორიც იყო, მაგალითად, სტალინგრადის კონტრშეტევა, რამაც ძირფესვიანი გარდატეხა მოახდინა ომის მსვლელობაში.

შემდგომმა კონტრშეტევებმა, კერძოდ, კურსკთან წარმოებულმა შეტევამ, საბოლოოდ წაართვა მტერს ინიციატივა და გერმანელ ფაშისტთა არმია კატასტროფის წინაშე დააყენა.

უკვე ამის შემდეგ დაიწყო საბჭოთა არმიის ბრწყინვალე შეტევითი ოპერაციები, რომელთა შედეგად მტერი განიდევნა ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან და შერეკილ იქნა თავის ბუნაგში, სადაც ჩვენმა სახელოვანმა არმიამ საბოლოოდ გაანადგურა იგი.

დიდი სამამულო ომის გამოცდილების საფუძველზე საბჭოთა არმიამ და სტალინურმა სამხედრო მეცნიერებამ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს თავისი ძლევამოსილება და უბადლო ძლიერება.

ომმა ნათლად დაგვანახვა სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის, ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის და ხალხთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელი და წარმართველი როლის გადამწყვეტი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებაში.

როგორც მშვიდობიანი განვითარების წლებში, ისე ომიანობის დროს, ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკა წარმოადგენდა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს, ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროს. დაუფასებელია ამხანაგ სტალინის დამსახურება საბჭოთა ხალხის წინაშე.

„ეს ჩვენი ბედნიერება იყო, — ამბობს ამხანაგი მოლოტოვი,—რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი **დიდი სტალინი**“.

დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი და ბერლინში ფაშისტაგზე აღიმართა გამარჯვების დროშა.

საბჭოთა არმიამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, გაწმინდა ჩვენი მიწა-წყალი ფაშისტთა ურდოებისაგან და მონობის უღლისგან გაათავისუფლა ევროპის ხალხები.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხის წინაშე დადგა მტრის მიერ მოყენებული ჭრილობების მოშუშებისა და კაცობრიობის ბედნიერების მწვერვალისაკენ — კომუნიზმისაკენ წინსვლის ამოცანა.

ჩვენმა პარტიამ, დიდმა სტალინმა მთელი საბჭოთა ხალხი დარაზმეს ამ ამოცანის შესასრულებლად. ამ ისტორიულმა ამოცანამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში.

საბჭოთა კავშირის წინაშე დადგა აგრეთვე სხვა დიდი ამოცანაც — მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ამოცანა.

1947 წლის სექტემბერში პოლონეთში გამართული ზოგიერთი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში საერთაშორისო საკითხზე ნათქვამია:

„საერთაშორისო ვითარებაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად და ომის შემდგომ პერიოდში არსებითი ცვლილებანი მოხდა. ამ ცვლილებებს ახასიათებენ მსოფლიო ასპარეზზე მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ძალების ახალი განაწილება, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის შეცვლა და მათი გადაჯგუფება. სანამ ომი სწარმოებდა, მოკავშირე სახელმწიფოები გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ომში ერთად იყვნენ და ერთ ბანაკს შეადგენდნენ. მაგრამ მოკავშირეთა ბანაკში უკვე ომის დროს არსებობდა განსხვავება როგორც ომის მიზნების, ისე მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის ამოცანების განსაზღვრაში.

საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიულ ქვეყნებს ომის ძირითად მიზნებად ჰქონდათ დემოკრატიული წყობილების აღდგენა და განმტკიცება ევროპაში, ფაშიზმის ლიკვიდაცია და გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობის თავიდან აცილება. ევროპის ხალხების ყოველმხრივი ხანგრძლივი თანამშრომ-

ლობის შექმნა. ამერიკის შეერთებული შტატები და მათთან თანხმობით ინგლისი ომში სხვა მიზანს ისახავდნენ — ბაზრებზე კონკურენტებისაგან (გერმანია, იაპონია) თავის დაღწევას და თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის განმტკიცებას. ეს განსხვავება ომის მიზნებისა და ომის შემდგომი მოწყობის ამოცანების განსაზღვრაში ღრმავდებოდა ომის შემდგომ პერიოდში. ყალიბდებოდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზი: ერთ პოლუსზე სსრ კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკა, რაც მიმართულია იმპერიალიზმისათვის ძირისგამომთხრელად და დემოკრატიის განსამტკიცებლად, მეორე პოლუსზე — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკა, მიმართული იმპერიალიზმის გაძლიერებისა და დემოკრატიის ჩახშობისაკენ. რადგან სსრ კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები ხელის შემშლელი გახდნენ მსოფლიო ბატონობისა და დემოკრატიულ მოძრაობათა განადგურებისათვის ბრძოლის იმპერიალისტური გეგმის განხორციელებაში, გამოცხადებული იქნა ლაშქრობა სსრ კავშირსა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, რასაც ზურგს უმაგრებს აგრეთვე ახალი ომის საფრთხე ყველაზე უფრო თავგამოდებული იმპერიალისტური პოლიტიკოსების მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში".

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ორი ბანაკი:

ა) იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული ბანაკი ა. შ. შტატების მეთაურობით, რომელიც განსაკუთრებულ აგრესიულ აქტივობას იჩენს და კიდევ მეტი: აგრესიულ ომსაც ეწევა ამჟამად და ბ) ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკი, დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, რომელიც იბრძვის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დადგა ომის შემდგომი მშვიდობიანობის სისტემის შექმნის საკითხი. საბჭოთა კავშირმა, რომელიც ერთგულია მშვიდობის, უშიშროების და ხალხთა თავისუფლების დაცვის პოლიტიკისა, იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა, წამოაყენა მტკიცე და ხანგრძლივი დემოკრატიული მეგობრობიანობის დამყარების ამოცანა.

ახლა, — ამბობდა ამხანაგი მოლოტოვი პრაღის მშვიდობის კონფერენციაზე, — როდესაც მოკავშირეები მშვიდობის დამყარებისა და ხალხთა უშიშროების საქმეებს არჩევენ, საბჭოთა კავშირი, ვისაც ჩვენ აქ წარმოვადგენთ, თავის მოვალეობად თვლის განაგრძოს ბრძოლა იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით ომის დროს".

მთელი მოწინავე კაცობრიობის ინტერესები განუყოფელია საბჭოთა კავშირის ინტერესებისაგან. როგორც ომის დროს საბჭოთა არმიის გამარჯვებაზე იყო დამოკიდებული ფაშიზმის მიერ დამონებული ქვეყნების გათავისუფლება, ისევე დღეს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკის გამარჯვებაზეა დამოკიდებული მთელი მსოფლიო ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების განხორციელება.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისა და ჰიტლერული გერმანიის სამხედრო და მორალურ-პოლიტიკური დამარცხების შედეგად ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების ანტისაბჭოთა პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი რიგი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა სერიოზული ცვლილებანი; — მთელ მსოფლიოში ძალიან დიდად გაიზარდა პროგრესისა და დემოკრატიის ძალები.

მაგრამ ამ დადებით მოვლენებთან ერთად ომისშემდგომ საერთაშორისო მდგომარეობაში აღინიშნა უარყოფითი მოვლენებიც, გამოწვეულნი რეაქციული ძალების მოქმედებითა და მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის გავლენის გაძლიერებით.

ცნობილია, რომ ომის წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის კაპიტალისტური მონოპოლიები მთავრობის შეკვეთების ხარჯზე გამდიდრდნენ. იმ დროს, როდესაც ბრძოლის ველზე მილიონ ადამიანთა სისხლი იღვრებოდა, ერთი მუჭა მონოპოლისტები ამ სისხლზე მილიონობით სარგებელს იღებდნენ.

ამ ქვეყნებში, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მონოპოლისტურმა კაპიტალმა ხელში ჩაიგდო მრეწველობის, განსაკუთრებით კი სამხედრო მრეწველობის დიდი ნაწილი; ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოხდა კაპიტალისტური მონოპოლიების შეზრდა სახელმწიფო აპარატთან. და როგორც ამის შედეგი, ამ ქვეყნების მმართველები ატარებდნენ და ატარებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელია თავიანთ ბატონ-პატრონ მონოპოლისტებისათვის.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ომის წლებში მეორე ფრონტის გაჭიანურება.

ვიდრე ომი მიმდინარეობდა ამერიკის შეეერთებული შტატებისა და ინგლისის მონოპოლისტები დაინტერესებული იყვნენ გერმანიისა და იაპონიის, როგორც თავიანთი კონკურენტების, განადგურებით.

მაგრამ ომის შემდეგ ამერიკისა და მისი დამქაში სახელმწიფოების — ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული წრეების პოლიტიკა წარიმართა ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ინტერესთა წინააღმდეგ, ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების წინააღმდეგ.

ამ სახელმწიფოთა რეაქციული წრეები, რომელნიც ყველაფერს თავიანთი ვიწრო კლასობრივი ანგარებიანი თვალსაზრისით აფასებენ, ომის შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან ომისაგან მიღებულ სარგებელს საკმარისად არა თვლიან. ხოლო კოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ხალხთა ბრძოლის განვითარებამ გააძლიერა მონოპოლისტების რეაქციულობა.

ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის რეაქციულმა წრეებმა დაიწყეს ლაშქრობა მუშათა კლასის წინააღმდეგ. ისინი აშკარად ებრძვიან გაფიცვებს, აწარმოებენ გაჯოფებულ კამპანიას კომუნისტებისა და მოწინავე მუშათა წინააღმდეგ. ამრიგად, ამერიკის შერთებული შტატებისა და ინგლისის რეაქციული წრეები ამჟამად იმავე მიზნებს ისახავენ, რასაც ისახავდა ბანდიტი ჰიტლერი.

ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა და დაიმონონ მთელი ქვეყნის ხალხები. მათ ეროფერი ისწავლეს ისტორიის მრისხანე გაკვეთილზე, იმაზე, რომ მსოფლიო ბატონობის მოპოვების ჰიტლერულმა გეგმამ ისტორიის სანაგვეზე გადაჰყარა მთელი ფაშისტური ხროვა.

იმპერიალისტური ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატები, თავისი საზიზღარი მიზნების განხორციელებისათვის აშკარად დაადგა ომის მზადების გზას. დაიწყო რა დაშინებისა და დამუქრების პოლიტიკით, იგი გადავიდა „დოლარის დიპლომატიაზე“ შემდეგ კი აშკარა ინტერვენციასა და აგრესიაზე. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებმა შეინარჩუნეს დიდი რაოდენობის არმია, გააჩაღეს სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობა მსოფლიოს ყველა კუთხეში, შეუდგნენ მთელი რიგი სახელმწიფოების მოსყიდვას ეგრეთწოდებული მარშალიზაციის გზით.

მეოცე საუკუნის უდიდესი გამოგონებით — ატომური ენერგიით, რომელიც ადამიანთა საზოგადოების განვითარების სამშვიდობო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, ამერიკის შერთებული შტატები ემუქრებიან მშვიდობისმოყვარე ხალხებს. სუსტნერვებიანთა შესაშინებლად გრძელდება ამ ბომბების დამზადება და გამოცდა. „დოლარის დიპლომატია“ უოლ-სტრიტმა შეავსო „ატომის დიპლომატიით“.

მსოფლიო ბატონობის მოპოვების მიზნით უოლ-სტრიტის სესხებით შესყიდული არიან საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, ავსტრიის, იუგოსლავიის მთავრობები. ამავე დროს ბილწი რეაქციონერი და ომის გამჩაღებელი ჩერჩილი ქადაგებს „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნას.

ამერიკის მმართველი წრეები სდებენ პაქტებსა და ჰკრავენ სხვადასხვა რეაქციულ მთავრობათა კავშირებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობისმოყვარე ხალხებისა და პირველყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამერიკის რეაქციული დიპლომატია ფუშავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადააქცია იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღად.

ამრიგად, საერთაშორისო პოლიტიკაში არსებობს ორი ტენდენცია: პროგრესიულ-დემოკრატიული, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, და რეაქციულ-იმპერიალისტური, რომელსაც მეთაურობენ ამერიკისა და ინგლისის რეაქციული წრეები.

ამხანაგმა სტალინმა „პრავდის" კორესპონდენტის შეკითხვის პასუხად ასე დაახასიათა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:

„ამრიგად, იქცევა რა აგრესიული ომის იარაღად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამასთან ერთად აღარ არის თანასწორუფლებიანი ერების მსოფლიო ორგანიზაცია, არსებითად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახლა წარმოადგენს არა იმდენად მსოფლიო ორგანიზაციას, რამდენადაც ორგანიზაციას ამერიკელებისათვის, რომელიც ამერიკელ აგრესორების საჭიროებისათვის მოქმედებს. არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ისწრაფვიან ახალი ომის გაჩაღებისაკენ, არამედ ამ გზას ადგას აგრეთვე ლათინური ამერიკის ოცი ქვეყანა, რომელთა მემამულეებსა და ვაჭრებს სწყურიათ ახალი ომი სადმე ევროპასა თუ აზიაში, რათა მეომარ მხარეებს საქონელი მიჰყიდონ ზემაღალ ფასად და ამ სისხლიანი საქმით მილიონები შეიძინონ. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნის ოცი წარმომადგენელი ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დარაზმული და მორჩილი არმიაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ადგება ერთა ლიგის სამარცხვინო გზას. ამით იგი ასამარებს თავის მორალურ ავტორიტეტს და ამზადებს თავის დაშლას".

გაერთიანებული ერების ტრიბუნიდან საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლებს და ქვეყნების თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

საბჭოთა კავშირი თვლის, რომ მიუხედავად იდეოლოგიისა და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული თანამშრომლობა არა მარტო საკვლებით განსახორციელებელია, არამედ აუცილებელიც არის. ამ თანამშრომლობის განვითარებისაგან, რაც დაყარებული უნდა იყოს თითოეული დიდი სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის გაგებაზე, დამოკიდებულია მილიონთა სისხლის ფასად მოპოვებული გამარჯვების განმტკიცება, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას, უანგაროდ ეხმარება ახალი დემოკრატიის ქვეყნებს, ურყევად და თანმიმდევრულად იბრძვის დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ერთიანი მშვიდობიმოყვარე სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, მისი ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის, აყენებს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხებს, აღდგენს და ავითარებს თავის სახალხო მეურნეობას, უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალურ კეთილდღეობასა და კულტურულ ზრდას; ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული წრეები შლიან საბჭოთა კავშირის ყველა სამშვიდობო წინადადებას, აღდგენენ დასავლეთ გერმანიის სამხედრო პოტენციალს, რათა იგი გადააქციონ ახალი ომის თავიანთ არსენალად, იმონებენ ხალხებს, აფართოებენ სამხედრო მრეწველობას, ადიდებენ თავიანთ არმიებს, ზღვაში ჰყრიან ათას ტონობით პროდუქტებს და შიმშილსა და სიღარიბეში ჰყრიან ხალხს, ერევიან სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, სისხლიან ყაჩაღურ ომს ეწევიან კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ხელჰყოფენ ევროპისა და აზიის მთელ რიგ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, აბშობენ ვიეტნამელი და სხვა კოლონიური ხალხების გამათავისუფლებელ მოძრაობას, პროვოკაციებს უწყობენ 475-მილიონიან ჩინელ ხალხს, სასტიკად უსწორდებიან პროგრესიულ მოღვაწეებს, მძიმე საგადასახადო ტვირთს ადებენ მშრომელ მასებს, იწვევენ უმუშევრობის ზრდას და მასების გაღატაკებას.

როგორც ცნობილია, წარსული წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომის პროვოკაცია მოაწყვეს

კორეაში, მხარს უჭერენ რა ლი-სინ-მანის ბანდას, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელნიც ამოფარებულნი არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშას, აგრესიულ ომს აწარმოებენ კორეის თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ.

მათი მიზანია უდაბნოდ აქციონ ის ტერიტორია, რომლიდანაც ისინი განდევნეს კორეის სახალხო არმიის მებრძოლებმა და ჩინელმა მოხალისეებმა.

მაგრამ ამერიკულ აგრესორებს ვერავითარი ბოროტმოქმედება ვერ იხსნის აუცილებელი დამარცხებისაგან და მშვიდობისმოყვარე ხალხთა სამართლიანი მსჯავრისაგან.

მსოფლიო რეაქციის ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ჩაშალონ ხალხთა სამშვიდობო ღონისძიებანი, მაგრამ ამაოდ. მართალია, ინგლისის მმართველი წრეები შეეცადნენ ჩაეშალათ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი; მათ ნება არ დართეს, რომ ეს კონგრესი გამართულიყო ინგლისის ტერიტორიაზე. მაგრამ კონგრესი მოეწყო პოლონეთში. კონგრესის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მხარს უჭერს მთელი პროგრესიული კაცობრიობა, ახალ მძლავრ დარტყმას წარმოადგენს ომის გამჩაღებლების მიმართ.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პარიზში მიმდინარე წინასწარი თათბირი, რომელიც მოწოდებულია გამოიმუშაოს საგარეო საქმეთა მინისტრების სესიის დღის წესრიგი, თავის მხრივ, ნათლად გვიჩვენებს ამერიკის შერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა რეაქციულ პოლიტიკას, რომელთა წარმომადგენლები გამოდიან წინადადებებით, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირის სამშვიდობო წინადადებათა ჩაფუშვისა და გერმანიის გათიშვისაკენ.

„თავიანთ აგრესიულ პოლიტიკას, — ამბობდა ნ. ი. ბულგანინი თავის მოხსენებაში 1950 წლის 6 თებერვალს, — იმპერიალისტები იმით ნიღბავენ, თითქოს ისინი ეწევიან ომს კომუნიზმის წინააღმდეგ. ეს ხერხი ახალი არ არის. ჰიტლერი და მისი დამქაშებიც ასევე ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი აგრესიული პოლიტიკა კომუნისტური საშიშროებით. თუ რით დამთავრდა ჰიტლერელთა ეს ყალბი მაქინაციები — ყველასათვის ცნობილია. როგორც ჩანს, ჰიტლერის დაფნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევს ინგლის-ამერიკის ბლოკის მონაწილე ომის გამჩაღებლებს.

მაგრამ ახლა უბრალო ადამიანების შეცდომაში შეყვანა ძნელია. საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის გამოცდილებაზე მშრომელები ხედავენ, რომ იქ, სადაც კომუნისტები დგებიან ხელისუფლების სათავეში, მყარდება ნამდვილი დემოკრატია, ისპობა უმუშევრობა, სწრაფი ტემპით იზრდება ხალხის კეთილდღეობა და კულტურა, თვითეულ ადამიანს ეძლევა შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი შესაძლებლობანი.

აი, რატომ არის, რომ მიუხედავად იმპერიალისტების ყველა ცდისა „მოსპონ“ კომუნიზმი, კომუნიზმის მომხრეთა რიცხვი იზრდება. დღითიდღე ძლიერდება კომუნისტური პარტიების გავლენა, რომელთა რიგებში, საბჭოთა კავშირის გამოკლებით, 13 მილიონი კაცია“.

ინგლის-ამერიკის რეაქციონერები ისტორიის ბორბალს უკუღმა ვერ შეატრიალებენ.

საბჭოთა კავშირის ირგვლივ ირაზმებიან მთელი პროგრესიული კაცობრიობა, მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე ხალხები.

ხალხთა საყვარელი ბრძენი ბელადის, გენერალისიმუსი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მიღწეულია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ეხიმვნელოვანი წარმატებანი.

დემოკრატიული ბანაკის უდიდეს ახალ მიღწევას წარმოადგენს მშვიდობის საბჭოს ჩამოყალიბება, რაც მრისხანე გაფრთხილებაა ახალი ომის გამჩაღებლებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისა და რამდენიმე დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ მშვიდობის კანონის მიღება მშვიდობის ბანაკის ახალი უდიდესი წარმატებაა.

აღნიშნავს რა ჰიტლერულ გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების ექვსი წლის თავს, მთელი საბჭოთა ხალხისა და პროგრესიული კაცობრიობის თვალი მიპყრობილია დიდი ბელადისა და მასწავლებლისაკენ—დიდი სტალინისაკენ, ვისი სახელიც წარმოადგენს ბედნიერებისა და პროგრესის სიმბოლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაული ინგოროყვა

გიორგი მერჩული

ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*

VIII

ისტორიული ჰეშმარიტების დამახინჯება
საქართველოს სამხრეთი მხარეების (მესხეთისა და სამხრეთი ქართლის)
ისტორიის საკითხებში.

ე

სპერის მხარის ისტორიისათვის

გადავდივართ მესხეთის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ზონის — სპერის მხარის ისტორიის საკითხთა განხილვაზე.

სპერის მხარე მდებარეობს ჭოროხის ხეობაში; მას უჭირავს ჭოროხის ხეობის ზემო და შუა ნაწილი.

სპერის მხარის ისტორიის საკითხები ნაკლებად არის დამუშავებული.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია, წერილში — „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში", სპერის ადრინდელი პერიოდის ისტორიის გამო შემდეგსა წერს:

> „სტრაბონი არმენიის აღწერილობაში იხსენიებს პროვინციას სისპირიტიდას (წიგნი XI, თავი XIV, § 9, 12; წიგნი XI, თავი IV, § 8), რომელიც, უეჭველია, ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულ სპერსა და თანამედროვე ისპირს. სტრაბონის ცნობა უნდა გავიგოთ, ჩანს, ისე, რომ სისპირიტიდა — სპერი ეკუთვნოდა სომხეთს" [1].

ეს დებულება, რომელიც მიღებულია საისტორიო მეცნიერებაში, როგორც ირკვევა, გადასინჯვას საჭიროებს.

სახელდობრ საისტორიო წყაროების ანალიზიდან ირკვევა შემდეგი:

1. სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებული იყო არა მთელი ისტორიული სპერი („ფეოდალური ხანის ქართული სპერი და თანამედროვე ისპირი"), არამედ მხოლოდ ერთი პერიფერიული ნაწილი სპერისა, ზემო-სპერი (ბაიბერთის სექტორი), რომელიც შეიცავს ისტორიული სპერის მხოლოდ მცირე ნაწილს (დაახლოვებით მხოლოდ ერთ მეოთხედს).

2. სტრაბონის გეოგრაფიის ზემოთ-აღნიშნული სამი ადგილი, დასახელებული ს. ჯანაშიას წერილში, როგორც ირკვევა არ ეხება საქართველოს სპერის პროვინციას, არამედ სულ სხვა ქვეყანას, რომელიც მდებარეობდა ტიგროსის ხეობაში.

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი" 1949 წ. №№ 10, 11; 1950 წ. №№ 1, 3, 4, 7, 8, 12; 1951 წ. № 1, 3.

[1] იხ. ს. ჯანაშია, op. cit., საქართველოს სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 7, 1942 წ., გვ. 729.

3. სპერის ტერიტორია (ე. ი. სპერის ერთი ნაწილი, ზემო-სპერი) პოლიტიკურად დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან ბევრად უფრო მოკლე ხანით, ვიდრე ამას ვფიქრობდით.

4. იმის გამო, რომ სპერის ეს ერთი კუთხე — ზემო-სპერი — ერთხანად პოლიტიკურად დაკავშირებული იყო სომხეთთან, მას არ შეუცვლია ეთნოგრაფიული სახე. მოსახლეობის შემადგენლობით და ამ მხარეში გავრცელებული ენის მიხედვით, ზემო-სპერი თავიდანვე იყო და შემდეგაც რჩება ქართულ მხარედ.

*

ზემოთ-დასახელებული დებულებებიდან თავდაპირველად განვიხილავთ მეორე დებულებას, სახელდობრ საკითხს, ეხება თუ არა სტრაბონის გეოგრაფიის მოხსენებული სამი ადგილი საქართველოს სპერს.

გავიცნოთ ჯერ თვით სტრაბონის ტექსტები.

აქ ჩვენ ვკითხულობთ:

პირველი ადგილი (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი IV, § 8):

„მოგვითხრობენ, რომ იაზონმა, თესალიელ არმენთან ერთად, კოლხეთში ჩასვლის დროს, მიაღწია კასპიის ზღვამდე, რომ მან (იაზონმა) მოვლო იბერია, ალბანია, მრავალი ნაწილები მიდიისა, რასაც მოწმობენ ტაძრები იაზონის პატივსაცემად და მრავალი სხვა ძეგლები. არმენი ვითომც იყო ქალაქ არმენიდან, რომელიც ეკუთვნის ბოიბედის ტბის მიდამოებში მდებარე ქალაქების რიცხვს და მდებარეობს ფარსალსა და ლარისას შუა; არმენის თანამგზავრები ვითომც დასახლდნენ აკისენაში[1] და სკსპირიტში ვიდრე კალახენამდე და ადიაბენამდე. არმენის სახელიდან ქვეყანას დაერქვა არმენია“.

მეორე ადგილი (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 9):

„[არმენიის ქვეყანაში], სკსპირიტში, კაბალას ახლოს, არის ოქროს მადნები, სადაც ალექსანდრემ (მაკედონელმა) წარგზავნა მენონი ჯარისკაცებით, თუმცაღა ადგილობრივმა მკვიდრებმა (სკსპირიტელებმა) განდევნეს იგინი“.

მესამე ადგილი (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 12):

„ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ არმენი იყო თესალიის არმენიდან, რომელიც მდებარეობს ფარსალსა და ლარისას შუა ბოიბისზე (ტბაზე), და რომ მან (არმენმა) ილაშქრა არმენიაში იაზონთან ერთად. ფარსალელი კირსილისა და ლარისელი მედის სიტყვებით, რომლებიც მონაწილეობდნენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაში, ქვეყანას ეწოდა არმენია არმენის სახელიდან. არმენის თანამგზავრთაგან ერთმა ნაწილმა დაიპყრა აკისენა[1], რომელიც სოფენთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო სხვანი დასახლდნენ სკსპირიტში ვიდრე კალახენამდე და ადიაბენამდე, არმენიის მთიანეთის იქით რომ მდებარეობენ“.

*

რომელი ქვეყანაა სტრაბონის მიერ მოხსენებული „სკსპირიტი“?

საისტორიო მეცნიერებაში წინათ მიღებული იყო ის შეხედულება, რომ სტრაბონის ეს სამივე ადგილი ვითომც ეხება ჭოროხის ხეობაში მდებარე საქართველოს სპერს.

ორიენტალისტმა ი. მარკვარტმა პირველად შენიშნა და სრულის საბუთიანი

[1] ხელნაწერებში — „აკილისენა“, მაგრამ აქ სჩანს თავდაპირველად უნდა ყოფილ ყოფილ აკისენა, რომელი მხარეც სტრაბონს მეორე ადგილას დასახელებული აქვს სოფენელთა სამფლობელოს ფარგლებში (წიგნი XI, თავი XIV, § 5). რაც შეეხება აკილისენას, იგი, თვით სტრაბონის ცნობით, ბევრად უფრო გვიან შევიდა სომხეთის შემადგენლობაში, სახელდობრ მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (იხ. სტრაბონი, იქვე).

ნობით დაამტკიცა კიდეც, რომ სტრაბონის ზემოთმოყვანილი სამი ადგილიდან პირველი და მესამე ეხება არა საქართველოს სპერს, არამედ სულ სხვა მხარეს, რომელსაც ეწოდებოდა შუპრია ანუ სუპრია (იგივე *სუპირიტი) და რომელიც მდებარეობდა მდინარე ტიგროსის ხეობაში, სომხეთის სამხრეთ სანაპიროზე, სომხეთსა და ძველ ნინევიას შორის[1].

სტრაბონს, როგორც ვნახეთ, პირველსა და მესამე ადგილში სუსპირიტის მხარის მოსაზღვრედ დასახელებული აქვს მხარეები — კალახენა და ადიაბენა. ხოლო კალახენის და ადიაბენის ადგილმდებარეობა კარგად არის ცნობილი: ისინი მდებარეობენ ტიგროსის ხეობაში, ძველი ნინევიის მეზობლად. კალახენას და ადიაბენას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ძველს ისტორიაში კარგად ცნობილი მხარე შუპრია ანუ სუპრია, იგივე სუპრია (*სუპირიტი, სუსპირიტი, ზუსპირიტი), სუბარების ძველი მიწაწყალი (სახელდობრ ის ტერიტორია ტიგროსის ხეობისა, რომელიც XI—IX საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა ეჭირა მუსხებს).

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება დღემდის შენახულა ადგილობრივ. კიპერტის, ტაილორის და ლინჩის ცნობებით, მდინარე ტიგროსის ხეობაში, ზემოთაღნიშნულ ზონაში, დღემდე არსებობს კუთხე, სახელწოდებით: Ispert (Ispaert, Isparut)[2], რაც სახენაცვალი ფორმაა ამ მხარის ძველი სახელწოდებისა: სუპრია, *სუპირიტი (=სუსპირიტი =ზუსპირიტი).

ამრიგად ეს კითხვა სავსებით ნათელია. რომ სტრაბონის ტექსტის ზემოთმოყვანილ პირველსა და მესამე ადგილას მოხსენებული სუსპირიტი (რომლის მოსაზღვრედ დასახელებულია კალახენა და ადიაბენა) არის ტიგროსის ხეობის მხარე და არა ჭოროხის ხეობის მხარე (საქართველოს სპერი), ეს საკითხი, ი. მარკვარტის მიერ წარმოდგენილი განმარტების შემდეგ, ზუსტად არის დადგენილი. ი. მარკვარტის ეს დებულება ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია მეცნიერებაში. კერძოდ ამ შეხედულებას იზიარებენ არმენისტები ნ. ადონცი[3], ჰ. ჰიუბშმანი,[4], ი. მანანდიანი[5], გრ. ლაფანციანი[6] და სხვ.

აქ კითხვა სდგას მხოლოდ სტრაბონის ტექსტის მეორე ადგილის შესახებ. თუ პირველი და მესამე ადგილები ეხება ტიგროსის ხეობის მხარეს, რომელ მხარეს ეხება მეორე ადგილი, ტიგროსისას თუ ჭოროხისას?

ი. მარკვარტი იმ აზრს ადგა, რომ ეს მეორე ადგილი ეხება ჭოროხის ხეობის მხარეს, ე. ი. საქართველოს სპერს[7].

ამავე შეხედულებას იზიარებს აგრეთვე ნ. ადონცი. იგი წერს: „У Страбона различаются две области по имени Συσπιριτις: одна на Чорохе (იგულისხმება სტრაბონის მეორე ადგილი), а другая на юге близ Тигра (იგულისხმება სტრაბონის პირველი და მესამე ადგილები)“[8].

მაგრამ სწორია ეს შეხედულება? როგორც ირკვევა, არა. წყაროების ანა-

---

[1] იხ. ი. მარკვარტი, Eranschahr, გვ. 159.

[2] კიპერტის რუკაზე — Isparut, ლინჩით — Ispert, ტაილორით — Ispaert (IRGS 35, 48).

[3] იხ. ნ. ადონცი, op. cit. გვ. 398.

[4] იხ. ჰ. ჰიუბშმანი, op. cit., გვ. 203.

[5] იხ. ი. მანანდიანი, კრიტიკული მიმოხილვა სომხეთის ხალხის ისტორიისა (სომხ.), 1945, გვ. 14—15.

[6] იხ. გრ. ლაფანციანი, Хайаса, колыбель армян, 1947, გვ. 156 და სხვ.

[7] იხ. ი. მარკვარტი, loc. cit.

[8] იხ. ნ. ადონცი, loc. cit.

ლიზი არ სტოვებს არავითარ ეჭვს იმაში, რომ სტრაბონის ეს მეორე ადგილიც, ისევე როგორც პირველი და მესამე ადგილები, — ეხება ერთსა და იმავე ქვეყანას, ტიგროსის ხეობის მხარეს.

გავეცნოთ მასალებს.

1. სტრაბონის პირველი და მესამე ადგილი, როგორც ვნახეთ, შინაარსის მხრით იდენტიურია. სტრაბონს ის ცნობები, რომელსაც იგი გადმოგვცემს ამ პირველსა და მესამე ადგილებში და რომელიც ტიგროსის ხეობის მხარეს სუპრიას (სუსპირიტს) ეხება, ამოღებული ჰქონია ალექსანდრე მაკედონელის დროის ისტორიკოსების კირსილ ფარსალელისა და მედი ლარისელის ნაწერებიდან, რომლებიც, სტრაბონის უწყების თანახმად, „მონაწილეობდნენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაში". ხოლო რას ვხედავთ ჩვენ სტრაბონის მეორე ადგილში? ისიც აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელს ეხება. (აქ მოთხრობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა გაგზავნა მენონი ჯარისკაცებით სუსპირიტის მადნების დასათვალიერებლად). აშკარაა, აქ სტრაბონი ერთი და იმავე წყაროთი, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსების ტექსტით სარგებლობს და ამ მეორე ადგილასაც საუბარია იმავე ტიგროსის მხარეზე, რომელთაც ეხებიან ალექსანდრე მაკედონელის მოხსენებული ისტორიკოსები.

2. ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ცნობილია, არ ყოფილა საქართველოში და არც საერთოდ კავკასიაში. იგი არ ყოფილა აგრეთვე არც სომხეთშიაც. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარმა გაიარა ტიგროსის ხეობაში, სომხეთის სამხრეთი საზღვრების ახლო, სუპრიის (სუსპირიტის) მხარისაგან არც თუ ისე დიდი მანძილის დაშორებით. ამრიგად ცხადია, რომ სტრაბონის მოთხრობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ მენონის წარგზავნის შესახებ სუსპირიტის მადნების დასათვალიერებლად ეხება ტიგროსის მხარეს, და არა შორეულ კავკასიაში მდებარე საქართველოს სპერს, ჭოროხის ხეობის მხარეს.

3. აღსანიშნავია ამასთან, რომ ტიგროსის ხეობის მხარე სუპრია (სუსპირიტი) ცნობილი ყოფილა მადნეულობით. გვიანი ხანისათვის, საშუალო საუკუნეებისათვის, სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ალძნის მხარე (რომელიც მოიცავდა ძველ სუპრია — სუსპირიტის მხარეს) მდიდარი იყო რკინის მადნეულობით. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგსაც: სომხური უსახელო გეოგრაფია სომხეთის მხარეებიდან მხოლოდ ალძნის მხარეში აღნიშნავს მადნეულობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს მხარე უპირატესად მადნეულობის ქვეყნად ითვლებოდა. ეს რაც შეეხება საშუალო საუკუნეებს. ხოლო უფრო ადრე, ანტიკურ ხანაში, ეს მხარე, რკინის მადნეულობასთან ერთად, სჩანს ცნობილი ყოფილა აგრეთვე ოქროთი. აღსანიშნავია, რომ ასურეთის მოხარკე მუსხები (რომლებიც XI—IX საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა ამ მხარეში მკვიდრობდნენ), ხარკად უხდიდნენ ასურეთის მეფეს, სოფლის მეურნეობის ნაწარმთან ერთად, ლითონის ნაწარმს, სპილენძის ჭურჭელს, ოქროს.

რაც შეეხება ჭოროხის ხეობის სპერს, აქ ოქროს მადნეულობა, და საერთოდ მადნეულობა, საისტორიო წყაროებით ცნობილი არაა: ამის შესახებ არას გვეუბნებიან არც ქართული, არც სომხური, არც ბიზანტიური ან სხვა საისტორიო ძეგლები. (გავრცელებული შეხედულება, თითქოს ჭოროხის სპერში ოქროს მადნეულობა ყოფილიყოს, იქიდან წარმოიშვა, რომ სტრაბონის მიერ მოხსენებულს სუსპირიტის მხარეს, ცნობილს ოქროთი, შეცდომით სთვლიდნენ ჭოროხის სპერად).

გამოთქმული იყო ამასთან მოსაზრება, რომ ადრეულ საშუალ საუკუნეთა წყაროებში მოხსენებული „ფ ა რ ა ნ გ ი“, სადაც ამუშავებდნენ ოქროს, ვითომც ყოფილიყოს ჭოროხის სპერი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს შეცდომაა. „ფარანგი“ წყაროებში მოიხსენება სპარსეთის სომხეთში, ბოლის (ბოლოს) ციხესთან ერთად, ხოლო ბოლის (ბოლოს) ციხე, საისტორიო წყაროების სრულიად გარკვეული უწყების თანახმად, მდებარეობდა ბასიანის მხარეში, არაქსის ხეობაში [1].

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ფარანგის ეს ოქროს მადანი, მდებარე ბასიანში, არაქსის ხეობაში, ცნობილი არ ყოფილა ანტიკურ ხანაში, არამედ, როგორც ეს ირკვევა მალალას ქრონოგრაფიიდან, იგი პირველად აღმოუჩენიათ მე-5—6 საუკუნეთა საზღვარზე, ანასტასი I-ის დროს (491—513 წ. წ.) [2].

4. სტრაბონის ჩვენების თანახმად ოქროს მადნები სუსპირიტის მხარისა მდებარეობდა „კ ა ბ ა ლ ა ს ახლოს“. ეს არის იგივე ქალაქი კ ა ლ ბ ა (Kalba) რომელიც მდებარეობდა სწორედ ტიგროსის ხეობის სუსპირიტის მხარეში და რომელიც მოხსენებულია ასურულ წყაროებში, მეფე ასარჰადონის დროინდელ ტექსტში (იხ, Hugo Winckler, Altorientalische Forschungen, II, 1901 წ., გვ. 40—41).

5. რომ სტრაბონის სამივე ადგილი ერთსა და იმავე ქვეყანას ეხება, ეს აშკარაა თითონ ტექსტიდან. სამივე შემთხვევაში ეს მხარე მოიხსენება ერთი და იმავე სახელწოდებით — სუსპირიტი [3]. თუ კი პირველსა და მესამე ადგილას ერთი სუსპირიტის შესახებ იყოს საუბარი (ე. ი. ტიგროსის ხეობის შესახებ), ხოლო მეორე ადგილას კიდევ სხვა სუსპირიტის შესახებ (ე. ი. ჭოროხის ხეობის შესახებ), ამას უეჭველად აღნიშნავდა და განასხვავებდა ავტორი. ასეთი სხვაობის აღნიშვნა მით უფრო იყო მოსალოდნელი, რომ როგორც მეორე ადგილი, ისე მესამე ადგილი (— რომელიც უეჭველად ტიგროსის მხარეს ეხება), ერთი და იმავე თავის ნაწილია (სახელდობრ XI წიგნის მე-14 თავისა). აქ ავტორი ერთი და იმავე თავის მანძილზე უშუალოდ გადადის ერთი მოთხრობიდან მეორე მოთხრობაზე იმრიგად, რომ არავითარ სხვაობას ამ ორ ადგილას მოხსენებულ სუსპირიტს შორის არ აღნიშნავს.

---

[1] რაც შეეხება ჭოროხის ხეობაში მდებარეს სპერს, კერძოდ ზემო-სპერს (ჭოროხის ხეობის სათავეებს), და აგრეთვე იმ მხარეებს, რომლებიც მას ყოველმხრივ ზღუდავენ, ე. ი. ჭოროხის ჭანეთს, შალგომის მხარეს და კარინის მხარეს, ისინი ბიზანტიის სამფლობელოს შეადგენდნენ სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც ფარანგი სპარსეთის საზღვრებში იყო მოქცეული (მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში).

ჩამოთვლილი მხარეები ტერიტორიულად ასეა განფენილი: დასავლეთით, ჭოროხის ხეობაში, მდებარეობდა სპერი, ჭოროხის ჭანეთის ზონით; ამის აღმოსავლეთით მდებარეობდა შალგომის მხარე — ევფრატის ხეობაში, და კარინის მხარე — აგრეთვე ევფრატის ხეობაში; კარინის მხარის აღმოსავლეთ მიჯნასთან გასდევს დევებოინუს ქედი, რომელიც გაჰყოფს ევფრატის ხეობას არაქსის ხეობიდან; ეს ქედი იყო საზღვარი ბიზანტიისა და სპარსეთისა დასახელებულ ეპოქაში, ამ ქედის აღმოსავლეთით იწყებოდა სპარსეთის სომხეთი. აქ, სპარსეთის სომხეთის ფარგლებში, მდებარეობდა ბასიანის მხარე, ბოლის (ბოლოს) ციხე და „ოქროს-მადნიანი მთა“, ფ ა რ ა ნ გ ი ს სახელწოდებით ცნობილი. (იხ. პროკოპი კესარიელი, BP I, 15, 22; II, 29; BG. IV, 13; VIII, 2.— ლაზარე ფარპელი, 1904 წ., გვ. 145, 146. — მალალა, ქრონოგრაფია, 1831 წ., 455—456. — კერძოდ ბოლის (ბოლოს) ციხის ადგილმდებარეობის შესახებ ბასიანში — იხ. ლაზარე ფარპელი გვ. 146 და ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი, გვ. *702/502).

[2] იხ. მალალას ქრონოგრაფია, loc. cit..

[3] არსებობს ამ სახელწოდების ვარიანტული წაკითხვა „ჭსპირიტისი“, მაგრამ ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ახლო უდგება ტიგროსის ამ მხარის დღემდე დაცულს სახელწოდებას „ის პერტ“ resp. „ისპარუტ“.

6. სტრაბონი სუსპირიტის სახელწოდებით რომ სამივე შემთხვევაში იგულისხმებს ტიგროსის მხარეს და არა ჭოროხის მხარეს, — ამას სრულიად უდავოდ და საბოლოოდ ადასტურებს შემდეგი. სტრაბონის ცნობის თანახმად საზღვარი სომხეთსა და საქართველოს შორის გასდევდა მოსხის მთებს[1]. ამრიგად სტრაბონის ამ სრულიად გარკვეული ჩვენების თანახმად ჭოროხის ხეობა (და მათ შორის სპერის მხარე), რომელიც მთლიანად მოსხის მთების ჩრდილოეთით მდებარეობს, ეს იყო საქართველოს ნაწილი და არა სომხეთის ნაწილი.

ხოლო რაც შეეხება სუსპირიტის მხარეს, მას სტრაბონი, როგორც ვნახეთ, სომხეთის ძირეულ ნაწილად სთვლის. მაშასადამე სუსპირიტის სახელით სტრაბონი სამივე შემთხვევაში აღნიშნავს ერთსა და იმავე ქვეყანას, ტიგროსის ხეობის მხარეს, რომელიც თავიდანვე სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული.

*

მას შემდეგ რაც ირკვევა, რომ სტრაბონი სუსპირიტის სახელით იგულისხმებდა ტიგროსის ხეობის მხარეს, და არა ჭოროხის ხეობის მხარეს, საქართველოს სპერს, — კარდინალურად იცვლება მთელი კონცეპცია საქართველოს სპერის უძველესი ისტორიის შესახებ.

თუკი გამართლებულიყო ის შეხედულება, რომ სტრაბონი სუსპირიტის სახელწოდებით ჭოროხის ხეობის სპერს იგულისხმებდა, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ სპერი ვითომც არათუ სტრაბონის დროს ყოფილა სომხური მხარე, არამედ რომ სპერი სომხეთს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, რადგან ცნობები სუსპირიტის შესახებ სტრაბონს ამოღებული აქვს ალექსანდრე მაკედონელის ხანის ისტორიკოსთა ნაწერებიდან. ეს ცოტაა. ჩვენ ამ შემთხვევაში ისიც უნდა დაგვეშვა, რომ სპერი არათუ მე-4 საუკუნეში ჰკუთვნებია სომხეთს, არამედ ვითომც იგი საერთოდ ძირეული სომხური ქვეყანა ყოფილა, რამდენადაც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში გავრცელებული საისტორიო გადმოცემები სუსპირიტს წარმოგვიდგენს როგორც სომხის ხალხის უძველესს თავდაპირველ საცხოვრისს.

რასაკვირველია ჯერ მარტო ამის მიხედვით აშკარაა, რომ სტრაბონს სუსპირიტის სახელწოდებით აღნიშნული აქვს ტიგროსის ხეობის მხარე და არა ჭოროხის ხეობის მხარე. თვით სტრაბონის ცნობათა თანახმად სომხეთი ვიდრე მე-2 საუკუნემდე დიდად დაშორებული იყო ჭოროხის ხეობის ზონას. „გადმოგვცემენ, — წერს სტრაბონი, — რომ სომხეთი, რომელსაც მცირე მოცულობა ჰქონდა, — გაფართოებულ იქმნა არტაქსის და ზარიადრის მიერ [მე-2 საუკ. ძვ. წ.], რომელთაც გააფართოეს სომხეთი, ჩამოაჭრეს რა მიწები მეზობელ ქვეყნებს...“. სომხეთის ტერიტორიის გაფართოება ჩრდილოეთის მიმართულებით ამის შემდეგ იწყება, მე-2 საუკუნიდან მოკიდებული; ხოლო მე-2 საუკუნემდე სომხეთის ტერიტორია არათუ ჭოროხის ხეობას არ სწვდებოდა, არამედ, სტრაბონის ცნობით, სომხეთის ფარგლებში არ შედიოდა თვით ევფრატის ხეობისა და არაქსის ხეობის სათავეებიც კი (არ შედიოდა ხორძენი, პარიადრის კალთები, აკილისენი, დერჭანი, კარინი)[2].

---

[1] იხ. ზემოთ თავი VIII, 3 („მნათობი“, 1951 წ. № 3 გვ. 132—134),

[2] იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, § 5.

უფრო მეტი. თვით სტრაბონის დროსაც, როგორც მოვიხსენეთ, საზღვრის ხაზი სომხეთისა არ სცილდებოდა მოსხის მთებს, ე. ი. ჭოროხის ხეობა ამ დროსაც საქართველოს საზღვრებში ყოფილა და არა სომხეთში.

*

დაგვრჩენია შევაჯამოთ ზემოთ-აღნიშნული და გადავიდეთ შემდეგ საკითხებზე.

გამოირკვა ამრიგად, რომ ჭოროხის ხეობა, საქართველოს სპერის მხარე,— არ იყო დაკავშირებული სომხეთთან არც ადრეულ ანტიკურ ხანაში, არც მე-4 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (ალექსანდრე მაკედონელის დროს), არც მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (არტაქსის და ზარიადრის დროს), და არც პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა — სტრაბონის დროს.

საკითხავია ამის შემდეგ: როდის მოხდა სპერის პოლიტიკური დაკავშირება სომხეთთან? ამასთან სომხეთს დაუკავშირდა მთელი სპერი (როგორც ამას დღემდე ჰფიქრობდნენ), თუ სპერის რომელიმე ცალკე ნაწილი?

ჯერ პირველ კითხვაზე.

სპერის დაკავშირება სომხეთთან შეუძლებელია მომხდარიყო სტრაბონის შემდეგ უახლოეს ხანაში, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნესა და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ეს პერიოდი, პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი, ეს არის ეპოქა იბერიის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერებისა, როდესაც იბერიის ტერიტორია არათუ შემცირებულა, არამედ გაზრდილა კიდეც.

ამრიგად სპერის დაკავშირება სომხეთთან შესაძლოა მომხდარიყო მხოლოდ მეორე საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ.

ხოლო როდის სახელდობრ?

ამის დადგენა მიახლოვებით არის შესაძლებელი.

სომხური წყაროებიდან ირკვევა, რომ სპერი (მისი ერთი ნაწილი) უკვე დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში.

ამრიგად სპერის (მისი ერთი ნაწილის) დაკავშირება სომხეთთან მომხდარა ამ ორ სათარიღო მიჯნას შორის: არა უადრეს მეორე საუკუნის ნახევრისა და არა უგვიანეს მეოთხე საუკუნის დასაწყისისა.

ჩვენ უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ სწორედ ამავე ქრონოლოგიურ რკალში, დაახლოებით მესამე საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა, დაუკავშირდა სომხეთს იმავე ჭოროხის ხეობაში სპერის მეზობლად მდებარე რაიონი— იმიერი ტაო.

ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს თარიღების ზოგადი შეხვედრა.

ირკვევა მაშასადამე, რომ სომხეთს ან ერთდროულად, ან ყოველ შემთხვევაში ერთსა და იმავე ხანაში გაუვრცელებია პოლიტიკური გავლენა ჭოროხის ხეობის ამ ორ მეზობლად მდებარე სექტორში, იმიერი ტაოსა და ზემო სპერის სანაპირო ზონაში.

*

შემდგომი ისტორია სპერის იმ ნაწილისა, რომელიც პოლიტიკურად დაუკავშირდა სომხეთს, კარგად არის ცნობილი მე-4 საუკუნიდან მოკიდებული.

[1] იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1832, გვ. 256.

მე-4 საუკუნის დასასრულს, 387 წელს, არშაკიდების სომხეთის სამეფოს ორად გაყოფის დროს, სპერის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, ბიზანტიის წილში შევიდა; ამის შემდეგ 389 წელს ბიზანტიის სომხეთში გაუქმებულ იქმნა მეფობა, და სპერის ეს სექტორი, დასავლეთ სომხეთის სხვა მხარეებთან ერთად, ბიზანტიის პროვინცია ხდება.

დაწყებული ამ დროიდან ვიდრე არაბობის ხანამდე, ე. ი. მე-4 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-7 საუკუნის შუა წლებამდე, სპერის ეს ნაწილი ბიზანტიის საზღვრებში შედის და ადმინისტრატიულად დაკავშირებულია სომხეთის იმ პროვინციებთან, რომლებიც ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი.

მე-7 საუკუნის ნახევრიდან — ვიდრე მე-9 საუკუნემდე სპერი ბიზანტიასა და არაბული ხალიფატის საზღვრის სექტორში მდებარეობს. პოლიტიკურად იგი ბიზანტიის ფარგლებშია მოქცეული, მაგრამ იგი არა ერთგზის გამხდარა ასპარეზი არაბების შემოსევათა.

მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, მას შემდეგ რაც ქართველთა სამეფოს ცენტრი ჭოროხის ხეობაში იქმნა გადმოტანილი, საქართველო ავრცელებს თავის გავლენას ჭოროხის ხეობის ყველა სანაპიროზე; ამ დროსვე ქართველთა სამეფოსთან გაერთიანებულ იქმნა საქართველოს ეს ძველი კუთხეც, სპერის სექტორი.

*

გასარკვევია ამის შემდეგ საკითხი, თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა სპერის იმ ნაწილისა, რომელიც მე-3—4 საუკუნეებიდან მოკიდებული მოწყვეტილი იყო საქართველოს და ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ამ საგანზე, როგორც მოხსენებული გვქონდა, საისტორიო მეცნიერებაში ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც სპერის ეს ტერიტორია, დაკავშირებული სომხეთთან, — „ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულს სპერს და თანამედროვე ისპირს“ [1].

მაგრამ ეს შეხედულესა, როგორც ირკვევა, არაა სწორი. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ როგორც ეს ირკვევა ბიზანტიური, სომხური და ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან, სომხეთთან დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ისტორიული სპერი, არამედ მხოლოდ ერთი პერიფერიული ნაწილი სპერისა, — ზემო-სპერი, რომელიც მოიცავს ისტორიული სპერის მხოლოდ მცირე ნაწილს (დაახლოებით ერთ მეოთხედს).

სახელდობრ საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ადრეულ საშუალ საუკუნეებში ისტორიული სპერი განიყოფებოდა სამ ზონად:

ა. ზ ე მ ო-ს პ ე რ ი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული;

ბ. შ უ ა-ს პ ე რ ი, რომელიც დაკავშირებული იყო ტრაპიზონის მხარის ჭანეთთან.

გ. ქ ვ ე მ ო-ს პ ე რ ი, ანუ სპერის ძირითადი ნაწილი, რომელიც იბერიის (ქართლის) საზღვრებში შედიოდა.

ტერიტორიული მოცულობა ამ სამი ერთეულისა შემდეგი იყო:

ა. ზ ე მ ო-ს პ ე რ ი, ე. ი. სპერის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, მოიცავდა ჭოროხის ხეობის სათავეებს, ვიდრე ქალაქ ბაი-

[1] იხ. ს. ჯანაშია, op cit. გვ. 727.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერთამდე. ქალაქ ბაიბერთთან თავდებოდა სომხეთის ეს ზონა. (თვით ქ. ბაიბერთი სომხეთის ზონაში ითვლებოდა. — იხ. პროკოპი კესარიელი, De aedificiis, ed. Bonn., III, 4—5. — მოსე ხორენელი, II, 37, 38).

ბ. შუა-სპერი, ე. ი. ჭანეთის სპერი მოიცავდა ჭოროხის ხეობაში მდებარე ღართის ველს და მის მიმდგომ ზონას (იხ. პროკოპი კესარიელი, De aedificiis, III, 6).

გ. ქვემო-სპერი, ე. ი. იბერიის (ქართლის) სპერი, — მოიცავდა ჭოროხის ხეობას ღართის ველს ქვემოთ, ე. ი. ჭოროხის ხეობის იმ ნაწილს, სადაც მდებარეობს ქალაქი სპერი (თანამედროვე ისპირი).

სპერის ეს მთავარი ძირითადი მხარე, რომელიც ყოველთვის იბერიის (ქართლის) ნაწილად ითვლებოდა, კარგად არის ცნობილი ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში. ჯუანშერის ქრონიკაში მას ეწოდება „საზღვარი ქართლისა სპერი“[1]. ეს მხარე, ქვემო-სპერი („საზღვარი ქართლისა სპერი“)— ადრეულ საშუალო საუკუნეებში ითვლებოდა კლარჯეთის ადმინისტრატიული ერთეულის (კლარჯეთის საერისთავოს) ნაწილად[2].

ასეთი იყო ტერიტორიული მოცულობა სპერის ამ სამი ნაწილისა ადრეულ საშუალო საუკუნეებში, ვიდრე ისტორიული სპერის ეს ტერიტორიები მთლიანად არ გაერთიანდა იბერიის (ქართველთა სამეფოს) ფარგლებში.

*

დასასრულ შევჩერდებით სპერის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის საკითხზე.

გამოკვლევის IV თავში[3] ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ჭოროხის ხეობის ის ნაწილი, რომელიც უჭირავს სპერის მხარის სამ კუთხეს (ქვემო სპერს, შუა-სპერს და ზემო-სპერს) უძველესი დროიდანვე დასახლებული იყო ქართველი ხალხის ორი შტოის—იბერიელების (მესხების) და ჭანების მიერ. სპერის მხარის ზემო ნაწილებში, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებით, სახლობდნენ უმთავრესად ჭანები; ხოლო სპერის ქვემო ნაწილში იბერიელები (მესხები) შეადგენდნენ უმრავლესობას. (როგორც ეს დადგენილია სპეციალური ლიტერატურაში, თვით სახელწოდება ამ მხარისა — სპერი, იგივე *სბერი, resp. ჰიბერი, დაკავშირებულია იბერიელების სატომო სახელთან).

აქ მხოლოდ დასაზუსტებელი დაგვრჩა საკითხი, — თუ როგორი ვითარება დამყარდა სპერის იმ პატარა კუთხეში, ზემო-სპერში, რომელიც ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული პოლიტიკურად; შეიცვალა აქ მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა? თუ აქ იგივე ძველი ქართული მოსახლეობა დარჩა, როგორც სპერის დანარჩენ ნაწილებში, — შუა სპერში (ჭანეთის სპერში) და ქვემო-სპერში (იბერიის სპერში).

საისტორიო წყაროები ამ საკითხის გამო სრულიად გარკვეულ ჩვენებებს იძლევა. საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ზემო-სპერში, იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც ეს კუთხე პოლიტიკურად სომხეთან იყო დაკავშირებული, სომხების ჩამოსახლებას აქ ადგილი არა ჰქონია და არც სომხურ

---

[1] იხ. ჯუანშერი, გვ. *414/196. იხ. აგრეთვე ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული მე-8 საუკუნის მატიანის ექსცერპტი, გვ. *424/204.

[2] იხ. ზემოთ თავი VIII, („მნათობი“, № 12, 1950, გვ. 138—139).

[3] იხ. „მნათობი“, 1950 წ. № 1, გვ. 127.

ენას მიუღია აქ გავრცელება. ზემო-სპერი, მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო, ისე შემდეგაც დარჩენილა ქართულ მხარედ: მოსახლეობის უმრავლესობას ზემო სპერში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ქართველი ტომი ჭანები.

გავეცნოთ აქ სამ საისტორიო წყაროს, რომლებიც ეკუთვნიან სწორედ იმ ხანას, როდესაც სპერის ეს კუთხე — ზემო-სპერი — სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული.

1. პროკოპი კესარიელი (VI საუკ.). პროკოპი კესარიელის ცნობით ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილი ვიდრე ქალაქ ბაიბერთამდე (— ე. ი. ზემო-სპერი) დასახელებულ ეპოქაში სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული (იხ. ცნობა ბაიბერთის შესახებ de Aedificiis III, 4, 5), ხოლო ეთნოგრაფიულად ეს მხარე პროკოპი კესარიელს ჭანეთის ნაწილად მიაჩნია; მდინარე ჭოროხი პროკოპი კესარიელის ცნობით ჭანეთის მთებში ღებულობს სათავეს (იხ. de Aedificiis, III 6, 257). ზემო-სპერს ვიდრე ჭოროხის სათავეებამდე პროკოპი კესარიელი ეთნოგრაფიული ჭანეთის ნაწილად სთვლის.

2. მოსე ხორენელი (დაახლ. VII ს.), რომელიც აგრეთვე ეკუთვნის იმ ეპოქას, როდესაც ზემო-სპერი სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული, აღნიშნავს ამ კუთხის შესახებ, რომ იგი არისო მხარე, სადაც არ ისმისო სომხური ენა; ზემო სპერში სომხურ ენას გავრცელება არა ჰქონია[1].

3. მესამე ავტორი სტეფანე სივნიელი (VIII ს.) აგრეთვე აღნიშნავს, რომ სპერში გავრცელებული იყო არა სომხური, არამედ ადგილობრივი დიალექტი[2].

ასეთია ის ცნობები, რომელთაც გადმოგვცემენ თანამედროვე საისტორიო წყაროები ზემო-სპერის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ.

ამრიგად ირკვევა, რომ სპერის მხარის ეს სანაპირო კუთხე ზემო-სპერი ისეთსავე ძირეულ ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, როგორც შუა-სპერი (ჭანური სპერი) და ქვემო-სპერი (იბერიის სპერი). არც ერთ ეპოქაში ანტიკური ხანისა და საშუალ საუკუნეების არც ერთ ნაწილს სპერის მხარისას არ დაუკარგავს ქართული ეთნოგრაფიული სახე.

4

საქართველოს და სომხეთის სანაპირო ზონა არაქსის ხეობაში: ბასიანის მხარენი (საკუთრივ ბასიანი და კარი).

ჩვენ დავამთავრეთ საქართველოს სამხრეთი მხარეების — მესხეთისა და სამხრეთი-ქართლის — ისტორიის საკითხთა განხილვა.

ამის შემდეგ ჩვენ ცალკე გამოვყოფთ და სპეციალურად შევეხებით საკითხს საქართველოსა და სომხეთის სანაპირო ზონის შესახებ, რომელიც მდებარეობს არაქსის ხეობაში და მოიცავს ბასიანის მხარეებს: საკუთრივ ბასიანსა და კარის (ყარსის) მხარეს.

ეს კუთხე არაქსის ხეობისა — ბასიანის მხარენი (საკუთრივ ბასიანი და კარი) — წარმოადგენდა ერთგვარ ბუფერს საქართველოსა და სომხეთს შორის, იგი როგორც პოლიტიკურად, ისე ეთნოგრაფიულად, დაკავშირებული

[1] იხ. მოსე ხორენელი, ისტორია, წიგნი, II, თავი 3 (იხ. აგრეთვე ზემოთ, თავი IV, „მნათობი" 1950 წ. № 1, გვ. 127).

[2] იხ. ზემოთ, თავი VIII, 3 („მნათობი". № 3. გვ. 145—146).

იყო ხან საქართველოსთან, ხან სომხეთთან. მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე — ბასიანის მხარენი მესხეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

ჩვენ აქ აღვადგენთ, თუ როგორი იყო ამ კუთხის — ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი ს — რეალური ისტორია.

ა

„ზემონი ქვეყანანი" და ბასიანის მხარენი.

ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე მეორე-პირველ საუკუნეებამდე ძველი წელთაღრიცხვისა, ქართველი ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეჭირათ აგრეთვე არაქსისა და ევფრატის ხეობათა ზემო-ნაწილი.

სახელდობრ ქართველ ტომთა ტერიტორიის ფარგლებში დასახელებულ ეპოქაში შედიოდა შემდეგი პროვინციები, მდებარე არაქსისა და ევფრატის ხეობებში:

ა) ი ბ ე რ ი ე ლ თ ა და მ ე ს ხ თ ა ტერიტორიის ფარგლებში: ხორძენი, პარიადრის მთიანეთი (მარდალიის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი;

ბ) პონტოს ქართველი ტომების (ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ს, მ ო ს ი ნ ი კ ე ბ ი ს და ხ ე თ ა ო ნ ე ბ ი ს) ტერიტორიის ფარგლებში: კარინი, დერჭანი, აკილისენი, მუძური (ანტიტავროსის მხარე).

იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, §§ 5 (შეად. ქსენოფონტე, ანაბაზისი, წ. IV, თ. ϵ, § 5; წ. VII, თ. 8, § 25)[1].

იბერიელების, მესხების და პონტოს ქართველი ტომების მოხსენებული პროვინციები, მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობებში, შეადგენენ ტერიტორიას, რომელიც ამჟამად შედის თურქეთის სამ ოლქში: ყარსისა, არზრუმისა და ერზინჯანის ვილაიეთებში.

*

ისტორიული თავგადასავალი არაქსისა და ევფრატის ხეობებში მდებარე ანტიკური ხანის მოხსენებული ძველ-ქართული პროვინციებისა სხვადასხვანაირი იყო. უმრავლესობა ამ პროვინციებისა, როგორც ეს ირკვევა სტრაბონის ცნობათა მიხედვით, საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკურად მეორე-პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა. ამის შემდეგ ეს მხარეები ეთნოგრაფიულადაც გადაგვარდა და მოსწყდა საქართველოს.

საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში საქართველო სცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ადრინდელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის „ზ ე მ ო ნ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ნ ი", რომლის შემომტკიცებას სცდილობდა ქართველთა სამეფო მე-10—11 საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან.

დასახელებული მხარეები საქართველომ დაიბრუნა ნაწილობრივ მე-10 საუკუნეში, ხოლო მთლიანად ამ მხარეთა შემოერთება მოხდა მე-12—13 საუკუ-

[1] იხ. აგრეთვე ზემოთ ხორძენის, პარიადრის მთიანეთის, ბასიანის მხარეთა და არაქსის სასპერეთის შესახებ — „მნათობი" № 12 (1950 წ.) გვ. 131—132, № 3 (1950 წ.), გვ. 127, 129—134.

ნეთა საზღვარზე, თამარ მეფის ეპოქაში. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური დაკავშირება ამ მხარეებისა საქართველოსთან, ხოლო ეთნოგრაფიულად ამ მხარეებს უკვე დაკარგული ჰქონდათ ქართული ხასიათი.

*

ერთგვარ გამონაკლისს „ზემო-ქვეყანათა“ პროვინციებს შორის (ე. ი. იმ ძველ-ქართულ პროვინციებს შორის, რომლებიც მდებარეობდნენ არაქსისა და ევფრატის ხეობებში), — წარმოადგენდა ბასიანის მხარენი, რომლებიც უფრო ახლო, უფრო ორგანიულ კავშირში იმყოფებოდნენ საქართველოსთან. „ზემო ქვეყანათა“ ჯგუფიდან ბასიანის მხარენი ყველაზე გვიან მოსწყდა იბერიას ანტიკურ ხანაში და ყველაზე ადრე იქმნა ისევ შემოერთებული იბერიის მიერ საშუალ საუკუნეებში. ამასთან ეს მხარეები ტერიტორიულადაც უფრო ახლო აკრავს საქართველოს ძირითად მიწაწყალს. ბასიანის მხარენი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, იგი ისევ საქართველოს ორგანიული ნაწილი გახდა.

ჩვენ ამგზის არ ვეხებით „ზემო ქვეყანათა“ ისტორიას მთელის მოცულობით (ამაზე სხვა ადგილას გვაქვს დაწვრილებით საუბარი) და აქ განვიხილავთ მხოლოდ ბასიანის მხარეთა ისტორიის საკითხებს, რამდენადაც ბასიანის მხარენი არა მხოლოდ შორეულ ისტორიულ წარსულში — ანტიკურ ხანაში — წარმოადგენდა ქართულ მხარეს, არამედ იგი უახლოესად დაკავშირებულია საქართველოსთან საშუალ საუკუნეებშიაც, კერძოდ საშუალ-საუკუნეთა იმ პერიოდში, რომელიც ჩვენი გამოკვლევის უშუალო საგანს შეადგენს.

ბ

ბასიანის მხარეთა ტერიტორიული მოცულობა.
ძველი ეთნიურ-გეოგრაფიული სახელწოდებანი.

გავეცნოთ ჯერ ბასიანის მხარეთა ტერიტორიულ მოცულობას და შემადგენელ ნაწილებს.

ბასიანის მხარეებს, როგორც მოვიხსენეთ, უჭირავს მდინარე არაქსის ხეობის ზემო ნაწილი, სახელდობრ ის სექტორი, რომელიც უშუალოდ აკრავს მესხეთს.

ბასიანის მხარენი ისტორიულად და გეოგრაფიულად განიყოფება ორ მხარედ:

1. პირველი მხარე — საკუთრივ ბასიანი ანუ ბასიანნი, რომელიც მდებარეობს თვით მდინარე არაქსის ხეობაში. ეს მხარე, საკუთრივ ბასიანი (ბასიანნი) — ესაზღვრება მესხეთის ტაოთა პროვინციას.

2. მეორე მხარეა ზემო-ბასიანი ანუ ვანანდი, იგივე კარის მხარე[1]. იგი ძირითადში განფენილია არაქსის შემდინარის კარის-წყალის (ყარსის-წყალის) ხეობაში[2]. ეს მეორე მხარე, ზემო-ბასიანი ანუ ვანანდი (კარის მხარე) ასევე ესაზღვრება მესხეთს: ტაოთა პროვინციას და კოლისა და პალაკაციოს კანტონებს.

ასეთია ბასიანის მხარეთა ძირითადი ტერიტორიულ-გეოგრაფიული დანაწილება.

---

[1] ამ მხარის ძირითადი სახელწოდება ზემო-ბასიანი დამოწმებულია მოსე ხორენელის ისტორიაში (II, 6).

[2] მხოლოდ ერთ სექტორში — დაბა გაჩევანის ზონაში — ზემო-ბასიანის მხარე გადმოდის საკუთრივ არაქსის ხეობაში. ეს სექტორი — გაჩევანის ზონა — ზოგჯერ ცალკე კანტონს წარმოადგენდა („აბელიანი“-ს თემი ადრეულ საშუალ საუკუნეებისა).



*

ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ძველი თავდაპირველი ფორმა ბასიანის მხარეთა სახელწოდებისა იყო: „ფ ა ს ი ა ნ ი“. მხარეს რქმევია „ფ ა ს ი ა ნ ი“, ხოლო აქ მოსახლე ქართველ ტომს ეწოდებოდა ფ ა ს ი ა ნ ნ ი ანუ ფ ა ს ი ა ნ ე ლ ნ ი Φασιανοι (იხ. ქსენოფონტეს ანაბაზისი, წ. IV, თ. 6, § 5, წ. VII, თ. 8, § 25; იხ. აგრეთვე კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio, თავი 45, გვ. 205).

ირკვევა ამასთან ისიც, რომ ანტიკურ ხანაში მდინარე არაქსს, მისი მდინარების ზემო-ნაწილში (ე. ი. ბასიანის ზონაში) — რქმევია ფ ა ს ი ს ი. ამ სახელით მოიხსენებს მდინარე არაქსს ქსენოფონტე (Φασις იხ. ანაბაზისი, წ. IV, თ. 6, § 4).

სახელწოდება მდინარისა ფ ა ს ი ს ი ქართული წარმოშობისაა. ძველ ქართულ დიალექტებში სიტყვა „ფასი“, როგორც ირკვევა, ნიშნავდა წყალს (შეადარეთ „ფასი“ და „ფშა“, „ფშანი“, აგრეთვე „ფოსო“)[1]. ამიტომ არის, რომ ეს სახელწოდება „ფასისი“ მიემართება მთელ რიგ მდინარეებს საქართველოში: ფასისი ერქვა რიონს; ფასისი ერქვა ჭოროხს (აკამ-ფასისი ანუ *კაკამ-ფასისი, იგივე კაკამ-მდინარე)[2]; ასევე ფასისი რქმევია აგრეთვე მესამე მდინარესაც, არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში, სადაც ქართული მოსახლეობა იყო[3].

---

[1] შეადარეთ აგრეთვე urina-ს სახელწოდება ქართულად: *ფ(ა)ს-ელი.

[2] იხ. ზემოთ, თავი VIII, 2 („მნათობი“ 1950, № 12, გვ. 147).

[3] აღვნიშნავთ ამასთან, რომ სახელწოდება „ფ ა ს ი ს ი“ მდინარე არაქსის ზემო-ნაწილს მიემართებოდა არა მხოლოდ ანტიკურ ხანაში, როგორც ეს დამოწმებული აქვს ქსენოფონტეს, არამედ ეს სახელწოდება „ფასისი“ ადგილობრივ შემდეგაც შერჩენილა. კონსტანტინე პორფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარის მთავარი მდინარის ამ სახელწოდებასთან „ფ ა ს ი ს ი“ ცხადია დაკავშირებულია მხარის სახელწოდება „ფ ა ს ი ა ნ ი“ და სატომო სახელწოდება „ფ ა ს ი ა ნ ნ ი“, „ფ ა ს ი ა ნ ე ლ ნ ი“.

*

მეორე სახელწოდება ბასიანის მხარეში მოსახლე ქართველი ტომისა ყოფილა: ბოლხარი, *ბოლხი, ბოხაელნი[1].

ეს სატომო სახელწოდება დაკავშირებულია ბასიანის მხარის ძველი ცენტრის სახელწოდებასთან; ბასიანის მხარის მთავარ ცენტრს, როგორც ცნობილია, ერქვა: ბ ო ლ ი[2].

ისევე როგორც ქართულში სხვა შემთხვევებში ჩვენ გვაქვს პარალელურად გეოგრაფიული სახელწოდება ტ ა ო და სატომო სახელი ტ ა ო-ხ ი, გეოგრაფიული სახელწოდება კ ო ლ ა და სატომო სახელი კ ო ლ-ხ ი, ასევე ერთმანეთთან არის დაკავშირებული ეს გეოგრაფიული სახელი ბ ო ლ ი და სატომო სახელი *ბ ო ლ-ხ ი, ბოლ-ხ-არი. დაბოლოებანი ამ სატომო სახელისა, როგორც „ხ-ი“, ისე „-არი“ დამახასიათებელია ქართულ სატომო სახელთა წარმოებისათვის. („ხ-ი“: მეს-ხი, კოლ-ხი, ჯავა-ხი, ტაო-ხი... „-არი“: გოგ-არი, ოდიშ-არი...).

ბასიანის მხარეში მოსახლე ეს ტომი „ფასიანნი“ ანუ „ბოლხარნი“, როგორც ირკვევა, წარმოადგენდნენ მესხების ერთ-ერთ ტომს[3].

დაგვრჩენია ამასთან შემდეგიც ავლნიშნოთ. გარდა მდინარის სახელწოდებისა „ფ ა ს ი ს ი“ და ქვეყნის სახელწოდებისა „ფ ა ს ი ა ნ ი“, ქართული წარმოშობისაა მთელი რიგი სახელწოდებანი ბასიანის მხარეთა. ასე ქართული წარმოშობისაა სახელწოდება ზემო-ბასიანის მხარის მთავარი ქალაქისა: კ ა რ ი (თანამედროვე ყარსი). სახელწოდება „კ ა რ ი“ მიემართებოდა ხოლმე მხარის ბუნებრივ სიმაგრეებს; ხოლო ზემო-ბასიანის ეს ქალაქი „კ ა რ ი“—თავისი მდებარეობით მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში, იგი არის კ ა რ ი სამხრეთ საქართველოსი.

3

ბასიანის მხარენი ანტიკურ ხანაში

მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა — მე-2 საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა.

გავეცნოთ ამის შემდეგ ბასიანის მხარეთა ისტორიის ძირითად საკითხებს. საისტორიო ცნობები ბასიანის მხარეთა შესახებ მოიპოვება მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა.

როგენეტი (მე-10 საუკ.) ფასისს (Φασις) უწოდებს მდინარე არაქსის ზემო ნაწილის დასავლეთ ტოტს, რომელიც იწყება დევებოინუს ქედთან, გაივლის დაბა ფ ა ს ი ნ ლ ე რ ს და შეუერთდება არაქსის ძირითადს ტოტს სოფელ იაგანის ქვემოთ. (არაქსის ამ დასავლეთ ტოტს ამჟამად ეწოდება ფასი-დერე, ე. ი. ფასის ხევი).

[1] სტეფანე ბიზანტიელს ეს სატომო სახელი დამოწმებული აქვს ფორმით Βογχαι. კლავდი პტოლემეს Βοχα. მოსე ხორენელის მიერ მოხსენებული „ბოლხარ“-ნი (რომელთა მოსახლეობასაც ისტორიკოსი აღნიშნავს ვანანდში ანუ ზემო ბასიანში), ამავე სატომო სახელის გადმოცემას წარმოადგენს. (იხ. მოსე ხორენელი, II, 6, 9).

[2] ბასიანის მხარის ეს ძველი ცენტრი ბოლი მოხსენებული აქვთ — ლაზარე ფარპელს (1904., გვ. 146) და პროკოპი კესარიელს Pers. I, 15, გვ. 77, I, 22, გვ. 112, 114. Goth. IV, 13, გვ. 526 (ed. Bonn).

[3] ეთნიკური სახელწოდება ამ ტომისა ჩვენ გვხვდება როგორც ბასიანში, ისე მესხეთის მხარეებში (ტაოში — ბოხაელთა კანტონი).

პირველად „ფასიანის“ (ბასიანის) მხარეებში მოსახლე ქართველი ტომი „ფ ა ს ი ა ნ ნ ი“ მოხსენებული ჰყავს ქსენოფონტეს, როგორც მოკავშირე მეზობელი ქართველი ტომებისა — ტ ა ო ‘ხ ე ბ ი ს ა და ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ს ა.

მე-5 საუკუნეში ფ ა ს ი ა ნ თ ა ტომი, ისევე როგორც არაქსის ი ბ ე რ ე ბ ი ს (სასპირების) ტომი — სპარსეთის აქემენიანთა იმპერიის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა [2].

მე-4—3 საუკუნეთა საზღვარზე, როდესაც, აქემენიანთა იმპერიის დამხობის შემდეგ, შეიქმნა იბერიის სამეფო, იბერიის ფარგლებში სხვა ქართულ მხარეებთან ერთად შესულა ფ ა ს ი ა ნ ი ს (ბასიანის) მხარეებიც.

იბერიის საზღვრები ამ ეპოქაში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით აღწევდა ვიდრე ხორძენამდე და პარიადრის მთიანეთამდე და მაშასადამე ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ნ ი ამ დროს მთლიანად იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული [3].

*

მომდევნო ხანაში, მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, როდესაც წარმოიქმნა სომხეთის სახელმწიფოებრივი ერთეულები აირარატის მხარესა და სოფენში, საზღვარი სომხეთსა და იბერიას შორის, როგორც ეს ირკვევა აპოლოდორის ცნობების მიხედვით, არაქსის ხეობაზე გატარებულა [4].

აპოლოდორის ამ ჩვენების თანახმად, ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი, რომელიც ძირითადში არაქსის ჩრდილოეთით არის განფენილი, ამ ეპოქაშიაც კვლავ იბერიის ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

საზღვარის ცვლილება იბერიასა და სომხეთს შორის არაქსის ხეობაში მომხდარა უფრო გვიან, სახელდობრ პირველ საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა; ამ დროს საზღვარის ხაზი ჩრდილოეთით გადმოწეულა.

ჩვენ უკვე გვქონდა წარმოდგენილი ანალიზი იმ ცნობებისა, რომელთაც შეიცავს სტრაბონის გეოგრაფია სომხეთის და იბერიის საზღვრების შესახებ დასახელებულ ეპოქაში. როგორც გამოირკვა, საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის სტრაბონის დროს შედეგი ყოფილა: საზღვარი იწყებოდა ტ ა ო ს სამხრეთით (ქალაქი იდი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ტაოში მდებარეობს, იბერიის ფარგლებში შედიოდა); საზღვარის ხაზი მიჰყვებოდა არა მთლიანად არაქსის ხეობას (როგორც აპოლოდორის დროს), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ გასდევდა არაქსის ზონას, შემდეგ მიჰყვებოდა მოსხის მთებს (ე. ი. წყალთა - გამყოფ მთებს, რომლებიც გაჰყოფს ჭოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მიჰყვებოდა მტკვარს (გოგარენის სექტორში) [5].

სტრაბონის ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ მის დროს ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი ორად ყოფილა გაყოფილი: ერთი ნაწილი, სახელდობრ ს ა კ უ თ რ ი ვ ბ ა ს ი ა ნ ი, რომელიც არაქსის სათავეების ზონაში მდებარეობს,

---

[1] იხ. ქსენოფონტე, ანაბაზისი, წ. IV, თ. 6, § 5; წ. VII, თ. 8, § 25.

[2] იხ. იქვე, წ. VII, თ. 8. § 25. — შეად. ზემოთ, თავი VII, 3 („მნათობი“, 1951 წ., № 3, გვ. 126—128).

[3] იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, § 5. შეად. ზემოთ, თავი VIII, 1 („მნათობი“, 1950 წ., № 12, გვ. 131—132), თავი VIII, 3 („მნათობი“, 1951 წ., № 3, გვ. 129—134).

[4] იხ. SC I, გვ. 98; შედრ. ზემოთ, თავი VIII, 2 „მნათობი“, № 1, გვ. 128. (აპოლოდორის ეს ცნობა ეხება არა მთელს არაქსის ხეობას, არამედ არაქსის ხეობის ზემო ნაწილს).

[5] იხ. იქვე, „მნათობი“ 1951 წ., № 1, გვ. 128.

ჯერ ისევ საქართველოს ფარგლებში ყოფილა მოქცეული (თუ მთლიანად არა ყოველ შემთხვევაში მისი ის ნაწილი, რომელიც არაქსის ჩრდილოეთით არის, განფენილი და უშუალოდ ესაზღვრება ტაოს); ხოლო ბასიანის მხარეთა შეორე ნაწილი—ზემო-ბასიანის მხარე ანუ ვანანდი (რომელიც ესაზღვრება მტკვრის სათავეებს) — სომხეთის ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა.

როგორც ცნობილია, მომდევნო ეპოქა, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი, — ეს არის ხანა, როდესაც იბერიის სამეფო თავის ძლიერების ზენიტს აღწევს და როდესაც მოხდა იბერიის საზღვრების გაფართოება სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით[1]. ამ დროს იბერია იბრუნებს სომხეთის მიერ მიტაცებულს ტერიტორიებს და მათ რიცხვში ცხადია იყო ბასიანის ის ნაწილიც, რომელიც სომხეთს მცირე ხნით ჰქონია დაჭერილი.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება ბასიანის მხარეთა ისტორიის შესახებ ანტიკურ ხანაში.

ამ-რიგად, როგორც ირკვევა, ბასიანის მხარეები ანტიკურ ხანაში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა, — ვიდრე მე-2 საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა, ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, და პოლიტიკურადაც იგი საქართველოს (იბერიის) სახელმწიფოებრივ ერთეულთან იყო დაკავშირებული.

დ

ბასიანის მხარენი ანტიკური ხანის დასასრულსა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში

(მე-3 საუკუნიდან — მე-10 საუკუნემდე)

მეორე პერიოდი ბასიანის მხარეთა ისტორიისა მოიცავს ხანას მე-3 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-10 საუკუნამდე.

როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, ანტიკური ხანის დასასრულში, დაახლოვებით მე-3 საუკუნეში, სომხეთს პოლიტიკურად დაუკავშირდა ორი სანაპირო კუთხე ჭოროხის ხეობისა: იმიერი ტაო და ზემო სპერი.

ამავე დროს სომხეთს გაუვრცელებია პოლიტიკური გავლენა მეზობლად მდებარე არაქსის ხეობის ქართულ ზონაზე — ბასიანის მხარეებზე (საკუთრივ ბასიანსა და კარის მხარეზე).

შემდგომი ისტორიული ბედი ამ მხარეებისა, რომლებიც სომხეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცნენ, ე. ი. იმიერი ტაოსი, ზემო-სპერისა და ბასიანის მხარეებისა — სხვადასხვანაირი იყო; ჭოროხის ხეობაში მდებარე მხარეებს — იმიერ ტაოსა და ზემო სპერს, როგორც გამოირკვა, არ შეუცვლიათ ეთნოგრაფიული სახე და როგორც იყვნენ წარსულში, ისე შემდეგაც ქართულ ქვეყნებად დარჩნენ; რაც შეეხება არაქსის ხეობაში მდებარე ბასიანის მხარეებს (საკუთრივ ბასიანსა და კარის მხარეს), — ამათ თანდათან დაუკარგავთ ძველი ეთნოგრაფიული სახე. ამას ცხადია ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ბასიანის მხარეები, რომლებიც არაქსის ხეობაში მდებარეობენ, გეოგრაფიულად უფრო დაკავშირებულნი იყვნენ სომხეთთან, ვიდრე ჭოროხის

[1] იხ. ზემოთ, თავი VIII, 2 („მნათობი" № 1, გვ. 128—129).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეობის მხარეები, რომლებიც მოწყვეტილი არიან სომხეთს სამხრეთ კავკასიონის ქედის (მოსხის მთების) ხაზით.

ბასიანის მხარეებში ჩანს ადგილი ჰქონდა სომხური ელემენტის ჩამოსახლებას.

მაინც, როგორც ირკვევა, ქართული ელემენტი ამ მხარეებში მთლიანად არ მოსპობილა. ეს ირკვევა მოსე ხორენელის ცნობიდან „ბოლხართა" მოსახლეობის შესახებ ზემო-ბასიანში (კარის მხარეში)[1].

*

მე-7—9 საუკუნეებში ბასიანის მხარეთა სამხრეთ ნაწილში, ე. ი. საკუთრივ ბასიანის მხარეში, სომხურსა და ქართულს ეთნიურ ელემენტს დაემატა მესამე ეთნიური ელემენტი — არაბი მუსულმანები (სხვა მუსულმან ტომებთან ერთად).

როგორც ცნობილია, არაბები ჩნდებიან კავკასიაში მე-7 საუკუნის ნახევრიდან, ხოლო საბოლოოდ არაბები განამტკიცებენ თავის ბატონობას კავკასიაში მე-7—8 საუკუნეთა მიჯნაზე. ამ დროიდან, მე-7—8 საუკუნეებიდან, სწარმოებს არაბებისა და სხვა მუსულმანი ტომების ჩამოსახლება კავკასიის ზოგიერთს სექტორში.

კერძოდ არაბებისა და სხვა მუსულმანი ტომების მასიურ ჩამოსახლებას, როგორც ეს ირკვევა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობების მიხედვით, ადგილი ჰქონია საკუთრივ ბასიანის მხარეში და მის მეზობელ ზონაში (კარინის-არზრუმის მხარიდან მოკიდებული — ვიდრე ვანის ტბამდე).

მე-9 საუკუნეში, როდესაც შესუსტდა არაბთა მფლობელობის ძალა კავკასიაში და შეიქმნა ჯერ ქართველთა სამეფო — ცენტრით მესხეთში (მე-9 საუკუნის დასაწყისში), ხოლო შემდეგ სომეხთა სამეფო ცენტრით აირარატის შირაქში (მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში), ბასიანის მხარეთა სამხრეთი ნაწილი ე. ი. საკუთრივ ბასიანის მხარე არ შესულა არც სომხეთის და არც საქართველოს სამეფოების ფარგლებში; ეს მხარე, საკუთრივ ბასიანი, რომლის მოსახლეობაშიაც ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი მუსულმანური ელემენტი, შევიდა კაისიტთა ადგილობრივ მუსულმანურ საამიროში, რომელიც სამხრეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ქართველთა სამეფოს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან — სომხეთის სამეფოს.

ე

ბასიანის მხარეთა შემოერთება საქართველოს მიერ

მე-10—11 საუკუნეებში

ახალი პერიოდი ბასიანის მხარეთა ისტორიაში იწყება მე-10—11 საუკუნეებიდან, როდესაც ბასიანის მხარეები ისევ დაიბრუნა საქართველომ.

---

[1] იხ. მოსე ხორენელი, ისტორია, II, 6, 9. ზემო-ბასიანის „ბოლხარნი" ცხადია იყვნენ ძველნი აბორიგენნი ამ მხარისა — ფასიანელთა ქართველი ტომი (ბოხაელნი ანუ ბოლხები, ბოლხარნი), და არა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ტომი, როგორც ამას ლეგენდარული თქმულების სახით გადმოგვცემს სომეხთა ისტორიკოსი.

მე-10 საუკუნეში დაბრუნებულ იქმნა ბასიანის მხარეთა სამხრეთი ნაწილი — საკუთრივ ბასიანის მხარე. მე-11 საუკუნეში შემოერთებულ იქმნა ზემო—ბასიანი ანუ კარის მხარე.

ბასიანის მხარეთა გამო საქართველოს მოუხდა ბრძოლების წარმოება არაბებთან მე-10 საუკუნეში, ხოლო შემდეგ ბიზანტიასთან მე-11 საუკუნეში.

ჩვენ აქ მოკლედ შევჩერდებით ბასიანის მხარეთა საქართველოსთან ხელახლად შემოერთების ისტორიაზე.

*

გამოკვლევის IV თავში ჩვენ უკვე დაწვრილებით გვქონდა გაშუქებული ბიზანტიის იმპერიის და ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობისა და სამხედრო კავშირის ისტორია მე-9—10 საუკუნეებში [1].

ბიზანტიასა და საქართველოს მე-9—10 საუკუნეებში შექმნილი ჰქონდათ ერთიანი ფრონტი არაბების წინააღმდეგ კავკასიის სანაპიროზე.

მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიელებმა და ქართველებმა საერთო ძალით გაანთავისუფლეს არაბთა მფლობელობიდან „ზემონი ქვეყანანი": კარინის (თეოდოსიოპოლის, თანამედროვე არზრუმის) მხარე, საკუთრივ ბასიანის მხარე და მიმდგომი რაიონები.

ქართველთა სამეფო, ბიზანტიასთან წინათ დადებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე, მოითხოვდა ამ მხარეების საქართველოსთან შემოერთებას. (დასახელებული მხარეები — „ზემონი ქვეყანანი" — არის ის ტერიტორია, რომელიც ისტორიულ წარსულში — ანტიკურ ხანაში — საქართველოს ეკუთვნოდა).

ბიზანტიელებმა დაარღვიეს საკავშირო ხელშეკრულება; ბიზანტიელებმა თვით გამოაცხადეს პრეტენზიები ყველა ამ მხარეებზე.

ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად ბიზანტიის იმპერიასა და ქართველთა სამეფოს შორის მე-10 საუკუნის შუა წლებში მიღებულ იქმნა კომპრომისული გადაწყვეტილება. საზღვრად ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის დადებულ იქმნა მდინარე არაქსი. საქართველოს შეუერთდა საკუთრივ ბასიანის მხარის ერთი ნაწილი, რომელიც მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობს (ჩრდილოეთი ბასიანი), ხოლო „ზემო ქვეყანათა" დანარჩენი ტერიტორია შეიერთა ბიზანტიამ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (წიგნში De administrando imperio) — შემდეგსა წერს საზღვარის ხაზის გატარების შესახებ ბიზანტიის იმპერიასა და იბერიას (ქართველთა სამეფოს) შორის:

„საზღვრად (ბიზანტიასა და იბერიას შორის) ბასიანის მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი; იბერიის სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი (ბასიანისა), რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (— სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლს, თავის ციხეებითა და სოფლებით, უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას), ასე რომ მდინარე არაქსი დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის" [2].

---

[1] იხ. „მნათობი", 1949, № 11, გვ. 141 — 153.

[2] იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op cit. თავი 45, გვ. 205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

დავა ბიზანტიასა და საქართველოს შორის „ზემო ქვეყანათა“ გამო თუმცა კომპრომისით დამთავრდა მე-10 საუკუნის შუა წლებში, მაგრამ საკითხი ამით არ გადაწყვეტილა. საქართველოს არ მოუხსნია თავისი პრეტენზიები „ზემო ქვეყანათა“ შესახებ.

მეოთხედი საუკუნის შემდეგ საქართველომ შესძლო ამ თავისი პრეტენზიების რეალიზაცია.

978 წელს ბიზანტიის იმპერიის მთავრობამ სამხედრო დახმარებისათვის მიმართა ქართველთა სამეფოს და დახმარების სანაცვლოდ პირობა დასდო დაეთმო ქართველთა სამეფოსათვის ძველი სადაო ტერიტორიები.

ქართველთა სამეფოს ხელისუფლებამ, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი ამ დროს იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე დავით დიდი კურაპალატი („მოურავი“ ქართველთა სამეფოსი) — მიიღო ეს წინადადება.

საქართველომ გაუწია ბიზანტიას აღქთმული სამხედრო დახმარება და ამის შემდეგ საქართველომ, დადებული პირობის თანახმად, შემოიერთა ბიზანტიიდან სადაო ტერიტორიები.

სახელდობრ ამ დროს საქართველოს შემოუერთდა:

I. სამხრეთ ბასიანის კანტონი, მდებარე მდინარე არაქსის სამხრეთ სანაპიროზე, და ამრიგად საქართველოს ფარგლებში მთლიანად გაერთიანდა ეს ძველი ქართული პროვინცია — საკუთრივ ბასიანის მხარე.

II. საქართველოს შემოუერთდა ამასთან შემდეგი მხარეები, რომლებიც ისტორიულ წარსულში (ანტიკურ ხანაში) საქართველოს ეკუთვნოდნენ:

ა) ქალაქი კარინი ანუ თეოდოსიოპოლი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს;

ბ) ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში;

გ) ჩორმაირის თემი — მდინარე ჭოროხის სათავესთან;

დ) ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავესთან (იგივე „პარიადრის მთიანეთის მხარე“ ანტიკური ხანისა).

III. ზემო ჩამოთვლილი ძველ-ქართულ პროვინციებს გარდა საქართველოს შემოუერთდა აგრეთვე სომხეთის ორი პროვინცია — ჰარქისა და აპაჰუნის მხარეები, — რომლებიც მანამდე ბიზანტიასა ჰქონდა დაჭერილი [1].

*

ამრიგად 978 წელს ქართველთა სამეფომ გააფართოვა თავისი ტერიტორია და დაიბრუნა თავისი ძველი ისტორიული მიწა-წყალის მნიშვნელოვანი ნაწილი არაქსისა და ევფრატის ხეობებში.

მაგრამ ქართველთა სამეფო არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით.

978 წლის შემდეგ, მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ქართველთა სამეფომ ფართედ გაშალა ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ კავკა-

[1] იხ. სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი), 1883 წ. გვ. 192.

სიის სამხრეთ სანაპიროზე, გაანთავისუფლა მთელი რიგი სანაპირო მხარეები და ქართველთა სამეფოს საზღვრები ვანის ტბამდე მიიტანა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს სწარმოებს არა მარტო შემოერთება საქართველოს მიერ მუსულმანებისაგან ტერიტორიებისა, არამედ დასახლება ახლად შემოერთებული მხარეებისა ქრისტიანული ელემენტით, ქართველებითა და სომხებით.

ასე, სომეხთა ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის ცნობით, როდესაც დავით კურაპალატმა აიღო ქალაქი მანასკერტი, ერთ-ერთი მთავარი ცენტრი აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში, აქედან მან გაასახლა მუსულმანები და მათ ადგილას ქრისტიანები — ქართველები და სომხები დაასახლა [1].

თუ ქართული მოსახლეობა ამ დროს გაჩნდა თვით ისეთ შორეულ მხარეში, როგორიც იყო მანასკერტი, ცხადია ამ დროს ქართველებით უნდა დასახლებულიყო პირველ რიგში სწორედ ბასიანის მხარე, რომელიც უშუალოდ აკრავს საქართველოს ძირითადს მიწაწყალს, მესხეთს. ბასიანში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მე-10 საუკუნის პირველ ნახევრამდე ფართოედ ყოფილა წარმოდგენილი მუსულმანური ელემენტი, და როდესაც საქართველომ დაიჭირა ბასიანის ნაწილები (ჩრდილო ბასიანი მე-10 საუკუნის ნახევარში, ხოლო სამხრეთი ბასიანი 978 წელს), აქ სჩანს ამავე ეპოქაში მომხდარა მუსულმანი მოსახლეობის შეცვლა ქართული მოსახლეობით.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე დაარსებულ იქმნა ქართველთა (მართლმადიდებელთა) საეპისკოპოსო ვალაშკერტისა, რომელიც ამის შემდეგ არსებობდა მომდევნო საუკუნეთა მანძილზე და მცხეთის საკათალიკოზოს ფარგლებში შედიოდა.

*

1001 წელს გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ, როგორც ცნობილია, დაიჭირა სამხრეთ ტაოს სამფლობელო და მასთან ერთად „ზემონი ქვეყანანი“, რომელიც სადაოდ იყო ქცეული ბიზანტიასა და საქართველოს შორის მე-10 საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული.

ეს გახდა საბაბი დიდი ომისა, რომელიც შემდეგ გაიმართა ბიზანტიასა და საქართველოს შორის მე-11 საუკუნის პირველ მესამედში.

საქართველოს მეფემ გიორგი I-მა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ჩაბმული იყო ბულგარეთთან ომში და 1014—1016 წლებში დაიჭირა სამხრეთი ტაო და „ზემონი ქვეყანანი“, მათ შორის ბასიანის მხარე, და განდევნა ბიზანტიელთა გარნიზონები [2].

როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ძლევამოსილად დაამთავრა ომი ბულგარეთთან, მან მოსთხოვა საქართველოს მთავრობას დაეცალა სამხრეთ ტაოს სამფლობელო და „ზემონი ქვეყანანი“. საქართველოს მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა.

1021 წელს ბიზანტიამ დაიწყო ომი საქართველოსთან მოხსენებული ტერიტორიების გამო. ომი სამი წელი გაგრძელდა (1021—1023 წ. წ.). ფრონტი

[1] იხ. სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი). 1883 წ. გვ. 267.

[2] იხ. არაბი მემატიანე იაჰია ანტიოქელი, ვ. როზენის გამოცემა (Император Василий Болгаробойца, 1883 წ.) გვ. 61.

ბიზანტიელთა და ქართველთა ჯარებისა პირველად ბასიანში გაიმართა. გადამწყვეტი ბრძოლაც ომის მესამე წელს იმავე ბასიანში მოხდა[1].

ომი დასრულდა ბიზანტიელთა გამარჯვებით. საზავო ხელშეკრულებით, რომელიც 1023 წელს დაიდვა, ბიზანტიამ შეირთა სადაო ტერიტორიები.

ამ ტერიტორიებიდან, რომელიც ბიზანტიამ დაიპყრო საქართველოდან, შეიქმნა ორი „თემა“ (ოლქი) ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში: ერთი — თეოდოსიოპოლის თემა, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარე ზონას (არზრუმის მხარე); მეორე ოლქი, რომელსაც ბიზანტიელებმა დაარქვეს „იბერიის თემა“ — აერთიანებდა თავის ფარგლებში: სამხრეთ ტაოს სამფლობელოს, საკუთრივ ბასიანის მხარეს და არაწანის ხეობის მიმდგომ რაიონებს.

*

„იბერიის თემა“ ამის შემდეგ დარჩა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში ნახევარი საუკუნე, 1023 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1074 წლამდე.

ამ ხნის მანძილზე „იბერიის თემის“ ფარგლები გაფართოებულ იქმნა ახალი ტერიტორიებით.

კერძოდ 1068 წელს „იბერიის თემას“ შეუერთდა კარის მხარე, რომელიც ამის წინარე ხანაში სომხეთის ფარგლებში შედიოდა.

კარის მხარე დაუთმო ბიზანტიას ამ კუთხის მფლობელმა გაგიკმა (რომელიც კარის მეფის ტიტულს ატარებდა) და ამ მხარის ნაცვლად გაგიკმა მიიღო ბიზანტიის იმპერატორისაგან ანატოლიის ქალაქი ძამენტაუ და მისი ოლქი. გაგიკმა კარის მხარის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაიყვანა ანატოლიაში ძამენტაუს ოლქში. სანახევროდ დაცარიელებული ტერიტორია კარის მხარისა ამის შემდეგ გაერთიანებულ იქმნა იბერიის თემასთან, როგორც მოვიხსენეთ 1068 წელს.

*

იბერიის თემა, ბასიანის მხარეთა შემადგელობით, საქართველომ დაიბრუნა 1074 წელს.

იბერიის თემის დაბრუნება საქართველოს მიერ შემდეგ ვითარებაში მოხდა.

მე-11 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როგორც ცნობილია, დაიწყო თურქების (სელჯუკების). განსაკუთრებული გაძლიერება ანატოლიის სანაპიროზე. ბიზანტიელების პოზიციები კავკასიაში შეირყა. ამით ისარგებლა საქართველოს მეფემ გიორგი II-ემ და როგორც ამბობს ძველი მემატიანე— „მძლავრებისაგან ბერძენთასა წარხმულნი“ (ე. ი. მიტაცებული) ქვეყანანი— უკან დაიბრუნა. ჯერ გიორგი II-ეს დაუპყრია ბიზანტიელთაგან ტერიტორია, რომელიც ბიზანტიელებს დაჭერილი ჰქონდათ აფხაზეთში (ანაკოფია). ხოლო შემდეგ გიორგი II-ეს შემოუერთებია იბერიის თემა, ბასიანის ქვეყნებით: საკუთრივ ბასიანის მხარე და კარის მხარე (ზემო ბასიანი).

ბასიანის მხარეთა საქართველოსთან შემოერთებისათვის ხელი შეუწყვია ცნობილს ბიზანტიელს სახელმწიფო მოღვაწეს, შთამომავლობით ქართველს,— გრიგოლ ბაკურიანის-ძეს, რომელიც ამ დროს იყო ბიზანტიის იმპერიის აღმო-

[1] იხ. ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *473/247, *475/249.

სავლეთის ქვეყნების უმაღლეს მხედართმთავრად და რომელსაც ექვემდებარებოდა კერძოდ ბასიანის მხარეები (საკუთრივ ბასიანის მხარე, [illegible] მხარე). გრიგოლ ბაკურიანის-ძეს კარგად ესმოდა, რომ ბიზანტია—[illegible] ვითარებაში ველარ შეირჩენდა ბასიანის მხარეებს და უომრად ჩაუბარებია იგი საქართველოს მეფის გიორგი II-ისათვის.

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი ამის შესახებ მოგვითხრობს, რომ გრიგოლ ბაკურიანის-ძე ეახლა გიორგი I-ს ტაოს მხარეში, მეფის ადგილობრივ რეზიდენციაში — ბანაში, „და მოსცა გიორგი მეფესა კარისა ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“ [1].

ამის შემდეგ გიორგი II ჩავიდა კარში, განაგო იქაური საქმეები და კარის ქვეყნის მმართველებად შავშეთის აზნაურნი დაადგინა („და დაუტევნა კარსა აზნაურნი შავშნი“ — ნათქვამია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში) [2].

მეორე ძველ-ქართველი ისტორიკოსი, თანამედროვე მემატიანე გიორგი II-ისა, დაწვრილებით ჩამოსთვლის ბასიანის მხარეთა იმ ტერიტორიებს, რომლებიც საქართველომ ამ დროს შემოიერთა; მატიანეში აღნიშნულია, რომ გიორგი მეფემან „აიღო ქალაქი კარისა, ციხე, ქვეყანა და სიმაგრენი ვანანდისა, და კარნიფორ—ბასიანი“. მემატიანე ამასთან უმატებს, რომ ამ ქვეყანათა აღების დროს გიორგი მეფემან „იოტნა თურქნი მის ქვეყანისანი“ [3].

ანრიგად ამ დროს მოხდა გაერთიანება საქართველოს საზღვრებში ბასიანის მხარეთა ტერიტორიისა მთლიანად, როგორც კარის მხარის (ვანანდის). ისე საკუთრივ ბასიანის მხარის შემადგენლობით.

3

ბასიანის მხარეთა ტერიტორიულ-ადმინისტატიული დანაწილება საქართველოსთან გაერთიანები შემდეგ

ვიდრე გადავიდოდეთ ბასიანის მხარეთა შემდგომი ისტორიის განხილვაზე, აქ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ბასიანის მხარეთა ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრატიული დანაწილება, რომელიც დამყარდა ამ მხარეების საქართველოსთან ხელახლა გაერთიანების შემდეგ.

საისტორიო წყაროებში, ეპოქისათვის მე-10—11 საუკუნეებიდან მოკიდებული — ვიდრე მე-15—16 საუკუნეებამდე—დამოწმებულია შემდეგი ტერიტორიულ-ადმინისტრატიული დანაწილება ბასიანის მხარეებისა ცალკეულ კანტონებად (უბნებად) [4]:

---

[1] იხ. დავით აღმაშენებელის ისტორია, გვ. * 512/281.

[2] იხ. იქვე.

[3] იხ. ცხოვრება გიორგი II-სა, გვ. * 512/280.

[4] ძირითადი წყაროები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ჩამოთვლილ კანტონთა შესახებ: კონსტანტინე პორფიროგენეტი (De administrando imperio, თავი 44); ქართლის ცხოვრების მატიანეები (ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა; ცხოვრება გიორგი II-ისა; ისტორია დავით აღმაშენებლისა; თამარ მეფის ისტორიკოსნი; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე; ჟამთააღმწერელი); სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ. გვ. 77)—ცნობები კანტონების გაჩენვანის (კარნიფორის), საკუთრივ კარის, ხორცევანის და ზარიშტიანის შესახებ; გუჯარი—მცხეთის მამულების ნუსხა (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., ვ. 196)—ცნობა წინუბანის (=ზარიშტიანის) შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტონები (უბნები):

1. ბასიანი (ბასიანნი)

2. კარნიფორი (გაჩევანი)

3. საკუთრივ კარი ანუ ვანანდი

4. ხორცევანი

5. ზარიშტიანი (წინუბანი)

კანტონების (უბნების) ნაწილები:

ა. ჩრდილოეთი ბასიანი
ბ. სამხრეთი ბასიანი

ა. ჩრდილოეთი კარნიფორი (ყოფილი ნაწილი ვანანდისა)
ბ. სამხრეთი კარნიფორი (ყოფილი აბელიანის თემი)


ბასიანის მხარენი
X-XI საუკუნეებიდან XV-XVI საუკუნეებამდე
ბ ა ს ი ა ნ ი
ბ ა ს ი ა ნ ი
ბ ა ს ი ა ნ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ვ ა ნ ა ნ დ ი) ეწოდება არა ამ სამი კანტონის გაერთიანებას, არამედ მხოლოდ მესამე კანტონს, ე. ი. საკუთრივ კ ა რ ი ს კანტონს (ქალაქ კარის უშუალო ინტერლანდს)[1].

რაც შეეხება ხ ო რ ც ე ვ ა ნ ი ს და ზ ა რ ი შ ტ ი ა ნ ი ს (წ ი ნ უ ბ ა ნ ი ს) კანტონებს, ისინი შემდგომ ხანაში გაერთიანებული არიან არა საკუთრივ კარის კანტონთან, არამედ სხვა მეზობელ ერთეულებთან, სახელდობრ: ხ ო რ ც ე ვ ა ნ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ი ა მ ე ს ხ ე თ ი ს კ ა ნ ტ ო ნ თ ა ნ კ ო ლ ა ს თ ა ნ[2]; ზ ა რ ი შ ტ ი ა ნ ი (წ ი ნ უ ბ ა ნ ი) გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ი ა ჯ ე რ ა ნ ი ს ი ს მ ხ ა რ ე ს თ ა ნ (რ ო მ ე ლ ი ც დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ი ს დ რ ო ი დ ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ფ ა რ გ ლ ებ შ ი შ ე დ ი ო დ ა)[3], ხ ო ლ ო შ ე მ დ ე გ მ ე ს ხ ე თ ქ ა რ თ ლ ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო ო ლ ქ თ ა ნ — თ ო რ ი ს (ა ხ ა ლ ც ი ხ ე-თ ო რ ი ს) მ ხ ა რ ე ს თ ა ნ[4].

ზ

ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ებ ი

მ ე 11 ს ა უ კ უ ნ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი დ ა ნ — მ ე-13 ს ა უ კ უ ნ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ა მ დ ე

მ ე-11 ს ა უ კ უ ნ ი ს 70-ი ა ნ ი წ ლ ებ ი დ ა ნ მ ო კ ი დ ებ უ ლ ი (რ ო დ ე ს ა ც ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ფ ა რ გ ლ ებ შ ი გ ა ე რ თ ი ა ნ დ ა ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ებ ი მ თ ე ლ ი ს მ ო ც უ ლ ო ბ ი თ) — ვ ი დ რ ე მ ე-13 ს ა უ კ უ ნ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ა მ დ ე, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ი დ ი ბ რ ძ ო ლ ებ ი ს წ ა რ მ ო ებ ა მ ო უ ხ დ ა თ უ რ ქ ებ თ ა ნ ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე თ ა დ ა ს ა ც ვ ე ლ ა დ.

ჩ ვ ე ნ ა ქ მ ო კ ლ ე დ გ ა ვ ე ც ნ ო ბ ი თ ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე თ ა ი ს ტ ო რ ი ა ს დ ა ს ა ხ ე ლ ებ უ ლ ებ უ ლ პ ე რ ი ო დ ს ი.

*

მ ე-11 ს ა უ კ უ ნ ი ს მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი, რ ო გ ო რ ც ც ნ ო ბ ი ლ ი ა, ე ს ი ყ ო ე პ ო ქ ა, რ ო დ ე ს ა ც ს წ ა რ მ ო ებ დ ა თ უ რ ქ ი ს ე ლ ჯ უ კ ებ ი ს უ რ დ ო ებ ი ს დ ი დ ი გ ა დ მ ო ს ა ხ ლ ებ ა კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო ებ ზ ე დ ა ა ნ ა ტ ო ლ ი ა შ ი. მ ო ზ ღ ვ ა ვ ებ უ ლ ი თ უ რ ქ ო ბ ა ა წ ყ დ ე ბ ო დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ზ ღ ვ რ ებ ს.

1080 წ ე ლ ს თ უ რ ქ ებ მ ა დ ა ი ჭ ი რ ე ს ქ ა ლ ა ქ ი კ ა რ ი[5]. ა მ ა ზ ე ა დ რ ე, ჯ ე რ კ ი დ ე ვ 1064 წ ლ ი დ ა ნ, თ უ რ ქ ებ ს ა ღ ებ უ ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა თ კ ა რ ი ს მ ე ზ ო ბ ლ ა დ მ დ ებ ა რ ე ს ო მ ხ ე თ ი ს ძ ვ ე ლ ი დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი ა ნ ი ს ი[6]. ა მ ო რ პ უ ნ ქ ტ შ ი, — კ ა რ ს ა დ ა ა ნ ი ს შ ი, — შ ე ი ქ ნ ნ ა თ უ რ ქ უ ლ ი ს ა ა მ ი რ ო ებ ი, ს ა ი დ ა ნ ა ც თ უ რ ქ ებ ი ა წ ა რ მ ო ებ დ ნ ე ნ შ ე მ ო ტ ე ვ ა ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ხ ა რ ე ებ ი ს დ ა კ ე რ ძ ო დ მ ე ს ხ ე თ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

პ ი რ ვ ე ლ ი რ ი გ შ ი თ უ რ ქ ებ ს ი ე რ ი შ ებ ი მ ი ჰ ქ ო ნ დ ა თ ქ ა ლ ა ქ ი კ ა რ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ თ ა ნ მ დ ებ ა რ ე ბ ა ს ი ა ნ ი ს პ რ ო ვ ი ნ ც ი ებ ზ ე. თ უ რ ქ თ ა უ რ დ ო ებ ი ს ც დ ი ლ ო ბ დ ნ ე ნ ჩ ა მ ო ს ა ხ ლ ებ უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ ბ ა ს ი ა ნ ი ს პ რ ო ვ ი ნ ც ი ებ შ ი დ ა მ ე ს ხ ე თ ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო მ ხ ა რ ე ებ შ ი.

თ უ რ ქ ებ ი ს ძ ლ ი ე რ ებ ა კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა ს ტ ე ხ ა დ ა ვ ი თ

---

[1] იხ. თ ა მ ა რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ი ს ტ ო რ ი ა (ი ს ტ ო რ ი ა — ა ზ მ ა ნ ნ ი) გ ვ *618/382, *637/418; თ ა მ ა რ ი ს მ ე ო რ ე ი ს ტ ო რ ი ა (ი ს ტ ო რ ი ა — ა ზ მ ა ნ თ ა გ ა გ რ ძ ე ლ ებ ა), გ ვ. *699/495—6; ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს-მ ო ძ ღ ვ ა რ ი 1944 წ., გ ვ. 32; ლ ა შ ა-გ ი ო რ გ ი ს დ რ ო ი ნ დ ე ლ ი მ ე მ ა ტ ი ა ნ ე (ა ნ ა ს ე უ ლ ი ქ ა რ თ ლ ი ს — ც ხ ო ვ რ ებ ა, 1942 წ.) გ ვ. 241, 242; ჟ ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გ ვ. *874/718, *915/758.

[2] იხ. ს ა მ ც ხ ე-ს ა ა თ ა ბ ა გ ო ს ს ა ე პ ი ს კ ო პ ო ს თ ა ნ ნ უ ს ხ ა, გ ვ. 77.

[3] იხ. ი ქ ვ ე.

[4] იხ. თ ა მ ა რ ი ს მ ე ო რ ე ი ს ტ ო რ ი ა, გ ვ. *699/495—6; ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, 1944 წ., გ ვ. 32; ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი *874/718. (თ ო რ ე ლ თ ა ს ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ს ა კ უ თ რ ი ვ კ ა რ ი ს კ ა ნ ტ ო ნ ს ე ს ა ხ ლ ვ რ ე ბ ო დ ა ზ ა რ ი შ ტ ი ა ნ ი ს კ ა ნ ტ ო ნ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს მ ე შ ვ ე ო ბ ი თ).

[5] იხ. დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ი ს მ ა ტ ი ა ნ ე, გ ვ. *513/282.

[6] იხ. ც ხ ო ვ რ ებ ა გ ი ო რ გ ი I-ი ს ა დ ა ბ ა გ რ ა ტ IV-ი ს ა, გ ვ. *498/269; ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ერ ტ ე ტ ე ლ ი, ი ს ტ ო რ ი ა, 1912 წ., გ ვ. 162—7; მ ა თ ე უ რ ა ჰ ე ლ ი, ი ს ტ ო რ ი ა, 1869 წ. გ ვ. 176—180.

აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებელმა კერძოდ აღკვეთა თურქების ცდა ჩამოსახლებულიყვნენ მესხეთის სანაპიროებზე და ბასიანის პროვინციებში.

1116 წელს დავით აღმაშენებელმა დიდი დამარცხება მიაყენა თურქების ურდოებს, რომლებიც ჩამომდგარი იყვნენ ტაოს მხარეში ვიდრე ბასიანამდე და კარნიფორის მთამდე [1].

ხოლო 1123 წელს მესხეთის პროვინციები ჯავახეთი და კოლა, და ბასიანის პროვინციები — საკუთრივ ბასიანი (ბასიანნი) და კარნიფორი, — საბოლოოდ გაწმენდილ იქნენ თურქთა ურდოების ნაშთებისაგან. თანამედროვე მემატიანე მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელი 1123 წელს — „წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯ ა ვ ა ხ ე თ ი, კ ო ლ ა, კ ა რ ნ ი ფ ო რ ი, ბ ა ს ი ა ნ ნ ი, — სპერამდინ და საცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყვე ყო“ [2].

იმავე 1123 წელს დავით აღმაშენებელმა განდევნა თურქები ანისიდან და ანისის მხარე შემოუერთა საქართველოს [3]. ამრიგად ორი თურქული ცენტრიდან — კარისა და ანისის საამიროებიდან, მეორე მათგანი — ანისის საამირო — ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და საქართველოს უკავშირდება.

დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულისათვის, 1123—1125 წლებში, დამყარდა შემდეგი საზღვარის ხაზი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, ბასიანის მხარეთა სექტორში:

ბასიანის მხარეთა ხუთი კანტონიდან საქართველოს საზღვრებში მოქცეულია ოთხი კანტონი: 1. ბასიანი; 2. კარნიფორი; 3. ხორცევანი; 4. ზარიშტიანი (წინუბანი). თურქების ხელში ამ დროისათვის რჩება მხოლოდ ერთად-ერთი ზონა — საკუთრივ კარის კანტონი (კარის საამირო), რომელიც დაკავშირებულია ხლათის თურქულ სამფლობელოსთან [4].

*

1123—1125 წლებიდან მოკიდებული მომდევნო ორმოცი წლის მანძილზე, მე-12 საუკუნის 60-იან წლებამდე, საზღვრის ხაზი ბასიანის მხარეთა ზონაში სტაბილურია, მას ამ ხნის მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები სჩანს არ განუცდია.

ამ პერიოდში, მე-12 საუკუნის 20-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე, სწარმოებს დასახლება ქართულის ელემენტით ბასიანის პროვინციებისა.

ქართულ მატიანეთა ჩვენების თანახმად, როდესაც დავით აღმაშენებელმა მე-12 საუკუნის ოციანი წლებისათვის საბოლოოდ გასწმინდა თურქთა ურდოე-

---

[1] იხ. დავით აღმაშენებელის ისტორია, გვ. *531—2/298.

[2] იბ. იქვე, გვ. *543/310 – 311.

[3] იხ. დავით აღმაშენებელის ისტორია, გვ. *544/311; მათე ურჰაელი, ისტორია, 1869 წ. გვ. 451; ვარდან დიდი, ისტორია, 1861 წ., გვ. 156--167; სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია, 1861 წ., გვ. 277.

[4] ბ ა ს ი ა ნ ი ს და კ ა რ ნ ი ფ ო რ ი ს კანტონთა შესახებ იხ. დავით აღმაშენებელის ისტორია, გვ. *543/310—311. რაც შეეხება ბასიანის მხარეთა ჩრდილოეთ მცირე კანტონებს — ხ ო რ ც ე ვ ა ნ ს ა და ზ ა რ ი შ ტ ი ა ნ ს (წინუბანს), — რომლებიც ძველად კარის (ვანანდის) პროვინციის ნაწილს შეადგენდნენ, ისინი ჩამოშორებიან ამ უკანასკნელს კარის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ და შეერთებიან საქართველოს სხვა მეზობელ მხარეებს; სახელდობრ ხ ო რ ც ე ვ ა ნ ი ს კანტონი შემდეგ ხანაში გაერთიანებულია მესხეთის კოლას კანტონთან; ხოლო ზ ა რ ი შ ტ ი ა ნ ი (წინუბანი) — ჯერ ანისთან, ხოლო შემდეგ მესხეთ-ქართლის სანაპირო ოლქთან — თორის სამფლობელოსთან (იხ. ზევით, გვ. 138).

ბის ნაშთებისაგან საქართველოს სანაპირონი, ამ დროისთვის საქართველოს სამხრეთი პროვინციები მთლიანად აოხრებული ყოფილა თურქთა სანგრძელი თარეშის შედეგად. როგორც აღნიშნავს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ამ სამხრეთ პროვინციებში, მათი განთავისუფლების დროს „ციხეთა და ქალაქთა გარდა კაცი არსადა იყო“. ასეთნაირად ყოფილა აოხრებული კერძოდ მესხეთის სანაპირო ზონა — ჯავახეთ-არტაან-ტაოს ხაზზე. მემატიანის ცნობით ხელახალი დასახლება მესხეთის ამ სანაპირო ზონისა მომხდარა დავით აღმაშენებლის მემკვიდრის დემეტრე I-ის (1125—1155 წწ.) დროს. მემატიანე წერს მესხეთის მოხსენებული ზონის შესახებ: „ჯავახეთი, ქვენა-არტაანი და ზენა-არტაანი — ამათსა (დემეტრე I-ის) მეფობასა შინა აშენდეს და ტაოს ნაპირნი“ [1].

თუკი ასე აოხრებული ყოფილა საკუთრივ მესხეთის სანაპიროები — ჯავახეთ-არტაან-ტაოს ხაზი, ცხადია მით უფრო განადგურებული უნდა ყოფილიყო ბასიანის მხარეთა ზონა, რომელიც სამხრეთის მხრიდან არტყია ჯავახეთ-არტაან-ტაოს სექტორს და უშუალოდ ესაზღვრებოდა იმ ტერიტორიას, რომელიც თურქებს ჰქონდათ დაპერილი. ცხადია თურქთა ამ დიდი გადასახლების ხანიდან, ბასიანის მხარეები საქართველოს სრულიად გაპარტახებული და უკაცრიელი მიუღია, და ბასიანის მხარეთა ხელახალი დასახლება, როგორც ირკვევა, ამ მომდევნო ხანაში მომხდარა, მე-12 საუკუნის 20-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე.

*

ორმოცწლოვანი შესვენების შემდეგ ბ ა ს ი ა ნ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი ისევ ხდება ასპარეზი თურქების თარეშისა. მე-12 საუკუნის 60-იან წლებში თურქებმა შესძლეს გაერღვიათ საქართველოს თავდაცვის ხაზი მესხეთის სანაპიროებზე და ბასიანის მხარეებში. ამ დროს თურქებმა ერთხანად მოახდინეს ოკუპაცია ტაოსა და სპერის სამხრეთი უბნებისა, ხოლო ბასიანის მხარეთაგან ბასიანის და კარნიფორის კანტონებისა.

ამის შემდეგ მომდევნო 30 წლის მანძილზე ეს კუთხე (ტაოსა და სპერის სამხრეთი უბნები და ბასიან-კარნიფორის კანტონები) — ხელიდან ხელში გადადიოდა [2].

მე-12 საუკუნის უკანასკნელ ათეულში ქართველებმა სიბოლოოდ დაიბრუნეს ტაოს და სპერის ეს სანაპირო უბნები და აგრეთვე ბასიანის კანტონი. ამავე ხანებში საქართველოს სახელმწიფოს ძალა-უფლება გავრცელდა აგრეთვე მეზობელ თურქულ სამთავროებზე — კ ა რ ნ უ ქ ა ლ ა ქ ი ს (არზრუმის) და ე ზ ი ნ კ ი ს (ერზინჯანის) საამიროებზე, რომლებიც საქართველოს „ყმად-ნაფიც“ (ვასალურ) ქვეყნებად გახდნენ; საქართველოს საზღვრები შიდა-ანატოლიის მიჯნებამდე იქმნა მიტანილი [3].

[1] იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 237.

[2] იხ. ისტორია — აზმანნი შარავანდედთანი, გვ. *612/385. *635/418, *682/476 (ბასიანი); გვ. *637/418 (კარნიფორი); გვ. *610/382 (ტაოს უბანნი); გვ. *661/448, შენ. 15 (სპერი).

[3] კარნუ-ქალაქისა და ეზინკის საამიროები საქართველოს ვასალური ქვეყნები გახდნენ 1200 წლის ახლო ხანებში, იკონიის სულტან რუქნადინთან ომის უწინარეს (იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ, 25, 29). კიდევ უფრო ადრე საქართველოს საზღვრებში ცხადია უნდა შემოსულიყო ტაო-სპერის უბნები და ბასიანი (რომელთაც ტერიტორიულად უჭირავთ შუა ზონა ეზინკ-კარნუქალაქსა და შიდა საქართველოს შორის). ბრძოლა რუქნადინთან 1205 წელს ბასიანში მოხდა, ბასიანისა და კარნუ-ქალაქის საამიროს საზღვართან, ბოლის (ბოლოს) ციხესთან (იხ. თამარის მეორე ისტორია გვ. *702/502; ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანე, ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ., გვ. 241).

ბასიანის მხარეთაგან ამ დროისათვის შემოუერთებული რჩებოდა მხოლოდ კარნიფორის კანტონი და საკუთრივ კარის კანტონი — კ ა რ ი ს ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝ, — რომელიც ხლათის მუსულმანური სამფლობელოს ნაწილს შეადგენდა.

1206 წელს საქართველომ საბოლოოდ შემოიერთა ეს კუთხეებიც — კარის საამირო, კარნიფორის კანტონით.

კარის საამიროს შემოერთების შესახებ საქართველოს მიერ დაწვრილებითი ცნობები აქვთ დაცული ქართველ ისტორიკოსებს (—ბასილი ეზოსმოძღვარს, თამარის მეორე ისტორიკოსს — „ისტორია-აზმანთა“ გამგრძელებელს, ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს), სომეხთა ისტორიკოსს ვარდან დიდს, არაბ ისტორიკოსს იბნ ალასირს.

საქართველოს ხელისუფლება ამ მხარის შემოერთებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან კარის საამირო ეს იყო უკანასკნელი დასაყრდენი თურქებისა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში.

როდესაც კარი აიღო საქართველოს ჯარმა 1206 წელს, თვით მეფე თამარი, მემკვიდრით ლაშა-გიორგით, ჩავიდა კარში და პირადად განაგო კარის ქალაქისა და მხარის საქმეები [1].

კართან ერთად, მემატიანის ცნობით, საქართველოს ჯარმა დაიჭირა — „ციხენი კარნიფორისა და ვანანდისანი და რახსის (არაქსის) პირის ციხენი“ [2].

ეს იყო საბოლოო შემომტკიცება ამ მხარისა საქართველოს მიერ.

3

ბასიანის მხარენი მე-13—16 საუკუნეებში

თამარის ეპოქაში, მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე და მე-13 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებულია მთელი კავკასია, ანატოლიისა და ირანის სანაპიროებით.

ამ ხანაში საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნები შემდეგნაირად ნაწილდება:

A. უშუალო სამფლობელოები:

1—2. **ხომხეთი**, რომელიც დანაწილებულია ორ სამფლობელოდ: **ანისი** და **დვინი** [3].

B. ვასალური მუსულმანური სამფლობელოები აღმოსავლეთ კავკასიაში:

3. **შირვანი** [4].
4. **დარუბანდი** [5].
5. **არანი** ანუ **განძა** (განჯა) [6].
6. **ნახჭევანი** [7].

---

[1] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ. 32.

[2] იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ.), გვ. 241.

[3] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ., გვ. 24, 32: ჟამთააღმწერელი გვ. *743/543, *750/570, *763/592 *792—3/610—1.

[4] იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *639/420; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35 (შდრ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ანასეული ქართლის-ცხოვრება, 1942 წ. გვ. 240).

[5] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35.

[6] იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *665—678/454—472; თამარის მეორე ისტორია (ისტორია-აზმანთა გაგრძელება), გვ. *706—509; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 16, 22, 32; ჟამთააღმწერელი გვ. *723—726/539—543.

[7] იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *706/509; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 244; ჟამთააღმწერელი გვ. *723/539.

ეროვნული ბიბლიოთეკა

C. ვასალური მუსულმანური სამფლობელოები ანატოლიის სანაპიროზე:
7. კარნუ-ქალაქი (არზრუმი)[1].
8. ეზინკი (ერზინჯანი)[2].
9. ხლათი[3].

D. გავლენის სფეროები:
10. ტრაპიზონის სამეფო[4].
11—13 „კავკასიის იმერეთის" (ჩრდილო კავკასიის) ქვეყნები:
11. ლუნძეთი (ავარია) და დაღისტანის სამფლობელოები[5];
12. დურძუკეთი (საჩეჩნო)[6];
13 ოვსეთი[7];
14. ქაშაგეთი (საჩერქეზო)[8].

E. მოხარკე ქვეყნები:
15. ადარბადაგანი, შიდა-ირანის სანაპირონი[9].

საკითხავია, როგორ იყო ამ ეპოქაში ადმინისტრატიულად მოწყობილი ბასიანის მხარეები, რომელ ტერიტორიულ-ადმინისტრატიულ ერთეულში შედიოდა იგი?

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ბასიანის მხარეები ამ ეპოქაში არ იყო მიკუთვნებული არც სომხეთის ადმინისტრატიულ ერთეულებს ანისსა და დვინს, და არც მუსულმანურ ვასალურ სამფლობელოებს; ბასიანის მხარეები ამ ეპოქაში შედიოდა უშუალოდ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში, სახელდობრ გაერთიანებული იყო მესხეთის მხარეებთან.

რისი მაჩვენებელია ეს გარემოება?

რასაკვირველია ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ბასიანის მხარეები ამ ეპოქაში არ წარმოადგენდა არც სომხურ ქვეყანას, და არც მუსულმანურ ქვეყანას; ბასიანის მხარეებს ამ ეპოქაში უცქეროდნენ როგორც საკუთრივ ქართულ ქვეყანას და ამიტომ იგი ადმინისტრატიულ-ტერიტორიულად საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდა.

სახელდობრ მე-13 საუკუნის დასაწყისში, თამარის და ლაშა-გიორგის ეპოქაში, და აგრეთვე მომდევნო ხანაში ვიდრე მე-13 საუკუნის 70-იან წლებამდე, ბასიანის მხარეთა ტერიტორია ადმინისტრატიულად ასე იყო მოწყობილი:

1. ბასიანის მხარეთა სამი კანტონი — საკუთრივ ბასიანი, კარნიფორი და ხორცევანი — შედიოდა მესხეთის იმ ნაწილში, რომელსაც მე-13 საუკუნის

---

[1] იხ. თამარის მეორე ისტორია. გვ. *706/509; ბასილი ეზოსმოძღვარი გვ. 25, 35; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ, 244; ქამთაამღწერელი, გვ. *723/539.

[2] იხ. თამარ მეფის მეორე ისტორია, გვ. *706/509; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 25, 29; (შდრ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 241).

[3] იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 243—4; ქამთააღმწერელი, გვ. *728/509.

[4] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 31, 35.

[5] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35 (ლუნძეთი); შდრ. ასტორია-აზმანნი, გვ. *633/412 („ყოველნი კავკასიისა იმერელნი... ხაზარეთამდის და სკვითთამდის").

[6] იხ, თამარის მეორე ისტორია, გვ. *720/528.

[7] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35.

[8] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35.

[9] იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *711—718/516—525 (ადარბადაგანი, ერანის მხარენი); ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ 19 („[ერანის] ერაყამადის დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ „მარაღამდის"); ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე გვ. 242 („სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი და ერანისა ქვეყანა"), გვ. 243 („დიდი სპარსეთი, არდაველი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისში ეწოდებოდა სამცხის სასპასალარო, ხოლო უფრო გვიან სამცხე-საათაბაგო.

სახელდობრ კანტონები საკუთრივ ბასიანი და კარნიფორი გაერთიანებული იყო მესხეთის ფარგლებში როგორც ერთი სამხარეო ერთეული, საერთო სახელწოდებით „კ ა რ ნ ი ფ ო რ ი". ხოლო ხორცევანის კანტონი შეერთებული იყო მესხეთის კოლის კანტონთან და შეადგენდა ერთ სამხარეო ერთეულს სახელწოდებით „კ ო ლ ა" [1].

2. ბასიანის მხარეთა დანარჩენი ორი კანტონი ე. ი. საკუთრივ კარის კანტონი და ზარიშტიანი (წინუბანი)—შედიოდა მესხეთ ქართლის სანაპირო ოლქში — თორის (თორი-ახალციხის) სამფლობელოში [2].

3. თვით ქალაქი კ ა რ ი გამოყოფილი იყო კარის კანტონიდან როგორც ცალკე ადმინისტრატიული ერთეული და შეადგენდა მეფის დომენს [3].

ასეთი იყო ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დანაწილება ბასიანის მხარეებისა მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-13 საუკუნის 70-იან წლებამდე (1278 წლამდე).

1278 წლიდან ამ ადმინისტრატიულ დანაწილებაში შემდეგი ცვლილება მოხდა: ქალაქი კ ა რ ი (რომელიც ამ დრომდე შეადგენდა მეფის დომენს), და საკუთრივ კარის კანტონი (რომელიც ამ დრომდე თორის სამფლობელოში შედიოდა) გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს მთავარი ვაზირის სადუნ ათაბაგის მფლობელობაში [4].

1281 წლიდან (სადუნის გარდაცვალების შემდეგ) — ვიდრე 1290-იან წლებამდე კარი და მისი კანტონი ისევ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირის—სადუნის მემკვიდრის მფლობელობაში იმყოფება.

ხოლო მე-13 საუკუნის დასასრულს (1295—1298 წლებს შორის) კარის კანტონი, ქალაქ კარით, შეუერთდა სამცხე-საათაბაგოს [5].

ამის შემდეგ, მე-13 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული, სამცხე—საათაბაგოს ფარგლებში მოქცეულია ბასიანის მხარეთა ოთხი კანტონი (საკუთრივ ბასიანისა, კარნიფორისა, ხორცევანისა და კარისა, ქალაქ კარით), ხოლო თორის სამფლობელოში—ზარიშტიანის (წინუბანის) კანტონი.

*

რათა მკითხველი უფრო ახლო იყვეს ორიენტირებული მესხეთისა და მასთან დაკავშირებული მხარეების ტერიტორიული მოცულობის საკითხში დასახელებულ ეპოქაში, ვათავსებთ აქ რუკას:

მესხეთი და მესხეთთან დაკავშირებული ოლქები:
აღმოსავლეთი ლაზეთ-ჭანეთი და ბასიანის მხარენი
მე-13—14 საუკუნეთა საზღვარზე

ცალკე ადმინისტრატიული ერთეულების მოცულობა რუკაზე ნაჩვენებია 1300-იანი წლებისათვის.

---

[1] მითითება წყაროებზე იხ. ზემოთ. გვ. 137—8.

[2] ზარიშტიანის (წინუბანის) კანტონის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 138. კარის კანტონის შესახებ იხ. თამარის მეორე ისტორია (ისტორია—აზმანთა გაგრძელება] გვ. *699/495—6; ყამთააღმწერელი, გვ. *874/718; შდრ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ანასეული ქართლის-ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 245.

[3] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ. 32; ყამთააღმწერელი, გვ. *874/718.

[4] იხ. ყამთააღმწერელი, გვ. *874/718.

[5] იხ. ყამთააღმწერელი, გვ. *915/758 და 773 (შენიშვნა, ტექსტი — ქართლის ცხოვრების ბროსეს, სამეგრელოს მთავრის და ბარათაშვილისეული ვარიანტებისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუკის განმარტებისათვის საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი.

დასახელებულ ეპოქაში, 1300-იანი წლებისათვის, მესხეთი და მესხეთთან დაკავშირებული ოლქები გაერთიანებულია სამ ერთეულში: **I სამცხე-საათაბაგო; II თორის სამფლობელო; III თმოგვის სამფლობელო.**

I. **სამცხე-საათაბაგოში** შედის შემდეგი სამხარეო ერთეულები [1]:

ა) მტკვრის ხეობისა და ბასიანის მხარენი (=„ხუთნი თემნი სამცხისა"):

1. **სამცხე.**
2. **არტაანი.**
3. **კოლა** (კოლასთან ადმინისტრატიულად დაკავშირებულია ბასიანის მხარეთა კანტონი: 3-ა ხორცევანი).
4. **კარნიფორი** (რომლის ფარგლებშიაც გაერთიანებულია ბასიანის მხარეთა ორი კანტონი: 4-ა საკუთრივ კარნიფორი და 4-ბ ბასიანი).
5. **კარი.**

ბ) ჭოროხის ხეობის მხარენი (=შავშთა, კლარჯთა და ტაოელთა თემნი):

6. **შავშეთი.**
7. **აჭარა.**
8. **კლარჯეთი.**
9. **ნიგალის-ზევი.**
10. **სპერი** (=ვაშლოვანი).
11. **ტაონი.**

გ) ზღვის სანაპირო მხარე (=ლაზ-ჭანთა თემი):

12. **აღმოსავლეთი ლაზეთ-ჭანეთი.**

II **თორის სამფლობელოში** შედის შემდეგი მხარეები და კანტონები:

13. **თორის** მხარე (ქართლის და ჯავახეთის სანაპირო).
14. **ჯავახეთის** მხარე.
15. **აშოცის** მხარე (ქართლისა და ჯავახეთის სანაპირო).
15-ა. **ზარიშტიანის (წინუბანის)** კანტონი (ბასიანის მხარეთა ნაწილი)[2].

---

[1] სამხარეო ერთეულთა ნუსხა იხ. ქამთააღმწერელი გვ. *915/758. ქამთააღმწერელის დასახელებული ტექსტის შესახებ და აგრეთვე იმავე ძეგლის მეორე ტექსტის (გვ. *875/719) შესახებ იხ. ზემოთ, თავი VI („მნათობი", 1950, № 7, გვ. 118). სამცხე-საათაბაგოს საკუთრივ მესხური პროვინციების დაყოფა ორ ზონად: 1) „ხუთნი თემნი სამცხისანი" და 2) შავშთა კლარჯთა და ტაოელთა თემნი — იხ. ბექა-აღბუღას სამართალის წიგნის შესავალში (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 257).

[2] თ ო რ ი ს და ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს მხარეთა შესახებ იხ. ქამთააღმწერელი, გვ. *812/655, *826/671, *829/674, *864—5/708—9, *932/784.

თ ო რ ი ს ს ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო შ ი ამას გარდა შედიოდა ა შ ო ც ი ს მხარე და ზ ა რ ი შ ტ ი ა ნ ი (წინუბანი), რომლებიც მდებარეობენ თორ-ჯავახეთისა და საკუთრივ კარის კანტონს შორის და რომელთა ხაზით თორის სამფლობელო 1278 წლამდე დაკავშირებული იყო საკუთრივ კარის კანტონთან.

თორის სამფლობელოში, გარდა ჩამოთვლილი ოთხი ერთეულისა (თორი, ჯავახეთი, აშოცი, ზარიშტიანი) შედიოდა აგრეთვე შიდაქართლის ნაწილი (მტკვრის სამხრეთით), მაგრამ უკანასკნელ სექტორს—შიდა-ქართლის ზონას—აქ არ ვეხებით, რამდენადაც ჩვე აქ შემოვფარგლავთ მხოლოდ მესხეთის ტერიტორიებს.

თორის სამფლობელოს შესახებ აქ საჭიროა აგრეთვე შემდეგზედაც მიუთითოთ. თორის სამფლობელოში მე-12 საუკუნის დასასრულიდან—მე-13 საუკუნის მეორე ნახევრამდე შედიოდა ქალაქი ახალციხე (ამის გამო თორის მფლობელებს ეწოდებოდათ თორელ-ახალციხელნი), ხოლო მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალციხე შეუერთდა სამცხის მხარეს, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს გეოგრაფიულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III **თმოგვის** სამფლობელოში შედის სამი კანტონი [1]:

16-ა. საკუთრივ **თმოგვი.**
16-ბ. **ხავეთი** [2].
16-გ. **პალაკაციო** [3].

*

მესხეთის მხარეთა ტერიტორიულ-ადმინისტრატიულ დანაწილების განხილვის შემდეგ აქ საჭიროა ცალკე შევეხოთ აგრეთვე საკითხს მესხეთის მხარეთა მოსახლეობის სატომო შემადგენლობის შესახებ.

თამარის ეპოქაში და მომდევნო ხანაში ვიდრე მე-15—16 საუკუნეებამდე მესხეთის მხარეთა მოსახლეობა განიყოფება შემდეგ ხუთ სატომო ერთეულად:

1. **თორელნი (თორელ-ჯავახნი).**
2. საკუთრივ **მესხნი.**
3. **შავშნი.**
4. **კლარჯნი.**
5. **ტაოელნი.**

ცალკე სატომო ერთეულთა შესახებ საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ:

ა) **თ ო რ ე ლ ნ ი (თ ო რ ე ლ-ჯ ა ვ ა ხ ნ ი)** ეს არის მოსახლეობა თორ-ჯავახეთის მხარეთა და თმოგვის სამფლობელოსი. **თორელნი** განიყოფებიან **ორ** სათემო ერთეულად: **თორელნი** და **ჯავახნი** [4], რომლებიც მოსახლეობენ შემდეგ ტერიტორულ ერთეულებში:

1-ა. **თორელნი**—თორის მხარეში;
1-ბ. **ჯავახნი**—ჯავახეთის მხარეში და თმოგვის სამფლობელოში [5].

ბ) **მესხთა** დანარჩენი ოთხი ტომი მოსახლეობს **სამცხე-საათაბაგოში.** ეს ოთხი ტომი განიყოფება შემდეგ სათემო ერთეულებად და განსახლებულია შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში:

---

[1] თმოგვის სამფლობელოს შესახებ იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *617/761, *920/763, *924/769. აგრეთვე ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 23.

[2] ხ ა ვ ე თ ი ს კანტონის შესახებ იხ. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა, გვ. 77, (რომ ხავეთის კანტონი თმოგვის სამფლობელოში შედიოდა, ეს ირკვევა ვაჰანის ძეგლის მინაწერებში მოხსენებული პუნქტებიდან).

[3] თმოგვის სამფლობელო მე-12—13 საუკუნეთა სახლვარზე ითვლებოდა „სანაპირო" ოლქად (იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 23) და როგორც ირკვევა მოიცავდა სანაპირო სექტორს—პალაკაციოს კანტონს, რომლითაც იგი ემიჯნებოდა კარის მხარეს. (თმოგველნი, როგორც მონაპირენი ილებდნენ მონაწილეობას კარის გარემოცვაში 1206 წელს, იხ. ბასილი ეზომოძღვარი, გვ. 32).

[4] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *932/784 (ჯავახნი და თორელნი); გვ. *760/587 (ჯავახნი); გვ. *765/594, *920/763 და სხვ. (თორელნი).

[5] რომ თმოგვის სამფლობელო ჯავახეთის ნაწილად ითვლებოდა, იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ. 23.

სამცხე-საათაბაგოში მოსახლე მესხთა ოთხი ტომი:	მესხთა ტომების სათემო დანაწილება:	ტერიტორიული ზონები განსახლებისა:
2. საკუთრივ მესხნი.	2-ა. მესხნი საცხისა [1].	1. სამცხე.
	„სხვანი თემისა და თემისა მესხნი“: [2]	
	2-ბ. არტაანელნი [3].	2. არტაანი.
	2-გ. კოლაელნი [4].	3. კოლა.
	2-დ. კარნიფორელნი [5].	4—5. კარნიფორი და კარი.
		«ხუთნი თემნი სამცხისანი»
3. შავშნი.	3-ა. საკუთრივ შავშნი [6].	6. შავშეთი.
	3-ბ. აჭარელნი [7].	7. აჭარა.
4. კლარჯნი.	4-ა. საკუთრივ კლარჯნი [8].	8. კლარჯეთი.
	4-ბ. ნიგალის-ხეველნი [9].	9. ნიგალის-ხევი.
	4-გ. სპერელნი [10].	10. სპერი (=ვაშლოვანი)
5. ტაოელნი.	5. ტაოელნი [11].	11. ტაონი.

დასახელებულ ეპოქაში ბასიანის ᲒᲮᲐᲠᲔᲗᲐ მოსახლეობა, საერთო სახელწოდებით „კარნიფორელნი“, ყოველთვის მოიხსენება მესხეთის ტომთა ჯგუფში.

ასე, იხ. ჟამთააღმწერელი:

გვ. *924/769: „...მესხნი (სამცხისა), შავშნი, კლარჯნი, კოლა—არტაან—კარნიფორელნი, ტაოელნი“.

გვ. *793/631: „ტაოელნი, შავშ-კლარჯნი, კოლა—არტაან—კარნიფორელნი, მესხნი (სამცხისა)“.

სამცხე-საათაბაგოს საკანონმდებლო ძეგლის ბექა-აღბუღას სამართალის წიგნის შესავალში ათაბაგი აღბუღა (მე-14 საუკუნის ნახევარი) — აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის დადგენის დროს იგი ეთათბირა „ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოელთა, შავშთა და კლარჯთა“ [12].

„ხუთნი თემნი სამცხისანი“ ეს არის საკუთრივ სამცხე, არტაანი, კოლა, კარნიფორი, კარი, — რომელთა მოსახლეობას შეადგენდა „თემისა და თემისა მესხნი“ [13].

რომ „ხუთნივე თემნი სამცხისანი“ და მათ შორის „კოლა—არტაან—კარნიფორელნი“ ეკუთვნოდნენ საკუთრივ მესხთა ტომს, ამას ადასტურებს აგ-

[1] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *924/769.

[2] იხ. ისტორია—აზმანნი, გვ. *614/338.

[3] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ *765/594, *793/631; *924/769.

[4] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *765/594. *793/631, *924/769.

[5] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *793/631, *924/769.

[6] იხ. ისტორია—აზმანნი, გვ. *610/382, *669/459; ჟამთააღმწერელი, გვ. *758/584, *774/605, *827/672, *923/767, *924/769.

[7] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *858/703 (მაჭარელნი).

[8] იხ. ისტორია—აზმანნი, გვ. *610/382, *669/458; ჟამთააღმწერელი გვ. *758/584, *774/605. *793/631, *827/672, *923/767, *924/769.

[9] იხ. ჟამთააღმწერელი, გვ *830/675. *858/702, *875/719, *922/767.

[10] იხ. ისტორია—აზმანნი, გვვ. *657/444; ჟამთააღმწერელი გვ. *875/719, *922—925/766—770.

[11] იხ. ტაოელთა შესახებ ისტორია—აზმანნი, გვ. *610/382, *657/444, *699/459; ჟამთააღმწერელი გვ. *758/584, *560/587, *765/594, *774/605, *793/631, *795/634, *917/761, *920/763, *924/769.

[12] იხ. თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 257.

[13] შდრ. ისტორია—აზმანნი, გვ. *614/338.

რეთვე ცნობა მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრისა. ისტორიკოსი, ეხება რა საქართველოს სამხედრო სანაპირო ოლქს კოლა — არტაან — კარნიფორის ზონაში, რომელსაც [illegible] სანაპირო ერქვა, აღნიშნავს ამ ოლქის შესახებ: „არტაანი, — სადა მ ე ს ხ ნ ი მონაპირობდეს“ [1].

ასეთია ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება მესხეთის (და მისი ნაწილის ბასიანის მხარეების) მოსახლეობის შესახებ თამარის ეპოქაში და მომდევნო ხანაში ვიდრე მე-15—16 საუკუნეებამდე.

*

ბასიანის მხარეთა ისტორიის ფაქტებიდან დასახელებულ ეპოქაში აქ საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ბასიანის მხარეთა ტერიტორიაზე, ქალაქ კ ა რ შ ი (ყარსში) მე-13 საუკუნიდან არსდება ქართველთა (მართლმადიდებელთა) საეპისკოპოსო, რომელიც შედის მცხეთის საკათალიკოსოს ფარგლებში და რომელიც არსებობს მომდევნო საუკუნეთა მანძილზე. ტერიტორია კარის ქართული სეპისკოპოსოსი ასეა აღწერილი სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ცნობილს ნუსხაში:

„კ ა რ ე ლ ი ს (კარის მამათმთავრის) სამწყსო: სულა კ ა რ ი (კარის თემი), და კოლისა და ოლთისის გადმოლმა გ ა ჩ ე ვ ა ნ ი (=კ ა რ ნ ი ფ ო რ ი ს თემი) და კაღზევანი“ [1].

ეპოქიდან, როდესაც კარის (ყარსის) მხარე საქართველოს საზღვრებში შედიოდა, ამ მხარეში დაცულია მნიშვნელოვანი ძეგლები.

საკმაოა აღვნიშნოთ, რომ განთქმული კარის (ყარსის) ციხე, რომელიც აუღებულ სიმაგრედ ითვლებოდა და რომელმაც მოაღწია მე-20 საუკუნემდე, აგებულია ქართველთა მფლობელობის დროს მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში.

კარის ციტადელის კედლებზე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე დაცული იყო ქართული წარწერები.

ერთ მათგანში იკითხვის:

„ქრონიკონსა 457.

„მე კარისა ამირამან - - - - - აღვაშენე - - - - - მეფობასა [—ადიდენ ღმერთმან!—] რუსუდან[ისასა] - - - - - წელსა მეფ[ობისა მათისა მეათხუთმეტესა] - - - - - “.

წარწერაში მოხსენებული მეფე რუსუდანი არის ასული თ ა მ ა რ დ ი დ ი ს ა. ქრონიკონი წარწერისა (457) უდრის 1237 წელს. ამ დროს, რუსუდანის მეფობაში, დაუმთავრებიათ მშენებლობა, ხოლო დასაწყისი მშენებლობისა, როგორც ირკვევა, უფრო ადრინდელი ხანას—თამარ დიდის ეპოქას ეკუთვნის, როდესაც ასეთი დიდი მშენებლობის წამოსაწყებად არსებობდა სათანადო პირობები.

კარის ციხის ეს მშენებლობა, რომელიც მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ჩაუტარებია საქართველოს სახელმწიფოს, ცხადია იმით იყო გამოწვეული, რომ კარის ძველი ციხე დიდად დაზიანებულა იმ ბრძოლების შედეგად, რომელიც ქართველებმა გადაიხადეს კარის აღებისას, კარის ციტადელის ხანგრძლივი გარემოცვის დროს მე-13 საუკუნის დასაწყისში.

---

[1] იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ. 23.

[2] იხ. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ., I, გვ. 77.

კარის ციხის ამ ახალ მშენებლობაში, რომელიც გაგრძელებულა მე-13 საუკუნის დასაწყისიდან—1237 წლამდე, საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე თვით კარის მოქალაქეებსაც (რომელთაც, როგორც ეს აღნიშნულია წარწერებში, თავისი ხარჯით აუგიათ ციხის რამდენიმე ბურჯი).

მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში კარის ციხე-ქალაქისა და მხარის მმართველად იყო იოანე ახალციხელ — თორელი, რომელიც ატარებდა ტიტულს „ამირთა—ამირა", და რომელიც დაადგინა კარში თამარ მეფემ 1206 წელს. იოანეს მმართველობა გაგრძელდა 1206 წლიდან 1225 წლამდე, როდესაც იოანე გმირულად დაიღუპა ხვარაზმელებთან ბრძოლაში (გარნისში).

ამ იოანეზე მიუთითებს კარის ციტადელის ქართული წარწერის ერთი ფრაგმენტი, რომელშიაც იოანე მოიხსენება ქართველთა (აფხაზთა) მეფესთან ერთად (თვით სახელი მეფისა, წარწერის დაზიანების გამო, არ შენახულა)[1].

იოანე ახალციხელის (თორელის) კარის ამირთა-ამირად დადგენის შესახებ თამარ მეფის მიერ და იოანეს სამხედრო საქმიანობის შესახებ კარის მხარეში, მემატიანე გადმოგვცემს:

„მეფემან [თამარ]—აიღო კ ა რ ი და დაუტევა კ ა რ ი ს მცველად ახალციხელი იოანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ამირთა-ამირაობა; რომლისთვისცა დიდი წყენა შეექმნათ თურქთა, რამეთუ დიდად ავნებდა; და წარუღო თურქთა გარეშემონი ქვეყანანი, აღიხვნა და მიითვალნა... და იოანესვე უბოძა კეჩროლი და მისი ქვეყანა"[2].

კეჩროლი აუღია იოანეს ძმას შალვა თორელს, რომელზედაც მემატიანე გადმოგვცემს:

„აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ხრმალითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი"[3].

ბასიანის მხარის ძეგლთაგან აქ აღვნიშნავთ აგრეთვე ლ ე ნ ა მ ო რ ი ს ქართულ მონასტერს, რომელიც მდებარეობს კ ა რ ნ ი ფ ო რ ი ს პროვინციაში (სახელდობრ პუნქტში, რომელსაც ძველად ლ ე ნ ა მ ო რ ი რქმევია, ხოლო ამჟამად ეწოდება ჩანგლი; იგი მდებარეობს არაქსის ხეობაში, ქალაქ ყაღიზმანიდან 20 კილომეტრის დაშორებით). ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი—ლ ე ნ ა მ ო რ ი ს მონასტერი, რომელიც დღემდის კარგად არის დაცული, აგებულია მე-14 საუკუნეში. ძეგლის ქართული წარწერებიდან მთავარ წარწერას აქვს თარიღი—1362 წელი[4].

---

[1] კარის წარწერათა შესახებ—იხ. აკად. ე. თაყაიშვილი, Христианские памятники (Материалы по археологии Кавказа, под редакцией П. С. Уваровой, т. XII 1909) გვ. X—XI.—დიმიტრი ბაქრაძე, Кавказ в древних памятниках христианства (Записки Общ. Люб. Кавказской археологии, I, 1875 წ.) გვ. 75—80.—აკად. მარი ბროსე, Memoires de l' Academie, VII série, T. VIII, №10, Inscr. georg. et autres, recueillies par le Père N. Sargisian, გვ. 20—22.

[2] იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *699/495—6.

[3] იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 244.

[4] ცნობები ლენამორის (ჩანგლის) ძეგლის შესახებ პირველად გამოაქვეყნეს მარი ბროსემ და დიმიტრი ბაქრაძემ, ხოლო დაწვრილებითი აღწერილობა ლენამორის ძეგლისა, წარწერების დეშიფრირებით. მოცემული აქვს აკად. ე. თაყაიშვილს, წიგნში: არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გამოცემა 1938 წლისა, გვ. 78—87.

*

დასასრულ ბასიანის მხარეთა ისტორიის უკანასკნელი პერიოდის შესახებ, როდესაც, მე-15—16 საუკუნეთა მანძილზე, ბასიანის მხარეები უცხოელ დამპყრობელთა ხელში გადავიდა.

ბასიანის მხარეთა ტერიტორიიდან საქართველომ პირველად დაჰკარგა კარი. მე-15 საუკუნის დასაწყისში ქალაქი კარი და მისი რაიონი დაიპყრეს თურქმენებმა. ეს მოხდა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ყოფილი ძლიერება უკვე გატეხილა იყო თემურლენგის გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ.

თურქმენთა ტომების ხელში კარი რჩება მე-15 საუკუნის მანძილზე. მე-16 საუკუნის დასაწყისში კარი შეიერთა თურქეთის (ოსმალეთის) იმპერიამ.

ეს კუთხე, კარი და მისი რაიონი, რომელიც საქართველომ დაჰკარგა მე-15 საუკუნეში, მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო ბასიანის მხარეთა ტერიტორიისა. ქალაქ კარისა და მისი ზონის დაკარგვის შემდეგ საქართველოს საზღვრებში (სამცხე-სათაბაგოს შემადგენლობაში) ისევ რჩება ბასიანის მხარეთა მთავარი ნაწილი, სახელდობრ კანტონები: საკუთრივ ბასიანი, კარნიფორი, ხორცევანი და ზარიშტიანი (წინუბანი).

ბასიანის მხარეთა ეს კანტონები თურქეთმა (ოსმალეთმა) დაიპყრო მესხეთის დანარჩენ ტერიტორიებთან ერთად მე-16 საუკუნეში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ მესხეთის მხარეთა ბედი ბასიანში გადაწყდა. აქ, ბასიანში გადაიხადეს ქართველებმა უკანასკნელი დიდი ბრძოლა ოსმალეთთან მესხეთის მხარეებისათვის.

ოსმალეთმა, როგორც ცნობილია, დაიწყო დიდი შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ მე-16 საუკუნის 40-იან წლებში.

1543 წელს ოსმალეთის ლაშქარი შემოვიდა მესხეთის სამხრეთ ზონაში და ტაოს მხარე ააოხრა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქარალაქს, სადაც ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალები. ოსმალთა ლაშქარი, რომელიც 22.000 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა. მოსპობილ იქმნა, ოსმალთა სარდლობასთან ერთად.

ამის შემდეგ ოსმალეთის სულტანმა 1545 წელს გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ დიდი ლაშქარი, რომელშიაც შევიდა ანატოლიის სამხედრო ძალები.

ოსმალთა ეს ლაშქარი შემოიჭრა მესხეთში, ბასიანის მხარეში. ოსმალთა ჯარს ბასიანში მიეგება საქართველოს გაერთიანებული ლაშქარი. გადამწყეტი ბრძოლა მოხდა ბასიანის მხარეში. სოხოისტოში. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა ბასიანის ამ ბრძოლის დროს დაჰკარგეს ოთხჯერ მეტი ჯარისკაცი, ვიდრე ქართველებმა, რიცხვითი დიდი უპირატესობა მაინც ოსმალთა მხარეზე იყო. სასტიკ ბრძოლაში, — როგორც გადმოგვცემს მემატიანე,—ქართველებმა „ჰქმნეს დიდი სახელი და შემუსრეს ყოველივე საომარი საჭურველი“ და მხოლოდ შემდეგ „სიმრავლისაგან ოსმალთა სპათა“ ქართველთა ჯარი გატყდა. ოსმალეთის მრავალციხოვანმა ლაშქარმა თუმცა დიდი დანაკლისი განიცადა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამარჯვება ოსმალეთს დარჩა [1].

[1] იხ. ქართლის ცხოვრების შედეგი (მარიამ დედოფლის ვარიანტის გამოცემასთან) გვ. 920—922.—ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 65—6.—ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ.), გვ. 160. — ქრონიკონები (იმავე გამოცემით) გვ. 242.

ბასიანის აღების შემდეგ სამხრეთ-საქართველოს ზღუდე მორღვეული იყო. ოსმალებმა ამის შემდეგ მომდევნო უახლოეს წლებში თანდათანობით დაიჭირეს მესხეთი.

ბასიანის ომიდან ხუთი წლის შემდეგ 1550 წელს ოსმალებმა დაიჭირეს ტაოთა მხარე, სპერის ზონასთან ერთად. ორი წლის შემდეგ, 1552 წელს, ოსმალებმა დაიჭირეს არტაან-კოლა და კლარჯეთ-შავშეთი, ვიდრე არსიანის მთამდე. ხოლო მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა მოახდინეს ოკუპაცია მთელი მესხეთისა.

*

ბასიანის მხარეები, მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, დარჩა ოსმალთა მფლობელობაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

1878 წელს ბასიანის მხარეთა მთავარი ნაწილი (სახელდობრ ძველი ოთხი კანტონი: კარი, კარნიფორი, ხორცევანი და ზარიშტიანი ანუ წინუბანი) შემოიერთა რუსეთმა. მაგრამ 1918—1920 წლებში ეს მხარე ხელახლა მიტაცებულ იქმნა თურქეთის მიერ.

5

საერთო დასკვნები საქართველოს სამხრეთ მხარეთა ისტორიის საკითხთა გამო

ჩვენ განვიხილეთ მთელის მოცულობით საქართველოს სამხრეთ მხარეთა ისტორიის საკითხები, რაც მსჯელობის საგანს წარმოადგენდა საისტორიო მეცნიერებაში უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე, და რა საკითხიც ახლებურად დაისვა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მეათე საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის ძეგლი.

წინამდებარე გამოკვლევამ ცხად ჰყო, თუ რაოდენი შეცდომა დაგროვილა საისტორიო მეცნიერებაში სამხრეთ საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო ამ საუკუნე-ნახევრის განმავლობაში.

მაგრამ საქმე მარტო შეცდომებით არ განისაზღვრება.

ჩვენ მოგვიხდა გვემხილებინა გარკვეული ტენდენციური ხაზი, რომელიც ახასიათებს მთელ რიგ შრომებს სამხრეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ასე მაგალითად სრულიად აშკარა გახდა ისტორიის ფალსიფიკაციის ფაქტები, რასაც ადგილი აქვს ნ. მარის ნაწერებში აღნიშნულ საკითხთა გამო.

ისტორიულ ჰეშმარიტების დამახინჯების საფუძველზე საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხადდებოდა არა-ქართულ ქვეყნად. არა-ქართული ქვეყნების რიცხვს მიაკუთნებდნენ ისტორიული იბერიის სამხრეთ ნახევარს: მესხეთის მხარეთა უდიდეს ნაწილს და სამხრეთ ქართლს მთლიანად.

ხოლო საკითხი არ განისაზღვრებოდა ქართულ მხარეთა არა-ქართულ ქვეყნად გამოცხადებით. ამასთან დაკავშირებით სრულიად ყალბ გაშუქებას ღებულობდა საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები (პირველ რიგში საკითხები ქართული კულტურის ისტორიისა), — რამდენადაც სამხრეთი საქართველო (—მესხეთი და სამხრეთი ქართლი) ესოდენ დიდ როლს თამაშობდა ძველი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში.

წინამდებარე გამოკვლევის მანძილზე ჩვენ მოგვიხდა მთელი სიგრძე-სიგანით შევხებოდით ამ საკითხებს, რათა აღგვედგინა ისტორიული ჭეშმარიტება.

წარმოდგენილი გამოკვლევის შემდეგ სამხრეთ-საქართველოს ისტორიის შესახებ დადგენილად ჩაითვლება შემდეგი ფაქტები:

1. ისტორიულ წარსულში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა ეთნოგრაფიულად (მოსახლეობის შემადგენლობითა და გავრცელებული ენის მიხედვით)—მესხეთის ქვეყანა მთელის მოცულობით, ე. ი. მხარეები: სამცხე, ჯავახეთი (თმოგვით და თორით), არტაან-კოლა, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, სპერი, ტაონი.

2. ასევე ისტორიულ წარსულში საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ეთნოგრაფიულად ქვემო-ქართლის მხარეები: თრიალეთი, ტაშირის პროვინციები, გარდაბანი („ქართველთა ველი").

3. გარდამავალი ტერიტორიული ზონა საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარეობდა არა ჭოროხისა და მტკვრის ხეობებში, სადაც განფენილია მესხეთისა და ქვემო-ქართლის მხარეები, არამედ არაქსის ხეობაში; ასეთ გარდამავალ ზონას წარმოადგენდა ბასიანის მხარეები (საკუთრივ ბასიანი და კარის მხარე),—რომლებიც, როგორც პოლიტიკურად, ისე ეთნოგრაფიულადაც, საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე.

ასეთია დასკვნები, რაც გამომდინარეობს ყველა არსებული ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო წყაროების ყოველმხრივი ანალიზიდან.

—

ჩვენ ამით ვამთავრებთ მეათე საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის ცნობების განხილვას საქართველოს ისტორიის საკითხებზე, და კერძოდ განხილვას საკითხისას სამხრეთ-საქართველოს შესახებ, რომლის ისტორიასაც ახალი შუქი მოჰფინა გიორგი მერჩულის თხზულებამ, ამ პირველხარისხოვანმა ავთენტურმა საისტორიო ძეგლმა, რომელიც ძველმა ქართულმა მწერლობამ გვიანდერძა.

გამოკვლევა გიორგი მერჩულეზე „მნათობში" დაიბეჭდა ზოგიერთი შემოკლებით. სრულად გამოკვლევა ქვეყნდება ცალკე წიგნად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

გ. ჯაბუშანური — „ნათელი მთაში“

ახალგაზრდა მწერლის გაბრიელ ჯაბუშანურის წიგნში ორი პოემაა მოთავსებული: „მანგია შუქიაური“ და „ნათელი მთაში“.

პირველ პოემაში ნაჩვენებია ძველი, რევოლუციამდელი ხევსურეთი, მშრომელი გლეხის მანგია შუქიაურის გაუხარელი ცხოვრება. გაჭირვებამ აიძულა ის სხვაგან წასულიყო ლუკმაპურის საშოვნელად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და მდინარეში დაიღუპა. კარგად არის აღწერილი დაღუპვის ეპიზოდი. შუქიაურის ცხედარს დუმილით დასცქეროდნენ მხლებელნი, „და ეს დუმილი მოთქმაზე უფრო იყო მწველი და გულშემზარავი“.

მაგრამ ცხოვრება შეიცვალა, სოციალისტური ყოფა დამკვიდრდა ხევსურეთში. ახლა ხევსური იგონებს განვლილ შავ წლებს, „დინჯად შეყვება არაგვზე შარას, მთებს გადახედავს ოქრო ნასხურებს და ლექსში ლხენის ქარაგმას შერევს... მერე გახედავს ახალ გზატკეცილს, კვლავ მთებში ყოფნა მოესურვება“. ყველაფერი გამოიცვალა, ყველაფერში სიცოცხლე და სიხარული ფეთქავს, ცხოვრება საამური და ხალისიანი გახდა.

პოემაში მრავლად არის გამართული და ნათელი ადგილები.

მეორე პოემაში „ნათელი მთაში“ ასახულია თანამედროვე სოფლის მოწინავე ადამიანები, მათი პატრიოტული შრომა სოციალისტური სამშობლოსათვის, მისი სიმდიდრისა და სიუხვისათვის. ორი კოლმეურნეობის — „იმედისა“ და „შრომის“ წარჩინებული მუშაობის მაგალითზე ავტორი გვიჩვენებს ხევსურეთში დამკვიდრებულ ახალ ურთიერთობას, ადამიანთა შეგნებულობის ზრდას, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ და წარმართავ როლს ხალხის ბერდნიერი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. „ილიჩის ნათურებმა“ გაჩირაღდნეს ხევსურთა ბინები, საზოგადოებრივი შენობები. ხევსურეთშიც ისმის კრემლის საათის რეკვა; „ელნათურების ლაშქარი ბრწყინავს, სადღაც რადიო ისმის, როგორც მაღალი ღიმილი მზისა, აქ მონუმენტი ელავს, მთების სოფელში სიმართლით თვისით შემოუხედავს ბელადს“...

სოფელში ყველას თავისი საქმე აქვს, ყველა სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის იღწვის. ხევსური აგრონომი მიჩურინის წიგნებს ფურცლავს. იგი ზრუნავს, რომ „მთაში შევიდეს ყოველი ჯურის ვაზი და ხილი“... „მასწავლებელი თუ ბეითალი სოფლის საქმისათვის იღწვის“.

„ეს ხალხი სოფლის არის ნათელი,
მისი ხორცი და სისხლი...
ერთად შერწყმულა მათი სახელი,
მათი ხმა ერთად ისმის,
როგორც მაღალი ღიმილი მზისა,
დგას ხალხთა მამა მშვიდი
და მწვერვალებიც აწვდილან ისე,
ვით მონუმენტი დიდი“.

კოლმეურნეობა „შრომას“ მეთაურობს ენერგიული კაცი ბურდული, ხოლო „იმედს“ — კაიშაური. ორი კოლმეურნეობა ერთმანეთს ეჯიბრება: ვინ უკეთესად მოაწყობს და განამტკიცებს კოლმეურნეობას.

გალაღებული, გაჩირაღდნებული და ცხოვრების სიყვარულით არის აღსავსე ხევსურეთი გ. ჯაბუშანურის პოემაში.

ამხანაგი კ. ჩარკვიანი ამბობს: „ჩვენი მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა მოვალენი არიან ფხიზლად ადევნონ თვალი ახალ ენობრივ მოვლენებს, ახალი სიტყვებიდან და გამოთქმებიდან შეარჩიონ მხოლოდ ისეთები, რომლებიც ნამდვილად საჭიროა ლიტერატურული ენისათვის, და ისინი საყოველთაო კუთვნილებად გახადონ“. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ პოეტ გ. ჯაბუშანურს ყველაფერი რიგზე ჰქონდეს. სამწუხაროდ, წიგნში გვხვდება მრავალი კუთხური და ხელოვნურად შეკოწიწებული სიტყვები. მაგალითად, „გინდ იყო მართლა, ბმირი მთრეხელი, ამ მთებს თუ შეყივ, — დაიღუპები“. გაუგებარია სიტყვა „მთრეხელი“. ზავთი უთანდათანებს, მიილტვის ფიფქი და გაუგებარია აგრეთვე გამოთქმა: „ქარს ზავის ხევს ანათებს“. პოეტი წერს:

„ბარში ჩამოსვლა სწყურიათ ჯიხვებს,
სწუხან ეხებში — მკერდდახშულები“.

სრულიად გაუგებარია სიტყვა „ეხებში“.

გ. ჯაბუშანური ისე გაუტაცნია „ორიგინალურ“ სახეებსა და გამოთქმებს, რომ ასეთ სტრიქონებს გვთავაზობს: „დილით თავალ დახკარ“, „ოდენ გვსურს მისგან“, „მაშინ · მშიერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმე ნამქერები", „წევს ჩრდილოეთის არწივის მაღლის — მაღალი ქედი", „ვითაარ ხომლი", „ვითაარ ზეცა", „ოჯახის შესძლეს მათ აკიდებ.", „სოფლებს შენდობის ჩუმი აჯა ჰყვეს".

ანდა რას ნიშნავს:

„მთებს შემოეისნათ თეთრი თექები,
ყინული ლურღი ვითაარ ზეცა, —
ჯაჭვად ნაჭედი მკაცრი დეკემბრის
მზე აელოკა და დაელეწა".

ერთგან აღწერილია, თუ როგორ ეშინია ძროხას ხიდზე გასვლა. შეშინებულ ძროხას აიძულებენ, უყვირიან, სცემენ:

„ცახცახით დგება ძროხა მორჩილი, —
ბედითი ხიდზე, როგორც ჯვარცმული".

შეშინებული მგზავრები, ებრძვიან რა მდინარის სტიქიას, ასე შესთხოვენ გამჩენს გადარჩენას: „შეგვიბრალე და გვიხოიშნევი... შენ მიხოიშნე, შენი ნაყმევი". მაგრამ გამჩენმა არ „იხოიშნა" ბედისაგან განწირული ადამიანები და რა მოხდა:

„იჭექა ხიდმა... ზახილი მგზავრთა
არაგვის ზირწუ, ჩეხა, დღღილი
მოხედვა მთათა გრეხილება ზაკთად
და კვლავ დაბრუნდა ჭექა-ქუხილით".

დამხრჩვალს უპატრონეს:

„იქვე კლდის ფეხში არაგვის ახლოს
გასჭრეს საფლავი — შავი მეხანი".

გვხვდება საეკლესიო გამოთქმებიც:

„ის იმედია: „იმედის", „შრომის",
დიდ არს ამაგი მისი...

. . . . . .

ბურჯნი არიან „იმედის", „შრომის",
დიდ არს ამაგი მათი".

პოეტი იყენებს ასეთ გამოთქმებს: „რიდა შლის", „ერთ საქმეზე დია ვწუხვარ", „შეგეცვალა უღური", „და დაპირება ლაყაფად დარჩა", „ძოლან თუ დავთმე კაიშაურმა, დღის ვირგე გმირი რძალი" და სხვ.

გ. ჯაბუშანურის წიგნში გვხვდება გაუბრალოებული და შეუსაბამო რითმები: ნაპარტახალი — ბახალა, დახკარ — კვალდაკვალ, მორჩილს — გონჯი, მარტო — ტალღებიმართულს, შარას — შერევს, ბადისას — უქადიდა, მღერის — კრემლი, ზღვაში — ვაზი, დაკოგავთ — პარტორგი, დღეები — დღეობა, არაჩქარებას — ჩაბარებს, გმირები — ინჟინერი, სახლში — გახდი.

ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ გ. ჯაბუშანური საკმაოდ არ ზრუნავს პოეტური კულტურის დაუფლებისათვის.

გ. ჯაბუშანურს დიდი მუშაობა მართებს ნათელი და სწორი პოეტური მეტყველებისათვის.

გ. სამხარაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები

★

დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ამ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე სათანადო მუშაობა ჩაატარა საქ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა. გაშოიცა მისი რჩეული პედაგოგიური ნაწერები, დაიბეჭდა ცალკე ნარკვევები და მონოგრაფიები. დიდი პედაგოგის მემკვიდრეობის შესახებ დაწერილ ნაშრომებს შორის სერიოზული ყურადღებას იქცევს ს. აბულაძის ნაშრომი: „იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები", რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში გამოსცა პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტატუტის გამომცემლობამ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „დედა ენა", „ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვო" მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აძლევდა სულიერ საზრდოს სახალხო სკოლას, აღვივებდა მშრომელ ხალხში სწავლის, ცოდნის, განათლების, მშობლიური ენის სიყვარულს. ილია ჭავჭავაძე აღნიშნულ სახელმძღვანელოებს სამაგალითო და საუკეთესო წიგნებად თვლიდა. „საქართველოს ყველა კუთხეში ახალი ლიტერატურული ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოებს, რომლებზეც ქართველი ხალხის თაობები იზრდებოდნენ" (კ. ნ. ჩარკვიანი).

ნაშრომიდან ნათელ წარმოდგენას ღებულობს მკითხველი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის უმთავრეს მომენტებზე, მისი სახელმძღვანელოების შინაარსსა და მნიშვნელობაზე. ნაშრომი დაწერილია გოგებაშვილის მემკვიდრეობისა და პედაგოგიური საქმის ღრმა ცოდნით. ავტორს უეჭველად დიდი შრომა გაუწევია „დედა ენის", „ბუნების კარის" და „რუსკოე სლოვოს" შესწავლისათვის, სწორად შეფასებისათვის.

ნაშრომი იხსნება შესავალი წერილით. აქ ავტორი მიუთითებს შრომის დაწერის მიზანდასახულობაზე, სასწავლო სახელმძღვანელო წიგნზე, როგორც სწავლებისა და აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობაზე. ავტორს მოყავს ლენინის, სტალინის, ჟდანოვის, კიროვის და მოლოტოვის შეხედულებანი სახელმძღვანელოების შესახებ, რომ „სახელმძღვანელოში ყოველი სიტყვა და ყოველი განსაზღვრა აწონილ-დაწონილი უნდა იყოს“, რომ სკოლისათვის კარგი სახელმძღვანელოს შექმნა გადამწყვეტ ამოცანას წარმოადგენს. ავტორს ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნია წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკულად შესწავლა და გამოყენება. ცალკე გამოყოფს გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის ზოგად დახასიათებას, აღნიშნავს მის დაუღალავ შრომას სახალხო სკოლის განმტკიცებისათვის, დედა-ენის დაცვისა და განვითარებისათვის, საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის. წიგნში განხილულია გოგებაშვილის დიდაქტიკური შეხედულებანი. ავტორი ასახელებს მთელ რიგ სტატიებსა და წერილებს, რომლებშიც დიდი პედაგოგი უდიდეს როლს აკუთვნებს სახელმძღვანელოს სწავლა-განათლების საქმეში, ანვითარებს თანამიმდევრულ და პროგრესულ მოსაზრებებს სახელმძღვანელოს აგების პრინციპების, შინაარსის, ენის და სტილის, ფორმის და შრიფტის შესახებ.

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი „დედა ენის“ განხილვას. ამ ნაწილში ავტორი, უწინარეს ყოვლისა, გვაძლევს მშობლიური ენის შესახებ გოგებაშვილის შეხედულებათა დახასიათებას, მიუთითებს მის სახელგანთქმულ სტატიებზე, როგორიცაა: „ბურჯი ეროვნებისა“, „შინაური მიმოხილვა“, „ხე ნაყოფით იცნობა“, „მსხვერპლნი დედა ენის უცოდინარობისა“, „დასავლეთ საქართველოს სკოლების მასწავლებელთა კრება“, რომელშიც ჩამოყალიბებულია მეცნიერული დებულებანი და დასკვნები საერთოდ ენისა, კერძოდ კი ქართული ენის შესახებ. აი ზოგიერთი ამ შეხედულებათაგანი: „ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ხნეობისა, გრძნობისა, ენა სულია ხალხისა“, „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა“, „დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბაკშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ნაგრძელივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“, „ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზე უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მათ უნდა ეარობდეს“, „დედა-ენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლისა და მის რიგიან შესწავლაზე უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება“, „სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზე მთელი კურსის განმავლობაში“. ავტორი საჭირო კომენტარიებს უკეთებს ამ შეხედულებებს და ნათელყოფს, რომ ეს შეხედულებები ედო საძირკვლად ქართული ენის უკვდავ სახელმძღვანელოებს.

შემდეგ მოცემულია იმ ძირითადი პრინციპებისა და დებულებების ყოველმხრივი დახასიათება, რომლებიც „დედა ენის“ საფუძვლებს წარმოადგენდნენ. ეს პრინციპებია: მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა, კითხვა-წერის შესწავლის ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, ადვილიდან ძნელზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა, წერის პირდაპირი ხელის უპირატესობა და სხვ. ამასთან ავტორი მიუთითებს, რომ გოგებაშვილის დროს მრავალი სახელმძღვანელო არსებობდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა საღ, მოწინავე პედაგოგიკურ-მეთოდიკურ მოთხოვნილებებს. ასეთები იყო სახელმძღვანელოები პ. უმიკაშვილისა, ი. კერესელიძისა, დ. ფურცელაძისა, ლ. ჩომახიძისა, ს. ჭდივანოვისა. გოგებაშვილის „დედა ენა“ ყველა მათგან ძირფესვიანად განირჩეოდა. ამიტომ იყო, რომ „დედა-ენა“ დიდი სიყვარულით სარგებლობდა, როგორც მოზარდ თაობაში, ისე მოსახლეობაში. ამიტომაა, რომ „დედა ენა“ დღესაც ასე გვიტაცებს და გვხიბლავს. ავტორი ანალიზს უკეთებს „დედა ენის“ ორივე ნაწილს. პირველი ნაწილის გარჩევისას ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება სახელმძღვანელოს გაფორმებაზე, მასში მოთავსებულ ნახაზებსა და მათს დანიშნულებაზე, საანბანო განყოფილების შინაარსზე, ანდაზებზე, ლექსიკურ მარაგზე და ყველა იმ მხარეებზე, რაც ამშვენებს ამ სახელმძღვანელოს. ასევე საფუძვლიანად არის განხილული „დედა ენის“ II ნაწილი, მისი აღნაგობა, შინაარსი, გაფორმება, მასში მოთავსებული ანდაზები და გამოცანები. ავტორი აღნიშნავს, რომ „დედა-ენის“ მნიშვნელობასა და ღირსებებზე ბევრი კარგი რეცენზიები აწერებოდა მაშინდელ მოწინავე ქართულ და რუსულ პრესაში. მაგრამ ბევრ მოკეთეებთან ერთად „დედა ენას“ ჰყავდა მტრებიც. ესენი იყვნენ ქართული ნაციონალური კულტურის ჩამხშობნი, მეფის აგენტები, რომლებიც დევნიდნენ და აციწროებდნენ „დედა ენას“ და მის ავტორს. ცალკე ისილავს რა „დედა ენის“ გამოყენებას საბჭოთა სკოლისათვის, ავტორი საჭიროდ თვლის ფართოდ იქნეს გამოყენებული ჩვენს პირობებში გოგებაშვილის მემკვიდრეობა. ამასთან მიუთი-

ებს, რომ ჩვენი ავტორები და პედაგოგები სწორად იყენებენ ამ გამოცდილებას, რისი დამამტკიცებელი ფაქტია ის, რომ თანამედროვე ქართული სკოლის პირველი და მეორე კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოები გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით არიან შედგენილნი.

ძირითადად ამავე გეგმითა და წესით იხილავს ნაშრომის ავტორი „ბუნების კარს“, მის აღნაგობას და ხასიათს, მისი გამოყენების საჭიროებას. მაგრამ ამ ნაწილის წაკითხვისას არ შეიძლება არ იგრძნოს მკითხველმა ერთგვარი სქემატურობა. ყველასათვის ცნობილია, რომ „ბუნების კარი“ თავისი შინაარსით, მოცულობით და მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება „დედა ენას“. ამიტომ საჭირო იყო მასზე არანაკლებ გაემახვილებინა ავტორს ყურადღება და მოეცა ამ შესანიშნავი სახელმძღვანელოს ყოველმხრივი გარჩევა. ავტორი თავისი შრომის 76-ე გვერდზე აღნიშნავს საკითხის განხილვის სქემატურ ხასიათს და მკითხველს რჩევას აძლევს, რომ მან ეს სახელმძღვანელო წაიკითხოს უშუალოდ და ამით მიიღოს მასზე სრული წარმოდგენა. ეს რჩევა კარგია, მაგრამ იგი სრულიად არ ამართლებს ავტორს.

ნაშრომის თითქმის ნახევარზე მეტი დათმობილი აქვს ქართველთათვის რუსული ენის ისეთი შესანიშნავი სახელმძღვანელოს ანალიზს, როგორიცაა ცნობილი „რუსკოე სლოვო“, რომელიც „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ მსგავსად დიდი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობდა ქართველ ხალხში. ამ სახელმძღვანელომ უდიდესი როლი შეასრულა რუსული ენის სწავლებაში, დიდი რუსი ხალხის ენისადმი სიყვარულის გაღვივებაში, ენისა, რომლის „შესწავლა, — გოგებაშვილის აზრით, — დიდი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის“. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორს მოყავს გოგებაშვილის რიგი შეხედულებები რუსული ენის მნიშვნელობისა და ქართულ სკოლაში მისი, როგორც ცალკე საგნის, სწავლების ამოცანების შესახებ. ავტორი ღრმად და დეტალურად აშუქებს „რუსკოე სლოვოს“ ორივე ნაწილის შინაარსს, მეთოდურ მხარეს და საბჭოთა სკოლისათვის მისი გამოყენების წესებსა და მნიშვნელობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. აბულაძის ნაშრომი კარგი შენაძენია ქართული პედაგოგიკური ლიტერატურისა. მას სიამოვნებით წაიკითხავენ არა მარტო სკოლის მუშაკები, არამედ ყველა ის, ვინც დაინტერესებულია ი. გოგებაშვილის მოღვაწეობით, მისი უკვდავი სახელმძღვანელოების შინაარსის გაცნობით.

დავით მარუაშვილი

„ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა“

★

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ქართული კულტურის ამსახველი ძეგლები მონასტრებისა და კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ არ არსებობდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ამსახველი ისტორიული დოკუმენტების საფუძვლიანი გამოყენების შესაძლებლობა. ამგვარი ხასიათის დოკუმენტების გამოსავლენად და შესასწავლად მკვლევართ უხდებოდათ საკუთარი ინიციატივით გამგზავრება სხვადასხვა ადგილას, რომ დაღუპვისაგან გადაერჩინათ ესა თუ ის ძვირფასი მანუსკრიპტი ან საყურადღებო ხელნაწერი. ასე მაგალითად, ქართლში მოგზაურობის დროს აკად. ექვთ. თაყაიშვილმა შემთხვევით გადაარჩინა დაღუპვას ჩვენი იურიდიული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის — „ხელმწიფის კარის გარიგების“ შემცველი ერთადერთი ხელნაწერი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველმა ხალხმა შესაძლებლობა მიიღო თავისი ისტორიული ძეგლებისათვის თავი მოეყარა სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში — არქივებსა და მუზეუმებში და ეს სიძველეთსაცავები გადაექცია მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ბაზად. ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებას წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. იქ ინახება მეტად საყურადღებო ფონდები, რომლებიც თანდათან იზრდება სულ ახალ ახალი ძეგლებით. ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საქართველოს წარსულის საფუძვლიანად შესწავლის საქმეში. ეს მასალები იძლევა მრავალი ფაქტისა და მოვლენის ახლებურად გაშუქებას.

სისტემატური აღწერილობის უქონლობის გამო საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმიუწვდომელი იყო ფართო მეცნიერული საზოგადოებისათვის. ამიტომ საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო შეუდგა ცალკე ფონდების სამეცნიერო აღწერილობათა გამოქვეყნებას. უკვე გამოქვეყნდა „ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის“ ორი წიგნი, რომლებიც მოიცავს ცენტრარქივის ქართული ხელნაწერების კოლექციის ერთ ნაწილს.

ჩვენ გვინდა მკითხველთა ყურადღება შევა-

ჩეროთ „ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის“ მეორე წიგნზე, რომელიც გასულ წელს გამოვიდა აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციით. წიგნში აღწერილია 341 ნომრიდან 714 ნომრამდე მოთავსებული ხელნაწერები. ხელნაწერების აღწერა № 341 — 500 შედგენილია ბ. გოგოშიძის, დანარჩენი კი ს. კაკაბაძის მიერ. „აღწერილობას“ დართული აქვს კარგად შედგენილი ორივე წიგნის საძიებლები: 1. ხელნაწერთა ქრონოლოგიური საძიებელი, 2. პირთა სახელების საძიებელი, 3. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, 4. დარგობრივი საძიებელი, 5. საძიებელი ხელნაწერთა დამწერლობის მიხედვით.

„აღწერილობის“ შემდგენლებს მიზნად დაუსახავთ დაინტერესებულ მკითხველს სრული წარმოდგენა შეუქმნან ცენტრარქივში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ. ყოველი ხელნაწერის აღწერილობას წამძღვარებული აქვს ცნობები ავტორის, და გადაწერის თუ დაწერის დროის შესახებ. აღნიშნულია ხელნაწერისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი და მოცემულია თხზულების დასაწყისი და ბოლო წინადადებანი. „აღწერილობის“ შემდგენლები იძლევიან აგრეთვე ხელნაწერთა ავტორის თუ გადამწერის ანდერძებსა და სხვადასხვა სახის მინაწერებს, რომლებშიც ვხვდებით უამრავ საინტერესო ცნობას.

„აღწერილობის“ მეორე წიგნში გვხვდება როგორც ძველი ისე XIX საუკუნის ქართული მწერლობის ნაწარმოებები. მოცემულია ქართული ფოლკლორის მასალებიც, ჩაწერილი წინათ სხვადასხვა ადგილას. აღწერილ ხელნაწერთა შორის, როგორც შესავალი წერილიდან ვგებულობთ, აღსანიშნავია ეტრატზე ნაწერი XIV — XV საუკუნის სახარება (№ 363), ეტრატისავე სახარება XVI საუკუნის პირველი ნახევრისა (№ 400), ამავე საუკუნის სხვა სახარება (№ 638), ქართულიდან თურქულად ნათარგმნი სახარება, დაწერილი ქართული ასოებით (№ 401). სასწავლო-სამეცნიერო დარგიდან აღსანიშნავია ლოგიკის სახელმძღვანელო (№ 366), რომელიც სასწავლებლად ყოფილა განკუთვნილი თელავის სემინარიაში. „აღწერილობაში“ გვხვდება რუსთაველის, შავთელისა და ჩახრუხაძის ნაწარმოებთა გვიანდელი ხელნაწერები, მოცემულია თეიმურაზ I-ის, ვახტანგ ნ-ის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის და სხვების ნაწარმოებთა ვარიანტები.

სამწუხაროდ, წიგნს გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც.

1. ხელნაწერ № 355, 32-ში სწორად არ არის ნაჩვენები ნაწარმოების ავტორი, ხელნაწერი კრებულის გადამწერს ილ. ჭავჭავაძის ლექსი „მშვენიერთა ხელმწიფევ“ გრ. ორბელიანს ლექსად აქვს მიჩნეული. „აღწერილობის“ შემდგენლები ამ შეცდომას არ ასწორებენ. საჭირო იყო შემდგენლებს კვადრატულ ფრჩხილებში გაესწორებინათ ხელნაწერის გადამწერის ეს შეცდომა.

2. სასურველი იყო აღმწერლებს აღენიშნათ იმ თხზულებების ავტორები, რომლებიც ხელნაწერებში დასახელებული არ არიან. მაგალითად: ქეთევან დედოფლის ანბანთქება (№ 396, 19, 26), თეიმურაზ 1-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“ (№ 396, 24; № 509, 4), ვახტანგ ნ-ის ანბანთქება (№ 418, 4), დავ. გურამიშვილის ლექსები (№ 396, 37, 38, 39), დიმიტრი ორბელიანის ანბანთქება (№ 354, შენ.), დიმ. თუმანიშვილის ლექსები (№ 495, 14. 26, 27, 34), გ. ერისთავის პიესა „შეშლილი“ (№ 506, 1) და სხვ.

3. ხელნაწერ № 344-ის მინაწერში, რომელსაც ამეტობა ახასიათებს, მოხსენებულია ორი საკუთარი სახელი: „თაითაინაი“ და „ბაერაუაი“. აღმწერლებს უნდა აღედგინათ ეს სახელები შემდეგი სახით: „თაი [ნა] თაინაი“, რაც გვაძლევს „თი [ნა] თინი“-ს და „ბერუაი“. საძიებელში შეტანილი უნდა ყოფილიყო შესწორებული სახით ორივე სახელი და არა ერთი მარტო.

4. ზოგჯერ საკმარისი არ არის ხელნაწერის ჩვენება ძეგლის ავტორის შესახებ. ასეთ შემთხვევებში „აღწერილობის“ შემდგენლებმა უნდა დააზუსტონ ხოლმე ავტორის ვინაობა. მაგ., ხელნაწერ № 386, 12-ში ვკითხულობთ: „გლოვა დედოფლისათვის, მეფის თეიმურაზისაგან“. საჭირო იყო სათაურის გვერდით აღმწერლებს კვადრატულ ფრჩხილებში ჩაესვათ „თეიმურაზ 1-ისა“. ასევე ყველასათვის ვერ იქნება ადვილად მისახვედრი, რომ ხელნაწერ № 389-ის სათაურში დასახელებული „გიორგი ერისთავი“ არ არის ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი დავითის ძე ერისთავი.

5. როდესაც გამოცემული ძეგლის ხელნაწერთან გვაქვს საქმე, აუცილებელია და მეტად საჭირო, რომ აღმწერლებმა აღნიშნონ არა მარტო ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ნიშნები, არამედ მისი თავისებურებანი შედგენილობის მიხედვით ნაბეჭდ გამოცემასთან მიმართებით.

საერთოდ, წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიისა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში მომუშავეთ. ამიტომ ეს წამოწყება მისასალმებელია და ყოველმხრივ დახმარებასა და ხელისშეწყობას მოითხოვს.

ზვიკი მიქაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

★

სახელგამი

ალექსანდრე პუშკინი — (ტომი-მე4). რედ. გ. ქიქოძე, გვ. 416, ფ. 20 მან.

ილო მოსაშვილი — პიესები, რედ. ნ. შველიძე, გვ. 221, ფ. 10 მან.

ალიო ადამია — ყარნაბას ნაპირებზე, რედ. გ. ფირცხალავა, გვ. 83, ფ. 2 მ. 50 კ.

გრ. ბერძენიშვილი — დედის ნუგეში, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 11, ფ. 80 კ.

კ. მაჭარაძე — კუპეში, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 28, ფ. 1 მ. 80 კ.

მ. მიქელაძე — მწვანე მეგობარი, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 23, ფ. 1 მ. 50 კ.

გრ. ბერძენიშვილი — ციხე-სიმაგრე, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 21, ფ. 1 მ. 20 კ.

ნ. არეშიძე და ა. ვერმიშევი — სწორი გზით, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 15, ფ. 1 მ.

ალ. აფხაიძე — შეხვედრა, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 11, ფ. 80 კ.

ხ. ფაშალიშვილი — ჩაჩანაკი კაკანათში, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 19 ფ. 1 მან.

შ. მანაგაძე — უკვდავი გრძნობა, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 53, ფ. 2 მ. 50 კ.

ვ. გაბესკირია — საყვარელი ეზო, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 38, ფ. 2 მან.

ნ. ვირტა — პური ჩვენი არსებისა (თარგ. ვ. დოლიძისა), რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 38. ფ. 2 მან.

დ. დუკაშვილი — ახალი ხელმძღვანელი, რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 48, ფ. 3 მან.

ა. არბუზოვი — შეხვედრა (თარგ. მ. გოგოლაშვილისა), რედ. ი. ახვლედიანი, გვ. 58. ფ. 2 მ. 50 კ.

საბჭოთა მწერალი

მიხეილ ალავიძე — ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა — რედ. დ. შენგელაია, გვ. 150, ფ. 7 მან.

ანდრია ლომიძე — ახალი მოთხრობები, რედ. ლ. კალანდაძე, გვ. 110, ფ. 4 მ.

ნიკო ბაგრატიონი — პურებთან (მოგონება. თარგ. რ. გვეტაძისა), რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 198, ფ. 7 მან.

ანდაზები — (ქართულ-რუსული შესატყვისები) შედგ. პ. წერეთლის მიერ, რედ. დ. შენგელაია, გვ. 90, ფ. 3 მან.

საგლიტგამი

მაქსიმ გორკი — ახალგაზრდობის შესახებ (თარგ. ბ. ვაშაძისა), რედ. დ. რომელაშვილი. გვ. 281, ფ. 10 მან.

ალექსეი მუსატოვი — სტოკარი (თარგ. შ. გვინჩიძისა), რედ. თ. აბაშმაძე, გვ. 276, ფ. 11 მან.

გ. უვანია — ბორის ძნელაძე, რედ. ი. ზოდელავა, გვ. 102, ფ. 4 მან.

ლუ სინი — მოთხრობებ (თარგ. რ. ბეროძისა), რედ. დ. მაისურაძე, გვ. 99, ფ. 2 მან.

მ. ადამია — ნეტავ, შენს დედას, რედ. შ. გაგოშიძე, გვ. 61, ფ. 3 მან.

რწყილი და ჭიანჭველა, თხა და ვენახი — რედ. გრ. საჯაია, გვ. 30, ფ. 3 მ.

ჩენი პირველი ლექსები — რედ. თ. გელიაშვილი, გვ. 58, ფ. 3. მან. 50 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
სანდრო შანშიაშვილი — ახალი ფუძე, მოთხრობა	3
გალაკტიონ ტაბიძე — მშვიდობისათვის, ნაწყვეტი პოემიდან	33
ალექსანდრე ჭუთათელი — პირისპირ, რომანი, წიგნი მეოთხე, გაგრძელება	34
ალექსანდრე აბაშელი — იაკობ ნიკოლაძის ხსოვნას, ლექსი	51
იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება	52
ვლადიმერ მაიაკოვსკი — მიმართვა პროლეტარულ პოეტებს, ლექსი, თარგმანი ვ. ლაფერაშვილისა	66
ვასილ კოზაჩენკო — ახალი ნიღვარი, მოთხრობა, გაგრძელება, თარგმანი რ. გვეტაძისა	69
ბესარიონ ჟღენტი — ქართული საბჭოთა ლიტერატურის ახალი აღმავლობისათვის, წერილი	81
ზურაბ ბუმბურიძე — სალიტერატურო ენა და პერსონაჟთა მეტყველება, წერილი	94
იაკობ ბალახაშვილი — რამდენიმე ნიმუში ილია ჭავჭავაძის მიერ ახალი სიტყვების შემოტანისა, წერილი	101
გიორგი ყურაშვილი — ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების ექვსი წლისთავი, წერილი	105
პავლე ინგოროყვა — გიორგი მერჩულე, წერილი, დასასრული	115
გ. სამხარაძე — გ. ჯაბუშანური „ნათელი მთაში“, ბიბლიოგრაფია	153
დავით მარუაშვილი — იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, ბიბლიოგრაფია	154
ბივი მიქაძე — „ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა“, ბიბლიოგრაფია	156

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:
ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლოლათქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ფილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/V-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10.
უე 00585. შეკვ. № 282. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფგამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილი ქ., № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

ფასი 8 Შ.
n 625/262
ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ